

ოსნე
სანიმუშაღი

ქაბულელი
ნიგნებით
მოვარე

ოსნე საიეშტადი

ქაბულელი წიგნებით მოვაჭრე

ნორვეგიულიდან თარგმნა
თამარ კვიციანაძემ

წინასიტყვაობა

სულთან ხანი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც 2001 წლის ნოემბერში ქაბულში ჩასვლისას გავიცანი. მანამდე კი თითქმის ექვსი კვირა ტაჯიკეთის უდაბურ საზღვართან, ჰინდუქუშის მთებში, ფანჯშირის შორეთსა და ქაბულიდან ჩრდილოეთით მდებარე სტეპებში გავატარე, სადაც NATO-ს კომენდანტებთან ერთად ვიმყოფებოდი. თვალყურს ვადევნებდი მათ საბრძოლო მოქმედებებს თალიბანის წინააღმდეგ და ფრონტის ხაზთან ახლოს გათხრილ სანგარში, ქვალორლიან მიწურში ვცხოვრობდი, ვმგზავრობდი სატვირთო მანქანით, სამხედრო ტრანსპორტით, ცხენით, ფეხით...

თალიბანის დაცემის დღეს NATO-ს ჯარისკაცებთან ერთად ქაბულისაკენ გავემგზავრე. იქ წიგნების მაღაზიაში ერთ ელევანტურ, ჭაღარა ვაცს შევხვდი. საფანტის წვიმასა და ქვა-ლორღში გატარებული რამდენიმე კვირის შემდეგ, სადაც მხოლოდ საომარ ტაქტიკასა და სამხედრო სვლებთან დაკავშირებულ საუბრებს ვისმენდი, წიგნების თვალჩინებას, ლიტერატურასა და ისტორიაზე საუბარმა ერთგვარად განმტვირთა.

სულთან ხანს თაროები მრავალენოვანი წიგნებით, ლექსების კრებულებით, ავღანური ლეგენდებით, ისტორიული ნაწარმოებებითა და რომანებით გაევსო. ის წიგნებით ვაჭრობდა და ამ საქმიანობაში საკმაო წარმატებისთვისაც მიეღწია. პირველივე დღეს მისი მაღაზიიდან შვიდი წიგნი გამოვიყოლე. როგორც კი თავისუფალ დროს გამოვნახავდი, მაშინვე წიგნების მაღაზიაში გავრბოდი ახალი ლიტერატურის მოსაძიებლად და სულთან ხანთან სასაუბროდ. ეს მეტად საინტერესო წიგნებით მოვაჭრე ავღანელი პატრიოტი გახლდათ, რომელიც საკუთარ სამშობლოს არაერთხელ გაეწილებინა.

– ჯერ იყო და, კომუნისტებმა წიგნები დამინვეს, მერე მუჯაჰედინმა გამძარცვა, შემდეგ კი, რაც გადარჩა, თალიბებმა გადამიბუგეს, – მიყვებოდა იგი.

ერთ დღესაც სულთან ხანმა თავის ოჯახში დამპატიჟა ვახშამზე. იატაკზე გულუხვად განწყობილ სუფრას მთელი მისი ოჯახი შემოსხდომოდა გარს: ხანის ერთ-ერთი ცოლი, ვაჟიშვილები, დები, ძმა, დედა და რამდენიმე ბიძაშვილი. სულთანი ამბებს ყვებოდა, მისი ვაჟები კი იცინოდნენ და ხუმრობდნენ. განწყობაც მხიარული იყო და სადილიც სრულიად განსხვავდებოდა იმ მწირი ტრაპეზებისგან, მთაში კომუნდანტებთან ერთად რომ მივიროთმევდით.

ჩემი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ქალები თითქმის არაფერს ამბობდნენ. სულთნის ლამაზი, ახალგაზრდა ცოლი თავის პატარასთან ერთად კართან მიმჯდარიყო და კრინტს არ ძრავდა. მეორე ცოლი იმ საღამოს შინ არ იყო. ოთახში მყოფი ქალები მხოლოდ შეკითხვებს პასუხობდნენ, ან გემრიელი სადილის მომზადების გამო მიღებულ შექებას იფერებდნენ, თუმცა დიალოგში არ ერეოდნენ და არც თავად იწყებდნენ საუბარს, სულთნის ოჯახიდან წამოსულს, გონებაში ერთადერთი აზრი მიტრიალებდა: „ეს ხომ ავღანეთია. საინტერესო იქნებოდა, ამ ოჯახზე წიგნი დამეწერა.“

მეორე დღესვე სულთანი მოვინახულე და ჩანაფიქრი გავანდე. – ძალიან დიდი მადლობა! – გაუხარდა მას.

– მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ თქვენთან ერთად უნდა ვიცხოვრო.

– კეთილი და პატიოსანი.

– თქვენთან ერთად უნდა ვიარო ყველგან, ვიცხოვრო ისე, როგორც თქვენ ცხოვრობთ: თქვენ გვერდით, თქვენი ცოლების, დების, ვაჟების გვერდით.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! – დასძინა სულთანმა. მის ოჯახში თებერვლის ერთ ნისლიან დღეს გადავბარგდი. ბევრი არაფერი მქონდა, მხოლოდ ერთი ლეპტოპი, რვეულები ჩანანერებისთვის, კალმები, სატელიტური ტელეფონი და ის, რაც ტანთ მეცვა და თავზე მეხურა. დანარჩენი ნივთები მგზავრობისას, სადღაც უზბეკეთთან ახლოს გაუჩინარდა.

ოჯახში გულლიად შემხვდნენ. მალევე გავშინაურდი და ნათხოვარ ავღანურ კაბებშიც მშვენივრად ვგრძნობდი თავს.

ლეიბი იატაკზე, ლეილას გვერდით დამიგეს. მასვე დაევალა ჩემი მოვლა-პატრონობა და ზრუნვა იმაზე, რომ თავი კარგად მეგრძნო.

– შენ ჩემი პატარა ბაია ხარ, – მითხრა ცხრამეტი წლის გოგონამ პირველივე საღამოს, – მე უნდა მოგიარო.

როგორც კი შევირხეოდი, ლეილა მაშინვე ფეხზე იდგა.

ჩემი ყველა სურვილი უნდა შესრულებულიყო – ასეთი ბრძანება გაუცია ოჯახში სულთანს, თან ისიც დაუმატებია, ვინც ჩემს ნებას არ დაემორჩილება, დაისჯებაო. ეს ყველაფერი მოგვიანებით მითხრეს.

მთელი დღის განმავლობაში ჩაითა და საჭმლით მიმასპინძლებოდნენ. მეც თანდათანობით შევეჩვიე ამ ოჯახის ცხოვრების რიტმს. ოჯახის წევრები თავიანთ ამბებს მაშინ მიყვებოდნენ, როცა ეს თავად სურდათ და არა მაშინ, როცა მე ვეკითხებოდი. ზოგჯერ, სწორედ იმ დროს, როდესაც რვეული მქონდა მომარჯვებული, მათ ლაპარაკის ხალისი არ ჰქონდათ, ხოლო ქუჩაში, ბაზარში, ავტობუსში, ან გვიან ღამით, როცა უკვე ლოგინში ვინექით, სიამოვნებით მიყვებოდნენ ამ-

ბებს. ამ დროს თავისდაუნებურად ისეთ შეკითხვებზე ვიღებდი პასუხებს, რომელთა დასასმელად ფანტაზია არც კი მეყოფოდა. ჩემი ნაწერი ლიტერატურული ფორმისაა, მაგრამ იგი ნამდვილ ფაქტებსა და ისტორიებს ემყარება, რომელთაც თავად შევესწარი, ან სხვებისგან მოვისმინე. როდესაც ჩემი გმირების ფიქრებსა და გრძნობებს აღვწერ, სწორედ მათ მონათხრობს ვეყრდნობი.

ძირითადად საკუთარი თვალით ნანახსა და განცდილს გიამბობთ: ოჯახის ყოველდღიური ცხოვრების, ფეშავარში ტურის, ლაჰორში პილიგრიმების მოგზაურობის, ბაზარში საყიდლებზე სიარულის, ქორწილის, ნიშნობის სამზადისის, აბანოს, სკოლის, განათლების სამინისტროს, ალ-ქაიდაზე ნადირობის, პოლიციის სადგურისა და ციხეების შესახებ, სხვა ისტორიებს, მაგალითად, ჯამილას ამბავს, რაჯიმულაჰის ინტიმურ თავგადასავლებს, ან მანსურის სამიჯნურო პავემნებს წიგნების მაღაზიაში თავად არ შევესწრებივარ, ეს ამბები თანდათანობით მიაბმეს.

მთელმა ოჯახმა იცოდა, რომ მე მათზე წიგნი უნდა დამეწერა, ამიტომ თუ რამის გახმაურება არ სურდათ, პირდაპირ მეუბნებოდნენ. მაინც ვარჩიე, რომ ოჯახის წევრებისა და სხვა პირთა სახელები ანონიმურად დამეტოვებინა. ეს არავის უთხოვია, მაგრამ თავად ვგრძნობდი, ასე უფრო მართებული იქნებოდა.

ჩემი და ამ ოჯახის დღეები ერთმანეთს დაემსგავსა. ალიონზე ბავშვების ყვირილი და ხალხის ყაყანი მალვიძებდა, მერე სააბაზანოში შესასვლელად რიგს ვიკავებდი და მაშინლა შევიპარებოდი ხოლმე, ბანაობას ყველა რომ მორჩებოდა. თუ ბედი გამილიმებდა, ცხელი წყალიც დამხვდებოდა, მაგრამ მალე იმასაც მივხვდი, რომ სახეზე ერთი ჭიქა ცივი წყლის შესხმაც მშვენივრად ამხნევეს ადამიანს. დღის განმავლობაში სახლში ქალებთან ერთად ვიყავი, ნათესავებს ვსტუმრობდით, ბაზარში დავდიოდით... ზოგჯერ სულთანს ან მის ვაჟებს ვახლდი თან მაღაზიაში, ქალაქში ან მგზავრობისას. საღამოობით ოჯახთან ერთად ვვახშმობდი და მწვანე ჩაის ვწრუპავდი, სანამ

ძილის დრო მოვიდოდა, მალე სტუმრის ნაცვლად ოჯახის გულითადი წევრი გავხდი. ხანის გულუხვი და სტუმართმოყვარე ოჯახი თავს მეფლებოდა. ბევრი სასიამოვნო წუთ გავატარე მათთან ერთად, მაგრამ სხვაგან იშვიათად გამოვსულვარ წყობიდან ისე, როგორც ამ ოჯახში. იშვიათად თუ მიკამათია ვინმესთან იმდენი, რამდენიც ამ ოჯახის წევრებთან, და იშვიათად თუ გამჩენია ისეთი დიდი სურვილი ვინმეს ცემისა, როგორიც იქ.

ჩემი გაღიზიანების მიზეზი კი ყოველთვის ერთი და იგივე გახლდათ: ვერძოდ, მამაკაცების დამოკიდებულება ქალების მიმართ. კაცების უპირატესობა იმდენად იგრძნობოდა, რომ კითხვის დასმა არც კი მჭირდებოდა. დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ქალები მამაკაცებზე გაცილებით სულელები და ჭკუათხელები არიან და მათსავით საღად ვერ აზროვნებენ.

ყველა ისე მიყურებდა, როგორც ორსქესიან არსებას. მე, როგორც დასავლური სამყაროს წარმომადგენელ ქალს, შემეძლო ქალების გვერდითაც ვყოფილიყავი და მამაკაცებისაც. ვაცი რომ ვყოფილიყავი, ვერასოდეს შევძლებდი ამგვარად მეცხოვრა ხანის ოჯახში, რადგან იმ შემთხვევაში ჩემი ასეთი ახლო ურთიერთობა სულთნის ცოლებთან ხალხს ჭორაობის საბაბს მისცემდა.

არანაირ უხერხულობას არ მიქმნიდა ის ფაქტი, რომ უცხოელი ქალი ვიყავი და ავღანელი მამაკაცების თვალში ორსქესიან არსებას წარმოვადგენდი. ოჯახური ნადიმების დროს, როდესაც ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე სხდებოდნენ, მე ვიყავი ერთადერთი, ვისაც ერთი ოთახიდან მეორეში თავისუფლად გადაადგილება შეეძლო. არც ავღანელი ქალების მიმართ ჩაცმის თაობაზე წაყენებული მოთხოვნები მეხებოდა და შემეძლო, სადაც მინდოდა, იქ წავსულიყავი. ამის მიუხედავად, მაინც ხშირად ვიკეთებდი ჩადრს, თუნდაც იმის გამო, რომ ჩემთვის, მშვიდად ვყოფილიყავი.

დასავლელი ქალი ქაბულის ქუჩებში არასასურველ ყურადღებას იქცევს. ჩადრში შემალულს კი შემეძლო სხვებისთვის იმდენი მეცქირა, რამდენიც მომესურვებოდა, თანაც ისე, რომ ისინი ვერც კი შეამჩნევდნენ. ასევე შემეძლო ქუჩაში ყოფნისას ჩემი ოჯახის წევრებსაც დავკვირვებოდი. ასეთი ანონიმურობა შვებასაც კი მგვრიდა. მალე ჩადრი ჩემთვის ერთადერთ თავშესაფრად იქცა, ვინაიდან ქაბულში კაცი ძნელად თუ ნახავს ადგილს, სადაც მართოდმართო ყოფნა შეეძლება. ჩადრს კიდევ იმისთვის ვხმარობდი, რომ მეგრძნო, როგორია ავღანელი ქალის ყოფა. რა საშინელებაა, როცა ავტობუსში გაჭირვებით ეჭედები ქალებისთვის განკუთვნილ უკანა სამ რიგში მაშინ, როდესაც წინა ადგილები ნახევრად ცარიელია, როცა იძულებული ხარ, მოიკუნტო ტაქსის საბარგულში, რადგან მის უკანა სავარძელზე მამაკაცია მოკალათებული.

თავად გამოვცადე, რა გრძნობაა, როცა ვიღაც დაჟინებით მოგშტერებია, რადგან მაღალი, მიმზიდველი ჩადროსანი ხარ; როცა პირველ „ჩადრის კომპლიმენტს“ იღებ ქუჩაში მდგომი უცხო მამაკაცისაგან. გრძნობ, როგორ გზიზღდება თანდათანობით ეს სამოსი, რადგან საშინლად გიჭერს კანზე და თავს გატკივებს, საშინელებაა თვალეზზე ჩამოფხატული ძაფის „გისოსები“, სულს რომ გიხუთავს, ჰაერს არ ატარებს და ამის გამო ოფლში იწურები. გამუდმებით ჩაჰყურებ გრძელი ჩადრის ბოლოს და ფრთხილობ, ფეხი არ დაგედგას, რადგან მისი სიგრძის გამო საკუთარ ტერფებს ვეღარ ხედავ. კაბის ბოლო უცებ იპოხება ჭუჭყსა და მტვერში და აქეთ-იქით იხლართება... როცა შინ დაბრუნებული ჩადრს თავიდან იგლეჯ, ენით აუწერელ შვებას გრძნობ.

ავღანურ სამოსს თავდაცვის მიზნითაც ვხმარობდი, მაგალითად, მაშინ, როცა სულთანთან ერთად ჯალალაბადის ხიფათით სავსე გზებზე ვიმყოფებოდი, როცა საზღვრის ჭუჭყიან სადგურზე ღამე უნდა გაგვეთია, ან გვიან ღამით გარეთ ყოფნა გვინევდა. ავღანელი ქალე-

ბი იშვიათად მგზავრობენ ასდოლარიანების დასტითა და ლეჰტო-პით, ასე რომ, ჩადრში გამონყობილი გზაზე შემთხვევით გადაყრილი მძარცველებისგან დაცული ვიყავი. მნიშვნელოვანია აღვნიშნო, რომ ეს არის მოთხრობა მხოლოდ ერთ ავღანურ ოჯახზე. ავღანეთში რამდენიმე მილიონი სხვა ოჯახიც არსებობს და ჩემი ოჯახი ტიპური ავღანური ოჯახი სულაც არ გახლავთ. ის, შესაძლოა, საშუალო კლასს მივაკუთვნოთ, რადგან ოჯახის რამდენიმე წევრს განათლება ჰქონდა მიღებული, მათ უმეტესობას წერა-კითხვა შეეძლო, საკმაო შემოსავალიც ჰქონდათ და არ შიმშილობდნენ.

ტიპური ავღანური ოჯახი რომ შემერჩია, მაშინ რომელიმე სოფლის ერთ დიდ ოჯახში უნდა მეცხოვრა, სადაც არც წერა იციან, არც კითხვა და მათთვის ყოველი დღე არსებობისთვის ბრძოლაა. „ჩემი ოჯახი“ იმიტომ ვი არ ავირჩიე, რომ იგი ავღანური ოჯახის ზოგად სახეს წარმოადგენდა, არამედ იმიტომ, რომ ეს ხალხი თავისებურად შთამაგონებდა.

ქაბულში თალიბანის რეჟიმის დამხობიდან პირველ გაზაფხულს მომინია ყოფნა. ხალხში იმედიანი განწყობა იგრძნობოდა. ყველას უხაროდა თალიბანისგან გათავისუფლება. ქუჩებში ჩასაფრებული რელიგიური პოლიციის შიშიც აღარ ჰქონდათ. ქალებს კვლავ შეეძლოთ გარეთ მარტო გასვლა, განათლების მიღება, სკოლაში სიარული, მაგრამ ხალხს ბოლო ათეული წლების იმედგაცრუების დაღიც აშკარად აჩნდა: ვითომ რატომ უნდა ყოფილიყო ეს დრო წინანდელზე უკეთესი?

რალაც პერიოდის შემდეგ ვი, როცა ქვეყანამ შედარებით სიმშვიდე მოიპოვა, ოპტიმიზმმაც ნელ-ნელა იმატა.

ხალხი გეგმებს სახავდა. სულ უფრო მეტი ქალი ტოვებდა ჩადრს შინ გარეთ გასვლისას. ბევრი მათგანი მუშაობას იწყებდა, ლტოლვილები შინ ბრუნდებოდნენ. ძველი რეჟიმი თანდათანობით ირყეოდა. მეომრებისა და ადგილობრივი ბელადების ტრადიციული თუ თანამედროვე იდეები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ლიდერი ჰამიდ ვარზაი

სიტუაციის მოგვარებას ცდილობდა, უნდოდა გარკვეული პოლიტიკური კურსი აეღო. ის ხალხში პოპულარული იყო, მაგრამ ამ ურთიერთმონინააღმდეგე პოლიტიკური პარტიებითა და იარაღით დამძიმებულ ქვეყანაში არც ჯარი ჰყავდა და არც საკუთარი პარტია გააჩნდა.

იმისდა მიუხედავად, რომ ორი მინისტრი მოეკლათ და მესამის მოკვლაც სცადეს, მოსახლეობა ვი ხშირად სახიფათო ინციდენტების მსხვერპლი ხდებოდა, ქაბულში მაინც შედარებითი სიმშვიდე იყო.

ბევრი მათგანი დიდ ნდობას უცხადებდა ქუჩებში პატრულირებად უცხოელ ჯარისკაცებს. „ესენი რომ არა, ისევ სამოქალაქო ომი დაიწყებოდაო“, ამბობდა ხალხი.

მე იმას ვინერდი, რასაც თავად ვხედავდი და ვისმენდი. შვევცადა, ამ მოთხრობაში ქაბულში გატარებული ერთი გაზაფხულის შთაბეჭდილებები შემეჭამებინა. მინდოდა მომეთხრო მათ შესახებ, მხრებიდან მძიმე ზამთრის ჩამობერტყვას რომ ლამობდნენ და ახლებურად იდგამდნენ ფესვებს, და მათ შესახებაც, რომლებსაც, ლეილას თქმით, „მარადიული მტვრის საყლაპავად“ გაენირათ თავი.

*ოსნე საიეშტადი
ოსლო. 1 აგვისტო. 2002*

ხელის თხოვნა

Migozarad¹

კვეთილობა ქაბულის ერთ-ერთი ჩაის სახლის კედელზე

როდესაც სულთან ხანმა გადანყვიტა, მეორე ცოლის ძებნა დაეწყო, მისი დახმარება არავინ ისურვა.

ჯერ დედას მიმართა.

– ვინც გყავს, იმას დასჯერდი! – უთხრა ქალმა, მერე უფროს დას მიაშურა.

– შენი პირველი ცოლი ისე მიყვარს, რომ... – ასეთი იყო დის პასუხი. დანარჩენი დებისგანაც მსგავსი პასუხი მიიღო. – ეს შარიფასთვის დიდი სირცხვილი იქნება! – დაადასტურა დეიდამ.

სულთანს დახმარება სჭირდებოდა. ქალის ოჯახში ხელის სათხოვნელად კაცს მართო მისვლა არ შეუძლია. ავღანური ტრადიციის მიხედვით, მაჭანკლობა სასიძოს ახლო ნათესავ ქალს ევალება. მან-

¹ ეს დასრულდება (სპარს.).

ვე უნდა ადევნოს თვალყური მომავალ საპატარძლოს, რათა შეათვა-
სოს მისი სიყოჩადე, აღზრდა, კარგი ცოლისთვის დამახასიათებელი
თვისებები. მაგრამ სულთნის ოჯახის ქალებიდან არც ერთმა არ
ისურვა ამ გარიგებაში გარევა. სულთანს საცოლედ სამი კანდიდატუ-
რა შეერჩია. სამივე ლამაზი, ჯანმრთელი და, რაც მთავარია, მისივე
გვარის წარმომადგენელი იყო. სულთნის ოჯახში იშვიათად ქორწინ-
დებოდნენ უცხო გვარის წარმომადგენლებზე. ნათესავებზე, განსა-
კუთრებით კი, დეიდაშვილებსა და ბიძაშვილებზე დაქორწინება ჭკვი-
ანურად და, ამავდროულად, საიმედოდაც მიაჩნდათ.

სულთანმა საცოლის შერჩევა თექვსმეტი წლის სონიასგან დაიწ-
ყო. გოგონას მუქი, ნუშისებრი თვალები და შავი, მბზინავი თმა ჰქონ-
და. კარგი აღნაგობის, მოხდენილი სონია ყოჩაღიც არისო, ამბობ-
დნენ. სონიას ღარიბი ოჯახი სულთნის ახლო ნათესავი გახლდათ –
მისი დიდი ბებია სულთნის დიდი ბებიის და იყო, მაშინ, როდესაც
სულთანი ტვინს იჭყლეტდა იმაზე ფიქრით, თუ როგორ ეთხოვა რჩე-
ულის ხელი თავისი ოჯახის ქალების დაუხმარებლად, მისი პირველი
ცოლი უდარდელად დააბიჯებდა და ვერც კი ხვდებოდა, რომ ის პა-
ტარა გოგონა, მათი ქორწინების წელს რომ დაიბადა, ახლა ის ქალი
იყო, მისი ქმრის გონება რომ დაეპყრო. შარიფას, ისევე როგორც
სულთანს, ასაკი ემატებოდა. ორივენი ორმოცდაათ წელს გადაცი-
ლებულები იყვნენ. ქალს მისთვის სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი გა-
ეჩინა, სულთნის მდგომარეობაში მყოფი მამაკაცისთვის სწორედაც
რომ დროული გახლდათ ახალი ცოლის მოყვანა.

– შენ თვითონ წადი, – ურჩია ძმამ სულთანს.

მცირეოდენი ფიქრის შემდეგ სულთანი მიხვდა, რომ, სწორედ ეს
იყო ერთადერთი გამოსავალი, და ერთ მშვენიერ დილას თექვსმეტი
წლის სონიას სახლს მიაშურა. გოგონას მშობლები ხელგაშლილად
შეეგებნენ. სულთანს ყველა გულუხვ ადამიანად იცნობდა და მისი
სტუმრობა ყოველთვის სასიხარულო იყო, სონიას დედა საპატიო

სტუმარს ჩაით გაუმასპინძლდა. ისინი სასტუმრო ოთახში თიხის კედლების გასწვრივ, იატაკზე დაფენილ ბრტყელ ბალიშებზე ისხდნენ. თავაზიანი მოკითხვების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სულთანი პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

– ერთ ჩემს მეგობარს სონიას ცოლად შერთვა სურს, – დაიწყო მან.

ყოჩალი და ლამაზი სონიას ხელს პირველად არ ითხოვდნენ, მაგრამ მშობლებს მიაჩნდათ, რომ გოგონა ჯერ კიდევ ძალიან ნორჩი იყო. სონიას მამისთვის ჩხუბის დროს ბეჭის ნერვი გადაეჭრათ. ამის გამო ვაცი ვოჭლობდა და ველარ მუშაობდა. ლამაზ ქალიშვილს ოჯახში კარგი საპატარძლო საფასურის შეტანა შეეძლო და მშობლებიც გაცილებით მეტ თანხას ელოდნენ, ვიდრე აქამდე სთავაზობდნენ.

– ის მდიდარი ვაცია, – განაგრძო სულთანმა, – იმავე საქმიანობას ეწევა, რასაც მე. კარგი განათლება აქვს, სამი ვაჟი ჰყავს, მაგრამ მის ცოლს სიბერე შეეპარა.

– კბილები როგორი აქვს? – მკვირცხლად იკითხეს მშობლებმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათ მთხოვნელის ასაკი აინტერესებდათ.

– დაახლოებით ჩემი ასაკისაა, – უპასუხა სულთანმა, – რას იტყვით?

„ბებერია!“ – გაიფიქრეს მშობლებმა, მაგრამ ეს დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგან რაც უფრო ასაკოვანი იქნებოდა ვაცი, მით მეტ თანხას მიიღებდნენ ქალიშვილის სანაცვლოდ. საპატარძლოს ფასს მისი ასაკი, სილამაზე, აღნაგობა და ოჯახის სტატუსი განსაზღვრავს.

როდესაც სულთანმა თავისი თანხა დაასახელა, მშობლებისგან მოსალოდნელი პასუხიც მიიღო: ჩვენი ქალიშვილი ჯერ ძალიან ახალგაზრდააო.

სხვაგვარი პასუხის შემთხვევაში, ისე გამოდიოდა, თოთქოს ისინი ქალიშვილს იათად ატანდნენ იმ მდიდარ, უცნობ მთხოვნელს, რომელზეც სულთანი ასე გულმხურვალედ საუბრობდა. მშობლები არ ჩქარობდნენ, მით უმეტეს, რომ მათ მშვენივრად იცოდნენ, სულთანი ისევ დაბრუნდებოდა, რადგან სონია ძალიან მიმზიდველი და ნორჩი იყო.

მეორე დღეს სულთანი ისევ გამოჩნდა. საუბარი იმავე თემაზე წარმოართა და მშობლების პასუხიც იგივე იყო. თუმცა, ამჯერად ვაცს სონიასთან შეხვედრის საშუალება მიეცა. გოგონა სულთანმა ბოლოს მაშინ ნახა, სულ პატარა რომ იყო. უფროსი ასაკის ნათესავისადმი პატივისცემის ნიშნად, სონიამ სულთანს ხელზე აკოცა, სულთანი კი დალოცვის ნიშნად თავზე ეამბორა. ქალმა თითქოს იგრძნო უხერხული სიტუაცია და „ბიძია სულთნის“ დაჟინებული მხერით დამფრთხალი, კუთხეში მიიბუზა.

– მდიდარი ვაცი მოგიძებნე... შენი აზრი გვანტერესებს, – მიმართა გოგონას სულთანმა.

სონია იატაკს დაშტერებოდა. მას რომ პასუხი გაეცა, ყველა წესსა და ნორმას დაარღვევდა. ახალგაზრდა ქალს არანაირი აზრი არ უნდა გააჩნდეს მთხოვნელის თაობაზე.

მესამე დღესაც მოვიდა სულთანი და ამჯერად მან ბელგა შესთავაზა ოჯახს. ბეჭედი, ყელსაბამი, საყურე და სამაჭური – ეს ყოველივე ბატალლო ოქროსი, უამრავი ტანსაცმელი, სამასი კილო ბრინჯი, 150 ლიტრი საჭმელი ზეთი, ერთი ძროხა, რამდენიმე ცხვარი და თხუთმეტი ათასი ავლანი².

სონიას მამა საფასურით ძალზე კმაყოფილი დარჩა და იმ გასაიდუმლოებულ მთხოვნელთან შეხვედრა ითხოვა, მის ქალიშვილში ამხელა თანხა რომ გაიღო. სულთანს ოჯახი იმაშიც დაერწმუნებინა,

² დაახლოებით 600 დოლარი (რედ.)

რომ სასიძო მათ გვარს მიეკუთვნებოდა, მაგრამ ის აღარ უთქვამს, შეხვედროდნენ თუ არა ოდესმე მას სონიას მშობლები.

– ხვალ, – უთხრა სულთანმა, – ხვალ გიჩვენებთ მის სურათს.

ერთი დღის შემდეგ სულთნისგან მოქრთამული დეიდა სონიას ოჯახს ეახლა და მათ მომავალი სასიძოს ვინაობა გაუცხადა. ქალს თან ფოტოც გაეყოლებინა – თავად სულთან ხანის ფოტოსურათი და მისივე დანაბარები იმის თაობაზე, რომ ოჯახს გადაწყვეტილება ერთი საათის განმავლობაში უნდა მიეღო. თანხმობის შემთხვევაში სულთანი დიდად მადლობელი დარჩებოდა, ხოლო თუ პასუხი უარყოფითი იქნებოდა, ეს მათ შორის სისხლისმღვრელ ბრძოლას არ გამოიწვევდა.

ერთადერთი, რაც სულთანს კატეგორიულად არ აწყობდა, იყო განწელილი მოლაპარაკებები და ყოყმანი: „იქნებ...“ „ვაითუ..“ გოგონას მშობლებისგან თანხმობის მიღებას ერთი საათიც არ დასჭირვებია. მათ სულთან ხანიც მოსწონდათ, მისი სიმდიდრეც და მდგომარეობაც. სონია კი სხვენში იჯდა და ტიროდა. როცა მთხოვნელის გარშემო შექმნილი საიდუმლო გამოაშკარავდა და მშობლებმაც თანხმობა განაცხადეს, სონიასთან ბიძამისი ავიდა და უთხრა:

– შენს ხელს თავად სულთან ხანი გვთხოვს. თანახმა ხარ? სონიას ბაგეებს ერთი ბგერაც კი არ დასცდენია, თვალცრემლიანი, თავდახრილი იჯდა და სახეს გრძელი შალით იფარავდა.

– შენი მშობლები თანახმანი არიან, – განაგრძო ბიძამ, – ახლა შენ გეძლევა ერთადერთი შესაძლებლობა, შენი აზრი გამოხატო და თქვა, რა გსურს...

გაქვავებული და შეშინებული გოგონა გაუნძრევლად იჯდა. მშვენივრად იცოდა, ის ვაცი ქმრად არ უნდოდა, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ მშობლების ნებას უნდა დაჰყოლოდა. სულთანზე გათხოვება თავად მას ავღანურ საზოგადოებაში რამდენიმე საფეხურით ზემოთ აიყვანდა. მაღალი საპატარძლო საფასური კი მისი ოჯახის ბევრ

პრობლემას გადაჭრიდა. ფული, მისმა მთხოვნელმა რომ გადაიხადა, სონიას ძმებს კარგი ცოლების ყიდვაში გამოადგებოდათ.

სონია ხმას არ იღებდა და, ამგვარად, მისი ბედიც გადაწყდა. დუმილი ხომ თანხმობას ნიშნავს. მოლაპარაკება შედგა და ნიშნობის დღეც დათქვეს.

სულთანმა ეს დიდი სიახლე ოჯახს აცნობა.

მისი ცოლი, შარიფა, ბრინჯითა და ისპანახით სავსე ლანგრის გვერდით იატაკზე მოკალათებულიყო. ქმრის მონაცოლი ჯერ ხუმრობა ეგონა, გაიცინა და წაიოხუნჯა. ახალ ამბავზე სულთნის დედამაც ბევრი იცინა. როგორ იფიქრებდა, რომ მისი ვაჟი დედის თანხმობის გარეშე ქალის ხელს ითხოვდა. დები კრინტს არ ძრავდნენ.

სულთანს არავინ უჭერებდა, სანამ კაცმა მათ თავსაფარი და ტკბილეულობა არ უჩვენა. ასეთ ძღვენს სასიძო საპატარძლოს მშობლებისაგან თანხმობის ნიშნად იღებს ხოლმე.

შარიფა ოცი დღე ტიროდა.

– რა დავაშავე! ვაი, სირცხვილო! ნუთუ ჩემი ცოლობა შენთვის საკმარისი არ იყო...

სულთანმა ცოლის დამშვიდება სცადა. ოჯახში მხარს არავინ უჭერდა, ვაჟიშვილებიც კი მისი გადანწყვეტილების წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ სიტყვის შებრუნება ვერავის გაებედა, რადგან სულთნის სურვილი ყველასთვის კანონი იყო.

შარიფას დანა პირს არ უხსნიდა. ყველაზე მეტად ქალს ის სტკვენდა გულს, რომ მის ქმარს მეორე ცოლად მოჰყავდა ღლაპი, რომელსაც ერთი კლასის განათლებაც არ ჰქონდა. თავად შარიფა სპარსულის მასწავლებელი იყო.

– რა აქვს იმას ისეთი, რაც მე არა მაქვს, – ქვითინებდა ქალი, სულთანი კი მის ცრემლებს აინუნშიც არ აგდებდა.

ნიშნობაზე წასვლა არავის სურდა, მაგრამ შარიფა იძულებული გახდა, სირცხვილი გულში ჩაეკლა და საზეიმოდ მორთულიყო, – მინ-

და ხალხმა დაინახოს, რომ შენც თანახმა ხარ და მხარს მიჭერ. მომავალში ყველამ ერთ ჭერქვეშ უნდა ვიცხოვროთ და შენ სონიას უნდა უჩვენო, რომ მისი შემომატება გახარებს! – უბრძანა ცოლს სულთანმა.

შარიფა მუდამ ქმრის მორჩილი იყო, ახლაც კი – ამ საშინელ წუთებში, როცა ქმარი სხვა ქალისთვის უნდა გადაებარებინა, სულთანმა ისიც კი მოსთხოვა ცოლს, ნიშნობის ბეჭდები მე და სონიას შენ გაგვიკეთეო.

ნიშნობა ხელის თხოვნიდან ოცი დღის შემდეგ გაიმართა, შარიფამ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და სახეზე ნიღაბი აიფარა. ნათესავმა ქალებმა კი ყველაფერი იღონეს, რომ მისთვის ეს ნიღაბი ჩამოეხსნათ.

– რა სასტიკი საქციელია! – იმეორებდნენ ისინი, – ალბათ, საშინლად გრძნობ თავს.

ნიშნობიდან ორი თვის თავზე ქორწილი დათქვეს. ზეიმი მაჰმადიანური ახალი წლის ღამეს ემთხვეოდა. ქორწილში წასვლაზე კი ცივი უარი განაცხადა შარიფამ.

– არ შემიძლია! – უთხრა ქმარს.

ოჯახის წევრებმაც მხარი აუბეს. ქორწილისთვის ახალი ვაბა არავის შეუკერავს, არც ისე შეღებილან, ჩვეულებრივ, ქორწილებისთვის რომ იღებებიან ქალები. ვარცხნილობაც უბრალო ჰქონდათ და თითქმის არ იღიმებოდნენ, რათა მხარდაჭერა და პატივისცემა გამოეხატათ იმ დამცირებული ქალისადმი, რომელსაც სულთან ხანთან სარეცელი აღარ უნდა გაეყო. ეს ადგილი ახლა ახალგაზრდა, დამფრთხალ პატარძალს ეკუთვნოდა. კერა კი ყველასი იყო – ამ სახლში ყველას ერთად უნდა ეცხოვრა, სანამ სიკვდილი არ განაშორებდათ.

წიგნების კოცონი

1999 წლის ნოემბრის ერთ სუსხიან ნაშუადღევს ჩარჰაიე-სადარა-ტის მოსახვევი ქაბულში რამდენიმე საათის განმავლობაში ცეცხლის მოელვარე ალით იყო განათებული. ბავშვები კოცონის გარშემო დარბოდნენ. ცეცხლის ენები ნათელს ჰქვენდა მათ ჭუჭყიან, გამხდარ სახეებს. ქუჩის ბიჭები ერთმანეთს აქებებდნენ, ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ახლოს გაბედავდა ცეცხლთან მისვლას, უფროსები კი კოცონისკენ მალულად აპარებდნენ თვალს და, საკუთარი უსაფრთხოების მიზნით, სწრაფადვე უქცევდნენ გვერდს. ყველა კარგად ხვდებოდა, რომ „ღვთის სამსახურში“ ჩამდგარ დარაჯებს ეს ცეცხლი ხელების გასათბობად სულაც არ დაენთოთ.

დედოფალ სორაიას უმკლავებო ვაბა ცეცხლის ალში გახვეულიყო და თანდათანობით იფერფლებოდა... ასევე იფერფლებოდა მისი თეთრი, ჩამოქნილი მკლავები და მჭმუნვარე სახე. მასთან ერთად მისი ქმარი, მეფე ამანულაჰიც იწვოდა თავისი ჩინ-მედლებით. მთელი სამეფო შტო, ავღანურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ პატარა გოგონებთან, მუჯაჰედინის ცხენოსან ჯარისკაცებთან და ყანდაარის

ბაზარზე მოვაჭრე გლეხებთან ერთად კოცონზე იფერფლებოდა. ნომბრის ამ ცივ დღეს რელიგიურ პოლიციას სულთნის წიგნების მაღაზიაზე მიეტანა იერიში. ცოცხალ არსებათა სურათებით გაფორმებული ყველა წიგნი, განურჩევლად იმისა, ადამიანების სურათები იყო ეს თუ ცხოველებისა, თაროებიდან მოაფრიალეს და აგიზგიზებულ ცეცხლში მოისროლეს. ოქროსფრად მოვარაყებული წიგნების ყდები, საფოსტო ბარათები და უზარმაზარი, გაყვითლებული ძველი ხელნაწერებიც ცეცხლის ენების მსხვერპლი გამხდარიყო... კოცონის გარშემო ბავშვებთან ერთად რელიგიური პოლიცია – ქვეითი ჯარისკაცები დაბორილობდნენ და ხელში მათრახებს, გრძელ ჯოხებსა და „კალაშნიკოვებს“ ატრიალებდნენ. სწორედ ესენი იყვნენ ადამიანები, ვინც ყველას, ვისაც წიგნები, სურათები, ქანდაკებები, მუსიკა, ცეკვა, ფილმები და თავისუფალი აზროვნება ხიბლავდა, ხალხის მტრებად აცხადებდა.

ამ დღეს ჯერი სურათებზე მიმდგარიყო. წინა თაროებზე გამოჭიმული დაუსურათებელი „ერეტიკული“ წიგნები აინუნშიაც არავის მოსდიოდა, რადგან წერა-კითხვის უცოდინარი ჯარისკაცები თალიბებისთვის სახიფათო მოძღვრებებს და ერეტიკოსთა სწავლებებს ერთმანეთისგან ვერ არჩევდნენ. სამაგიეროდ, მშვენივრად ასხვავებდნენ ასოებს ნახატებისგან და სულიერ არსებებს – უსულოთაგან.

სულ მალე წიგნების ნაცვლად ფერფლილა დარჩა, რომელიც მონაბერმა ნიაჰმა ქაბულის ქუჩების მტვერსა და საკანალიზაციო მილების სიბინძურეში გარია. სულთანს მოშორებით იდგა და თავის უსაყვარლეს წიგნებს დასტიროდა, აქეთ-იქიდან კი თალიბი ჯარისკაცები ამოსდგომოდნენ და მანქანისკენ ექაჩებოდნენ. ჯარისკაცებმა წიგნების მაღაზია დალუქეს, სულთანს კი ანტიისლამისტური საქმიანობისთვის ციხეში უკრეს თავი.

„კიდევ კარგი, იმ შეიარაღებულმა რეგვენებმა დახლების ქვეშაც არ შეიხედეს...“ – ფიქრობდა სულთანს, როდესაც ციხეში მიჰყავდათ.

განსაკუთრებულად აკრძალული წიგნები დახლის ქვეშ საგულდაგულოდ გადაემალა და მხოლოდ მაშინ გამოჰქონდა, როცა ვიღაც მოსთხოვდა, და ის ვიღაც მისთვის სანდო პირი გახლდათ.

სულთანი ვარგა ხანს შიშით ელოდა ამ დღეს. ის მრავალი წლის განმავლობაში ყიდდა უკანონო წიგნებს, სურათებსა და ხელნაწერებს. ჭარისკაცები მასთან მუქარით ბევრჯერ მისულან, წიგნებიც არაერთხელ წაურთმევიათ. სულთანს თალიბანის უმაღლესი ინსტანციებიდანაც დაემუქრნენ, მაშინდელმა კულტურის მინისტრმაც კი დაიბარა. მთავრობა ყველანაირად ცდილობდა, ეს აქტიური წიგნებით მოვაჭრე როგორმე გადაეხრებინა და თალიბანის სამსახურში ჩაეყენებინა.

სულთან ხანი იმ ბროშურებსაც სიამოვნებით ყიდდა, თალიბანის იდეოლოგიას რომ ქადაგებდა. ის თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი იყო და უნდოდა, ხალხი ყველას პოზიციას გასცნობოდა. თალიბების შავბნელით მოცული მოძღვრების გვერდით, სულთანი ყიდდა ისტორიის წიგნებს, მეცნიერულ ნაშრომებს, იდეოლოგიურ ნაწარმოებებს ისლამის შესახებ, რომანებსა და პოეტურ კრებულებს.

თალიბანის რეჟიმის წარმომადგენლებს კამათი ერეტიკოსობად მიაჩნდათ, ყოყმანი კი – ცოდვად. ყურანის დაბუთხვის გარდა სხვა ყველაფერი მათთვის უვარგისი და სახიფათო იყო. 1996 წლის შემოდგომაზე, როდესაც ძალაუფლება ხელთ თალიბანმა იგდო, ყველა სამინისტროდან დაუყოვნებლივ მოაშორეს სპეციალისტები და მათ ნაცვლად მოლები დასვეს. ყველა დაწესებულებას, ცენტრალური ბანკებიდან დაწყებული და უნივერსიტეტით დამთავრებული, მოლები მართავდნენ. მათი მიზანი ისეთი საზოგადოების შექმნა იყო, როგორშიც წინასწარმეტყველი მუჰამედი ცხოვრობდა არაბეთის ნახევარკუნძულზე 600-იან წლებში. მაშინაც კი, როცა თალიბანი უცხოეთის ნავთობკომპანიებთან გარიგებებს აწარმოებდა, სათათბირო მაგიდას გარშემო მხოლოდ ამ საქმის უცოდინარი მოლები უსხდნენ.

სულთანის გრძნობდა, თანდათან როგორ ბნელდებოდა, ღარიბდებოდა და კნინდებოდა თალიბანის მმართველობის ქვეშ მყოფი ქვეყანა. მთავრობა ყველანაირი სიახლის წინააღმდეგი იყო, არავის მოსმენა არ სურდა და მთელი გულით ეწინააღმდეგებოდა ახალ იდეებს ქვეყნის წინსვლისა და ეკონომიკური განვითარების შესახებ.

თალიბები გაურბოდნენ ყველანაირ სამეცნიერო დებატებს, განურჩევლად იმისა, სად ვითარდებოდა მოვლენები – დასავლურ სამყაროში თუ მაჰმადიანურში. მათი მანიფესტი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდა რამდენიმე საცოდავ პუნქტს იმის თაობაზე, რა სახის ტანსაცმლით უნდა შეემოსა ხალხს სხეული. მამაკაცებს ვეალებოდათ, პატივი ეცათ ლოცვის ყველა ჟამისთვის, ქალები კი საზოგადოებისგან განყენებულ არსებებად მოიხსენიებოდნენ. თალიბები ცუდად იცნობდნენ ისლამისა და ავღანეთის ისტორიას და არც არანაირი ინტერესი ჰქონდათ მისი უკეთ შესწავლისა.

მანქანაში სულთან ხანი უცოდინარი თალიბი ჯარისკაცების გვერდით იჯდა და გულში აგინებდა იმ მეომრებსა და მოღვებს, მის ქვეყანას რომ დაპატრონებოდნენ. თავად იგი მორწმუნე, მაგრამ თანამედროვედ მოაზროვნე მუსლიმი გახლდათ, ყოველ დილით ლოცვას სწირავდა ალაჰს, მაგრამ დანარჩენ ოთხ ლოცვის ჟამს ტოვებდა, თუ რელიგიური პოლიცია არ ჩაავლებდა ხელს და ქუჩაში დაჭერილ რამდენიმე სხვა მამაკაცთან ერთად რომელიმე ახლომდებარე მეჩეთში არ უკრავდა თავს. სულთანი ძალაუფლებურად პატივს სცემდა რამადანის მარხვას და აისიდან მზის ჩასვლამდე არაფერს ჭამდა. ყოველ შემთხვევაში, სხვების თანდასწრებით მაინც. იგი ერთგული იყო თავისი ორი ცოლისა, მკაცრად ზრდიდა შვილებს და გამუდმებით არიგებდა, რომ კარგი, ღვთისმოშიში მუსულმანები უნდა ყოფილიყვნენ. თალიბანის მიმართ ზიზღის მეტს არაფერს გრძნობდა. მის წარმომადგენლებს ისე უყურებდა, როგორც გაუნათლებელ ღვთის-

მსახურებს. თალიბი ლიდერებიც კი ქვეყნის იმ უღარიბესი და კონსერვატიული ნაწილებიდან იყვნენ, სადაც ხალხს არც განათლება ჰქონდა და არც წერა-კითხვა იცოდა.

ყველა დაპატიმრების უკან „წესრიგის დამყარებისა და ცოდვათა დაძლევის“ დეპარტამენტი იდგა, რომელსაც „მაღალზნეობრივ“ სამინისტროსაც ეძახდნენ.

დაკითხვისას სულთანმა მშვიდად ჩამოისვა ხელი წვერზე, რომელიც, თალიბანის დადგენილებით, შეკრული მუშტის ოდენა უნდა ყოფილიყო. შეისწორა თალიბანის სტანდარტების მიხედვით შეკვერილი „შალვარ კამეზი“ – მუხლებამდე ტუნიკა და კოჭებამდე შარვალი – და ამაყად წარმოთქვა: „თქვენ შეგიძლიათ დამინვათ წიგნები, გამიმწაროთ ცხოვრება, შეგიძლიათ მომკლათ კიდევ... მაგრამ თქვენ ვერასოდეს შეძლებთ ავღანეთის ისტორიის განადგურებას!“

წიგნი სულთნის ცხოვრება იყო. ისტორია და წიგნები მას შემდეგ შეისისხლხორცა, რაც სკოლაში პირველი სახელმძღვანელო მისცეს.

სულთანი ღარიბ ოჯახში დაიბადა. მისი ოჯახი ქაბულის მახლობლად, სოფელ დეჰ ხუდაიდადში ორმოცდაათიან წლებში ცხოვრობდა. კითხვა არც დედამ იცოდა და არც მამამ, თუმცა მშობლები ვაპიკს ვაპიკზე ადებდნენ, რათა ვაჟს სკოლაში სწავლის შესაძლებლობა ჰქონოდა. როგორც ოჯახის უფროს ვაჟიშვილს, სწორედ სულთანს ერგებოდა დანაზოგი ფული. მის უფროს დას სკოლაში ფეხის დადგმაც კი არასოდეს ღირსებია. ქალმა არც წერა-კითხვა იცოდა და საათის ცნობასაც გაჭირვებით ახერხებდა. ის ხომ ქალი იყო და გათხოვების მეტი არაფერი ევალეობოდა.

სულთანი კი... ის დიდი კაცი უნდა გამოსულიყო. მთავარი პრობლემა მისთვის სკოლისკენ მგზავრობა იყო. პატარა სულთანი სკოლაში წასვლაზე უარს ამბობდა იმის გამო, რომ ფეხსაცმელი არ ჰქონდა. დედა ძალით აგდებდა გარეთ.

– თუ არ შეგიძლია, ამასაც ვნახავთ! – ეტყოდა ვაჟს და თავში წამოუტყაპუნებდა.

მალე სულთანმა ფეხსაცმლის საყიდელი ფული თავადვე იშოვა. სკოლაში სწავლის პარალელურად მუშაობას მიჰყო ხელი. გაკვეთილების დაწყებამდე, სწავლის შემდეგ, დილას თუ საღამოს, გვიანობამდე თავდაუზოგავად შრომობდა. მას აგურების გამოწვა ევალეობდა. აღებული ჯამაგირით ოჯახს არჩენდა. მოგვიანებით მაღაზიაში დაასაქმეს. მშობლებს ხელფასის მხოლოდ ნახევარს აძლევდა, თანხის ნაწილს კი ჩუმად აგროვებდა და დანაზოგით წიგნებს ყიდულობდა.

ათი წლისა უკვე წიგნებით ვაჭრობდა. როცა გადანყვიტა, ინჟინრობას დაუფლებოდა, საჭირო სახელმძღვანელოები ვერსად მოიძია. ერთხელ ბიძასთან ერთად თეირანში გაემგზავრა და ქალაქის უმდიდრეს წიგნების ბაზრობაზე შემთხვევით სწორედ იმ ლიტერატურას წააწყდა, კარგა ხანს რომ დაეძებდა. მან ამ წიგნების რამდენიმე ეგზემპლარი შეიძინა, შემდეგ კი ქაბულელ თანაკურსელებს ორმაგ ფასში მიჰყიდა. ასე „იშვა“ მომავალი წიგნებით მოვაჭრე.

ინჟინერმა სულთანმა ქაბულში მხოლოდ ორი ნაგებობის მშენებლობაში მიიღო მონაწილეობა, მერე კი წიგნების მანიამ შეიპყრო და ამ ძალამ კონსტრუქციათა სამყაროს ერთბაშად მონყვიტა. იგი კვლავ თეირანის ბაზრობამ გაიტყუა. სოფლელი ავღანელი ბიჭი ირანის დედაქალაქში დასუნსულებდა, წიგნების გრძელ რიგებში დაძვრებოდა. ძველსა თუ ახალს, ანტიკვარულსა თუ თანამედროვეს – ისეთ წიგნებს წააწყდებოდა ხოლმე, მანამდე ოცნებაშიც რომ ვერ წარმოიდგენდა. ყუთებით ყიდულობდა სპარსული პოეზიის კრებულებს, ხელოვნების, ისტორიის წიგნებს, ბესტსელერებს – კომერციული მიზნით და სახელმძღვანელოებს – ინჟინრებისთვის.

მალე ქაბულის ცენტრალურ ნაწილში, სუნელების მაღაზიებისა და ქაბაბის ჯიხურების გვერდით წიგნების პატარა მაღაზიაც გახსნა. ეს ყველაფერი სამოცდაათიან წლებში, ანუ იმ დროს ხდებოდა, როცა საზოგადოება „თანამედროვესა“ და „ტრადიციულს“ შორის მერყეობ-

და. ქვეყანას ლიბერალი, მაგრამ საკმაოდ ბარმაცი ბაჰირ შაჰი მართავდა და მის მიერ ქვეყნის მოდერნიზების უსუსური მცდელობაც კი რელიგიურ წრეებში მკაცრ კრიტიკას იწვევდა. იმ რამდენიმე მოლას, რომლებმაც პროტესტი გამოთქვეს იმის გამო, რომ სამეფო ვარის ქალები საზოგადოებაში ჩადრის გარეშე ჩნდებოდნენ, ციხეში ამოაყოფინეს თავი.

ქვეყანაში უნივერსიტეტებისა და სასწავლო დაწესებულებების რიცხვი საგრძნობლად იზრდებოდა და ამასთან ერთად სტუდენტთა დემონსტრაციებმაც იმატა, თუმცა მთავრობა მათ სასტიკად უსწორდებოდა. ბევრი დემონსტრანტი სიცოცხლესაც გამოასალმეს. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი არჩევანის გაკეთება ხალხისთვის იმ დროსაც შეუძლებელი იყო, მაინც უამრავი პარტია და პოლიტიკური დაჯგუფება ყალიბდებოდა. რადიკალური მემარჯვენეებით დაწყებული, რელიგიურ-ფუნდამენტალისტურით დამთავრებული, ეს დაჯგუფებები ერთიმეორეს ეჭიშვებოდნენ და, შესაბამისად, ქვეყანაშიც არასაიმედო განწყობა სუფევდა. ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. 1973 წელს კი, კატასტროფული შიმშილობის პერიოდში, მაშინ, როდესაც თავად ბაჰირ შაჰი იტალიაში სამკურნალოდ იმყოფებოდა, მისმა ბიძაშვილმა დაუდმა აჯანყება მოაწყო, ხელთ იგდო ძალაუფლება და მონარქია გააუქმა.

პრეზიდენტ დაუდის რეჟიმი გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე მისი ბიძაშვილისა, თუმცა სულთნის მაღაზიაში ვაჭრობამ სწორედ იმ პერიოდში მიაღწია ზენიტს. იგი სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფების მიერ გამოცემულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს ყიდდა, ასაღებდა მარქსისტულ და ფუნდამენტალისტურ ლიტერატურას.

სულთანი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა სოფელში და ყოველ დილას მაღაზიაში ველოსიპედით მიდიოდა. საღამოსაც ასე ბრუნდებოდა შინ, მისი ერთადერთი პრობლემა დედამისის დაჟინებული მოთხოვნა იყო ცოლის მოყვანის თაობაზე.

ქალი გამუდმებით ახალ-ახალ კანდიდატურებს სთავაზობდა ვაჟს. ხან ბიძაშვილ გოგონას ურიგებდა, ხანაც – მეზობლის ქალიშვილს. სულთანს კი ოჯახის შექმნა ჯერ არ სურდა. ის მსუბუქი ფლირტებით ირთობდა თავს და ცოლის მოყვანას სულაც არ ჩქარობდა, თავისუფლებით ტკბებოდა და სავაჭრო საქმეების მოსაგვარებლად ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა. ხშირად მიემგზავრებოდა თეირანში, ტაჯიკეთსა და მოსკოვში, სადაც რუსი მეგობარი ქალიც გაიჩინა, სახელად ლუდმილა. 1979 წელს, ქვეყანაში საბჭოთა რეჟიმის დამყარებამდე სამი თვით ადრე, სულთანმა პირველი დიდი შეცდომა დაუშვა: იმ პერიოდში ქაბულს უკვე მკაცრი კომუნისტი მმართველი ნურ მუჰამად თარაქი განაგებდა. დაუდი და მისი ოჯახის ყველა წევრი, ჩვილების ჩათვლით, ერთ-ერთი აჯანყებისას გაეჟლიტათ. ციხეები გადატენილი იყო, რადგან ათი ათასობით პოლიტიკური მოწინააღმდეგე დაეპატიმრებინათ. ბევრი მათგანი აწამეს ან გაასამართლეს. კომუნისტების მიზანი იყო, ქვეყანაში ძალაუფლება განემტკიცებინათ და ყველა ისლამისტური და ჯგუფება მოესპოთ.

მუჯაჰედებმა, ეგრეთ წოდებულმა „წმინდა მეომრებმა“, შეიარაღებული ბრძოლა გამოუცხადეს მათ რეჟიმს. ბრძოლა თანდათანობით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაჩაღებულ სასტიკ პარტიზანულ ომში გადაიზარდა.

მუჯაჰედინი სხვადასხვა ისლამისტური იდეოლოგიისა და მიმართულების ნარევს წარმოადგენდა. ეს დაჯგუფებები ჯიჰადის მხარდამჭერ ხელნაწერებს გამოსცემდნენ. ჯიჰადი ურწმუნოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლასა და ქვეყნის ისლამიზაციას გულისხმობდა. კომუნისტები იჭერდნენ ყველას, ვინც მუჯაჰედინის იდეებს იყო აყოლილი და სასტიკად კრძალავდნენ მათი იდეოლოგიური ნაწერების დაბეჭდვასა და გავრცელებას.

სულთანი კომუნისტების ნაწერებსაც ყიდდა და მუჯაჰედებისასაც. იგი ერთგვარი შეგროვების მანიით იყო შეპყრობილი და ყველა იმ

წიგნისა თუ ხელნაწერის რამდენიმე ეგზემპლარს ყიდულობდა, რასაც წააწყდებოდა, შემდეგ ფასს უმატებდა. სულთანს სურდა, მისი დახმარებით ხალხს ნებისმიერი სასურველი ლიტერატურა მოეპოვებინა. ყველაზე აკრძალულ გამოცემებს დახლის ქვეშ საგულდაგულოდ მალავდა.

ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცამ დაასმინა. სულთნის ერთ-ერთი კლიენტი აკრძალული წიგნებით ხელში დააკავეს და მაღაზიის ჩხრეკისას პოლიციამ უამრავი უკანონო ხელნაწერიც აღმოაჩინა. სწორედ მაშინ ავარდა წიგნების პირველი ვოცონის ალი. სულთანი დაკითხეს, სასტიკად სცემეს და ერთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. იგი იმ პოლიტიკურ პატიმართა განყოფილებაში მოათავსეს, სადაც ქალაქი, კალამი და წიგნი სასტიკად აკრძალული იყო. თვეების განმავლობაში სულთანი მხოლოდ ცარიელ კედლებს შეჰყურებდა, მაგრამ დედის მიერ შეგზავნილი ამანათით ერთ-ერთი ზედამხედველის მოქრთამვა მოახერხა და ისიც ყოველ კვირა ახალ-ახალი წიგნებით ამარაგებდა ხანს. დანესტილ კედლებში გამომწყვდეულ სულთანს ავღანეთის კულტურისა და ლიტერატურისადმი ინტერესი კიდევ უფრო უღვივდებოდა. ის უფრო მეტად უღრმავდებოდა სპარსულ პოეზიას და თავისი ქვეყნის ისტორიას. როდესაც ციხიდან გამოვიდა, მტკიცედ ჰქონდა გადანყვეტილი, რომ ქვეყანაში ავღანეთის კულტურისა და ისტორიის ცოდნის დამკვიდრება-პოპულარიზაციისთვის იბრძოლებდა იგი კვლავ ყიდდა აკრძალულ ლიტერატურას, ისლამისტი პარტიზანების მონოდეტებს და ქვეყანაში არსებული ჩინური კომუნიზმის საწინააღმდეგო ბროშურებს, თუმცა ამჯერად, წინანდელთან შედარებით, მეტად ფრთხილობდა.

მთავრობის წარმომადგენლები გამუდმებით უთვალთვალებდნენ სულთანს. ხუთი წლის შემდეგ ისევ დააპატიმრეს.

ციხის სქელ კედლებში გამოკეტილმა სულთანმა კვლავ სპარსულ პოეზიაზე ფილოსოფოსობას მიჰყო ხელი. ამჯერად მას ახალი

ბრალდებაც წაუყენეს. კერძოდ ის, რომ იგი petit-bourgeois³ ყოფილა. ეს კი კომუნისტებისთვის ყველაზე საძულველ სიტყვას წარმოადგენდა ბრალდება იმას გულისხმობდა, რომ სულთანის ფულს კაპიტალისტური გზით შოულობდა.

ეს სწორედ ის დრო გახლდათ, როცა ავღანეთის ომის ციებ-ციხელებში კომუნისტური რეჟიმი ტრადიციული საზოგადოებრივი ნყობილების მოსპობასა და „ლალა და უდარდელი“ კომუნიზმის დამკვიდრებას ყველანაირი საშუალებით ცდილობდა. მიწათმოქმედებაში კოლექტივიზაციის მცდელობამ მოსახლეობაში საშინელი არეულობა გამოიწვია. ბევრი ღარიბი გლეხი უარს ამბობდა მდიდარი მემამულეებისთვის ჩამორთმეული მიწის ნაკვეთების მიღებაზე. მათი რწმენით, მოპარული მიწის მითვისება ისლამის კანონებს ეწინააღმდეგებოდა.

პროტესტის ნიშნად სოფლელები აჯანყდნენ და ამგვარად, კომუნისტურმა საზოგადოებრივმა პროექტებმა არანაირად არ გაამართლა. მთავრობამ თანდათანობით ფარ-ხმალი დაყარა, თუმცა ათწლიანმა ომმა ქვეყანას ძალა გამოაცალა და 1,5 მილიონი ავღანელის სიცოცხლე შეინირა.

როცა „კულაკი“ სულთანი კვლავ გამოვიდა ციხიდან, უკვე ოცდაათხუთმეტი წლის იყო. ქაბულს საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ წარმოებული პარტიზანული ომი თითქმის არ შეხებია, ძირითადად სოფლები დაზარალდნენ, თუმცა ხალხს სადარდებელი არც აქ აკვლდა.

დედამ ამჯერად შეძლო სულთნის დაყოლიება ცოლის მოყვანაზე. სწორედ მან მოძებნა შარიფა, გენერლის ლამაზი და მკვირცხლი ქალიშვილი. ისინი დაქორწინდნენ და ერთიმეორის მიყოლებით სამი ვაჟი და ერთი გოგონა შეეძინათ.

³ წერილი ბურჟუა, ე. წ. „კულაკი“

1989 წელს კომუნისტებმა უკან დაიხიეს და ავღანელ ხალხს იმედი გაუჩნდა, რომ ქვეყანაში ბოლოს და ბოლოს, მშვიდობა დამყარდებოდა. მაგრამ მუჭაჰედები იარაღს არ ყრიდნენ, რადგან ქაბული კვლავ კომუნისტების მიერ იმართებოდა. 1992 წლის მაისში მუჭაჰედებმა ქაბული დაიკავეს და სამოქალაქო ომი მთელი სიძლიერით განახლდა.

სულთანისა და მისი ოჯახის საცხოვრებელი ბინა, რომელიც მან საბჭოურ საბინაო კომპლექსში, მიკრორაიონში შეიძინა, ზუსტად მოქიშვე მხარეთა ფრონტის ხაზის მახლობლად მდებარეობდა. ნაღმები კორპუსის კედლებს ხვდებოდა, ტყვიები ფანჯრის მინებს ამსხვრევდა, ტანკები ეზოებს ქელავდა. ომი რომ დაიწყო, სულთან ხანი და მისი ოჯახის წევრები ერთი კვირის მანძილზე იატაკზე იყვნენ გართხმულები. როცა ყუმბარების წვიმა რამდენიმე საათით შეწყდა, ხანმა დრო იხელთა და ოჯახთან ერთად პაკისტანში გაიხიზნა.

სანამ სულთანი პაკისტანში იმყოფებოდა, მაღაზია გაუტეხეს. გაიძარცვა ქაბულის საჯარო ბიბლიოთეკაც.

ქურდებმა ძვირფასი წიგნების ნაწილი ბუკინისტებს ვაპიკებად მიჰყიდეს, ნაწილი კი ტანკებში, ტყვია-ნამალსა და ყუმბარებში გადაცვალეს. ეროვნული ბიბლიოთეკიდან მოპარული უამრავი წიგნი თავისი მაღაზიის მისახედად შინ დაბრუნებულმა სულთანმაც შეიძინა უკანონოდ. რამდენიმე ათეული დოლარის საფასურად უძველესი ხელნაწერები ჩაიგდო ხელში, მათ შორის იყო ხუთასწლოვანი უზბეკური ხელნაწერი, რომელშიც უზბეკეთის მთავრობამ მოგვიანებით 25 000 დოლარი შესთავაზა. სულთანმა თავისი საყვარელი პოეტის, ეპიკოსი მწერლის – ფირდოუსის – უდიდესი ნაწარმოების, „შაჰ-ნამეს“ ზაჰირ შაჰისეული გამოცემაც აღმოაჩინა. ეს და სხვა მსგავსი ძვირფასი წიგნები სიმბოლურ ფასად შეიძინა იმ მძარცველებისაგან, რომელთაც ამ წიგნების სათაურების ნაკითხვაც კი არ შეეძლოთ.

ოთხწლიანი ინტენსიური დაბომბვების შედეგად ქაბული ნანგრევების გროვად იქცა. 50 000-მდე მოსახლე ბრძოლაში დაიღუპა. 1996

წლის 27 სექტემბრის დილას ქაბულის მოსახლეობა ქუჩებში გამეფებულმა უცნაურმა სიჩუმემ გააოცა. წინა საღამოს აჰმედ შაჰ მასუდი თავის ამაღლასთან ერთად ფანჯშირის შორეთში გადახვეწილიყო. მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში ავღანეთის დედაქალაქის ქუჩებში ყოველდღე ათასობით ყუმბარა ფეთქდებოდა, ახლა კი ირგვლივ უჩვეულო სიჩუმეს დაესადგურებინა.

საპრეზიდენტო რეზიდენციის წინ ორი კაცი ჩამოეხრჩოთ. ერთი მათგანი თავით ფეხამდე სისხლში იყო მოსვრილი. იგი დაესაჭურისებინათ და თითები გადაემტვრიათ. ტანის ზედა ნაწილსა და სახეზე – ცემის კვალი, შუბლზე კი დიდი ნატყვიარი აჩნდა. მეორე მხოლოდ მოეკლათ და ისე ჩამოეკიდათ. მისთვის ჯიბეები ადგილობრივი ვალუტით, ავღანით გამოეტეხათ, ალბათ დაცინვის ნიშნად. ეს ორი ადამიანი გახლდათ ქვეყნის იმდროინდელი პრეზიდენტი მუჰამად ნაჯიბულა და მისი ძმა.

ნაჯიბულა საზიზღარი პიროვნება იყო. როგორც ამბობდნენ, ავღანეთში საბჭოთა რეჟიმის დამკვიდრებისას, როცა იგი საიდუმლო პოლიციის უფროსი იყო, 800 000 „ხალხის მტერი“ სასამართლოსთვის გადაუცია. ნაჯიბულამ პრეზიდენტის პოსტი რუსების მხარდაჭერით მოიპოვა და ქვეყანას 1986-დან 1992 წლამდე მართავდა. როდესაც ძალაუფლება მუჯაჰედებმა ჩაიგდეს ხელში და პრეზიდენტად – ბურჰანუდი, თავდაცვის მინისტრად კი მასუდი გამოაცხადეს, ნაჯიბულას შენობაში, სადაც გაეროს წარმომადგენლობა იყო, შინაპატიმრობა მიესაჯა.

როცა თალიბანმა ქაბულის აღმოსავლეთ ნაწილებში ფეხი მოიკიდა და მუჯაჰედინის ხელისუფლებამ გაქცევა სცადა, მასუდმა თავის სახელოვან პატიმარს შესთავაზა, მათ გაჰყოლოდა. ნაჯიბულამ საკუთარი უსაფრთხოების მიზნით იმავე შენობაში, მცველებთან ერთად დარჩენა ამჯობინა. გარდა ამისა, იგი ფიქრობდა, რომ თალიბანთან საერთო ენას გამონახავდა. მეორე დილას არც ერთი მცველი აღარ

იყო ადგილზე, მეჩეთების წვეროებზე კი თალიბებისთვის წმინდა, თეთრი ფერის დროშები ფრიალებდა.

სწორედ იმ დილას ქაბულის მოსახლეობა არიანას მოედანზე შეიკრიბა. ხალხი ძელებზე ჩამოკიდებულ ადამიანებს თვალს ავლებდა და უკანვე ბრუნდებოდა. ერთი ომი დასრულებული იყო, მაგრამ ახლა ახალი ომი იწყებოდა – ომი ხალხის ბედნიერებისა და სიხარულის წინააღმდეგ.

თალიბებმა კანონი და წესრიგი დაამყარეს, მაგრამ ამავედროულად ავღანეთის კულტურასა და ხელოვნებას დიდი ზიანი მიაყენეს. რეჟიმის წარმომადგენლებმა სულთნის წიგნები ცეცხლს მისცეს და თავიანთი კულტურის მინისტრის თანდასწრებით ნაჭახებით დაჩეხეს ქაბულის მუზეუმის ყველა ექსპონატი. თუმცა ბევრი აღარც არაფერი იყო დარჩენილი, რადგან შედარებით მცირე ზომის ყველა სამუზეუმო ექსპონატი სამოქალაქო ომის დროს გაეტაცებინათ. ამ ნივთებს შორის იყო უძველესი, ალექსანდრე დიდის მმართველობის დროიდან შემორჩენილი ლარნაკები. გარდა ამისა, აქ იყო ხმლები, რომლებსაც, როგორც ამბობდნენ, ჩინგიზ ხანისა და მისი მონღოლური ურდოების წინააღმდეგ ბრძოლებში იყენებდნენ მუზეუმიდან ძველი სპარსული მინიატურული მხატვრობის ნიმუშები და ოქროს მონეტებიც გამქრალიყო.

ძარცვა-გლეჯის დაწყებამდე მცირე მათგანის გადარჩენა მაინც მოხერხდა, მაგრამ ამ ნივთების უმეტესობა მთელ მსოფლიოშია გაფანტული და კოლექციონერთა საკუთრებას წარმოადგენს. მუზეუმში მხოლოდ ავღანეთის მეფეთა და პრინცთა უზარმაზარი მონუმენტებია და იყო დარჩენილი. ბუდას ათასწლოვანი ქანდაკებისა და კედლის მხატვრობისთვის ომებს ვერაფერი დაეკლო. თუმცა ბოლოს ამ დანარჩენსაც იგივე ბედი ეწია, რაც სულთნის წიგნებს. ჯარისკაცები ახლაც ისეთივე სისასტიკით იქცეოდნენ, მუზეუმის თანამშრომლები კი იქვე მოშორებით იდგნენ და ცხარე ცრემლით ტიროდნენ, როდესაც

თალიბები უგულოდ ჩეხდნენ იმას, რაც წინადროინდელ ომებს გადარჩენოდა. ჩეხდნენ მანამ, სანამ ყველაფერი ნამსხვრევებად არ იქცა, სანამ იატაკი მარმარილოს მტვრითა და თიხის ნამსხვრევებით არ დაიფარა. ათასწლოვანი ისტორიის განადგურებასა და არარაობად ქცევას მხოლოდ ნახევარი დღე დასჭირდა. ერთადერთი, რაც დაინდეს, ქვის დაფაზე ამოტვიფრული, ყურანიდან ამოღებული ციტატა იყო: კულტურის მინისტრის გადამწყვეტილებით, ეს ციტატა უნდა დარჩენილიყო.

სამოქალაქო ომის დროს ფრონტის ხაზზე მდებარე მუზეუმის შენობა არაერთხელ დაიბომბა.

როდესაც თალიბმა ვანდალებმა განადგურებული შენობა დატოვეს, მუზეუმის თანამშრომლები მტვერსა და ნამსხვრევებს შორის დიდხანს მდუმარედ იდგნენ. შემდეგ გადარჩენილი ნაწილების შეგროვება დაიწყო, ყუთებში აწყობდნენ და საგანგებოდ ნიშნავდნენ. ზოგიერთ ნაწილს ეტყობოდა, რომელ ქანდაკებას ეკუთვნოდა – ჩამომტვრეულ ხელის მტევანს, კულულს... ყუთები სარდაფში შეინახეს იმ იმედით, რომ ოდესმე ვინმე ნიმუშების რესტავრაციას მოახერხებდა.

თალიბანის რეჟიმის დაცემამდე ნახევარი წლით ადრე ბამიანშიც ააფეთქეს ბუდას უზარმაზარი ორსაუკუნოვანი ქანდაკებები, რომლებიც ავღანეთის უდიდეს კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენდა. დინამიტი იმდენად ძლიერი იყო, რომ აფეთქების შემდეგ ქანდაკებების ერთი ნაწილის პოვნაც კი შეუძლებელი გახდა.

სწორედ ამგვარი რეჟიმის პირობებში იღვწოდა სულთან ხანი ავღანური კულტურის მცირე ნარჩენების დაცვა-შენარჩუნებისთვის. მისი წიგნების გადაბუგვის შემდეგ ციხეში ჩაგდებულმა სულთანმა თავი ისევ ქრთამის საშუალებით დაიხსნა და წიგნების მაღაზიას ლუქი იმავე დღეს ახსნა. მერე კი დიდხანს იდგა და თავის გადამწვარ უძვირფასეს საუნჯეს დასტიროდა. იმ წიგნებს, რომლებიც გამხეცვებულ სამხედროებს როგორღაც გადარჩენოდათ, შავი ტუპით გაურკვეველი

ფიგურები და ზოლები გადაახატა და ასე შეეცადა ცოცხალი არსებების გამოსახულებების დაფარვას. წიგნების დაწვას ისევ ასე მოქცევა ამჯობინა. მოგვიანებით უკეთესი იდეაც გაუჩნდა... ილუსტრაციებს თავისი სავიზიტო ბარათები გადაანება, თანაც იმგვარად, რომ მათი მოშორება ნებისმიერ დროს შეძლებოდა. ამგვარი ქმედებით სულთანმა წიგნებს საკუთარი შტამში დაადო. მიუხედავად იმისა, რომ თალიბანის რეჟიმი დღითი დღე მძიმდებოდა, სულთანს მაინც სჭეროდა, მომავალში ამ ბარათებს აუცილებლად აახევდა წიგნებს. რაც დრო გადიოდა, მუჰამედისდროინდელი კანონებისა და წესების გაცოცხლების პურიტანული იდეები და მიზნები სულ უფრო და უფრო მკაცრ სახეს იღებდა. სულთანი ისევ კულტურის მინისტრთან დაიბარეს.

– ვილაცას შენი დაპატიმრება სურს, – უთხრა მინისტრმა, – მე კი შენი დაცვა არ შემიძლია.

სწორედ მაშინ სულთანმა ქვეყნის დატოვება გადაწყვიტა. 2001 წელი იყო. ხანმა თავისთვის, თავისი ორი ცოლის, ვაჟებისა და ქალიშვილისთვის კანადის ვიზების დამზადება გადაწყვიტა. იმ პერიოდში მისი ცოლები შვილებთან ერთად პაკისტანში იყვნენ გახიზნულები და აუტანელ პირობებში ცხოვრობდნენ. სულთანმა მშვენივრად იცოდა, რომ თავისი წიგნების მიტოვებას ვერასოდეს შეძლებდა. ის უკვე წიგნების სამ მალაზიას ფლობდა ქაბულში. ერთში მისი უმცროსი ძმები მუშაობდნენ, მეორეში – მისი უფროსი ვაჟი, თექვსმეტი წლის მანსური, მესამეში კი – თავად სულთანი. თაროებზე წიგნების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იყო გამოფენილი, ძირითადი კი, დაახლოებით ათასამდე წიგნი, სხვენში გადაემალა. სულთანი ფიქრშიც ვერ დაუშვებდა იმ მალაზიების გაპარტახებას, რომელთა შენება-გამართვასაც ოცდაათ წელიწადზე მეტი შეაღია. არც თალიბებს და არც სხვა მეომრებს არ მისცემდა ავღანეთის ღირსების შელახვის უფლებას. გარდა ამისა, მას თავისი წიგნების კოლექციასთან დაკავშირებით ერთი საიდუმლო ოცნება ჰქონდა, რაც, ფაქტობრივად, მის

ფარულ გეგმასაც წარმოადგენდა: სულთანს სურდა, მომავალში, როცა თალიბებს ქვეყნიდან გააძევებდნენ და სათავეში შედარებით მშვიდობისმოყვარე მთავრობა მოვიდოდა, თავისი კოლექციით ქაბულის გაძარცვული ბიბლიოთეკისთვის ერთგვარი დონორობა გაენია. ანდა სულაც საკუთარი ბიბლიოთეკა გაეხსნა და ყველასგან დაფასებული ბიბლიოთეკარი გამხდარიყო. აი, ასეთი გეგმა ჰქონდა ხანს.

იმის გამო, რომ სულთანსა და მის ოჯახს მუქარა ნამდვილად არ აკლდა, კანადის ვიზების მიღება არ გასჭირვებია. ვიზები მიიღო, მაგრამ გამგზავრებით აღარ გაემგზავრა. მისი ცოლები ყოველდღე ალაგებდნენ ჩემოდნებს, სულთანი კი ახალ-ახალ მიზნებს იგონებდა და ქვეყნიდან წასვლას არ ჩქარობდა. ჯერ იყო და, ახალ წიგნებს ელოდებოდა, მერე მაღაზიაში შეექმნა პრობლემები, შემდეგ კი ნათესავი გარდაეცვალა. ყოველთვის რაღაც მიზეზი ჩნდებოდა.

თერთმეტი სექტემბრის ამბებიც ამ პერიოდს დაემთხვა. ისევ დაინწო ყუმბარების წვიმა და სულთანი კვლავ პაკისტანში, ცოლებთან გაემგზავრა. ერთ-ერთი უმცროსი ძმა კი, იუნუსი, სასტიკად გაათრთხილა, ქაბულში დარჩი და წიგნების მაღაზიებს მიმიხედო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი ტერორისტული აქტებიდან ორი თვის თავზე, როცა თალიბანი მმართველობიდან ჩამოაგდეს, სულთანი ერთ-ერთი იმ პირველთაგანი იყო, ვინც ქაბულში ჩავიდა. მას უკვე შეეძლო თაროებზე ყველა სასურველი წიგნი გამოეფინა და ტუპით გადაღებილი ისტორიული წიგნები, რომლებიც უცხოელ ტურისტებში დიდ ინტერესს იწვევდა, თავისუფლად გაეყიდა. სულთანმა ილუსტრაციებზე გადანებებული სავიზიტო ბარათებიც აახია წიგნებს. ახლა ყველა იხილავდა დედოფალ სორაიას თეთრ მკლავებს და მეფე ამანულაჰის ოქროებით დამშვენებულ მკერდს.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა სულთანი თავის მაღაზიაში იდგა და ცხელ ჩაის წრუპავდა, მოულოდნელად მთელი არსებით შეიგრძნო, რომ ქაბული ახალი ძალით ფეთქავდა. როდესაც იგი დიდი ხნის ოცნების სისრულეში მოყვანას გეგმავდა, თავისი უსაყვარლესი პოეტის

– ფირდოუსის ერთ-ერთი ციტატა გაახსენდა: „ნარმატებას რომ მიაღწიო, ზოგჯერ მგელი უნდა იყო, ზოგჯერ კი – კრავი“, მგლობის დრო დამდგარაო, გაიფიქრა სულთანმა.

დანაშაული და სასჯელი

ქვებს ყველა მხრიდან უშენდნენ ბოდს. უმეტესობა მიზანში ხვდებოდა. ქალი არ ყვიროდა, მაგრამ ცოტა ხანში ბრბოს აღმოხდა ალტაცების ძახილი, ერთ-ერთ ძლიერ მამაკაცს შედარებით დიდი ზომის, მძიმე და ნახნაგოვანი ქვა მოეძებნა... ჯერ კარგა ხანს იღებდა მიზანში ქალის მისუსტებულ სხეულს, შემდეგ კი ქვა მთელი ძალით გატყორცნა და მუცელში გაარტყა. გრძელი ჩადრიდან სისხლმა იჩქეფა და იმ დღის ნაშუადღევს ნითლად შეღება. ასე სწორედ ამან აღაფრთოვანა ბრბო. იმავე ზომის მეორე ქვა ქალს მხარში ესროლეს... ამან კი უფრო მეტი სისხლი და აპლოდისმენტები გამოიწვია...

ჯეიმს ა. მიშენერი

„ქარავნები“

სულთნის პატივაცრილი ცოლი, შარიფა, ფეშავარშია და ადგილს ვერ პოულობს. მან იცის, რომ ამ დღეებში ქმარი უნდა ესტუმროს ქაბულიდან, მაგრამ სულთანი არასოდეს ასახელებს ჩამოსვლის ზუსტ თარიღს, ასე რომ, ქალი ყოველ წამს ელის მას და ასე გრძელდება აი, უკვე რამდენი დღეა.

შარიფა ყველა კერძს საგანგებოდ ამზადებს, ვაითუ სულთანი მო-
ულოდნელად გამოჩნდეს... მსუქანი დედალი, ისპანახი, მის ქმარს
ასე ძალიან რომ უყვარს, შინაური მწარე წინაკის სანებელი... სანოლ-
ზე ახლად გარეცხილი და გაუთოებული ტანისამოსი ალაგია. სულ-
თნის სახელზე მოსული წერილები ხელუხლებლად აწყვია ყუთში.

დრო კი გადის. შარიფა ქათამს ფრთხილად ახვევს და ინახავს,
ისპანახის შეთბობა მოგვიანებითაც შეიძლება, წინაკის სანებელს კა-
რადაში მიუჩენს ადგილს. ქალი იატაკს გვის, ფარდებს რეცხავს და
წმენდს მტვერს, არასდროს რომ არ იღევა. მერე ჭდება, ოხრავს, ცო-
ტას წაიტირებს კიდევ. იმიტომ კი არა, რომ ქმარი ენატრება, უბრა-
ლოდ, ადრინდელ ცხოვრებას მისტირის, დროს, როცა იგი შეძლებუ-
ლი წიგნებით მოვაჭრის პატივცემული და დაფასებული ცოლი და ერ-
თადერთი რჩეული, მისი ვაჟებისა და ქალიშვილის ღირსეული დედა
იყო.

ხანდახან სძულს კიდევ ქმარი იმის გამო, რომ ცხოვრება დაუნ-
გრია, შვილები წაართვა და ყველას წინაშე დაამცირა. შარიფა და
სულთანი თვრამეტი წლის წინ დაქორწინდნენ, ორი წლის წინ კი მის-
მა ქმარმა ახალი ცოლი შეირთო. შარიფა ქმარს გაცილებული ქალი-
ვით ცხოვრობს, თუმცა უქმრო ქალის თავისუფლება არ გააჩნია. მის
ნაცვლად ისევ სულთანი იღებს გადაწყვეტილებებს. მან გადაწყვიტა,
რომ შარიფას პაკისტანში უნდა ეცხოვრა და იმ სახლისთვის ეპატრო-
ნა, სადაც სულთნისთვის განსაკუთრებულად ღირებული წიგნები ინა-
ხებოდა.

აქ იყო მისი კომპიუტერიც, რომლის საშუალებებითაც სულთანი გა-
მუდმებით იღებდა წერილებს ელექტრონული ფოსტით, აქედან უგ-
ზავნიდა იგი სხვადასხვა წიგნების ამანათებს თავის კლიენტებს, აქე-
დან რეკავდა საქმეების მოსაგვარებლად. მოკლედ, სულთანი აქ აკე-
თებდა ყველაფერ იმას, რაც წარმოუდგენელი იყო ქაბულში, სადაც
არც ტელეფონი, არც ფოსტა და არც ინტერნეტი არ მოქმედებდა. შა-

რიფას აქ უნდა ეცხოვრა, რადგან სულთნისთვის ასე უფრო პრაქტიკული იყო. ოჯახის დანგრევა შარიფასთვის გამოსავალი არასოდეს ყოფილა. ქმარს გაცილებული ქალი არანაირი უფლებით არ სარგებლობს. ბავშვები მამასთან რჩებიან და დედას შესაძლოა, მათი ნახვაც კი აეკრძალოს. ასეთი ქალი ოჯახის სამარცხვინო ლაქაა, ხშირად იგი ყველას თანადგომის გარეშე რჩება, ყველანაირი საკუთრება კი მამაკაცს გადაეცემა. ამ შემთხვევაში შარიფა იძულებული გახდებოდა, თავის ერთ-ერთ ძმასთან გადასულიყო საცხოვრებლად.

90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ქვეყანას თალიბები მართავდნენ და ამავდროულად სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული; ხანის ოჯახი რამდენიმე წლის განმავლობაში ფეშავარში, ჰაიატაბადად წოდებულ ნაწილში ცხოვრობდა. ამ ნაწილში ყოველი მეათე მოსახლე ავღანელი იყო. ხანის ოჯახის წევრები თანდათანობით ისევ უკან, ქაბულში ბრუნდებოდნენ. ჯერ მისი ძმები გაემგზავრნენ, მერე კი თავად სულთანი, მისი მეორე ცოლი – სონია და სულთნის დები. ამის შემდეგ მისი ვაჟი, თექვსმეტი წლის მანსური დაბრუნდა შინ, მას თორმეტი წლის აიმალი და თოთხმეტი წლის ეგბალიც მიჰყვნენ. ფეშავარში მხოლოდ შარიფა და მისი უმცროსი ქალიშვილი დარჩნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ სულთანი მალე მათაც ქაბულში, ოჯახის დანარჩენ წევრებთან და მეგობრებთან დააბრუნებდა, მაგრამ სულთანი გამუდმებით ივიწყებდა დანაპირებს და თავის გასამართლებლად ათასნაირ მიზეზს ასახელებდა.

დანგრევის პირას მისული სახლი ფეშავარში, რომელიც ტყვეობასა და ყუმბარებს თავდაღწეული ხანის ოჯახისთვის თავშესაფარს წარმოადგენდა, შარიფასათვის ერთგვარ ციხედ იქცა. ქმრის ნებართვის გარეშე არსად წასვლა არ შეეძლო. სულთნის მეორე ქორწინების პირველ წელს შარიფა ახლადდაქორწინებულებთან ერთად ცხოვრობდა. იგი სონიას ისე უყურებდა, როგორც ერთ სულელ და ზარმაც გოგონას.

შესაძლოა, სონია ზარმაცი სულაც არ იყო, მაგრამ სულთანი მას თითხაც არ ანძრევინებდა. სადილს ყოველთვის შარიფა ამზადებდა, სუფრას შლიდა, რეცხავდა, ლოგინებს აგებდა. პირველ დღეებში სულთანი საათობით იკეტებოდა ხოლმე საძინებელ ოთახში თავის ახალგაზრდა ცოლთან ერთად, თან განკარგულებას გასცემდა, ხან ჩაი სურდა, ხან – წყალი... შარიფას ოთახიდან გარკვევით ესმოდა ხანისა და სონიას ჩურჩული, სიცილი და ყრუ ხმები, რაც ქალს გულს უკანრავდა.

შარიფა ეჭვიანობას გულში იკლავდა და სამაგალითო ცოლის როლს თამაშობდა. ნათესავი და მეგობარი ქალები გამუდმებით ეუბნებოდნენ, რომ იგი ნამდვილად იმსახურებდა „პირველი ცოლის“ ჭილდოს. ქალი ერთხელ არ დაინუნუნებდა იმის გამო, რომ ნივთივით მოისროლეს, არც სონიას წაეკამათებოდა და მასზე აუგსაც არავისთან იტყოდა.

როდესაც სულთნის თათლობის თვის ვნებით სავსე დღეებმა ჩაი-არა და სულთანი საძინებელი ოთახიდან გამოვიდა, რათა ვაჭრობის საქმეებისთვისაც მიეხედა, მისი ორი ცოლი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა. ისინი ფეხებში ებლანდებოდნენ ერთიმეორეს. სონია მთელი დღე ფერუმარილს ისვამდა და ახალ-ახალ კაბებს ისინჯავდა, შარიფა კი მზრუნველი კრუხივით ქოთქოთებდა, ოჯახის ყველა საქმე მაინც მისი გასაკეთებელი იყო. იგი სონიას ასწავლიდა, როგორ მოემზადებინა სულთნის საყვარელი ვერძები, როგორ მოეველო მისი ტანისამოსისთვის, რა ტემპერატურის წყალი მიეტანა დასაბანად და კიდევ უამრავ სხვა რამეს, რაც კარგ ცოლს უნდა სცოდნოდა ქმრის საამებლად. მაგრამ შარიფას სირცხვილის გრძნობა სტანჯავდა.

მიუხედავად იმისა, რომ მის ქვეყანაში მამაკაცისთვის ჩვეულებრივი ამბავია მეორედ, ან თუნდაც მესამედ დაქორწინება, ქალისთვის ეს მაინც დამამცირებელია. ახალი ქორწინება ერთგვარი ნიშანია იმისა, რომ „ძველი“ ცოლი კაცს აღარ აკმაყოფილებს. ამ ამბავს შარიფა

განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდა, რადგან მისი ქმარი მეორე ცოლის უპირატესობას ამჟამად გამოხატავდა.

შარიფა იძულებული იყო ყველასთვის აეხსნა, თუ რატომ დაქორწინდა სულთანის მეორედ. მას ისეთი რამ უნდა მოეგონებინა, რაც ხალხს დაარწმუნებდა, რომ მის „ჩამოქვეითებას“ სულ სხვა მიზეზები ჰქონდა, და არა ის, რაც სინამდვილეში იყო. ქალი ყველა ცნობისმოყვარეს ეუბნებოდა, რომ საშვილოსნოზე წანაზარდები აღმოაჩინდა, რის გამოც ოპერაცია გაიკეთა და ექიმისგან სასტიკი გაფრთხილება მიიღო, რომ თუ სიცოცხლე უნდოდა, ქმარს აღარ უნდა გაჰკარებოდა. შარიფა იმასაც ამატებდა, რომ მან თავად ურჩია სულთანს ხელმეორედ დაქორწინება და სონიაც თავადვე შეურჩია. ვაცი მაინც ვაციყო, დაამატებდა ხოლმე ბოლოს.

შარიფას აზრით, ეს გამოგონილი ავადმყოფობა ნაკლებად სამარცხვინო იყო მისთვის, ვიდრე ის, რომ ქმარს აღარ მოსწონდა. ისე გამოდიოდა, თითქოს სულთანის დაქორწინება ექიმების რჩევით მოხდა.

მეტი დამაჯერებლობისთვის, შარიფა გაბრწყინებული თვალებით იმასაც ამატებდა, რომ სონია საკუთარ დასავით, მისი პატარა ქალიშვილი ლატიფა კი საკუთარი შვილივით უყვარდა. სულთანისგან განსხვავებით, სხვა მამაკაცებს ცოლებთან მეტ-ნაკლებად დაბალანსებული ურთიერთობა აქვთ: ერთ ღამეს ერთთან ატარებენ, მეორეს – მეორესთან და ასე გრძელდება მუდმივად. მათი ყველა ცოლის შვილები თითქმის თანატოლები არიან და ერთად იზრდებიან. ყოველი დედა ქორის თვალებით აკონტროლებს იმას, რომ მისმა შვილებმა ზუსტად იგივე ყურადღება მიიღონ, რასაც მეორე ცოლის შვილები იღებენ, და რომ თავადაც იმავე რაოდენობის ტანსაცმელი და საჩუქრები ერგოთ, რამდენიც მეორე ცოლს ხვდება. ამ ქალებს ზოგჯერ ისე ძლიერ სძულთ ერთმანეთი, რომ ხმასაც კი არ სცემენ ერთიმეორეს. არიან ისეთებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ მრავალცოლიანობა მათი ვაცების უფლებამოსილებაა და ხშირად ასეთი ცოლები კარგი

მეგობრებიც კი ხდებიან. ქალის მეორე ცოლად გატანებას მშობლები წყვეტენ, ხშირად თავიანთი ქალიშვილის სურვილის საწინააღმდეგოდაც. თორემ ისე არც ერთი ახალგაზრდა გოგო არ ოცნებობს იმაზე, რომ ასაკოვანი ვაცის მეორე ცოლი გახდეს. პირველი ცოლი ქმრის ახალგაზრდობას იბარებს, მეორე კი – მის სიბერეს. ზოგიერთ შემთხვევაში, არც ერთ მათგანს არ ეხატება გულზე თავისი ქმარი და უხარიათ კიდევ, რომ მასთან ყოველ ღამე არ იყოფენ სარეცველს.

შარიფას ლამაზი, მუქი ყავისფერი თვალებიდან, რომლებიც ადრე სულთანს ქაბულის ულამაზეს თვალებად მიაჩნდა, სიცარიელე გამოსჭვივის. მათ ბრწყინვალე და უკარგავთ და დამძიმებული ქუთუთოები და ნაოჭების რკალი შემორტყმიათ გარს. სახის თეთრი კანი პიგმენტურ ლაქებს დაუფარავს, რის დამალვასაც ქალი ფერუმარლის საშუალებით გულმოდგინედ ცდილობს. თეთრი კანით შარიფა ყოველთვის ერთგვარ კომპენსირებას უკეთებდა თავის მოკლე ფეხებს. სიმაღლე და სიფერმკრთალე ავღანელი ქალის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა. შარიფა აქტიურად ცდილობდა ახალგაზრდობის შენარჩუნებას და იმის დამალვას, ქმარზე რამდენიმე წლით, უფროსი რომ იყო. ჭაღარას აქტიურად იღებავდა ოჯახურ პირობებში, მაგრამ სახეზე აღბეჭდილ მწუხარების ჩრდილებს ვერაფერი მოუხერხა.

ქალი მძიმედ დააბიჯებს ოთახში. მას შემდეგ, რაც ქმარმა მის სამივე ვაჟიშვილი ქაბულში წაიყვანა, გასაკეთებელი თითქმის აღარაფერია. ხალიჩები დაბერტყილია, სადილიც მზადაა... შარიფა ტელევიზორს რთავს და ტიპურ ამერიკულ ფილმს უყურებს – ზლაპარს, რომელშიც ძლიერი, ლამაზი გმირები ურჩხულების, მხეცებისა და ჩონჩხების წინააღმდეგ და ბოლოს აუცილებლად იმარჯვებენ ამ ბოროტ ქმნილებებზე, შარიფა ფილმს დაკვირვებით უყურებს, მიუხედავად იმისა, რომ დიალოგები ინგლისურადაა. ეს ენა მან არ იცის. ფილმის დასრულებისთანავე თავის რძალს ურევავს. მერე დგება და ფანჯარასთან მიდის. სახლის ზედა სართულიდან კარგად ჩანს უკანა ეზო. შარიფა ეზოს ისე ათვალიერებს, თითქოს ვიღაცას ზვერავსო.

თითქმის ყველა ეზოს გარს ქვის დაბალი ყორე არტყია და ყველა ყორეზე ტანსაცმელია გასაშრობად გადაფენილი.

ჰაიატაბადში რაიმეს გასაგებად ფანჯარაში გახედვაც კი არ არის საჭირო. ზიხარ სახლში, ხუჭავ თვალებს და გესმის მეზობლის სახლიდან გამომავალი გამაყრუებელი მუსიკა, ბავშვების ტირილი ან თამაშის ხმა, დედების ჩხუბი, ხალიჩების ბერტყვის ხმა და წყლის ჩხრიალი სარეცხის რეცხვისას. მოგდის სუნი, როდესაც ვინმეს საჭმელი ეწვება, ან ვაკუნის ხმა, როცა ვიღაც ნიორს ვეპავს.

იმას, რაც სუნს და ხმებს ვერ გამოაქვს სააშკარაოზე, ჭორები აგვირგვინებს. ქალაქის ამ ნაწილში ჭორი ისე ვრცელდება, როგორც ცეცხლი – თივაზე. აქ ყველა ერთმანეთის ცხოვრებასაა ჩასაფრებული.

შარიფა თავის ძველ, ნახევრად ჩამონგრეულ ქვის სახლს და ერთი ციდა მოცემენტებულ ეზოს სამ ოჯახთან იყოფს.

როცა ქალი, ბოლოს და ბოლოს, ხვდება, რომ სულთანი მოსვლას არ აპირებს, გულის გადასაყოლებლად დაბლა, მეზობლის ქალებთან ჩადის. დედაკაცები ეზოში შეკრებილან, რამდენიმე სხვა უბნიდანაც გადმოსულა. ისინი აქ ყოველ ხუთშაბათ ნაშუადღევს, ნაზარზე, ანუ თავიანთ რელიგიურ რიტუალზე საჭორაოდ და სალოცავად იკრიბებიან.

ქალები თავსაბურავს კიდევ უფრო მჭიდროდ იხვევენ, თავთავიანთ სალოცავ ფარდაგებზე მექას მიმართულებით იყრიან მუხლს და წელში იხრებიან, ლოცულობენ, მერე დგებიან, კვლავ ლოცულობენ, ისევ იჩოქებენ... ამ ყველაფერს ოთხჯერ იმეორებენ. ისინი მდუმარედ გამოხატავენ ღვთისადმი მორჩილებას, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებენ. მერე სალოცავი ფარდაგები თავისუფლდება და ახლა სხვები იწყებენ ლოცვას.

„მწყალობელისა და ყოვლის განმკითხავი ღვთის სახელით. დამკანონებლის, სამყაროს მბრძანებლის სახელით...

იგია ჩვენი მწყალობელი, მოსამართლე და მეუფე განკითხვის დღეს.

შენ გავედრებთ თავს, შველას შენში ვეძიებთ, შენ გავგიძეხ ჭეშმარიტების გზაზე...

იმ გზაზე, რომელიც სიხარულს მოგვანიჭებს.

ნუ გავვიყენებ გზას, რომელზეც შენი რისხვა დაგვხვდება, ანდა გზას, რომელიც სიცრუემდე წაგვიყვანს...“

დედაკაცები ლოცვას ასრულებენ და მათ ბუტბუტს უკვე ყაყანი ცვლის. ისინი კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ ბალიშებზე სხდებიან. იატაკზე დაგებულ მუშამბის სუფრაზე ჭიქები და მცირე ზომის სასმისები ალაგია. მალე სუფრაზე ახლად მოდუღებულ დარიჩინიან ჩაის ჩამოარიგებენ დაფხვნილი ორცხობილისგან დამზადებულ პუდინგთან და შაქართან ერთად. ქალები ხელებს სახესთან მიაქვთ და კიდევ ერთხელ ლოცულობენ. ორცხობილის პუდინგის გარშემო შემოკრებილთა გუნდი ვვლავ ბუტბუტებს: „ლა ილაჰა ილლა-ლ-ლაჰუ ვა მუჰამადუ რასულუჰუ“ („არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამადია მოციქული მისი“).

ლოცვის დასრულების შემდეგ სახეზე ისვამენ ორივე ხელს... ცხვირიდან იწყებენ, მერე აყვებიან შუბლის მიმართულებით და ბოლოს ლოყებს ჩამოყვებიან ნიკაპისკენ. მოქნილი ხეები რიტუალს ტუჩებთან ასრულებენ, თითქოს მლოცველები საკუთარი ლოცვით პურდებიანო. დედებსაც და ქალიშვილებსაც, ყოველ მათგანს მტკიცედ სჯერა, რომ იმას, რასაც ნაზარის ლოცვაზე შესთხოვენ ღმერთს, აუცილებლად აუსრულდებათ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მართლა იმსახურებენ ამას, მათი ლოცვები პირდაპირ ალაჰთან ადის და შემდეგ იგი წყვეტს. ვის უნდა შეენიოს, და ვის – არა.

შარიფა ღმერთს შესთხოვს, სულთანმა ის და შაბნამი ქაბულში წაიყვანოს, რათა ქალმა ყველა შვილი ვვლავ თავის გარშემო შემოიკრიბოს.

როდესაც ყველანი აღუვლენენ ლოცვას ალაჰს, ხუთშაბათის ძირითადი რიტუალიც იწყება. ქალები პუდინგს შეექცევიან, დარიჩინიან ჩაის ხვრეპენ და ცინცხალი ამბების გაცვლაგამოცვლით ერთობენ თავს. შარიფა ყველას გასაგონად მოკლედ აღნიშნავს, რომ სულთნის ჩამოსვლას ყოველ წუთს ელოდება, მაგრამ მას აინუნშიაც არავინ აგდებს. მისი სასიყვარულო სამკუთხედის დრამა ჰაიატაბადის 103-ე ქუჩაზე დიდი ხნის წინ იყო აქტუალური. ახალი ჭორების „ვარსკვლავი“ თექვსმეტი წლის სალიქა გამხდარა – გოგონა, რომელიც უკანა ოთახშია გამოკეტილი ორიოდღე დღის წინ ჩადენილი ყოვლად მიუტევებელი „დანაშაულისთვის“. სახედასისხლიანებული, შესიებული წითელი იარებით ზურგაჭრელებული გოგონა თითქმის უსულოდაა მიწოლილი ლეიბზე.

ის ქალები, რომელთაც ამ ამბის ყველა დეტალი არ იციან, ყურებდაცქვეტილები უსმენენ მათ, ვისაც უფრო მეტი რამ შეუტყვიათ, სალიქას ამბავი ერთი წლის წინ დაიწყო. ერთ ნაშუადღევს მასთან შარიფას ქალიშვილი, შაბნამი მისულა და იდუმალებით აღსავსე გამომეტყველებით ქალაღდის ნაგლეჯზე დანერვილი წერილი გადაუცია.

– პირობა დავდე, არ მეთქვა, ვისგანაა ეს წერილი, მაგრამ იგი შენთან ერთმა ბიჭმა გამომატანა, – უთხრა გოგონამ, რომელიც ალტაცებული ცქმუტავდა იმის გამო, რომ ამგვარი მნიშვნელოვანი საქმე ანდეს, – ბიჭი თავად მოსვლას ვერ ბედავს, მაგრამ მე ვიცი, ვინც არის.

შაბნამი ყოველდღე მოდიოდა ახალი წერილებით – ქალაღდის ნაგლეჯებით, რომლებზეც ეხატა ისარგაყრილი გულები, დაკლავნილი ყმანვილური ასოებით ეწერა I love you და სიტყვები, რომლებიც სალიქას სილამაზეს ასხამდნენ ხოტბას. სალიქა ყველა შემხვედრ ბიჭში ამ საიდუმლო წერილების ავტორს ხედავდა, გამუდმებით ცდილობდა, ლამაზად ჩაცმულ-დავარცხნილი ყოფილიყო და ბიძამისს, რომელიც გრძელი თავსაბურავით სიარულს აიძულებდა, წყევლაკრულვას უგზავნიდა გულში.

ერთ დღესაც უცნობმა სალიქას შეხვედრა სთხოვა. ის წერილში წერდა, რომ გოგონას რამდენიმე სახლის მოშორებით, ერთ-ერთ ბოძთან ოთხი საათისთვის დაელოდებოდა. მას წითელი სვიტერი ეცმეოდა. სახლიდან გასვლისას გოგონა უცნაურად თრთოდა, თუმცა განსაკუთრებულად კი გამოეწყო. თავისი საყვარელი ცისფერი ხავერდის კაბა ჩაიცვა და ოქროსფერი სამაჭურითა და სქელი მძივებით მოიკაზმა. თან მეგობარი გოგონა გაიყოლა. წითელ სვიტერში გამონყობილ ყმანვილს გაუბედავად ჩაუარა გვერდით. ბიჭი ზურგმუქცევით იდგა და მობრუნებას ვერ ბედავდა.

ამის შემდეგ სალიქამაც გაბედა წერილის მინერა.

„ხვალ სახე უნდა მიჩვენო“, დაწერა მან და ქალაქის ნაგლეჯი თავის ყოჩაღ და მოვალეობის ზედმიწევნით შემსრულებელ კურიერს – შაბნამს ჩასჩარა ჭიბეში. მაგრამ ბიჭი არც ამჯერად შემობრუნებულა. მხოლოდ მესამეჯერ გაბედა ცერად გამოხედვა. სალიქას გული სადღაც გაეპარა და გზა მექანიკურად გააგრძელა. აღტაცება სიყვარულში გადაიზარდა. იმიტომ კი არა, რომ ბიჭი განსაკუთრებულად ლამაზი იყო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ იმ უჩვეულო წერილების ავტორი სწორედ ის გახლდათ. ისინი რამდენიმე თვის განმავლობაში სწერდნენ წერილებს და შეფარულ მზერას ჩუქნიდნენ ერთმანეთს.

ჯერ ერთი, ის ამბავი, რომ გოგონამ ბიჭისგან წერილი მიიღო დიკიდევ უარესი, უპასუხა მას, უკვე დანაშაულად ითვლებოდა. მეორეც, სალიქას შეუყვარდა ბიჭი, რომელიც მისი მშობლების მიერ არ იყო არჩეული. გოგონამ თავიდანვე იცოდა მშობლების რეაქცია. ყმანვილი გაუნათლებელი იყო, ღარიბი და ცუდი ოჯახიშვილი. ჰაიატაბადში ყველაფერს მშობლები წყვეტდნენ სალიქას დაც მამამისთან ხუნთლიანი ჭიდილის შემდეგ გათხოვდა. გოგონას ერთი ყმანვილი შეუყვარდა და დათმობას არც აპირებდა. ეს ბრძოლა კი იმით დასრულდა, რომ შეყვარებულებმა სანამლავი დალიეს და სიკვდილისგან ძლივს იხსნეს. სწორედ ამის შემდეგ დათმო პოზიციები მამამ.

ერთ დღეს სალიქა და ნადიმი ჩუმად შეხვდნენ ერთმანეთს, გოგონას დედა შაბათ-კვირას ნათესავებთან ისლამაბადში გაემგზავრა, ბიძაც დილიდან სადღაც გასულიყო. შინ მხოლოდ ბიცოლა იმყოფებოდა. სალიქამ მეგობარ გოგონასთან სტუმრად წასვლა მოიმინება.

– მერე, ნებართვა აიღე? – ჰკითხა ბიცოლამ.

მას შემდეგ, რაც სალიქას მამა ბელგიაში გაემგზავრა და ლტოლვილთა ბანაკში ცხოვრობდა, ოჯახის უფროსად ბიძა ითვლებოდა. ლტოლვილი მამა ბელგიაში ცხოვრების ნებართვის აღებას ელოდა, რათა შემდეგ ემუშავა და ოჯახისთვის ფული გამოეგზავნა, უკეთეს შემთხვევაში კი ისინიც თან წაეყვანა. – დედამ მითხრა, საქმეებს რომ მორჩები, ნადიო, – კვლავ იცრუა სალიქამ, იგი მეგობართან არ წასულა. ის ნადიმთან პირისპირ შესახვედრად წავიდა.

– აქ ვერ ვილაპარაკებთ, – თქვა სხარტად სალიქამ, როცა ისინი, ვითომდა შემთხვევით, ერთმანეთს ქუჩის კუთხეში შეხვდნენ. ბიჭმა ტაქსი გააჩერა და გოგონა ნაჩქარევად შეაგდო შიგნით. სალიქა ადრე არასოდეს მჯდარა ტაქსიში უცხო ყმანვილთან ერთად. გოგონას გული ყელში ებჯინება. ისინი პარკთან ჩამოდიან – ფეშავარში არსებულ ერთ-ერთ ადგილთან, სადაც წყვილებს ერთმანეთთან შეხვედრა და საუბარი შეუძლიათ. ქალ-ვაჟი პარკში სულ რაღაც ნახევარი საათი სხედან და საუბრობენ. ნადიმს დიდი სამომავლო გეგმები აქვს, იგი მაღაზიის ყიდვასა და ხალიჩებით ვაჭრობას აპირებს. სალიქას ეშინია, ვინმემ არ დაინახოს და ცქმუტავს, წესიერად არც კი უსმენს ბიჭს. სულ რაღაც ერთ საათში შინ ბრუნდება, მაგრამ იქ უკვე ერთი ამბავია ატეხილი. როგორც ჩანს, შაბნამს დაუნახავს, სალიქა და ნადიმი ერთად რომ ჩასხდნენ ტაქსიში და ეს ამბავი მაშინვე დედამისისთვის ჩაუკაკლავს, შარიფა კი გოგონას ბიცოლასთან გავარდნილა და ყველაფერი უცნობებია.

შინ დაბრუნებულ სალიქას ბიცოლამ სილა გააწნა და ოთახში გამოკეტა, შემდეგ კი დედამისს დაურეკა ისლამაბადში, როდესაც ბიძაც მოვიდა, ყველანი სალიქასთან ოთახში შევიდნენ და ყოველივეს

დანვრილებით მოყოლა მოსთხოვეს. ტაქსისა და პარკის გაგონებაზე ბიძას სიბრაზისგან ცახცახი აუვარდა. მერე ძველი ელექტრომავთული მოიტანა და გოგონა იმით გარობვა. ატირებულ და აცახცახებულ სალიქას ბიცოლა აკავებდა. ვაცმა სალიქას სახეში იმდენი ურტყა, ცხვირ-პირიდან სისხლი ადინა. – მითხარი, რა გააკეთეთ... რა ჩაიდინე, შე ბოზო! – გაჰყვიროდა ბიძა, – ჩვენი ოჯახის სირცხვილი ხარ, სამარცხვინო ლაქა, დამპალი ტოტი...

ბიძის ყვირილი სახლს აზანზარებდა და მეზობლების თანჯრებამდეც აღწევდა. სულ მალე სალიქას დანაშაული, რომელმაც გოგონა ასეთ დღეში ჩააგდო, ყველასთვის გახდა ცნობილი. ოთახში გამოკეტილი სალიქა ალაჰს ევედრება, რომ ნადიმმა მალე ითხოვოს მისი ხელი, რომ მშობლებმა გათხოვების ნებართვა მისცენ, რომ ნადიმმა მალე დაიწყოს ხალიჩების მალაზიაში მუშაობა, რათა საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა შეძლონ. – როდესაც ქალი უცხო ბიჭს ტაქსიში ჩაუჯდება, ის სხვა რამესაც ჩაიდენს, – ამბობს სალიქას ბიცოლას დაქალი ნასრინი და სალიქას დედისკენ აპარებს მზერას. ნასრინი პუდინგის უზარმაზარ ლუკმებს იტენის პირში და თავის ნათქვამზე გამოხმაურებას ელის.

– ის ხომ მხოლოდ პარკში იყო... ამისთვის ასე ცემა რა საჭირო იყო, – ამბობს შირინი, რომელიც პროფესიით ექიმი. – ჩვენ რომ არ შეგვეჩერებინა, გოგონა საავადმყოფოში გახდებოდა ნასაყვანი, – თქვა შარიფამ, – მთელი ღამე უკანა ეზოში იწვა და ლოცულობდა, – დაამატა ისევ ქალმა, რომელიც იმ ღამეს უძილობის გამო გარეთ გამოსულიყო და საცოდავი სალიქა სწორედ მაშინ დაელანდა სიბნელებში, – გამთენიამდე იქ იყო. მანამდე, სანამ დილის ლოცვის მოწოდება გაისმებოდა, ქალები ოხრავენ. ვილაც ლოცვას ბუტბუტებს. იმაზე, რომ სალიქამ იმ ავბედით დღეს ნადიმთან პარკში შეხვედრით დიდი შეცდომა დაუშვა, ყველა თანხმდება, მაგრამ იმაზე კი ვერ რიგდებიან, გოგონას ეს საქციელი მისი უბრალო დაუმორჩილებლობა იყო თუ დიდი დანაშაული.

– რა სირცხვილია! თავზე ლაფის დასხმა, – მოთქვამს სალიქას დედა, – ასეთი შვილი რატომ უნდა მყოლოდა?

ქალები ახლა იმის თაობაზე ბჭობენ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ვითარების გამოსასწორებლად. თუ ბიჭი გოგონას ხელს ითხოვს, მაშინ ოჯახის სირცხვილი დავინყებას მიეცემა, მაგრამ სალიქას დედას იგი სასიძოდ არ მოსწონს. ნადიმი ღარიბი ოჯახიდანაა, უსწავლელია და უმეტეს დროს ქუჩაში ატარებს, ადრე ხალიჩების ფაბრიკაში მუშაობდა, მაგრამ ეს სამსახურიც დაკარგა. თუ სალიქა მას გაჰყვება ცოლად, მაშინ გოგონას ნადიმის მშობლებთან ერთად მოუწევს ცხოვრება, რადგან მათ ცალკე ცხოვრების საშუალება არასოდეს ექნებათ.

– ბიჭის დედა ცუდი დიასახლისია, – ამბობს ერთ-ერთი დედაკაცი, – ზარმაცია და თავის ნებაზე დადის, მათი სახლი კი სულ მუდამ არეული და ბინძურია.

ცოტა უფრო ასაკოვანი ქალი ნადიმის ბებიასაც კი იხსენებს. – როდესაც ისინი ქაბულში ცხოვრობდნენ, ათასი ვინმე დაიარებოდა მათთან, – ამბობს ქალი და შემდეგ იდუმალი ხმით ამატებს: – როცა ბეზიამისი მართო რჩებოდა, მასთან ვაცებიც კი მიდიოდნენ ხოლმე. ვაცები, რომლებიც მისი ნათესავები ნამდვილად არ იყვნენ.

– დიდად გაფასებ, – ამბობს ახლა სხვა ქალი და სალიქას დედისკენ ბრუნდება, – მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ სალიქა ყოველთვის მეტიჩარა გოგონად მიმაჩნდა. ის ხომ მუდამ შეღებილი და გაპრანჭული დადის... კარგი იქნებოდა, თავიდანვე ჩასწვდომოდი მის უხამს ფიქრებს.

ცოტა ხნით ყველა ჩუმდება, თითქოს ამ დუმილით ყველა ერთმანეთს ეთანხმება, სალიქას დედას კი თანაგრძნობას უცხადებენო. მერე რომელიღაცა პირს იწმენდს და ახსენდება, რომ უკვე სადილობის დროა. სხვებიც დგებიან ერთიმეორის მიყოლებით. შარიფა თავისი სამოთახიანი ბინისკენ ამავე კიბეს მიუყვება და გვერდით იმ ოთახს ჩაუვლის, სადაც სალიქაა გამოკეტილი. გოგონა ოთახში მანამ უნდა დარჩეს, სანამ ოჯახი მისი დასჯის ახალ მეთოდს არ შეიმუშავებს.

შარიფა ოხრავს. ქალს თავისი ყოფილი რძალი ჯამილა ახსენდება, რომელიც ამგვარი „დანაშაულისთვის“ გაცილებით სასტიკად დაისაჯა.

უმანკო და ყვავილივით ლამაზი ჯამილა საუკეთესო, შეძლებული ოჯახიდან იყო. გოგონას შარიფას ძმამ დაადგა თვალი. მას კანადაში ემიგრაციაში ყოფნისას კარგი ფული დაეგროვებინა და იმისი საშუალებაც ჰქონდა, რომ თვრამეტი წლის ლამაზმანის ხელი ეთხოვა. შარიფას ძმა – ეს მაღალი და ხმელი, ორმოცს გადაცილებული სასიძო კანადიდან იმისთვის ჩამოსულიყო, რომ ავღანური წესჩვეულებისამებრ ექორწინა. საარაკო ქორწილი გადაიხადეს – ხუთასამდე სტუმარი, სასმელ-საჭმელი და ულამაზესი პატარძალი... ჯამილა თავის საქმროს ქორწილამდე არც კი შეხვედრია, ყველაფერი მშობლებმა დაგეგმეს და მოაწყვეს. ახლადდაქორწინებულებმა თოთხმეტი დღე გაატარეს ერთად, შემდეგ სიძე ისევ კანადაში გაემგზავრა, რათა ვიზის ამბები მოეგვარებინა და ჯამილაც თან წაეყვანა. ჯამილას კი დროებით შარიფას ორ ძმასთან და რძლებთან ერთად უნდა ეცხოვრა. ვიზის ამბები იმაზე მეტად გაიწვლა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მესამე თვის თავზე ჯამილას „დანაშაულზე წაასწრეს“. ცნობა პოლიციიდან მოდიოდა. ვიღაცას დაუნახავს, რომ ქალის ფანჯარაში უცხო მამაკაცი მიძვრებოდა. კაცი ვერსად იპოვეს, მაგრამ შარიფას ძმებმა ჯამილას ოთახში მობილური ტელეფონი ნახეს და იგი ფარული ურთიერთობის ნივთმტკიცებად მიიჩნიეს. შარიფას ოჯახმა ქორწინება მაშინვე გააუქმა და პატარძალი უკან, საკუთარ ოჯახში გააგზავნა. შინ მიბრუნებული ჯამილა ოთახში გამოკეტეს, ოჯახის წევრები კი ორი დღის განმავლობაში ბჭობდნენ და თათბირობდნენ.

სამი დღის შემდეგ შარიფას ოჯახში ჯამილას ძმა მივიდა და თქვა, რომ მისი და ვენტელატორის ზონარში მომხდარი მოკლე ჩართვის შედეგად გარდაიცვალა.

მეორე დღეს დასაფლავება იყო – ზღვა ყვავილებითა და მჭმუნვარე სახეებით. ჯამილას დედა და დები უნუგემო მდგომარეობაში იყვნენ. ყველა დასტიროდა ნაადრევად გარდაცვლილ ულამაზეს ახალგაზრდა ქალს.

გასვენებაც მისი ქორწილივით საარაკოაო, ამბობდა ხალხი, ამგვარად, ოჯახის პატივი აღდგა.

შარიფას თავისი ძმისა და ჯამილას ქორწილის ვიდეოჩანანწერი ჰქონდა. მოგვიანებით ვასეცა ჯამილას ძმამ ითხოვა და უკან აღარც დაუბრუნებია. ამ ქორწილის ყველა კვალი უნდა განადგურებულიყო. თუმცა შარიფა საგულდაგულოდ მალავდა ქორწილის დღიდან შემორჩენილ ჯამილას რამდენიმე სურათს, თითქმის ყველა სურათში ნეფე-დედოფალს სერიოზული და დაძაბული სახეები აქვთ. საქორწინო ტორტის გაჭრისასაც ჯამილას ემოციის ნიშანწყალიც კი არ ამჩნევია სახეზე, მაგრამ იგი მაინც ულამაზესია თავის ქათქათა საპატარძლო კაბასა და ფატაში, საიდანაც ყორნისფერი თმა და სისხლისფერი ტუჩები მოუჩანს.

შარიფა ისევ ოხრავს. ჯამილამ დიდი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ ეს უფრო თავისი სისულელით მოუვიდა, ვიდრე ბოროტი განზრახვით.

– იგი სიკვდილს არ იმსახურებდა... მაგრამ ალაჰი განსჯის, – თავისთვის ამბობს შარიფა და ლოცვას ბუტბუტებს.

ერთი კი მაინც ვერ გაუგია: როგორ დათანხმდა ჯამილას დედა საკუთარი ქალიშვილის მოკვლის გეგმას ორდღიანი ოჯახური თათბირის შემდეგ. თავისი ვაჟები ჯამილას მოსაკლავად სწორედ დედას აუგზავნია. ძმები ერთად შესულან დასთან, ასევე ერთად დაუფარებიათ სახეზე ბალიში და გამეტებით, ძლიერად დაუჭერიათ. ასე ეჭირათ მანამ, სანამ გოგონას აკანკალებული სხეული საბოლოოდ არ მოდუნდა. ამის შემდეგ ბიჭები კვლავ დედასთან დაბრუნებულან.

თვითმკვლელობა და სიმღერა

სიყვარულისადმი ქალის ლტოლვა ავღანეთში ტაბუდადებული თემაა. იგი თემთა უმკაცრესი საპატიო კანონებითაც იკრძალება და მოღების მიერაც. ახალგაზრდებს არც ერთმანეთთან შეხვედრის უფლება აქვთ, არც – სიყვარულში არჩევანის გაკეთების. სიყვარული და რომანტიკა აქ ძალიან შორსაა ერთმანეთისგან და ეს გრძნობა დანაშაულთანაც კია გაიგივებული, იმ დანაშაულთან, რომლის სასჯელიც მხოლოდ სიკვდილია. „უზნეობს“ ცივი გონებით ასალმებენ სიცოცხლეს. თუ „დამნაშავე“ შეყვარებულთაგან ერთ-ერთი სიკვდილით უნდა დაისაჯოს, ყველანაირი გამონაკლისის გარეშე, იგი ქალი იქნება.

ახალგაზრდა ავღანელი ქალები, უპირველეს ყოვლისა, გაცვლა-გაყიდვის ობიექტები არიან. ქორწინება აქ ოჯახებს შორის დადებული კონტრაქტია. რა სარგებლობას მოუტანს კონკრეტული ქორწინება ამა თუ იმ თემს, გადამწყვეტია. გრძნობებს იშვიათად იღებენ მხედველობაში. ავღანელი ქალები საუკუნეების განმავლობაში იძულებულნი იყვნენ, შეჰკუებოდნენ მათკენ მიმართულ ნებისმიერ უსამართლო ქმედებას, მაგრამ არსებობს თავად ქალების მიერ შექმნილი ერთგვარი საპროტესტო სიმღერები და ლექსები, რომლებიც, უბრალოდ,

მათ მიერ და მათთვისვე იქმნებოდა და მხოლოდ მთებისა და უდაბნოების ექოდ რჩებოდა.

„ქალები პროტესტს თვითმკვლელობით ან სიმღერით გამოხატავენ“, – წერს ავღანელი პოეტი საიედ ბაჰუდინ მაჯრუჰი თავის ერთ-ერთ ნიგნში, რომელიც პუშტუნი ქალების ლექსებს შეეხება. მან ლექსები თავისი რძლის დახმარებით შეაგროვა. თავად მაჯრუჰი 1998 წელს ფუნდამენტალისტებმა მოკლეს ფეშავარში.

ლექსები ან გართმული ფრაზები ზეპირმეტყველებით ვრცელდება. ლექსების გაცვლა-გამოცვლა ჭებთან, მინდვრებისკენ მიმავალ გზებზე და თონებთან ხდება. ლექსები აკრძალულ სიყვარულზე და იმ იდუმალ მიჯნურზეა, რომელსაც კაცებთან, ამ ქალების ქმრები რომ ჰქვიათ, არაფერი აქვს საერთო. ეს ლექსების გმირი რაინდი სატროფოები არანაირად არ ჰგვანან იმ საძულველ ქმრებს, რომლებიც ხშირად თავიანთ ცოლებზე გაცილებით ასაკოვანები არიან. თუმცა, ეს ლექსები იმასაც გამოხატავს, თუ როგორი ამაყები და მამაცები არიან ეს ქალები. ასეთი ფორმის ლექსს „ლანდაი“ ჰქვია, რაც „მოკლეს“ ნიშნავს. იგი რამდენიმე სტრიქონისგან შედგება, მოკლეა და რიტმული. „ეს ლექსები კვილია, დანის დასობა...“ – წერს მაჯრუჰი.

„სასტიკო ხალხო, თქვენ ხედავთ, რომ ერთი მოხუცი ჩემი სარეცლისკენ მოემართება.
მანც კითხულობთ,
რატომ ვიგლეჯ სიმწრით დალალებს,
რა მემართება?...“

„ო, ღმერთო ჩემო! შენ კვლავ მიგზავნი შავბნელ ღამეს,
მე კი კვლავ ვცახცახებ მთელი სხეულით,
რადგან საძულველი სარეცლისაკენ
უნდა გავნიო...“

ხშირად ლექსებში ქალების აჯანყებული სული გამოსჭვივის. ისინი მზად არიან, სიცოცხლეს კი დათმონ სიყვარულისთვის, შეებრძოლონ იმ საზოგადოებას, რომელშიც ვნება აკრძალულია და სასჯელი – გარდაუვალი.

„მომეცი ხელი, საყვარელო... გადავიმალოთ მწიფე ყანაში,
რათა ერთმანეთს ვეაღერსოთ ან კიდევ
ერთად დაგვცენ გულში ლახვარი.“

„მე მდინარეში გადავეშვები,
მაგრამ დინება არ გამიყოლებს.
ჩემს ქმარს რატომღაც ბედი უღიმის,
რადგან მდინარე მე ყოველთვის
ნაპირზე მრიყავს...“

„ხვალ დილით ადრე მე შენ გამო, ვიცი, მომკლავენ
და გვედრები, ნუ უარყოფ, რომ შენც გიყვარდი...“

ამ ნაწყვეტების უმეტესი ნაწილი იმედგაცრუებასა და ფუჭ სიცოცხლეს შეეხება. ერთი ქალი ღმერთს შესთხოვს, რომ მომავალ ცხოვრებაში ამ ქვეყანას ქვად მოევილინოს, რადგან ქალად ყოფნას ქვად ყოფნა ურჩევნია. არც ერთი ლექსი არ გამოხატავს იმედს, პირიქით, ყველა მათგანი პესიმიზტურია, თითოეულში უიმედობაა გამეფებული იმის გამო, რომ მათ, ფაქტობრივად, არ უცხოვრიათ, მათთვის სილამაზეს, ახალგაზრდობასა და სიყვარულს არანაირი სიხარული და ტკბობა არ მოუტანია.

„მე ვარდივით ლამაზი ვიყავ,
შენ გვერდით წოლით კი ყვითელ ფორთოხალს
დავემსგავსე.“

„ვნება ჩემთვის უცხო იყო და ამიტომაც
ავინონე ნაძვის ხესავით.“

ბევრი ლექსი საოცარი აღტყინებითაა სავსე. ქალები საოცარი სი-
ზუსტით ასხამენ ხოტბას თავიანთ სხეულს, ხორციელ სიყვარულსა და
აკრძალულ ხილს, თითქოს ამით მამაკაცების გაოგნება და მათი
ღირსებების პროვოცირება სურთ.

„შენი ბაგე შეახე ჩემსას,
თავისუფლება მიეცი ენას, რათა მოგიტხროს
სიყვარულის უშრეტ ძალაზე.“

„შემომხვიე მკლავები, გულში ჩამიკარ!
ჯერ მომეხვიე!
მერე კი ჩემი ხავერდოვანი ბარდაყების სინაზით დატკბი!
ჩემი ტუჩები შენ გეკუთვნის, დაენათე, ნუ გეშინია!
ბაგე შექარი კი არ არის, რომ გადნეს და გაქრეს.“

„მე შენ მოგიძღვნი ჩემს ბაგეებს...
შენ ეზიდები ჩემს მაღალ სურას, რომლიდანაც
წყალი იღვრება და სულმთლად მასველებს.“

„მე ფერთლად გაქცევ,
როგორც კი თვალებს წამიერად შემოგანათებ.“⁴

⁴ Le suicide et le chant. Poésie populaire des femmes Pachtounes, საიედ ბაჰუდინ მაჯრუჰი, გალიმარი, 1994. (ლექსები წიგნის ავტორმა თარგმნა ფრანგულიდან).

საქმიანი მგზავრობა

ჯერ კიდევ გრილა. მზემ პირველი სხივები გამოუგზავნა ქვადორლიან, მოშიშვლებულ მთის ფერდობებს. ლანდშაფტი მთლიანად მტვრისფერია. ყავისფერი ჩრდილები თანდათან ნაცრისფერში გადადის. მთის ფერდობები მხოლოდ ქვითაა დაფარული, დიდი ღორღებით, რომლებიც თითქოს ჩამოშლით იმუქრებიან. წვრილი ქვიშა და თიხის ნანილაკები ცხენების ნალებქვეშ ხრაშუნებს. ღორღებს შორის ამოსული ეკალბარდი გაქცეულ კონტრაბანდისტებს, ლტოლვილებსა და მებრძოლებს ფეხებს უკანრავს, დაკლავნილი ბილიკები ერთმანეთს კვეთენ და კლდეებსა და ბორცვებს მიღმა უჩინარდებიან.

ეს კონტრაბანდისტების სამარშრუტო გზაა – იმ ადამიანების სამოქმედო არეალი, რომლებსაც პაკისტანსა და ავღანეთს შორის იარაღით, ოპიუმით, სიგარეტითა და კოკა-კოლათი ვაჭრობა გაუჩაღებიათ. ეს ბილიკები საუკუნეების მანძილზე იქელებოდა. სწორედ ამ ბილიკებით გაიპარნენ თალიბები და არაბული ალ-ქაიდას მემორები მაშინ, როცა მიხვდნენ, რომ ავღანეთისათვის ბრძოლა უკვე წაგებუ-

ლი იყო. ისინი პაკისტანში გადაიხვეწნენ. ამ ბილიკებითვე ბრუნდები-
ან ხოლმე ისინი უკან, რათა ამერიკელ ჯარისკაცებს, ანუ იმ „ბოროტ
ძალას“ შეებრძოლონ, რომელმაც მუსულმანთა წმინდა მინა-წყალი
დაიპყრო. ამ სასაზღვრო ტერიტორიებს ვერც ავღანეთის მთავრობა
აკონტროლებს და ვერც – პაკისტანის. პუშტუნთა ტომები მხოლოდ
თავიანთ ტერიტორიებს აქცევენ ყურადღებას საზღვრების ორივე
მხარეს. დაუჭერებელია, მაგრამ უკანონობა პაკისტანის კანონების
ერთ-ერთი მთავარი მუხლია, პაკისტანის მთავრობა ოპერაციებს
მხოლოდ მოასფალტებულ გზებზე და ამ გზების გაღმა-გამოღმა,
ოციოდე მეტრის რადიუსში ატარებს, ამის იქით კი უკვე ჯოგური კა-
ნონები მოქმედებს.

ამ დილას წიგნებით მოვაჭრე სულთან ხანმაც უნდა ჩაუაროს მე-
საზღვრეებს. ასიოდე მეტრის მოშორებით პაკისტანური პოლიცია
დგას. სანამ ხალხი, ცხენები და ბარგით დატვირთული სახედრები მა-
თი გზიდან კარგა მოშორებით დადიან, მათ არაფრის გაკეთება არ
შეუძლიათ. იმის გამო, რომ მთავრობა ამ დინებას ვერ აკონტრო-
ლებს, ბევრ მგზავრს, ძირითადად კი ჩვეულებრივ სოფლის მაცხოვ-
რებლებს, ხშირად შეიარაღებული პირები აჩერებენ და „ჯარიმის“ გა-
დახდას სთხოვენ. ამის გამო, სულთანმა თადარიგი წინასწარ დაიჭი-
რა: ფული პერანგის სამკლაურებში გამოაკერებინა სონიას, თავისი
ნივთები კი შაქრის ჭუჭყიან ტომარაში ჩაალაგა. ტანთ თავისი ყველა-
ზე ძველი და გაცვეთილი შალვარ-კამეზი⁵ ჩაიცვა.

როგორც ავღანელთა უმეტესი ნაწილისთვის, სულთნისთვისაც პა-
კისტანის საზღვარი დაკეტილი და შეუვალია. ის, რომ მას პაკისტანში
ოჯახი ჰყავს, სახლი და მალაზიები აქვს, რომ მისი ქალიშვილი იქ და-

⁵ პაკისტანის, ავღანეთისა და პენჯაბის პროვინციის მაცხოვრებლე-
ბის. ტრადიციული ტანსაცმელი – მოქარგული პერანგი და განიერი
შარვალი.

დის სკოლაში, არაფერს ნიშნავს. პაკისტანმა საერთაშორისო საზოგადოებების მხრიდან ბენოლის გამო საზღვრები გადაკეტა, რათა ტერორისტებსა და თალიბანის მომხრეებს ქვეყანაში გადამალვა ვეღარ შესძლებოდათ. ეს ქმედება კი სრულიად აბსურდული იყო, რადგან ტერორისტები და ჯარისკაცები სასაზღვრო სადგურებთან მაინც არასოდეს მიდიოდნენ პასპორტებით ხელდამშვენებულნი.

ისინიც იმავე ბილიკებით სარგებლობენ, რომლებითაც სულთანის თავისი საქმიანი მგზავრობებისას. ამგვარი გზით ყოველდღე ათასობით ადამიანი ახერხებს ავღანეთიდან პაკისტანში გადასვლას.

ცხენები აღმართს მიუყვებიან. გაბლენილი სულთანი უუნაგირო ცხენზე ამხედრებულა. იმისდა მიუხედავად, რომ მას ძველი ტანისამოსი აცვია, მაინც წარმოსადეგი ჩანს. წვერი, როგორც ყოველთვის, ახლად გაპარსული აქვს. ერთი ციდა ფესი კოხტად მოურგია თავზე. მაშინაც კი, როცა ორივე ხელი შიშით აქვს ლაგამზე ჩავლებული, კეთილშობილი ვაცის იერი დაჰკრავს, რომელიც მთაში თითქოს მხოლოდ ლამაზი ხედებით დასატკბობად წამოსულა. თუმცა იგი გაშეშებული და დაძაბული ზის. ერთი არასწორი ნაბიჯი და შეიძლება უფსკრულში აღმოჩნდეს. ცხენი მშვიდად მიაბიჯებს ნაცნობ ბილიკებზე და ბურგზე მოკალათებული მამაკაცის სიმძიმეს არაფრად აგდებს, სულთანს შაქრის „ძვირფასი“ ტომარა ხელში ჩაუბლუჯავს. ტომარაში ის წიგნები უწყვია, რომლებიც თავისი მაღაზიისთვის მეკობრული წესით უნდა დაბეჭდოს. აქვე უდევს მონახაზი იმ საქმისა, მომავალში მისი ცხოვრების უდიდეს კონტრაქტად რომ უნდა იქცეს.

სულთანთან ერთად სხვა ავღანელებიც არიან. აქ ბევრია ისეთი, ვისაც ჩაკეტილ ქვეყანაში სხვადასხვა მიზეზით შეღწევა სურს. ქალები, რომლებიც ნათესავების მოსანახულებლად მიემართებიან, გვერდულად სხედან უნაგირზე.

მგზავრებს შორის არიან სტუდენტებიც, რომლებმაც ოჯახთან ერთად რელიგიური დღესასწაული – ეიდი ავღანეთში იზეიმეს და ახლა ფეშავრის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად ბრუნდებიან.

მგზავრებს შორის, შესაძლოა, რამდენიმე ვაჭარი და კონტრაბანდისტიც ერიოს, მაგრამ სულთანს ეს სულაც არ ადარდებს. იგი კვლავ თავის კონტრაქტზე ფიქრობს, შიგადაშიგ, ლაგამის მართვისას ყურადღებას ძაბავს და პაკისტანის მთავრობას აგინებს. მისი მგზავრობა მანქანით დაიწყო. ქაბულიდან საზღვრამდე მისვლას თითქმის ერთი დღე მოანდომა, მერე ღამე ერთ ჭუჭყიან სასაზღვრო სადგურში გაათია და სანამ ცხენზე ამხედრდებოდა, ფეხითაც იარა. არადა, მთავარი გზით საზღვრიდან ფეშავრამდე მისვლას მხოლოდ ერთი საათი თუ სჭირდება. სულთანს მიაჩნია, რომ კონტრაბანდისტული გზით პაკისტანში შესვლა მეტად დამამცირებელი და ადამიანის ღირსების შემლახველია. „იმ ყველაფრის შემდეგ, რაც პაკისტანელები თალიბების რეჟიმს პოლიტიკურად მზარს უჭერდნენ და ფულითა და იარაღითაც ამარაგებდნენ, ახლა ავღანელებისთვის საზღვრების გადაკეტვა ნამდვილი მლიქვნელობაა – ლაქიაობა ამერიკელთა მიმართ“, – ფიქრობს სულთანი.

პაკისტანი ერთადერთი ქვეყანა იყო (თუ არ ჩავთვლით საუდის არაბეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს), რომელმაც თალიბანის რეჟიმი ოფიციალურად სცნო. პაკისტანის ძველ მთავრობას სურდა, პუშტუნებს ავღანეთზე კონტროლი შეენარჩუნებინათ, ვინაიდან საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრებ ამ ხალხზე პაკისტანელებს უდიდესი ზეგავლენა გააჩნდათ. თალიბანი სწორედ ამ პუშტუნებისაგან იყო დაკომპლექტებული. ისინი ავღანეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოადგენენ – თითქმის ორმოც პროცენტს. ჩრდილოეთით მოსახლეობის უმრავლესობა, და საერთოდ, ავღანეთის მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ტაჯიკია. ალიანსი, რომელიც თავგამეტებით იბრძოდა თალიბანის წინააღმდეგ და თერთმეტი სექტემბრის შემდეგ ამერიკელების მხარდაჭერაც მოიპოვა, ძირითადად ტაჯიკებისგან შედგებოდა – ხალხისაგან, რომელთაც პაკისტანელები მეტად სკეპტიკურად უყურებენ. მას შემდეგ, რაც თალიბანი დამარ-

ცხდა და ტაჯიკებმაც, შესაბამისად, მთავრობაში მეტი ძალა მოიპოვეს, პაკისტანელებს მიაჩნიათ, რომ ისინი მტრებით არიან გარემოცულნი: აღმოსავლეთით – ინდოელებით, დასავლეთით კი – ავღანელებით.

თუმცაღა, ავღანეთში ხალხთა შორის ეთნიკური ზიზღი ნაკლებად იგრძნობა. კონფლიქტებს, ძირითადად, სხვადასხვა მეომარი დაჯგუფებების მიერ ძალაუფლების მოპოვების მიზნით წარმოებული ბრძოლები განაპირობებს. ტაჯიკები შიშობენ, რომ პუშტუნები მეტ ძალაუფლებას მოიპოვებენ და კვლავ სისხლისღვრა და ომები გაჩაღდება. პუშტუნებსაც იგივე რამ აშინებთ ტაჯიკებთან მიმართებაში. ასეთივე ურთიერთობებია უზბეკებსა და ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრებ ხაზარებს შორის. ბევრი შეჭახება უშუალოდ ამ სახალხო დაჯგუფებების მეთაურებს შორისაც მომხდარა.

სულთანს ნაკლებად აინტერესებს მის ან სხვების ძარღვებში ვისი ჯიმის სისხლი ჩქეფს. ყველა ავღანელის მსგავსად, ისიც ნარევია. მისი დედა პუშტუნია, მამა კი – ტაჯიკი. მისი პირველი ცოლი პუშტუნია, მეორე – ტაჯიკი. ფორმალურად ისიც ტაჯიკი გამოდის, რადგან ეთნიკური მემკვიდრეობა ძირითადად მამიდან გადმოდის. იგი ორივე ენას ფლობს – პუშტუს და დარის – სპარსულის იმ დიალექტს, რომელზეც ტაჯიკები საუბრობენ. სულთნის აზრით, დროა ავღანელებმა ომები უკან მოიტოვონ და ქვეყნის შენებაში მხარი აუბან ერთიმეორეს. მისი ოცნებაა, ის დაკარგული აღიდგინონ, რასაც მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა ჰქვია. ჯერჯერობით, ამ მხრივ საიმედო არაფერია. შეიძლება ითქვას, რომ სულთანს საკუთარმა თანამემამულეებმა იმედები გაუცრუეს. იგი ხშირად ბრაზობს იმ ადამიანებზე, რომლებიც დანაზოგს მექაში წასასვლელად იყენებენ, მაშინ როცა თავად სულთანი წელებზე ფეხს იდგამს იმისთვის, რომ თავისი საქმიანობა და ბიზნესი გაათავართოვოს. პაკისტანში გამგზავრებამდე ამის თაობაზე თავის დეიდაშვილ ვაჰიდსაც კი ეკამათა. ვაჰიდი ავტონანი-

ლების პატარა მაღაზიას ფლობს. ეს მაღაზია კი, როგორც ჩანს, იმისთვის სჭირდება, რომ აქეთ-იქით იწანწალოს. რამდენიმე დღის წინ მან სულთანთან შეირბინა და ახარა, რომ, როგორც იქნა, მექაში წასასვლელ ფულს თავი მოუყარა.

– შენ გგონია, ლოცვა გიშველის? – ჰკითხა დამცინავად სულთანმა, – ყურანში წერია, რომ უნდა ვიმუშაოთ, რათა ჩვენი პრობლემები თავადვე გადავჭრათ, ვიშრომოთ, ოფლი ვიდინოთ... მაგრამ ჩვენ, ავღანელები, ბარმაჯი ხალხი ვართ. შრომის ნაცვლად ხან დასაფლეთს ვთხოვთ დახმარებას და ხან – ალაჰს. – მაგრამ ყურანში ისიც წერია, რომ ღმერთს პატივი უნდა მივაგოთ, – შეეპასუხა ვაჰიდი.

– მუჰამედ წინასწარმეტყველი ნამდვილად ცრემლად დაიღვრებოდა, მისკენ მიმართული ყოველი ვედრება და ლოცვა რომ ესმოდეს, – აგრძელებდა სულთანი, – ამ ქვეყნის ფეხზე დაყენებას ქვაზე თავის ხლა ვერ უშველის. ჩვენ მხოლოდ ყვირილი, ლოცვა და ომი გვეხერხება, მაგრამ ხალხი თუ არ იმუშავებს, მარტო ლოცვა რას გვიშველის. მხოლოდ ღვთის წყალობის მოლოდინში ვერ ვიქნებით, – უკვე თითქმის ყვიროდა საკუთარი სიტყვებით აღგზნებული სულთანი, – ამოდ ვეძებთ ხსნას წმინდანებში...

სულთანმა იცოდა, რომ ამ სიტყვებით დეიდაშვილს გულს ატკენდა, მაგრამ მისთვის მუშაობა ყველაფერზე მნიშვნელოვანი იყო ცხოვრებაში. სულთანი გამუდმებით ცდილობდა, თავისი ვაჟიშვილებისთვისაც იგივე ჩაენერგა. ამის გამო შვილები სკოლიდანაც კი გამოიყვანა და თავის მაღაზიებში დააწყებინა მუშაობა, რათა მამის წიგნების იმპერიის შექმნაში წვლილი მათაც შეეტანათ.

– მაგრამ მექაში წასვლა ისლამის ხუთთავან ერთ-ერთი საფუძველია, – არ თმობდა დეიდაშვილი, – იმისთვის, რომ კარგი მუსლიმი იყო, ღმერთი უნდა სცნო, უნდა ილოცო, იმარხულო, მოწყალება გასცე და მექაში გაემგზავრო.

– შესაძლოა, ყველა ერთადაც გავემგზავროთ მექაში, – თქვა ბოლოს სულთანმა, – მაგრამ ეს უნდა დავიმსახუროთ. იმისთვის უნდა

გავემგზავროთ, რომ ღმერთს მადლობა შევწიროთ და არა იმისთვის, რომ მხოლოდ ვილოცოთ.

„ახლა ალბათ ვაჰიდი მექის გზას ადგას პილიგრიმის თეთრ სამოსში გამონყობილი“, – ფიქრობს სულთანი, ქირქილებს და შუბლიდან ოფლს იწმენდს. მზე საშინლად აცხუნებს. ბილიკი, ბოლოს და ბოლოს, თავქვე ეშვება. პატარა მიდამოს ტყიან ბილიკთან რამდენიმე „პიკაპის“ ტიპის მანქანა იცდის. ამ ტრანსპორტს კიბერის უღელტეხილის „ტაქსებს“ ეძახიან და მათი მოვლობელები კარგ სარგებელსაც ნახულობენ არალეგალური მგზავრების ქვეყანაში გადაყვანით.

ერთ დროს ამ უღელტეხილზე ცნობილი „აბრეშუმის გზა“, უდიდესი ცივილიზაციების – ჩინეთისა და რომის დამაკავშირებელი სავაჭრო გზა გადიოდა. ამ გზით აბრეშუმი დასავლეთში გადაჰქონდათ, ოქრო-ვერცხლი კი – აღმოსავლეთში.

ათას წელზე მეტია, რაც კიბერის უღელტეხილს ათასი ჯურის ადამიანი ქელავს. სპარსელები, ბერძნები, მონღოლები, ავღანელები და ბრიტანელები სწორედ ამ უღელტეხილს იყენებდნენ, როდესაც ინდოეთის დასაპყრობად მიემართებოდნენ. ძვ. წ. მე–6 საუკუნეში სპარსეთის მეფე დარიოსმა ავღანეთს უდიდესი ნაწილი დაიპყრო და გზა მდინარე ინდამდე სწორედ კიბერის უღელტეხილის გავლით გააგრძელა. ორი საუკუნის შემდეგ კი ალექსანდრე დიდის გენერლებმა თავიანთი მეომრები ასევე ამ უღელტეხილით გადაიყვანეს – გზით, რომელზეც მხოლოდ ერთი კარგად დატვირთული აქლემი ან ორი ცხენი გაჭირვებით თუ გაივლიდა. ჩინგიმ ხანმა აბრეშუმის გზის დიდი ნაწილი გაანადგურა, გაცილებით მშვიდობიანი მოგზაური მარკო პოლო კი ქარავანთა ნაკვალევს აღმოსავლეთით სწორედ ამ გზით მიუყვებოდა.

დარიოსის დროიდან მოყოლებული ბრიტანელებამდე, რომელთაც 1800-იან წლებში უღელტეხილი დაიკავეს, დამპყრობლებს აქ ყოველთვის დიდი წინააღმდეგობები ხვდებოდათ მთებში მობინადრე პუშტუნთა ჯგუფების მხრიდან. მას შემდეგაც, როცა 1947 წელს

ბრიტანელებმა უკან დაიხიეს, უღელტეხილსა და ფეშვარის მიმდებარე ტერიტორიას კვლავ იგივე ჯგუფები აკონტროლებდნენ. ყველაზე ძლიერამოსილი აფრიდთა დაჯგუფება იყო, რომელიც ყველას შიშის ბარს სცემდა თავისი სახელგანთქმული მეომრებით.

საზღვრის გადაკვეთისას ვაცს პირველად იარაღის რაოდენობა ეცემა თვალში. პაკისტანის მხარეს, მთავარი გზის გასწვრივ, შიგადაშიგ კვლავ გვხვდება კლდის რომელიღაც დიდ ლოდზე ამოტვიფრული ან ჭუჭყიან ფირფიტაზე მიწერილი სიტყვები Khyber Rifles. ეს სახელი იარაღის დამამზადებელ ერთ-ერთ კომპანიასაც ჰქვია და ადგილობრივ მილიციასაც, რომელსაც ამ მიდამოებში უსაფრთხოების ზომების დაცვა ევალება. მილიცია „დიდ საგანძურს“ იცავს. საზღვარს გადალმა მდებარე სოფელი ცნობილია თავისი კონტრაბანდული ბაზრობით, სადაც იარაღისა და ჰაშიშის იაფად ყიდვა შეიძლება. აქ, ამ ტერიტორიაზე იარაღის ტარების უფლება არავის ადარდებს, მაგრამ იმას კი, ვინც პაკისტანის ტერიტორიაზე იარაღს შეიტანს, მრავალწლიანი ციხე ემუქრება. სოფელში, თიხის ქოხების გვერდით, დიდი, ბრწყინვალე სასახლეებიც დგას, რომლებიც მეპატრონეებს შავი ფულით აუშენებიათ. ქვისგან აგებული პატარა ციხესიმაგრეები და პუშტუნების ტრადიციული, თიხის მაღალი კედლით გარშემორტყმული სახლები მთის ფერდობებზე მიმოფანტულა. შიგადაშიგ ბეტონის კედლებიც მოჩანს. ეს ეგრეთ წოდებული „დრაკონის კბილებია“, რომლებიც ბრიტანელებმა მეორე მსოფლიო ომის დროს ააგეს ინდოეთში შეჭრილი გერმანელებისგან თავის დასაცავად.

ამ უპატრონოდ დარჩენილ მიდამოებში უცხოელთა გატაცების უამრავი ფაქტია დაფიქსირებული, რის გამოც მთავრობამ მკაცრი ზომები გაატარა. თვით ფეშვარისკენ მიმავალ მთავარ გზაზეც კი, რომელსაც პაკისტანური ძალები აკონტროლებენ, უცხოელებს დაცვის გარეშე გადაადგილების უფლება არა აქვთ. დაცვის წევრები მთელი

გზა გადატენილი იარაღით სხედან. შესაბამისი საბუთებისა და შეიარაღებული მცველის გარეშე უცხოელებს არც ფეშავრის დატოვებისა და ავღანეთის საზღვარზე გადასვლის უფლება აქვთ.

უკვე ორი საათია, რაც სულთანი ამ ვიწრო ბილიკს მიუყვება. გზის ერთ მხარეს კლდე აღმართულა, მეორე მხრიდან კი შემზარავი უფსკრული იმზირება. ცხენზე კიდევ რამდენიმე საათი უნდა იჯდეს. ბოლოს და ბოლოს, დაღლილ-დაქანცული სულთანი დაბლობს დაუყვება და ახლა მას უკვე ფეშავრის დანახვაც შეუძლია. ჰაიატაბადის 103-ე ნომრამდე ტაქსით მიდის. უკვე კარგად არის შებინდებული, როდესაც შარიფას ეზოს კარზე ბრახუნი ესმის. „მინც ჩამოვიდა“, – ფიქრობს ქალი და კარის გასაღებად კიბეზე ჩარბის. იქ კი დაქანცული და ჭუჭყიანი სულთანი დგას. ვაცი ცოლს შაქრის ჭუჭყიან ტომარას აწვდის და შემდეგ ორივენი სახლში შედიან.

– კარგად იმგზავრე?

– არაჩვეულებრივი ბუნებაა, – პასუხობს სულთანი, – უჩვეულო გარიჟრაჟი.

სანამ სულთანი იბანს, შარიფა ვახშამს ამზადებს და იატაკზე ფუმფულა ბალიშებს შორის გაფენილ ფარდაგზე სუფრას შლის. სულთანი სააბაზანოდან ახლადგაუთოებულ ტანისამოსში გამონკვეპილი გამოდის და სუფრაზე დანყობილ მინის თეფშებს უკმაყოფილოდ დასცქერის.

– ეს იათფასიანი შუშის თეფშები არ მომწონს! – მიმართავს იგი შარიფას, – ჭუჭყიან ბაზარზე ნაყიდ ჭურჭელს მაგონებს. ქალი უბრალო მინის თეფშებს ფაიფურის თეფშებით უსიტყვოდ ცვლის.

– ასე მირჩევნია. საჭმელიც უფრო გემრიელია, – აღნიშნავს კმაყოფილი სულთანი.

სულთანი ქაბულში მომხდარ ამბებს უყვება შარიფას, ის კი ჰაიატაბადის ჭორებს უამბობს ქმარს. ერთმანეთი რამდენიმე თვეა არ უნახავთ. ისინი შვილებზე, ნათესავებზე ლაპარაკობენ და უახლოეს დღეებს გეგმავენ. პაკისტანში ჩამოსვლისას სულთანს გამუდმებით

უნევს იმ ნათესავების მონახულება, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაბრუნებულან ავღანეთში.

ეს თავაზიანობის გამომხატველი ვიზიტებია. პირველად გარდაცვლილი ნათესავების ოჯახებს უნდა ესტუმროს და მიუსამძიმროს, შემდეგ ძალიან ახლობლებს და მერე, თუ დრო დარჩება, სხვებსაც მონახულებს. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი ხნითაა ჩამოსული.

სულთანს სულაც არ ეხალისება შარიფას დების, ძმების, სიძეების, მათი მშობლების, დეიდაშვილებისა და ბიძაშვილების მონახულება, მაგრამ იმის გასაიდუმლოება, რომ სულთანი ფეშავარში იმყოფება, თითქმის შეუძლებელია. ამ ქალაქში ყველამ ყველაფერი იცის. ასეც რომ არ იყოს, ეს ვიზიტები ის ერთადერთი რიტუალია, რაც შარიფასა და სულთნის ქორწინებიდან შემორჩენილა. ახლა შარიფას მხოლოდ ის შეუძლია მოსთხოვოს ქმარს, რომ მისი ნათესავების მიმართ პატივისცემა გამოხატოს და მათთან ყოფნისას ისე მოიქცეს, როგორც მოსიყვარულე ქმარი.

ვიზიტები უკვე დაგეგმილია და ახლა შარიფა ქმარს ქვედა სართულზე მომხდარ ამბავს, ანუ სალიქას სამიჯნურო ისტორიას უყვება.

– შენ იცი, სიტყვა „ბოზი“ რას ნიშნავს? – ამბობს ბალიშებზე რომაელი კეისარივით განოლილი სულთანი, – მაგ გოგოს სწორედ ეგ სიტყვა შეეფერება.

შარიფა აპროტესტებს და ამბობს, რომ გოგონა იმ ყმანვილთან პაემანზე მართო არ ყოფილა.

– მე მის აზროვნებას ვგულისხმობ, მენტალიტეტს, – აგრძელებს სულთანი, – ახლა თუ არა, მერე იზამს. როცა იგი ირჩევს უვარგის ბიჭს, რომელიც ვერასოდეს იმუშავებს, მამ როგორღა იშოვის ფულს იმ ლამაზი სამკაულისა და ტანსაცმლის შესაძენად, ასე ძალიან რომ უყვარს? – კითხულობს იგი, – თავმოხდილ ქვაბში ათასი რამ ჩავარდება: ჭუჭყი, მიწა, მტვერი, მწერები, გამხმარი ფოთლები, – არ ცხრება სულთანი, – სალიქას ოჯახიც სწორედ ასე ცხოვრობს, სარქველის

გარეშე ათასი სიბინძურე ცვივა მათთან. მამა წასულია, მაშინაც, სანამ აქ იყო, ოჯახში ვერასოდეს ნახავდი. უკვე სამი წელია, რაც ბელგიაში ცხოვრობს ლტოლვილად და ისიც ვერ მოუხერხებია, საბუთები მოანერგოს და ოჯახიც თან წაიყვანოს, – ქირქილებს სულთანი, – ნამდვილი ხელმოცარულია. სალიქა კი, რაც ფეხი აიდგა, მას შემდეგ საქმროს დაეძებს. შემთხვევის წყალობით, ეს საქმრო უვარგისი, ღატაკი ნადიმი აღმოჩნდა. გახსოვს, ეგ გოგო ჩვენს მანსურსაც ეპრანჭებოდა.

წიგნებით მოვაჭრე ჭორების მორევმა ჩაითრია.

– მახსოვს, დედამისიც აქტიურობდა, – პასუხობს შარიფა, – სულ იმას მეკითხებოდა, მანსურისთვის ცოლს ხომ არ ვეძებდი. მე კი ვპასუხობდი, რომ ჯერ ძალიან ადრე იყო, ბიჭს უნდა ესწავლა. სალიქას-ნაირი გამოუსადეგარი გოგო რაში სჭირდება ჩემს მანსურს. როდესაც შენი ძმა, იუნუსი ფეშავარში ჩამოვიდა, მერე იმას დაადგეს თვალი, მაგრამ ეს იათფასიანი გოგო არც მან მოინდომა.

სალიქას დანაშაულს უმცირეს წვრილმანებამდე განიხილავენ, მერე კი ნათესავების ამბებზე გადადიან.

– ის შენი ბიძაშვილი როგორ არის? – სიცილით კითხულობს სულთანი.

შარიფას ერთ-ერთმა ბიძაშვილმა ქალმა მთელი თავისი ცხოვრება მშობლების მოვლას მიუძღვნა. ისინი რომ დაიხოცნენ, უკვე ორმოცდახუთი წლის ქალი და-ძმებმა ერთ ქვრივ ვაცს მიათხოვეს, რომელიც თავისი შვილებისთვის ახალ დედას ეძებდა. სულთანს ამ ისტორიის მოსმენა არასოდეს ბეზრდება.

– ქორწილის მერე სულ შეიცვალა, როგორც იქნა, დაქალდა, – ხარხარებს სულთანი, – შვილი ხომ არ ეყოლა, ალბათ თვიური ქორწილამდე ბევრად ადრე ჰქონდა დაკარგული. ეს კი რას ნიშნავს? არანაირი შესვენება იმ ამბავში. ყოველ ღამე გზა ხსნილია. – იქნებ ასეცაა, – სიტყვას აშველებს შარიფა, – ხომ გახსოვს, ქორწილამდე

რა გაფშევილი და გამხმარი იყო. ახლა უნდა ნახო, რა შეცვლილია. მგონი, გამუდმებით სურვილით იწვის.

ახლა შარიფაც ხარხარებს. ამ თამამი აზრის გამოთქმისთანავე პირზე ხელს იფარებს და სიცილით იგუდება. თითქოს, ცოლ-ქმარს შორის არსებული ძველი ინტიმი კვლავ დაბრუნდაო. ისინი ერთად გაწოლილან იატაკზე დაგებულ ლეიბზე და წინ ვახშმის ნარჩენები უწყვიათ.

– დეიდაშენი გახსოვს? გასაღების ჭუჭრუტანიდან რომ უთვალთვალედი, როგორ მოიკვება თანდათან! მის ქმარს უკნიდან ჰყვარებია... – ხარხარებს ისევ სულთანნი.

ერთი ისტორია მეორეს ცვლის. სულთანნი და მისი ცოლი ჰატარა ბავშვებივით წვანან იატაკზე და ნათესავების მრავალფეროვან სექსუალურ ცხოვრებაზე ამბების მოყოლით ერთობენ თავს.

გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს ავღანეთში სექსი არ არსებობს. ქალები სხეულს ბურკის ქვეშ მალავენ, დიდ და ფართო ტანისამოსს ატარებენ. განიერი ტუნიკების ქვეშ გრძელი შარვლები აცვიათ. მათ საკუთარი სახლშიც კი ვერ იხილავთ გულამოღებული მაისურით. ქალსა და მამაკაცს, რომლებიც ერთმანეთს არ ენათესავებიან, ერთ ოთახში ყოფნა ეკრძალებათ. არც ერთმანეთთან საუბარი შეუძლიათ და არც საერთო მაგიდასთან ჭდომა.

სოფლებში ასეთი დაყოფა ქორწილებშიც კი ხდება. ამ დროს ქალები ცალკე ილხენენ, კაცები – ცალკე. მაგრამ ამ მოჩვენებითი წესიერების მიღმა ცხოვრება დულს. იმისდა მიუხედავად, რომ მრუშობა ავღანეთში იკრძალება და ის, ვინც შესცოდავს, სიკვდილით ისჯება, საყვარლები ქალებსაც ჰყავთ და მამაკაცებსაც. აქ უხვად არიან მეძავები, რომლებსაც საქორწილო ყმანვილები და ცოლიანი კაცები ხშირად სტუმრობენ.

სექსის თემას ძველ ავღანურ მითებსა და თქმულებებში დიდი ადგილი უჭირავს. სულთანს განსაკუთრებით უყვარს რვაასი წლის წინ მოღვაწე გამოჩენილი პოეტის – რუმის მიერ შექმნილი ნაწარმოები,

რომელსაც „მასნავი“ ჰქვია. პოეტი ამ ნაწარმოებში სექსის თემას იყენებს, რათა მიგვანიშნოს იმაზე, რომ სხვების საქციელის ბრმად მიბადვამ სავალალო შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს. სულთანი შარიფას უყვება:

– ერთ ქვრივ დედაკაცს ვირი ჰყავდა, რომელიც ძალიან უყვარდა. ვირი ყოველთვის ემორჩილებოდა თავის პატრონს და იქ დაატარებდა, სადაც ქვრივი მოისურვებდა. ქალიც თავს ევლებოდა საყვარელ ცხოველს და ვარგადაც კვებავდა. მაგრამ რამდენიმე ხნის მერე ვირს უმიზნოდ ყროყინი დასჩემდა და ჩვეულებრივზე მალეც იღლებოდა. ბოლოს მადაც კი დაკარგა. ქვრივი ამის გამო ძალიან წუხდა. ერთ ღამეს სადგომში შევიდა, რათა ენახა, ეძინა თუ არა ცხოველს. ქალი კი რას ხედავს: მისი მოსამსახურე დედაკაცი თივის გროვამე განოლილა და ზედ მისი ვირი გადამხობია. ასე მეორედებოდა ყოველ ღამე. ქვრივი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და გადაწყვიტა, თვითონაც ეცადა. მოსამსახურე ქალი რამდენიმე დღით დაითხოვა და მის ნაცვლად თავად განვა თივის ზვინზე. შინდაბრუნებულმა მოსამსახურემ კი თავისი ცნობისმოყვარე პატრონი მკვდარი იპოვა. ქალი მაშინვე მიხვდა, რომ ქვრივი მის მსგავსად არ მოიქცა და ვირს ასოს დასამოკლებლად გოგრის ნაჭერი არ ჩამოაცვა, რადგან მხოლოდ წვერიც კი საკმარისზე დიდი იყო სიამოვნების მისაღებად.

ხითხითითა და ლაპარაკით გულმოჭერებული სულთანი ბალიშებიდან დგება, პერანგს ისწორებს და გვერდითა ოთახში ელექტრონული ფოსტის შესამოწმებლად გადის. ამერიკული უნივერსიტეტები 70-იანი წლების გაზეთებს სთხოვენ, მკვლევრებს უძველესი ხელნაწერები აინტერესებთ, ლაჰორის სტამბიდან ანგარიშს აწვდიან იმის თაობაზე, თუ რა თანხა დაუჭრდება ღია ბარათების დაბეჭდვა მას შემდეგ, რაც ქალაქის ფასმა აინია. ღია ბარათები სულთნის შემოსავლის ძირითადი წყაროა. იგი ერთ დოლარად სამოც ბარათს ბეჭდავს, მაშინ, როცა შემდეგ იმავე ფასად სამ ცალს ყიდის. ამ ბოლო დროს მოვლენები მის სასიკეთოდ ვითარდება. განსაკუთრებით მას შემდეგ,

რაც თალიბანის რეჟიმი გადავარდა, აბსოლუტურად ყველაფრით ვაჭრობის ნებართვა აქვს.

სულთანს მეორე დღესაც იგივე საქმე ელის. წერილებს კითხულობს, წიგნის მაღაზიებს სტუმრობს და ამანათების მისაღებად და გასაგზავნად ფოსტაშიც შერბის. ამ ყველაფრის შემდეგ კი მისთვის საძულველი „თავაზიანი ვიზიტები“ იწყება. პირველად მისასამძიმრებლად მიდის ერთ ბიძაშვილთან, რომელსაც ქმარი დაეღუპა სიმსივნით. მერე შედარებით მხიარული ვიზიტი აქვს თავის დეიდაშვილ საიდთან, რომელიც გერმანიიდან ახალი ჩამოსულია. საიდი გერმანიაში თავს პიცის ტარებით ირჩენს. ადრე ინჟინრად მუშაობდა Ariana Air-ში – ავიაკომპანიაში, რომლითაც ერთ დროს ავღანეთი ამაყობდა. საიდი ოჯახთან ერთად უკან, ქაბულში გადმობარგებას და ძველი სამუშაო ადგილის დაბრუნებას გეგმავს, მაგრამ ჯერ ცოტა თანხის დაგროვება სურს. გერმანიაში პიცის ტარება უფრო შემოსავლიანი საქმეა, ვიდრე ქაბულში ინჟინრად მუშაობა. გარდა ამისა, მას ჯერ კიდევ ვერ გადაუჭრია ის პრობლემა, რომელიც ქაბულში გადაბარგების შემთხვევაში არ ასცდება – საიდს ფეშავარში ცოლი და შვილები ჰყავს, გერმანიაში კი მეორე ცოლი ელის. ქაბულში თუ დაბრუნდა, მაშინ ყველას ერთად მოუწევს ცხოვრება. ეს მას კატეგორიულად არ სურს. ჯერჯერობით პირველ ცოლს მეორე ცოლი სულაც არ ადარდებს, რადგან ქალები ერთმანეთს ვერ ხედავენ, საიდი კი მოვალეობას ერთგულად ასრულებს და დროულად აგზავნის ოჯახში ფულს, მაგრამ მათ ერთად თუ მოუწევთ ცხოვრება, მაშინ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდება.

ფეშავარში გატარებული ყოველი დღე დამღლეელია სულთნისთვის. მას ხან ერთი ნათესავი ეწუწუნება, რომელიც ნაქირავები ბინიდან გამოაგდეს, ხან მეორე, რომელსაც კერძო ვაჭრობის დასაწყებად თანხა სჭირდება, ხან კი მესამე, რომელსაც ფულის სესხება სურს. სულთანი ფულს იშვიათად გასცემს. იმის გამო, რომ მას ეკონომიურად არ უჭირს, ნათესავები ხშირად მიმართავენ დახმარებისთვის.

სულთანი მათ ძირითადად უარით ისტუმრებს, რადგან მიაჩნია, რომ მათი უმეტესობა უსაქმურია და ხელის განძრევა ეზარება. ყოველ შემთხვევაში, მთხოვნელმა ფულის სესხების მიზანი უნდა დაასაბუთოს, ასეთები კი სულთნის თვალში ძალიან ცოტანი არიან.

ნათესავებთან სტუმრობისას საუბარს ძირითადად შარიფა წარმართავს ხოლმე. ქალი ათასნაირ ამბავს ჰყვება და ირგვლივ სითბოსა და მხიარულებას აფრქვევს. სულთანი კი ზის და ყურს უგდებს. შიგადაშიგ ისიც რაღაცას ამბობს, რაც უმეტესად ხალხის შრომით მორალს ან თავის საქმიანობას შეეხება. იტყვის თუ არა სულთანი, რომ წასვლის დროა, შარიფა მაშინვე ფეხზე დგება, შაბნამს წინ გაიგდებს და წასასვლელად ემზადება. მერე სამივენი მდუმარედ მიაბიჯებენ ჰაიატაბადის ნაგვიან ქუჩებში და ფილტვები უკანა ეზოებიდან მონაქროლი მტვრიანი ჰაერით ევსებათ.

ერთ საღამოს შარიფა განსაკუთრებულად ირთვება. ცოლქმარი იმ შორეული ნათესავების მონახულებას აპირებენ, რომლებიც სულ რაღაც ორი კვარტლის მოშორებით ცხოვრობენ და სულთნის „თავაზიანი ვიზიტები“ ჩვეულებისამებრ არ ეხებათ ხოლმე. შარიფა რის ვაი-ვაგლახით მიკაკუნებს გზაზე თავისი მეტისმეტად მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით, უკან კი ხელიხელჩაკიდებული სულთანი და შაბნამი მიჰყვებიან.

მასპინძლები სულთნის ოჯახს გულთბილად ხვდებიან ისინი სტუმრებს ჩირით, თხილეულით, კარამელის კანფეტითა და ჩაით უმასპინძლდებიან, თავაზიანად მოიკითხავენ ერთიმეორეს და ახალ ჭორმართალსაც გაანდობენ. ბავშვებიც იქვე სხედან და უფროსების საუბარს ყურდაცქვეტილები უსმენენ. შაბნამში მიწის თხილს აკნატუნებს და მოწყენილი ჩანს.

იქ შეკრებილთ მხოლოდ ცამეტი წლის ბელქისა აკლიათ. გოგონამ კარგად იცის, რომ მისი იქ ყოფნა ამ შემთხვევაში ყოველად მიუღებელია, რადგან ეს ვიზიტი და საუბარი სწორედ მას შეეხება.

შარიფა ამ ოჯახში სამაჭანკლოდ ადრევე ყოფილა მოსული, თუმცა ამჯერად, წინააღმდეგობის მიუხედავად, სულთანიც თან გაიყოლა, რათა საქმისთვის მეტი სერიოზულობა მიენიჭებინა. ვიზიტის მიზები სულთნის ნაბოლარა ძმა – იუნუსი გახლდათ. იუნუსს ბელქისა ჯერ კიდევ ორი წლის წინ, პაკისტანში ლტოლვილის სტატუსით ცხოვრებისას ჩავარდნია გულში.

ბელქისა მაშინ სულმთლად ბავშვი იყო. იუნუსმა მაჭანკლობა შარიფას ანდო. თვითონ გოგონასთან ლაპარაკიც კი ვერ გაებედა. ბელქისას მშობლებისგან ყოველთვის ერთ პასუხს იღებდნენ: გოგონა ჯერ ძალიან ნორჩიაო. სანაცვლოდ უფროს ქალიშვილს – ოცი წლის შირინს სთავაზობდნენ. იუნუსს შირინი არ სურდა, რადგან ის ბელქისასავით ლამაზი არ იყო, თანაც მეტისმეტად მონადინებული ჩანდა. როდესაც იუნუსი მათთან სტუმრად იყო, შირინი გამუდმებით მის ირგვლივ ტრიალებდა. გარდა ამისა, ერთხელ იუნუსს მისი ხელი საკმარისზე დიდხანს ეჭირა ხელში და ის, რომ გოგონამ ბიჭს ამის ნება მისცა, უკვე ცუდ საქციელად ითვლებოდა. ანუ ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ შირინი ზომამზე მეტად თამამი გახლდათ.

მშობლები მაინც იმედოვნებდნენ, რომ იუნუსი შირინს ითხოვდა, რადგან მათ ასეთი სასიძოს დაკარგვა არ სურდათ. როდესაც შირინს სხვა მთხოვნელებიც გამოუჩნდნენ, გოგონას მშობლები სულთანთან მივიდნენ და თავიანთი უფროსი ქალიშვილი კიდევ ერთხელ შესთავაზეს იუნუსისათვის. მაგრამ ბიჭი კვლავ უარზე იყო, რადგან თვალი ლამაზ ბელქისაზე დაედგა და აზრის შეცვლას არც აპირებდა.

მიუხედავად იმისა, რომ შარიფა გამუდმებით უარს იღებდა, პოზიციას მაინც არ თმობდა და პერიოდულად მიდიოდა ხოლმე ბელქისას ოჯახში გოგონას ხელის სათხოვნელად. მისი ეს საქციელი სულაც არ ითვლებოდა უზრდელობად. პირიქით, ამით საქმეს მეტი სერიოზულობა ენიჭებოდა. ერთი ძველი გამონათქვამის მიხედვით, მაჭანკალმა მანამ უნდა იაროს საპატარძლოს ოჯახში, სანამ მისი ფეხსაცმლის ლანჩა ნივრის ფურცელივით არ გათხელდება. იმის გამო, რომ

იუნუსის დედა – ბიბი გიული ქაბულში იყო, ამ მოვალეობის შესრულება შარიფამ თავის თავზე აიღო. შარიფა იუნუსის ღირსებებს აღწერდა, ყვებოდა, რომ ბიჭი ბრწყინვალედ ლაპარაკობს ინგლისურად, სულთანს მხარში უდგას წიგნებით ვაჭრობის საქმეში და რომ მათ ქალიშვილს არასოდეს არათფერი მოაკლდება. მაგრამ იუნუსი, რომელსაც ოცდაათი წელი შესრულებოდა, ბელქისას მშობლებს მეტისმეტად უფროსად მიაჩნდათ თავიანთი ქალიშვილისთვის.

ბელქისას დედას ხანის ოჯახში სულ სხვა ყმანვილისთვის დაედგა თვალი. მას სასიძოდ სულთნის ვაჟი – თექვსმეტი წლის მანსური მოსწონდა. მანსურზე დაუფიქრებლად გეტყოდით თანხმობასო, უთხრა ერთხელ შარიფას ბელქისას დედამ.

მაგრამ ახლა შარიფა დადგა უარზე. მანსური ხომ მხოლოდ რამდენიმე წლით იყო გოგონაზე უფროსი და თანაც ბელქისას მიმართ არასოდეს გამოუხატავს ინტერესი. შარიფას აზრით, მანსურისთვის დაოჯახება ჯერ მეტისმეტად ადრე იყო, მას ჯერ უნდა ესწავლა, ქვეყანა ენახა.

– არა მგონია, ბელქისა ცამეტი წლის იყოს. რატომღაც ვფიქრობ, რომ იგი, სულ მცირე, თხუთმეტისა მაინც იქნება, – გაანდო ერთხელ შარიფამ თავისი ეჭვი მეგობარ ქალებს.

ბელქისა ცოტა ხნით შემოდის ოთახში, რათა სულთანმაც შეავლოს თვალი. გოგონა მაღალია, გამხდარი და ასაკთან შედარებით გაცილებით უფროსად გამოიყურება. მას მუქი ლურჯი ხავერდის ტანისამოსი აცვია. ბელქისა მორიდებით ჯდება დედის გვერდით. ვარგად იცის, ეს ხალხი რისთვისაც არის მოსული და თავს ძალიან უხერხულად გრძნობს.

– გათხოვება არ სურს და ამის გამო წამდაუნუმ ტირის, – ეუბნებიან ბელქისას უფროსი დები სულთანს და შარიფს. ამ დროს ბელქისაც იქ არის და იატაკს მდუმარედ დაჟინებით დასცქერის.

საპასუხოდ შარიფა მხოლოდ იცინის და ამბობს, რომ საპატარძლოს ტირილი ვარგის ნიშანია. ეს იმას ნიშნავს, რომ სუფთა და უმნიკვლო გული აქვს.

ორიოდე წუთს შემდეგ ბელქისა დგება და ოთახიდან გადის. დედა სტუმრებს მის მაგივრად უბოდიშებს და ქალიშვილის გასამართლებლად ამბობს, ხვალ გამოცდა აქვს მათემატიკაშიო. იმ დროს, როდესაც უკვე ფინანსური გარიგებები იწყება, გოგონას ოთახში ყოფნა სულაც არ არის სასურველი, მხარეები ჯერ ერთმანეთის ღირსებებს ეცნობიან, შემდეგ კი ფულთან დაკავშირებულ დისკუსიას მართავენ. მსჭელობენ იმაზე, თუ რამდენს მიიღებენ გოგონას მშობლები, რა ფასიანი უნდა იყოს საპატარძლოს კაბა და რა თანხაა საჭირო ქორწილისა და ყვავილებისთვის. მთელ საქორწინო ხარჯებს სიძის ოჯახი ფარავს. სულთნის იქ ყოფნა ამ დისკუსიას კიდევ უფრო ამძაფრებს, რადგან ყველაზე მეტი ფული სწორედ მას აქვს. საბოლოოდ მაინც ვერ თანხმდებიან. ვიზიტი სრულდება და ხანის ოჯახი წასასვლელად ემზადება. ქუჩაში სიჩუმეა და მარტის სიგრილე კანს სუსხავს.

– არ მომწონს ეგ ოჯახი! – ამბობს სულთანი, – ხარბები ჩანან. სულთანს განსაკუთრებით ბელქისას დედა არ მოუვიდა თავალში. ის ბელქისას მამის მეორე ცოლი იყო. ვაცს პირველ ცოლთან შვილი არ ეყოლა და ამიტომაც შეურთავს მეორე, მაგრამ ბელქისას დედა თავისი ქმრის პირველ ცოლს თურმე საშინლად ექცეოდა და ბოლოს საბრალო ქალი იძულებულიც კი გაუხდია, საცხოვრებლად ძმასთან გადასულიყო. ბელქისას დედის შესახებ საშინელ ამბებს ჰყვებოდნენ. ამბობდნენ, რომ იგი ხარბი, ეჭვიანი და ძუნწი ადამიანი იყო. მისი უფროსი ქალიშვილი სულთნის ერთ-ერთმა ნათესავმა ითხოვა. სწორედ ის ვაცი ყვებოდა, რომ სიდედრი გამუდმებით წუნუნებდა ქორწილში, წუხდა, სტუმრებს – საჭმელი, ზეიმს კი ბრწყინვალეობა აკლიაო.

– ყველა ხე თავისნაირ ნაყოფს გამოისხამს. რაც დედაა, შვილიც ის იქნება! – ასკვნის სულთანი, მაგრამ შემდეგ უხალისოდ ამატებს: –

მაგრამ თუ იუნუსს სწორედ ის გოგო უნდა ცოლადა, მაშინ საკამათოც აღარაფერია.

– სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს დაგვთანხმდებიან. ჩვენს ოჯახს უარის თქმას ვერ გაუბედავენ.

მას შემდეგ, რაც ოჯახისა და ნათესავების მიმართ ყველანაირი ვალი მოხდელია, სულთანი იმ საქმეზე მუშაობას იწყებს, რისთვისაც პაკისტანში ჩამოვიდა: სულთანმა სასტამბო საქმეებს უნდა მიხედოს. ერთ დილით, უთენია მიემგზავრება ლაჰორში რომელიც მესტამბეთა, მკინძავთა და გამომცემელთა ქალაქად ითვლება.

სულთანს თან ერთი პატარა ჩემოდანი აქვს, სადაც ექვსი წიგნი, ერთი კალენდარი და ერთი წყვილი გამოსაცვლელ „ტანსაცმელი უწყია ფული ამჭერადაც სამკლავურში აქვს გამოკვრებული, ისევე, როგორც ყოველი მგზავრობისას, ცხელი ამინდია. ფეშავრის ავტოსადგური მგზავრებითაა გაჭედილი, სამგზავრო კომპანიები დიდ კონკურენციას უწევენ ერთიმეორეს.

– ისლამაბადი, ყარაჩი, ლაჰორი! – ყველა ავტობუსთან თითო კაცი დგას და გაჰყვირის.

ავტობუსებს არანაირი სამგზავრო განრიგი არ გააჩნიათ, ისინი გავსებისთანავე გადიან. გასვლამდე ავტობუსში ვაჭრები ადიან. თხილს, მზესუმზირას, ორცხოებილას, ჩიფსებს, ჟურნალებსა და გაზეთებს სთავაზობენ მგზავრებს. ქუჩის მათხოვრები პირდაპირ ღია ფანჯრებში ჩრიან ხელებს. სულთანი მათ თვალს შეგნებულად არიდებს. იგი მუდამ ითვალისწინებს წინასწარმეტყველ მუჰამედის ამრს წყალობის გაღების თაობაზე: კაცმა ჯერ საკუთარ თავს უნდა მიხედოს, მერე ოჯახზე იზრუნოს, ნათესავებზე. ამის შემდეგ კი მეზობლებიც მოიკითხოს და სხვა ღარიბი ხალხიც...

ხანდახან სულთანი რამდენიმე ავლანს ჩაუგდება ხოლმე რომელიმე ქაბულელ მათხოვარს. ესეც იმიტომ, რომ თავიდან მოიცილოს,

მაგრამ პაკისტანელი მათხოვრები მის სიაში სულ ბოლოს წერია. პაკისტანელებმა საკუთარ გაჭირვებულებს თავად მიხედონო, ფიქრობს სულთანნი.

სულთან ხანი ავტობუსის უკანა სკამზე უხერხულად ზის. ჩემოდანი ფეხებთან მოუთავსებია. ჩემოდანში კი თავისი ცხოვრების უდიდესი პროექტის ის გეგმა უდევს, რომელიც ჯერჯერობით ქალაქის ერთ პატარა ნაგლეჯზეა ჩამოყალიბებული. სულთანს ახალი ავღანური სასკოლო საგნების დაბეჭდვა დაუსახავს მიზნად. ამ გაზაფხულზე სკოლები გაიხსნება, ქვეყანას კი ჯერჯერობით არანაირი სასწავლო მასალა არ გააჩნია. ის წიგნები, რომლებიც მუჯაჰედინის მთავრობამ და თალიბებმა დაბეჭდეს, არაფრად ვარგა. ავღანელი პირველკლასელები ანბანს ასე სწავლობდნენ: ასო-ბგერა „ჭ“ – ჭიჭადი, ანუ ჩვენი უმთავრესი მიზანი. ასო-ბგერა „ი“ – ისრაელი – ჩვენი უდიდესი მტერი. „კ“ – „კალაშნიკოვი“, ჩვენი გამარჯვების იარაღი, „მ“ – მუჯაჰედები, ჩვენი გმირები და ასე შემდეგ. მათემატიკის წიგნებშიც კი მთავარ თემას ომი წარმოადგენდა. თალიბების სასკოლო წიგნები მხოლოდ ბიჭებისთვის იყო განკუთვნილი. მოსწავლე ბიჭები ვაშლებსა და ორცხობილებზე კი არ სწავლობდნენ ანგარიშს, არამედ ტყვიებსა და „კალაშნიკოვებზე“. მაგალითად, ასეთი სახის ამოცანები მათთვის ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ:

„პატარა ომარს აქვს ერთი „კალაშნიკოვი“ სამი მჭიდით. თითოეულ მჭიდში ოცი ტყვია დევს. იგი ტყვიების ორი მესამედით სამოც ურჯულოს კლავს. რამდენი მოკლული ურჯულო მოდის თითო ტყვიანზე?“

კომუნისტების დროინდელი წიგნებიც გამოუსადეგარია. მათ მიერ შედგენილი ამოცანები მინის ნაკვეთების განაწილებასა და ხალხთა თანასწორობის იდეალებზეა დაფუძნებული.

სისხლისფერ დროშასა და ბედნიერი გამომეტყველების მქონე გლეხებს ბავშვები კომუნიზმში უნდა შეეტყუებინათ.

სულთანს სურს, სასწავლო სახელმძღვანელოები ზაჰირ შაჰის ეპოქის წიგნებზე დააფუძნოს – იმ მეფის დროინდელ ლიტერატურაზე, რომელიც ქვეყანას ორმოცი, შედარებით მშვიდობიანი წელიწადი მართავდა მანამ, სანამ 1973 წელს ისიც არ ჩამოაგდეს. სულთანი ძველ წიგნებს ახლებურად დაბეჭდავს. გამოსცემს ლიტერატურას, სპარსულ პოემებსა და იგავებს, მათემატიკის სახელმძღვანელოებს, რომლებშიც ერთს პლუს ერთი ორს უდრის, და ისტორიის წიგნებს, რომლებიც ზომიერი ეროვნულობის გარდა არანაირ იდეოლოგიას არ იქადაგებენ. ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების დაბეჭდვას გაეროს ძეგლთა დაცვის ფონდი აფინანსებს. სულთანი, როგორც ქაბულის ერთ-ერთი უდიდესი გამომცემელი, მათ წარმომადგენლებთან შეხვედრაზეც კი იყო მიწვეული. ლაჰორიდან უკან დაბრუნებულმა თავისი საბოლოო წინადადება უნდა შესთავაზოს პარტნიორებს. სულთანს ჯიბეში ქალაქი უდევს, რომელზეც 113 დასახელების სასკოლო სახელმძღვანელოს გვერდების რაოდენობა და სხვა დეტალები ჩაუნიშნავს. ამ ახალი პროექტის ბიუჯეტი ორ მილიონ დოლარს შეადგენს. ლაჰორში სულთანმა ის სტამბა უნდა მონახოს, რომელიც ყველაზე საუკეთესო და ხელსაყრელ პირობებს შესთავაზებს. შემდეგ ქაბულში დაბრუნდება და ოქროსფრად მოვარაყებული საოცნებო კონტრაქტის მოსაპოვებლად იბრძოლებს. სულთანი ვმაცოფილი სახით ზის ავტობუსში და წინასწარ ტვინს იჭყლეთს იმის ანგარიშით, რამდენი პროცენტი ერგება იმ ორი მილიონიდან. იგი თავს უთანხმდება, რომ მეტისმეტი სიხარბე არ უნდა გამოიჩინოს. თუ ამ კონტრაქტს მიიღებს, მაშინ ვარგა ხნით გარანტირებული აქვს სამუშაო, მეტი საშუალება გაუჩნდება ახალი წიგნების დასაბეჭდადაც და შესაძენადაც. სულთანი თავის ფიქრებშია ჩაძირული, ავტობუსი კი ყანებსა და მინდვრებს შორის მიჰქრის გზაზე, რომელიც მთავარ არტერიასავით გაჭიმულა ქაბულსა და კალკუტას შორის. რაც უფრო უახლოვდებიან ლაჰორს, მით უფრო ცხება. ავღანურ მაუდის პერანგში გამონყობილი სულთანი ოფლად იღვრება. თავზე, რამდენიმე ღერი

თმა რომ შერჩენია, ხელს ისვამს და სახეს ცხვირსახოცით იმშრალეებს.

სასკოლო სახელმძღვანელოების დეტალური ნუსხის გარდა, სულთანს თან ის წიგნებიც წამოუღია, რომელთა დაბეჭდვასაც თავისი ხარჯით აპირებს. მას შემდეგ, რაც ავღანეთში უცხოელი ჟურნალისტები, ჰუმანიტარული ორგანიზაციები და დიპლომატები მომრავლდნენ ინგლისურენოვან წიგნებზე მოთხოვნილებაც გაიზარდა. სულთანი ამ წიგნებს უცხოური გამომცემლობებიდან ვი არ ინერს, არამედ თავად ბეჭდავს. პაკისტანი მეკობრე მბეჭდავებისთვის ნამდვილი სამოთხეა. აქ არანაირი კონტროლი არ არსებობს და ბეჭდვის კანონების ან საავტორო უფლებების დაცვაც, შესაბამისად, არავის ადარდებს; იმ წიგნის დაბეჭდვა, რომელიც ქაბულში ოც-ოცდაათ დოლარად იყიდება, სულთანს ერთი დოლარი უჯდება. აჰმედ რაშიდის წიგნი „თალიბანი“, ბესტსელერად რომ იქცა, სულთანმა რამდენჯერმე გამოსცა. უცხოელი ჯარისკაცების ფავორიტი წიგნია „My Hidden War“, რომელიც ერთი რუსი ჯარისკაცის მიერაა დაწერილი და 1979–1989 წლებში ავღანეთის კატასტროფულ ოკუპაციაზე მოგვითხრობს. იმდროინდელი ჯარისკაცები სულ სხვა რეალობის წინაშე იდგნენ, ვიდრე დღევანდელი სამშვიდობოები, ქაბულის ქუჩებში რომ პატრულირებენ და შიგადაშიგ სულთნის წიგნების მალაზიასთან ჩერდებიან საფოსტო ბარათებისა და ძველი, ომის შესახებ დაწერილი წიგნების შესაძენად.

ავტობუსი ლაჰორის სადგურისკენ უხვევს. ცხელი ჰაერი სახეში სცემს სულთანს. სადგურზე იმდენი ხალხია, ნემსი არ ჩავარდება.

ლაჰორი პაკისტანის კულტურისა და ხელოვნების ერთგვარ კვარცხლბეკს წარმოადგენს. ეს მშფოთვარე, უსუფთაო და გამაოგნებელი, ტრიალ მინდორზე გაშენებული და ყოველგვარ ბუნებრივ თავდაცვით საშუალებას მოკლებული ქალაქი უთვალავჯერ დაუპყრიათ, აუოხრებიათ და კვლავ აღუდგენიათ. თუმცა, გარდა ამისა, დამპყრობლები ქალაქში ცნობილ პოეტებსა და მწერლებსაც ინვევდნენ.

ამგვარად, ეს ქალაქი თანდათანობით ლიტერატურისა და ხელოვნების კერად იქცა, იმის მიუხედავად, რომ სასახლეები, სადაც ადრე ამ მოაზროვნეებს იწვევდნენ, კარგა ხნის წინ აღგვილიყო პირისაგან მიწისა.

სულთანი გიჟდება ლაჰორის წიგნის ბაზრობებზე. აქ ბევრჯერ სართიანად უვაჭრია. სულთნის გულს ისე არაფერი ათბობს, როგორც მტვრიან ბაზრობაზე ორიოდე გროშად ნაყიდი ძვირფასი წიგნი. თავად სულთანი ფიქრობს, რომ მას ავღანეთის თემზე დაბეჭდილი პროდუქციის ყველაზე დიდი კოლექცია აქვს მთელს მსოფლიოში. მისი კოლექცია თითქმის რვა-ცხრა ათასი დასახელების წიგნსა და სხვა მასალას მოიცავს. სულთანს ყველაფერი აინტერესებს – ძველი მითებით, ისტორიებით, უძველესი პოეზიით, რომანებითა და უახლესი პოლიტიკური ლიტერატურით დაწყებული, ლექსიკონებითა და აფიშებით დამთავრებული. მისთვის უცხო ნებისმიერი წიგნის დანახვაზე სახე უბრწყინდება.

ამჯერად სულთანს წიგნების ბაზრობებზე სახეტილოდ დრო არა აქვს. ალიონზე დგება, სუფთა ტანსაცმელს იცვამს, წვერს ინესრიგებს და ფესს თავზე ირგებს. მას ახლა უნმინდესი მისია აკისრია – ავღანელი ბავშვებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოები უნდა დაბეჭდოს. სულთანი ნაცნობი სტამბისკენ მიემართება. იქ თალჰა ეგებება, რომელიც ამ სტამბის მეპატრონეთა მესამე თაობის წარმომადგენელია. თალჰა გაოგნებული რჩება სულთნის პროექტით. რთულ საქმეს შეჭიდებიხარო, ეუბნება.

თალჰა სულთანს ჭიქა ჩაითა და ცხიმიანი რძით უმასპინძლდება. სახეზე დაფიქრებით ისვამს ხელს. რალაც შეწუხებული ჩანს. – ნაწილს სიამოვნებით ავიღებ, მაგრამ 113 დასახელების წიგნი! ამის დაბეჭდვას ხომ თითქმის ერთი წელი დასჭირდება, სულთანს ორთვიანი ვადა აქვს. საბეჭდი მანქანების ხმაურში, რომელიც თხელ კედლებში თავისუფლად აღწევს, სულთანი ცდილობს, თალჰა დაარწმუნოს, რომ ყველა სხვა სამუშაო დროებით გვერდზე გადადოს.

– შეუძლებელია, – პასუხობს თალჰა. მიუხედავად იმისა, რომ სულთანი მათი მნიშვნელოვანი კლიენტია, ავღანელი ბავშვებისთვის სახელმძღვანელოების დაბეჭდვა კი – მართლაც წმინდათაწმინდა ამოცანაა, მას სხვა შეკვეთებიც აქვს, რომლებიც აუცილებლად უნდა შეასრულოს. მცირე გამოთვლებს მაინც აკეთებს. ფასი ქალაქის, ფერისა და აკინძვის ხარისხზეა დამოკიდებული. თალჰა ზედმინუნით ითვლის, ანგარიშობს და საბოლოოდ გრძელ ნუსხას ადგენს. სულთანი თვალებს ჭუტავს, გონებაში ანგარიშობს, რუპიებზე, დოლარში... დღეებსა და კვირებს ითვლის. ვადების თაობაზე იცრუა, რათა თალჰა ცოტა დააჩქაროს და სხვისი წიგნების ბეჭდვა დროებით გვერდზე გადაადებინოს.

– ვარგად დაიმახსოვრე, ორი თვე, – კვლავ გაუმეორა სულთანმა, – თუ ამ ვადებში არ ჩაეტევი, ჩემს საქმიანობას დიდ ზიანს მოუტან, ხომ გესმის?

სასკოლო სახელმძღვანელოებზე საუბრის დასრულების შემდეგ სულთანი თავის ახალ წიგნებზე საუბარს იწყებს და ისინი კვლავ ანგარიშობენ, რაოდენობასა და ვადებს ითვლიან. წიგნები, რომლებიც სულთანს თან აქვს წამოღებული, პირდაპირ ორიგინალიდან იბეჭდება. ფურცლებს ერთმანეთისაგან აცალკევებენ და ასლებს იღებენ. მბეჭდავებს გვერდები მეტალის დიდ ფირფიტებზე გადააქვთ. თუ მათ საფოსტო ბარათებისა და ფერადი ყდების დაბეჭდვა სურთ, ფირფიტებს თუთიის გამხსნელს ასხამენ და მზეზე ალაგებენ. მზის სხივები სასურველი ფერის წარმოქმნას უწყობს ხელს. თუ ერთ გვერდზე რამდენიმე ფერია საჭირო, ფირფიტებს ცალ-ცალკე, ერთიმეორის მიყოლებით გამოფენენ, ამის შემდეგ კი კვლავ დანადგარში ათავსებენ და ბეჭდავენ. ეს ყველაფერი ძველი, ნახევრად ავტომატური აპარატურით კეთდება. ერთი მუშა ქალაქს დებს დანადგარში, მეორე კი დანადგარის მეორე ბოლოში, დაბალ სკამზე ზის და იქიდან გამოსულ, უკვე დაბეჭდილ ქალაქებს ახარისხებს. მანქანების ხმაურს თან ძველი რადიოს ხრიალი ერთვის, რომელიც პაკისტანსა და შრი-

ლანკას შორის გამართული კრიკეტის მატჩის რეპორტაჟს გადმოსცემს. კედელზე, ჩვეულებისამებრ, მექას სურათი დაუკიდიათ, ჭერზე კი მკვდარი ბუზებით გამოტენილი სანათური კონწიალობს. მუჟავას ყვითელი ნაკადი პირდაპირ იატაკზე მოედინება და სადინარს უერთდება. საინსპექციო გამოთვლების დასრულების შემდეგ თალჰა და სულთანს იატაკზე სხდებიან და ახლა წიგნის ყდაზე ბჭობენ. სულთანს თავისი საფოსტო ბარათებიდან რამდენიმე მოტივი შეურჩევია. თან ლენტებიც წამოუღია, რომლებიც, მისი აზრით, ძალიან ლამაზია და წიგნების ყდებს ესადაგება. სულ რაღაც ხუთიოდე წუთში მათ ექვსივე წიგნის ყდა აქვთ მზად.

ერთ კუთხეში მამაკაცები სხედან და ჩაის წრუპავენ. ყველანი პაკისტანელი გამომცემლები და მესტამბეები არიან და, სულთნის მსგავსად, უკანონო საგამომცემლო საქმიანობას ეწევიან. ისინი სულთანს ესალმებიან. საუბარი თანდათან ავღანეთში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებს ეხება, კერძოდ იმას, თუ როგორ ცდილობდა ჰამიდ კარზაი სხვადასხვა მებრძოლ ლიდერებს შორის ურთიერთობების დაბალანსებას, მაშინ, როცა ალ-ქაიდას მებრძოლებს იერიში მიეტანათ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილზე. ავღანეთი დახმარებას ამერიკელი სპეცრაზმელებისგან იღებდა. ისინი პაკისტანის საზღვრებს შეფარებული მტრის ბუდეებს აფეთქებდნენ.

ხალიჩაზე მოკალათებული ერთ-ერთი მამაკაცი უკმაყოფილებას გამოთქვამს თალიბანის ავღანეთიდან გაძევების გამო.

– თალიბების ხელი აქაც გვჭირდება, პაკისტანში... ერთი კარგი წესრიგის დამყარებაა საჭირო, – აღნიშნავს იგი.

– ამას იმიტომ ამბობ, რომ ეს ყველაფერი საკუთარ ტყავზე არ გამოიცდია. თალიბები რომ არ გაეძევებინათ, პაკისტანი სულმთლად დაიქცეოდა. ეს ასეა და სხვაგვარად არც გეგონოს, – როხროხებს სულთანს. – წარმოიდგინე: ყველა სარეკლამო აფიშას ჩამოგიხედნენ. შეხედე, ჯერ მარტო ამ ქუჩაზე ათასობით ასეთი აფიშაა. ყველა

დასურათებულ წიგნს დაწვავდნენ, ყველა კინო თუ მუსიკალურ არქივს, ყველა ინსტრუმენტს გაანადგურებდნენ. ველარასოდეს იმღერებდი, ველარც იცეკვებდი. ყველა ინტერნეტკაფე დაიხურებოდა, ტელევიზორის ყურება აიკრძალებოდა და რადიოში მხოლოდ რელიგიური გადაცემები გავიდოდა. გოგონებს სკოლებიდან გამოყრიდნენ და ყველა ქალს სამსახურიდან დაითხოვდნენ. მაშინ კი რაღა იქნებოდა პაკისტანი? ქვეყანა ასი ათასობით სამუშაო ადგილს დაკარგავდა და ღრმა დეპრესიაში ჩაიძირებოდა. ის უქვე აღარ იქნებოდა თანამედროვე ქვეყანა. წარმოიდგინეთ, რას იზამდნენ უმუშევრად დარჩენილი ადამიანები? ყველა მეომარი ხომ არ გახდებოდა? – კითხულობს აღელვებული სულთანი.

კაცი მხრებს იჩეჩავს.

– მე მთელი თალიბანი კი არ ვიგულისხმე... მხოლოდ რამდენიმე მათგანი... – პასუხობს სულთანს.

სხვათა შორის, თალჰაც თალიბანს უჭერდა მხარს და მათ ჰამფლეტებს ავრცელებდა. ორი წლის განმავლობაში მათ ისლამის სახელმძღვანელოებსაც კი უბეჭდავდა. შემდეგ თალიბებმა თალჰას დახმარებით ქაბულში საკუთარი სტამბაც გახსნეს და საკმაოდ იაფად მისგანვე შეიძინეს ნახმარი იტალიური საბეჭდი დანადგარი. გარდა ამისა, თალჰა მათ ქალაღლითა და ტექნიკური აღჭურვილობითაც ამარაგებდა. სხვა პაკისტანელების მსგავსად, თალჰასაც მიაჩნია, რომ ის ღრო, როცა მეზობელ ქვეყანაში პუშტუნთა რეჟიმი იყო გამეფებული, გაცილებით უსაფრთხო და საიმედო იყო.

– სინდისი სრულებით არ გაგაჩნია. ეშმაკსაც კი დაუბეჭდავდი წიგნებს, – ხუმრობით ეუბნება სულთანი თალჰას მას მერე, რაც თალიბანის ლანძღვით გული იჭერა.

თალჰა იშმუშნება, მაგრამ თავის სიტყვას მაინც არ უხვევს. – თალიბანი არანაირად არ ეწინააღმდეგება ჩვენს კულტურას. ისინი პატივს სცემენ ყურანს, ჩვენს წინასწარმეტყველებსა და ტრადიციებს. მე ისეთ რამეს არასოდეს დავბეჭდავდი, რაც ისლამს ეწინააღმდეგება.

– მაგალითად, რას არ დაბეჭდავდი? – სიცილით ეკითხება სულთანნი. თალჰა ფიქრობს.

– მაგალითად, „ემშაკეულ აიებს“ და სალმან რუშდის სხვა ნაწარმოებებს. მალე ალაჰი მის სამალავსაც მიგვაგნებინებს.

ხალიჩაზე მსხდომი ვაცები „ემშაკეული აიების“ გაგონებაზე ყურებს ცქვეტენ. ეს წიგნი არც ერთ მათგანს არ წაუკითხავს.

– ის ვაცი სიკვდილს იმსახურებს, მაგრამ როგორღაც ყოველთვის ახერხებს თავის დაძვრენას. ის ადამიანებიც, რომლებიც მას წიგნებს უბეჭდავენ, მოსაკლავები არიან! – ამატებს თალჰა, – მის ნაწერებს არანაირ ფასად არ დავბეჭდავდი, რადგან მან ალაჰის სახელი შეაგინა და შეურაცხყო.

– იმ ვაცმა ღრმა ჭრილობა მოგვაყენა. გულში დანა ჩაგვცა. იმედი მაქვს, ბოლოს მაინც დაიჭერენ! – ამატებს თალჰას ნათქვამს რომელიღაცა.

სულთანიც ეთანხმება:

– მან ჩვენი სული შეაგინა და სანამ სხვებსაც აიყოლიებდეს, ვინმემ უნდა შეაჩეროს. კომუნისტებმაც არაერთხელ სცდეს ჩვენი განადგურება, მაგრამ ისინი ჩვენი რელიგიის მიმართ პატარა პატივისცემას მაინც გამოხატავდნენ. ეს ვაცი კი, რომელიც თავის თავს მუსულმანს უწოდებს, ასეთ სიბინძურეებს წერს...

ცოტა ხნით ყველა ჩუმდება, თითქოს მოღალატე რუშდის ხსენებამ ყველა შავბნელი ფიქრების ტყვეობაში მოაქციაო, – ადრე თუ გვიან, მაინც დაიჭერენ, ინშალაჰ! თუ ღვთის ნება იქნება! – ამბობს ბოლოს თალჰა.

ლაჰორში სულთანმა რამდენიმე დღე გაატარა. ამ ღროის განმავლობაში მან კანონიერად თუ უკანონოდ გახსნილი ყველა სტამბა მონახულა და დაათვალიერა. თავისი დიადი მიზნის განსახორციელებლად ათობით სტამბა სჭირდება, მთავარია, საქმე როგორღაც გადაანაწილოს. იგი თითოეულ მესტამბეს საქმის ვითარებას და პროექტის შინაარსს განუმარტავს, შემდეგ კი მათ აზრს ისმენს, შეთავაზებებს

იღებს, ინიშნავს და გონებაში განიხილავს. როდესაც რაიმე მომგებიანს სთავაზობენ, თვალები უციმციმებს და ზედა ტუჩი ოდნავ უთამაშებს, ფიქრებში წასული სულთანი ენით ინამავს ტუჩებს და კვლავ ანგარიშობს. როდესაც ყველა საქმეს აგვარებს, სტამბის მეპატრონეებს ჰპირდება, საბოლოო პასუხს რამდენიმე დღეში გაცნობებთო.

ამის შემდეგ წიგნებით მოვაჭრეს კვლავ შეუძლია ქაბულში დაბრუნება. ამჯერად მას საზღვრის გადალახვა ცხენის ზურგით აღარ მოუწევს, რადგან ავღანელებს პაკისტანში მხოლოდ შესვლა ეკრძალებათ, თორემ ქვეყნიდან გასვლისას არანაირი საპასპორტო კონტროლი აღარ წარმოებს. ამგვარად, სულთანს ყველანაირი დაბრკოლების გარეშე შეუძლია პაკისტანის დატოვება.

სულთანი ძველ ავტობუსში ზის და ჯალალაბადიდან ქაბულისკენ მიმავალ დაკლავნილ გზას ჩახჩახით მიუყვება. გზის ერთ მხარეს კლდე აღმართულა, უზარმაზარი ლოდები თითქოს ჩამოშლით იმუქრებიან. გზის რომელიღაც მონაკვეთზე უბედური შემთხვევა მომხდარა: ორი ავტობუსი და სატვირთო მანქანა ერთმანეთს შეჯახებიან და გზიდან გადაცვინილან. საკაცეებით დაღუპული მგზავრების გვამები გადააქვთ. მათ შორის ორი მცირეწლოვანი ბიჭუნას სხეულიცაა. სულთანი გარდაცვლილთა სულებისათვის გულში ლოცულობს და ბოლოს საკუთარი სულისთვისაც აღავლენს მოკლე ლოცვას.

ამ ტრასაზე მხოლოდ საგზაო შემთხვევები და ჩამოშლილი ლოდები როდი აშინებს მგზავრებს. ამ ყველაფერთან ერთად ეს ის მონაკვეთია, რომელზეც არანაირი კანონი არ მოქმედებს. სწორედ აქ, ამ გზაზე გამოასალმეს ყაჩაღებმა სიცოცხლეს ბევრი უცხოელი ჟურნალისტი, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელი და ადგილობრივი ავღანელი. თალიბანის დაცემის შემდეგაც კი ამ გზაზე ოთხი ჟურნალისტი მოკლეს. ისინი ჯერ აწამეს და მერე დახვრიტეს. მათი მძღოლი კი იმან იხსნა, რომ მაჰმადიანი იყო. იმ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ, ყაჩაღებს სამგზავრო ავტობუსი გაუჩერებიათ და ყველა ავღანელი მამაკაცისთვის, რომელსაც წვერი ჰქონდა გაპარსული,

ცხვირი და ყურები დაუჭრიათ. ამ ქმედებით ყაჩაღებმა ხალხს უჩვენეს, თუ როგორი მმართველობის დამყარება სურდათ ქვეყანაში.

როცა იმ ადგილს უახლოვდებიან, სადაც ჟურნალისტები დახოცეს, სულთანი კვლავ ლოცულობს. ყოველი შემთხვევისთვის, ტრადიციული ტანსაცმელი აცვია და არც წვერი გაუპარსავს ბოლომდე. მხოლოდ ჩალმა არ ახურავს თავზე და მის ნაცვლად პატარა მრგვალი ფესი ადევს.

ავტობუსი ქაბულს უახლოვდება.

„სონია გაბრაზებული იქნება“, – ფიქრობს სულთანი და თავისდაუნებურად ეღიმიება. ცოლს დაჰპირდა, ერთ კვირაში დავბრუნდებიო. გამგზავრებამდე შეეცადა აეხსნა, რომ მისი ვიზიტებისთვის ერთი კვირა ძალიან მცირე დრო იყო და შესაძლოა, რამდენიმე დღით დაეგვიანა კიდევ, მაგრამ ქალს მაინც არაფრის გაგონება არ სურდა.

– მაშინ რძეს აღარ დავლევ, – დაემუქრა ქმარს გაბუსხული სონია.

სულთანს ისევ ეღიმიება. ერთი სული აქვს, როდის ნახავს ცოლს. სონიას რძე არ უყვარს, მაგრამ სულთანი ყოველ დილას თითქმის ძალით ასმევს ერთ ჭიქას ეს სონიასთვის აუცილებელია, რადგან ჯერ კიდევ აწოვებს ძუძუს პატარა ქალიშვილს – ლატიფას. ჰოდა, ეს ერთი ჭიქა რძე ქალისთვის ქმრის წინააღმდეგ მუქარის მეთოლად ქცეულა.

როცა სულთანი წასულია, სონიას იგი ძალიან ენატრება, გარდა ამისა, თუ სულთანი შინ არ არის, ოჯახის წევრები არც თუ ისე თავაზიანად ექცევიან უმცროს რძალს. ამ დროს სონია ოჯახის დიასახლისად კი აღარ გრძნობს თავს, არამედ იმ პატარა გოგოდ, რომელიც სულ შემთხვევით აღმოჩნდა ხანების ოჯახში, სულთანის არყოფნის პერიოდში ძალაუფლებას ოჯახის სხვა წევრები იღებენ და რასაც უნდათ, იმას აკეთებენ.

– შე სოფლელოს! – ასე მიმართავენ ისინი სონიას, – ლენჩო! მაგრამ ძალიან ბევრსაც ვერ უბედავენ, რადგან ქალი მერე სულთანთან ჩივის და მისი გაბრაზება კი ნამდვილად არავის სურს.

სულთანსაც ენატრება სონია. ამგვარად შარიფა მას არასოდეს მონატრებია. ხანდახან იმასაც კი ფიქრობს, რომ სონია ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, თითქმის ბავშვი და ჰაერივით სჭირდება ქმრის ზრუნვა და ალერსი, პატარა საჩუქრები და იმის დაძალება, რომ რძით სავსე ჭიქა გამოცალოს.

სულთანი ცდილობს ჩამოაყალიბოს, თუ რა განსხვავებაა მის ორ ცოლს შორის. როცა იგი შარიფასთან ერთადაა, გაცილებით მშვიდად გრძნობს თავს, რადგან ყველა საქმეს შარიფა გეგმავს და აგვარებს. შარიფას პირველ ადგილზე ქმარი უყენია, პირველ რიგში იმაზე ფიქრობს, რა სჭირდება და სურს სულთანს. სონია კი მხოლოდ იმას აკეთებს, რასაც დაავალებენ და თავად იშვიათად ხვდება, როგორ უნდა მოიქცეს.

სულთანი სონიაში ერთ რამეს ვერ ეგუება და მისი ეს უკმაყოფილება მის ყოველდღიურ ცხოვრების რიტმს შეეხება სულთანი დილას უთენია, ხუთი საათისთვის დგება, რათა ფაირის ლოცვა შეასრულოს. ეს ლოცვის ის ერთადერთი ჟამია, რომელსაც სულთანი პატივს სცემს. შარიფაც მასთან ერთად დგებოდა დილაუთენია, წყალს ადუღებდა, ჩაის ამზადებდა, სუფთა ტანისამოსს ულაგებდა ქმარს, მაშინ, როცა სონიას ამ დროს ბავშვივით ღრმად სძინავს და მისი გაღვიძება თითქმის შეუძლებელია.

ხანდახან სულთანი იმასაც ფიქრობს, რომ ამ ყველაფრის მიზეზი თავად მასშია, რომ ის მეტისმეტად მოხუცია სონიასთვის და არ შეეფერება, მაგრამ ბოლოს ასკვნის, რომ მისნაირ ქმარს სონია ვერასოდეს იშოვიდა. თუ იგი თავისი ასაკის ვაცს გაჰყვებოდა, ასეთი პირობები არასოდეს ექნებოდა და თავს ამ არგუმენტებით იმშვიდებს. რომ არა სულთანი, სონია უდავოდ ერთ ღარიბ-ღატაკ ბიჭს გაჰყვებოდა ცოლად, რადგან მისი სოფლელი ყველა ბიჭი ღარიბი იყო.

„წინ კიდევ ერთი ათი-ოცი წელი გვაქვს“, – ფიქრობს სულთანი და სახეზე კმაყოფილება ეხატება. თავს ბედნიერ და იღბლიან ვაცად გრძნობს.

სულთანი თავისთვის ქირქილებს, ცოტათი დელავს კიდევ. თავის სახლს უახლოვდება, სადაც პატარა დიასახლისი – სონია ელოდება.

გსურს, რომ დარდიანი მიხილო?

ქეიფი ვარგა ხანია დასრულდა. იატაკზე ცხვრის კოჭები და გამოხრული ძვლები ყრია. მოხარშული ბრინჯის ნარჩენები, პურის ნატეხები და ფორთოხლის ქერქები იატაკზე მიმოფანტულა, სუფრა კი წითელი წინაკის სანებლისა და მანვნის ლაქებითაა დასვრილი. თითქოს ვიღაცას ოთახი საგანგებოდ დაუნაგვიანებია.

იმავე ოთახში, კედლის გასწვრივ, ბალიშებზე სამი კაცი და ერთი ქალი ზის. ოთახის კუთხეში კი, კართან ახლოს, ორი ახალგაზრდა ქალი მიკუნჭულა. მათ სხვებთან ერთად არ უსადილიათ. ქალები სახეს თავსაფრით იფარავენ, გაყინული მზერით ერთ წერტილს მისჩერებიან და თვალს ვერ უსწორებენ იქ მსხდომ სტუმრებს.

ბალიშებზე მსხდომი ოთხი ადამიანი ზანტად წრუპავს ჩაის. ეტყობა, ოთხივე ძალიან დაღლილია. დღევანდელი საქმის ძირითადი დეტალები დაგეგმილი და გადაწყვეტილია. ვაკილი შაკილას შეერთავს ცოლად, რასული კი ბულბულას მიიღებს. მხარეები მხოლოდ საპატარძლოების საფასურსა და ნიშნობის დღეზე არ შეთანხმებულან.

ოთახში მყოფნი ჩაის შეეცევიან, დაშაქრულ ნუშს აყოლებენ და კვლავ თათბირობენ. შაკილა ას დოლარად შეათვასეს, ბულბულას კი

ყველანაირი საფასურის გარეშე გაათხოვებენ. ვაკილს ფული წინასწარ აქვს გამზადებული. ჭიბიდან ასდოლარიან კუპიურას იღებს და სულთანს აწვდის. სულთანი საკუთარ დაში გადახდილ ფულს ამაყი და გულგრილი გამომეტყველებით იღებს, ვითომდა ეს საფასური მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. რასული შვებით ამოისუნთქებს, იგი გადასახადისგან თავისუფალია... მთელი წლის განმავლობაშიც ვერ მოაგროვებდა იმ თანხას, რომელიც პატარძლისა და ქორწილის ხარჯებს დაფარავდა. სულთანი მაინცდამაინც ვმაცოფილი არ ჩანს. მიაჩნია, რომ მის დებს ადრე ბევრად უკეთესი არჩევანის საშუალება ჰქონდათ, მაგრამ თავიანთი წუნიაობით ბევრი რამ დაკარგეს – ყმანვილქალობის წლებიც და საუკეთესო საქმროებიც.

თხუთმეტი წლის წინ ისინი გაცილებით ახალგაზრდა და მდიდარ კაცებსაც გაყვებოდნენ.

ძალიან წუნიები არიანო, არაერთხელ უთქვამს მათზე ძმას. თუმცა გოგონების ბედის ლაგამი სულთანს კი არა, მათ დედას, მოხუც ბიბი გიულს ეპყრა ხელთ. ახლა ბიბი გიული იატაკზე საპატიო ადგილას მოკალათებულა და სახეზე ვმაცოფილი ღიმილი დასთამაშებს. ფეხმორთხმული ნება-ნება ირწევა. გაზის სანათური ნათელს ჰქვენს მის ნაოჭიან სახეს. ვალთაზე ხელვებდანყობილი ოდნავ იღიმის. ის უკვე სულ სხვა რალაცაზე ფიქრობს და საუბარს ყურს აღარ უგდებს.

თავად ბიბი გიული თერთმეტი წლის იყო, როდესაც თავისზე ოცი წლით უფროს კაცს მიათხოვეს, უფრო სწორად, მიჰყიდეს. ამგვარად, მისი ქორწინებაც ორ ოჯახს შორის შემდგარი გარიგების შედეგი გახლდათ. ბიბი გიულის ძმა მეზობელ ოჯახში ქალის სათხოვნელად მისულა, მათ კი სანაცვლოდ თავიანთი უფროსი საქორწინო ვაჟისთვის ბიბი გიული მოუთხოვიათ. გოგონა მეზობლის ვაჟს შემთხვევით დაენახა ეზოში და მოსწონებოდა.

ბიბი გიულმა ქორწინების მრავალი წლის, სამი ომის, ხუთი აჯანყებისა და თორმეტი მშობიარობის სიმძიმე საკუთარი ზურგით ზიდა.

ახლა კი, როგორც იქნა, ორი უფროსი ქალიშვილიც გაათხოვა. გოგონებს ძალიან გახანგრძლივებოდათ მშობლიურ ბუდეში ყოფნა. უკვე ოცდაათს გადაცილებულნი იყვნენ და, ამგვარად, „გასათხოვართა ბაზარზე“ არც თუ ისე მიზიდველ კანდიდატებად ითვლებოდნენ. სამაგიეროდ, თავადაც „კარგად მონახმარი“ კაცები ერგოთ ქმრებად. მაგალითად, ვაკილი, რომელიც ამ საღამოს მათი ოჯახიდან უკვე ისე წავა, როგორც შაკილას საქმრო, ორმოცდაათი წლის ქვრივია და ათი შვილი ჰყავს. ბულბულას საბედოც ქვრივია, მაგრამ მას, ვაკილისგან განსხვავებით, შვილები არ ჰყავს.

იმაზე, თუ რატომ დატოვა ამდენ ხანს ქალიშვილები გასათხოვარი, ბიბი გიულს თავისი მიზეზ-განმარტებები ჰქონდა. ამის მიუხედავად, ხალხი მაინც მას ამტყუნებდა, ბიბი გიული ყოველთვის ხმამაღლა, დაუფარავად აცხადებდა, რომ ბულბულა ზარმაცი და უმაქნისი გოგო იყო და ამის თქმას არც მისი თანდასწრებით ერიდებოდა. ბულბულას ერთი ხელი გამეშვებული ჰქონდა და ვერ ხმარობდა, გარდა ამისა, ცალ ფეხსაც უცნაურად მიითრევდა.

იგი ვერასოდეს შეძლებს დიდი ოჯახის მოვლასო, აღნიშნავდა ბიბი გიული.

ეჭვსი წლის ასაკში ბულბულა მოულოდნელად ავად გახდა. ცოტა ხანში კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ძველებურად მოძრაობა უჭირდა. სულთნის აზრით, მას პოლიომიელიტი სჭირდა. ექიმი საერთოდ ვერაფერს მიხვდა, ბიბი გიული კი ყველაფერს მის დარდსა და ნალველს აბრალებდა. გოგონა მას შემდეგ გახდა ავად, რაც მამამისი დააპატიმრეს სამსახურის საწყობიდან რაღაც ნივთების მოპარვის ბრალდებით. ბიბი გიული დღემდე ირწმუნება, რომ მისი ქმარი უდანაშაულო იყო, კაცი ციხიდან რამდენიმე თვეში გამოუშვეს, მაგრამ ბულბულას ველარაფერი ეშველა.

– მამამისის ნაცვლად დაისაჯა, – იტყვის ხოლმე ბიბი გიული. მშობლებმა ბულბულა აღარც სკოლაში სასწავლებლად გაუშვეს, რადგან ავადმყოფობამ მის გონებრივ განვითარებაზეც იმოქმედა.

გოგონა მთელი დღეები დედის კალთას იყო გამოკვრებული. იმის გამო, რომ უცნაური და გამოუცნობი სენით იყო დაავადებული, არც საქმის გაკეთებას ავალეებდნენ. თითქოს ბუღბუღას მთელმა ქვეყანამ ზურგი აქციაო, არავინ ელაპარაკებოდა, არც არავინ ეთამაშებოდა და დახმარებისთვისაც არავინ მიმართავდა.

ბუღბუღასთან საერთო არავის არაფერი ჰქონდა. ეს ოცდაათი წლის ქალი უჩვეულო სიზნატეს შეეპყრო და ცხოვრებას რის ვაივაგლახით მიეზიდებოდა.

გოგონას დიდი, არაფრისმთქმელი თვალები და ყოველთვის ნახევრად დაფჩენილი პირი აქვს. ზოგჯერ ქვედა ტუჩი ისე ჩამოეკიდება ხოლმე, თითქოს ზეზეულა სძინავსო. ბუღბუღა სხვების საუბრებსა და ცხოვრებისეულ ისტორიებს მდუმარედ, ყველანაირი ენთუზიაზმის გარეშე ისმენს და საუბარში თითქმის არასოდეს ერევა. ბიბი გიული კარგა ხანია შეჩვეოდა იმ აზრს, რომ ბუღბუღა სიცოცხლის ბოლომდე მასთან უნდა ყოფილიყო, მასთან ერთად უნდა ეფუხფუხსა სახლში და მის გვერდით სძინებოდა იატაკზე დაგებულ ლეიბზე. მაგრამ მოულოდნელად ისეთი რამ მოხდა, რამაც დედაკაცს აზრი შეაცვლევინა. ერთ დღეს ბიბი გიული სოფელში, თავისი დის მოსანახულებლად გაემგზავრა. თავზე გრძელი ბურკა ჩამოიცვა, ბუღბუღა გვერდში ამოიყენა და ქუჩაში გასულმა დაფახფახებული ტაქსი გააჩერა. ადრე იგი ამ გზას ჩვეულებისამებრ, ფეხით გადიოდა ხოლმე, მაგრამ ამ ბოლო დროს ისე გასუქებულიყო და დამძიმებულიყო, რომ წონის სიჭარბის გამო მუხლები დაზიანებოდა და ფეხით იმ ორიოდე კილომეტრის გავლაც უჭირდა. ბავშვობაში გამოვლილი დიდი გაჭირვების, შიმშილობის დღეებისა და შემდეგ იმის გამო, რომ ძალიან პატარა გათხოვდა და შესაბამისად, ადრეც დაქალდა, ბიბი გიულს საჭმლისადმი არანორმალური ლტოლვა განუვითარდა. როდესაც ჭამას იწყებს, მანამ ვერ ჩერდება, სანამ ყველაფერს არ გაათავებს.

იმ ტაქსის მძღოლი, რომელიც „მსუქან ბურკასა“ და მისი ქალიშვილის წინ გაჩერდა, მათი შორეული ნათესავი, რასული აღმოჩნდა. მისი ცოლი რამდენიმე წლის წინ მშობიარობას გადაჰყოლოდა.

– სხვა ცოლი ხომ არ მოგიყვანია? – ტაქსიში ჩაჯდომისთანავე ჰკითხა ბიბი გიულმა.

– არა, – უპასუხა კაცმა.

– სამწუხაროა. ინშალაჰ! თუ ღმერთს სურს, მალე მეორე ცოლსაც იშოვი! – ანუგეშა ქალმა ნათესავი და შემდეგ თავისი ოჯახის, ვაჟების, ქალიშვილებისა და შვილიშვილების ამბებს მოჰყვა.

რასულს ბიბი გიულის ქარაგმულად ნათქვამი სიტყვები არ გამოჰპარვია. რამდენიმე კვირის შემდეგ კი კაცმა ბულბულას ხელის სათხოვნელად თავისი და მიაგზავნა ხანის ოჯახში. „ამ კაცის ცოლობას კი როგორმე შეძლებს ჩემი გოგო!“ – ფიქრობდა ბიბი გიული, რომელმაც ყოყმანის გარეშე განუცხადა თავისი თანხმობა მომავალ სამულეს, რაც ავღანეთში მეტად უჩვეულო შესტად ითვლება. როდესაც დედა დაუფიქრებლად ატანს მთხოვნელებს თავის ქალიშვილს, იმის მანიშნებელია, რომ გოგონას ღირსება სათანადო დონეზე ვერ დგას და ოჯახის წევრებს მისი თავიდან მოცილება სურთ. საპატარძლოს ოჯახის მხრიდან განწელილი მოლაპარაკებები და ყოყმანი ქალიშვილის ფასს ერთიორად ზრდის. ამგვარად, ბიჭის ნათესავები სათხოვნელად უამრავჯერ უნდა მივიდნენ სასურველი ქალის ოჯახში, საჩუქრები მიიტანონ, ეხვეწონ, ემუდარონ და საპირისპირო მხარის დაყოლიება შეძლონ. ბულბულასთვის კი დიდად არავის შეუწუხებია თავი და მისთვის არც საჩუქრები და ძღვენი გაუღია ვინმეს.

სანამ ბულბულა ცარიელი თვალებით უმისამართოდ იმზირება და ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ამ საუბარს მასთან არანაირი საერთო არა აქვს, შაკილა დაძაბული მზერით, ყურებდაცქვეტილი მის, რომ არაფერი გამოეპაროს. დები ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდებიან, შაკილა ზედმეტად მკვირცხლია, აქტიური. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის სული და გულია. ტანსრულმა შაკილამ

კარგად იცის ამ ცხოვრების გემო. ავღანეთში სწორედ მისნაირი ფერ-ხორციანი ქალები ფასობენ.

ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე შაკილასთან უამრავი მთხოვნელი მისულა. ჯერ სულ რაღაც ათი წლის ცქრიალა გოგო იყო, პირველი მთხოვნელი რომ გამოუჩნდა. აი ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, უკვე დაქალეული შაკილა ღუმელის გვერდით, კუთხეში ზის და უსიტყვოდ ისმენს დედისა და ძმის სავაჭრო გარიგებებს.

შაკილას მომავალი ქმრის მიმართ საკუთარი მოთხოვნები ჰქონდა. როდესაც ბიბი გიულთან მაჭანკლები მიდიოდნენ, შაკილა არასოდეს კითხულობდა სავარაუდო საქმროს ფინანსურ შესაძლებლობებს, რაც ავღანური წეს-ჩვეულებისთვის ცოტა უჩვეულო ამბავი იყო.

– სწავლის გაგრძელების ნებას თუ მისცემთ? – ეს იყო ბიბი გიულის პირველი შეკითხვა.

ჰასუხი კი ყოველთვის ერთი და იგივე იყო: „არა“. ამიტომაც ისტუმრებდნენ ყველა მაჭანკალს უარით. შაკილას კითხვა უყვარდა, სწავლა სწყუროდა, მაგრამ მისი ხელის სათხოვნელად მოსული მამაკაცები ნასწავლ, განათლებულ ქალში ვერანაირ ხეირსა და ღირსებას ვერ ხედავდნენ. ბევრი მათგანი თვითონ გაუნათლებელი და უსწავლელი იყო. ბეჭითმა შაკილამ სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა და მათემატიკისა და ბიოლოგიის სპეციალისტი გახდა. როცა ამის შემდეგაც მომხიბლავი შაკილას მთხოვნელთა რიგი არ წყდებოდა, ახლა ასეთი კითხვით მიმართავდა საქმროებს ბიბი გიული:

– მუშაობის უფლებას თუ მისცემთ?

ამ კითხვაზეც უარყოფით პასუხს იღებდნენ და ამის გამო შაკილა კვლავ გასათხოვარი რჩებოდა.

ავღანეთს კომუნისტებთან ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული, როცა შაკილამ მასწავლებლად მუშაობა დაიწყო. იმდროინდელი მოდის შესაბამისად, მუხლამდე კაბაში გამოკვართული და მაღალქუსლიან

ფეხსაცმელზე შესკუპებული შაკილა ყოველ დილას ქუსლების კაკუნით მიუყვებოდა ქაბულის გარეუბანში მდებარე პატარა სოფლის – დეჰ ხუდაიდადის გზას. იქამდე არც ტყვია აღწევდა და არც ყუმბარების აფეთქების ხმა. ერთადერთი, რამაც იფეთქა, შაკილას გულში გაღვივებული სიყვარული იყო.

სამწუხაროდ, მისი რჩეული, მაჰმუდი, უკვე დაქორწინებული იყო და სამი შვილი ჰყავდა. მისი უიღბლო და უსიყვარულო ქორწინებაც გარიგების საფუძველზე შემდგარიყო. მაჰმუდსა და შაკილას, რომლებიც კოლეგები იყვნენ, ერთი ნახვით შეჰყვარებიათ ერთმანეთი. ისინი თავიანთ გრძნობას არავისთან ამჟღავნებდნენ, ფარულად ხვდებოდნენ და თბილად, ალერსიანად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს ტელეფონზე. პაემნის ადგილი მხოლოდ სკოლაში ჰქონდათ. ერთ-ერთი ასეთი პაემნისას მათ თავიანთი სამომავლო გეგმაც კი დასახეს: მაჰმუდს შაკილა მეორე ცოლად უნდა შეერთო.

მაგრამ თავად მაჰმუდს თავისი რჩეულის ოჯახში მისვლა და მისი ხელის თხოვნა არ შეეძლო. ეს საქმე მის ნაცვლად დას ან დედას უნდა ეკისრა.

– ისინი ამას არასოდეს გააკეთებენ, – უთხრა მან შაკილას. – ჩემები კი არასოდეს მოგცემენ თანხმობას! – მიუგო ქალმა და ამოიოხრა.

მაჰმუდის აზრით, შაკილა მომავალ სადედამთილოს თავად უნდა დალაპარაკებოდა და მისთვის თავის მშობლებთან სათხოვნელად მისვლა შეეთავაზებინა. გარდა ამისა, შაკილას ზედმეტად ემოციური ქალის როლი უნდა ეთამაშა და საჯაროდ განეცხადებინა, რომ თუ მაჰმუდი მისი არ გახდებოდა, უთუოდ თავს მოიკლავდა. ასევე, ფეხებში უნდა ჩავარდნოდა თავის მშობლებს და მაჰმუდის მიმართ უგონო სიყვარულში გამოსტყდომოდა. ამ ყველაფრის შემდეგ კი მშობლები ფარ-ხმალს დაყრიდნენ და შვილების გადასარჩენად ამ ქორწინებაზე თანხმობას განაცხადებდნენ. მაგრამ შაკილას ნივილ-კივილისა და სცენების მოსაწყობად გამბედაობა არ ეყო, მაჰმუდმა კი ვერ

გაბედა დედისა და დისთვის შაკილას ოჯახში მისვლა ეთხოვა. ცოლთან ხომ ერთი სიტყვაც არ დაუძრავს ამის თაობაზე. შაკილა ბიბი გიულს გადაკვრით უყვებოდა ხოლმე მაჰმუდსა და მის მიმართ თავის გრძნობებზე, მაგრამ ბიბი გიულს რატომღაც ეგონა, რომ ეს ყველაფერი ხუმრობა იყო. ანდა, უბრალოდ, თავს ირწმუნებდა, რომ მისი ქალიშვილისა და სამშვილიანი კოლეგა მამაკაცის რომანი და საქორწინო გეგმები მხოლოდ შაკილას ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა.

შეყვარებულები ოთხი წლის განმავლობაში მხოლოდ სკოლაში ხვდებოდნენ ერთმანეთს და ამოდ ოცნებობდნენ მომავალზე მანამ, სანამ მაჰმუდი არ დაანინაურეს და სამუშაოდ სხვა სკოლაში არ გადაიყვანეს. კაცმა თანამდებობაზე უარი ვერ თქვა და ამის გამო იძულებული გახდა, შაკილას დაშორებოდა. მათ ტელეფონით კონტაქტი მაინც ჰქონდათ. შაკილა ძალიან უბედურად გრძნობდა თავს სატრფოსთან განშორების გამო, მაგრამ თავის დარდს არავისთან ამჟღავნებდა, რადგან იცოდა, რომ ისეთი კაცის სიყვარული, რომელსაც ვერასოდეს მოიპოვებდა, სირცხვილად ითვლებოდა.

მერე სამოქალაქო ომიც დაიწყო და სკოლები დაკეტეს. შაკილა ოჯახთან ერთად პაკისტანში გაიხიზნა. ომი ოთხ წელიწადს გრძელდებოდა. მანამ, სანამ ქვეყნის მართვის სადავეები თალიბანმა არ იგდო ხელთ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ქაბულში შედარებითმა სიმშვიდემ დაისადგურა და ქუჩებში ყუმბარებისა და ტყვიების ზუმუნი აღარ ისმოდა, შაკილას სკოლა აღარ გაუხსნიათ. ავღანეთში ქალთა ყველა სკოლა დაიხურა და ყველა ავღანელმა ქალმა მუშაობის უფლება დაკარგა. ბევრი ქაბულელი პედაგოგი დარჩა სამსახურის გარეშე, რადგან ვაჟთა სკოლების უმეტესობაც დახურეს, იმის გამო, რომ ამ სკოლებში მასწავლებელთა უმეტესობა ქალი იყო. მამაკაც პედაგოგთაგან კი არც თუ ისე ბევრს ჰქონდა იმდენი გამოცდილება და კვალიფიკაცია, რომ ყველა ეს სკოლა აღმოქმედებინათ.

წლები გადიოდა. იმის გამო, რომ სამოქალაქო ომის მსვლელობისას ყველა სატელეფონო ხაზი დაზიანდა, შაკილამ მაჰმუდთან ურთიერთობის ეს მცირე საშუალებაც დაკარგა. მაჰმუდისგან არაფერი ისმოდა, შაკილა კი ძველებურად სახლში იჯდა ოჯახის სხვა ქალებთან ერთად და მხოლოდ საოჯახო საქმით ირთობდა თავს. მას აღარც მუშაობა შეეძლო, არც გარეთ მარტო გასვლა და აღარც თავდაუბურავად სიარული. მისი ცხოვრება სრულიად გაუფერულდა. ამასობაში კი ოცდაათი წელიც შეუსრულდა და მთხოვნელების რაოდენობამაც საგრძნობლად იკლო. თალიბანის მკაცრი რეჟიმისა და კანონების გამო, ხუთი წლის მანძილზე შინ გამოკეტილ ქალს ყველანაირი იმედი გადაეწურა.

ერთ დღესაც ბიბი გიულთან მათი შორეული ნათესავის, ვაკილის და მივიდა და შაკილას ხელი ითხოვა, – ცოლი მოულოდნელად გარდაეცვალა. შვილებს კი დედა სჭირდებათ. ვაკილი კეთილი კაცია, ცოტა ფულიც აქვს. არასოდეს უომია, უკანონო არაფერი ჩაუდენია, პატიოსანია, ჯანმრთელი, – ახასიათებდა საკუთარ ძმას ქალი, – მისი ცოლი მოულოდნელად გაგიჟდა, ლოგინად ჩავარდა, ბოდავდა და ვერც ერთ ჩვენგანს ვეღარ სცნობდა. ბოლოს გარდაიცვალა კიდევ... წარმოიდგინეთ, რა საშინელება გამოიარეს მისმა შვილებმა... – ჰყვებოდა იდუმალი ხმით ვაკილის და.

ათი შვილის მამა ძალიან ჩქარობდა ახალი ცოლის მოყვანას, მართალია, უმცროს და-ძმებს უფროსები უვლიდნენ, მაგრამ უქალოდ დარჩენილი ოჯახი მაინც უკან-უკან მიდიოდა.

ბიბი გიულმა დრო ითხოვა მოსაფიქრებლად და კიდევ იმისთვის, რომ მეგობარ-ახლობლებში ამ კაცის ასავალ-დასავალი გაეკითხა. იმაში კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ვაკილი მართლა შრომისმოყვარე და პატიოსანი ადამიანი იყო.

ბოლოს და ბოლოს, შაკილაც ხომ უნდა მოსწრებოდა ოჯახსა და საკუთარ შვილებს. ჰოდა, მისთვის გათხოვება უკვე დროული იყო.

– ქალის ვალიც ეს არის, უნდა გათხოვდეს და სხვის ოჯახში შევიდეს, – ამბობდა ბიბი გიული. მას შემდეგ, რაც თალიბებმა ქალებს მუშაობა აუკრძალეს, აზრი აღარ ჰქონდა იმის კითხვას, მის ქალიშვილს მუშაობის უფლებას თუ მისცემდა ქმარი. ბიბი გიულმა თავად ვაკილის ნახვა მოინდომა. ამ დროს, მართალია, ყველაფერს მხოლოდ მშობლები წყვეტენ, მაგრამ ვინაიდან ვაკილი ორმოცდაათ წელიწადს გადაცილებული მამაკაცი იყო, ბიბი გიულმა მასთან დალაპარაკება აუცილებლად ჩათვალა. ვაკილი სატვირთო მანქანის მძღოლი იყო და ხშირად უწევდა შორეულ მგზავრობებში წასვლა. მოუცლელიობის გამო კაცმა ისევ და გააგზავნა ხანების ოჯახში საქმის მოსაგვარებლად, შემდეგ ძმა, მერე ისევ და, თავად კი ვერანაირად ვერ გამონახა საპატარძლოს ოჯახში მისასვლელი დრო. ამის გამო ეს გარიგება მეტისმეტად გაინელა. ამ პერიოდს დაემთხვა თერთმეტი სექტემბრის მოვლენებიც და შეშინებულმა სულთანმა თავისი ოჯახი ისევ პაკისტანში გახიზნა. სწორედ მაშინ გამოჩნდა ვაკილი.

– ამ საქმეზე, ქვეყანა რომ დამშვიდდება, მაშინ ვილაპარაკოთ! – უთხრა სულთანმა სასიძოს და უკან გაისტუმრა.

თალიბანის გადაგდებიდან ორი თვის შემდეგ ვაკილი ისევ მივიდა და საქმე თავიდან დაიძრა. სკოლები ჯერ კიდევ დაკეტილი იყო, ამიტომ ბიბი გიულს არც ვაკილისთვის უკითხავს, გათხოვების შემდეგ შაკილას მუშაობის ნებართვას თუ მისცემო.

შაკილა ღუმელის გვერდით, კედლის კუთხეში მიკუნჭულა და მღუმარედ ისმენს მის ბედ-იღბალსა და ქორწილის დეტალებთან დაკავშირებულ საუბარს. ყველაფერს ბალიშებზე დასკუპებული ოთხი ადამიანი გეგმავს, დანიშნული წყვილები კი ერთმანეთის შეთვალერებასაც ვერ ბედავენ. ვაკილი მალულად აპარებს თვალს შაკილასკენ, ის კი სადღაც სივრცეში ერთ წერტილს მისჩერებია.

– მიხარია, რომ ვიპოვე, – მიმართავს ვაკილი სულთანს და თვალით თავის ახლად დანიშნულ საპატარძლოზე, შაკილაზე მიანიშნებს.

სტუმრების წასვლის დრო ახლოვდება. მამაკაცები ფეხზე დგებიან, მასპინძლებს ემშვიდობებიან და გარეთ გასულები საღამოს ბინდში უჩინარდებიან. უკვე დანიშნული ორი ქალიშვილი კი ისევ ისე მდუმარედ ზის და ერთ წერტილს მიშტერებია. მომავალ ქმრებს მათთვის სიტყვაც არ უთქვამთ და არც წასვლისას გამომშვიდობებიან.

ბულბულა ოხვრით დგება. როგორც ჩანს, მისი დრო ჯერ არ დაამდგარა. რასულს საიმისო ფული არა აქვს და კარგა ხანს არც ექნება, რომ ქორწილის ხარჯები გაიღოს. ახლა ბულბულასთვის უკვე ყველაფერი სულერთია. მას არც ოჯახის სხვა წევრები უსვამენ ზედმეტ კითხვებს და, როგორც ყოველთვის, ისე იქცევიან, თითქოს ვერც ამჩნევენ მას. ბულბულა ღუმელში შუშის რამდენიმე ნაჭერს უკეთებს, შემდეგ ოთახიდან გადის და საქმიანობს. მას ჭურჭლისა და ქვაბების რეცხვა-დასუფთავება ევალება.

დანარჩენი დები კი ლოყებაფაკლული შაკილას გარშემო დაფუსფუსებენ და რჩევებს აძლევენ:

- ქორწილი სამ კვირაში გაქვს! უნდა იჩქარო!
- ვერაფერსაც ვერ მოვასწრებ! – ნუნუნებს შაკილა.

მიუხედავად იმისა, რომ ქსოვილი საპატარძლო კაბის შესაკერად უკვე ნაყიდი აქვს, მოსაგვარებელი კიდევ ბევრი რამაა: ქსოვილის მკერავთან დატოვება, სხვადასხვა საოჯახო ნივთის, თეთრეულის შეძენა და სხვა. მართალია, ქვრივ ვაკილს ცარიელი ოჯახი არა აქვს, მაგრამ ტრადიციის მიხედვით მაინც აუცილებელია, პატარძალმა მზითვეი შეიტანოს ქმრის ოჯახში, შაკილა თავისი საბედლოთი მაინცდამაინც კმაყოფილი არ არის.

– მეტისმეტად დაბალია, – ეუბნება დებს, – მე ყოველთვის მაღალი მამაკაცები მომწონდა... ისე, თავზე ცოტა თმაც რომ ჰქონდეს და რამდენიმე წლით ახალგაზრდაც იყოს, ბევრად უკეთესი იქნებოდა. წარმოიდგინეთ, ამ ყველაფერთან ერთად, ტირანიც რომ აღმოჩნდეს, – ნაღვლიანად აგრძელებს შაკილა, – სასტიკი... რომ მცემოს ხოლმე, სახლიდან გარეთ რომ არ გამიშვას და თქვენთან სტუმრობის

უფლება არ მომცეს... შაკილას საშინელი აზრები მოსდის, დები კი მდუმარედ უგდებენ ყურს. ისინიც არანაკლებ აღელვებულები ჩანან. ქალები ქორწინებას სულ უფრო და უფრო მეტ ფერებში ხატავენ, მაგრამ მალე ოთახში ბიბი გიული შემოდის და ყველას აჩუმებს, მერე კი შაკილასკენ ბრუნდება და ხაზგასმით ეუბნება, რომ ვაკილი ძალიან კარგი ვაცია და კარგ ქმრობას გაუწევს. გადაწყვეტილების მიღებიდან ორი დღის შემდეგ შაკილას გათხოვილი და, მარიამი, თავის ოჯახში წვეულებას მართავს ახლადდანიშნულთათვის. ოცდაცხრა წლის მარიამი მეორედაა გათხოვილი. მისი პირველი ქმარი სამოქალაქო ომის დროს დაიღუპა მარიამი მეხუთე შვილზეა ფეხმძიმედ.

ღიასახლისს იატაკზე გრძელი მუშამბის სუფრა დაუგია. სუფრის თავში ვაკილი და შაკილა სხედან. სულთან და ბიბი გიული იქ არ იმყოფებიან, ამიტომ ახალგაზრდებიც თავს შედარებით თავისუფლად გრძნობენ. უფროსების თანდასწრებით მათ ახლო საუბრის უფლება არა აქვთ, მაგრამ ამჯერად სუფრას მხოლოდ ახალგაზრდა დედმამიშვილები უსხედან და ახლადდანიშნულებიც ნაკლებად დაძაბულები ჩანან. ისინი ხმადაბლა საუბრობენ და ვერც კი ამჩნევენ იმ ცნობისმოყვარეთა ფარულ მზერას, ამაოდ რომ ცდილობენ, ერთი სიტყვა მაინც დაიჭირონ მათი საუბრიდან, რომელიც მცირედ თუ შეეხება სიყვარულის თემას. შაკილა საქმროს თვალეებში ვერ უყურებს. ავღანური წეს-ჩვეულებების თანახმად, ქალმა საქმროს ქორწილამდე თვალეებში არ უნდა ჩახედოს. ვაკილი დაჟინებით მისჩერებია საცოლეს.

– მომენტრე, – ეუბნება იგი შაკილას, – არ ვიცი, როგორ გავძლებ იმ თხუთმეტ დღეს, სანამ ჩემი გახდები...

შაკილა წითლდება, ისევ გარინდული ზის და ერთ წერტილს მიშტერებია.

– მთელი ღამე არ მიძინია, – აგრძელებს ვაკილი, – შენზე ვფიქრობდი... შენ არაფერს მეტყვი?

შაკილა არანაირ რეაქციას არ გამოხატავს. იგი ჭამს და კვლავ დუმს.

– წარმოიდგინე, ცოლ-ქმარი რომ ვიქნებით და შინ მოსულს შენი მომზადებული კერძი დამხვდება, – არ ეშვებოდა ვაკილი ქალს, – შენ სულ სახლში იქნები, ჩემს მოლოდინში. მე კი მარტო აღარასოდეს დავრჩები.

შაკილა კვლავ დუმს, შემდეგ კი მხნეობას იკრებს და ვაკილს ეკითხება, დაქორწინების შემდეგ მუშაობის უფლებას თუ მისცემს. „რა თქმა უნდა“, პასუხობს ვაკი. ქალს მისი არ სჭერა. შაკილა ფიქრობს, რომ გაჰყვება თუ არა ცოლად, ვაკილი მაშინვე შეიცვლის აზრს. ვაკილი საცოლეს არწმუნებს, რომ თუ მისი ბედნიერებისთვის მუშაობას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, არანაირი პრობლემა არ არსებობს. თუმცა ქალს, პირველ რიგში, ბავშვებისა და სახლის მოვლა-პატრონობა ევალება.

ვაკილი თავის ყავისფერ ქუდს იხდის. ასეთ ქუდს დასავლეთის ძალების მომხრე, ამჟამად მოკლული წინამძღოლის – აჰმედ შაჰ მასუდის მომხრეები ატარებენ.

– ახლა უშნო მეჩვენები! – ეუბნება საქმროს შეთამამებული შაკილა, – შენ ხომ თმა არ გაქვს.

ვაკილი უსიტყვოდ იტანს შეურაცხყოფას, საცოლის რეპლიკას უპასუხოდ ტოვებს და საუბარი შედარებით საიმედო თემაზე გადააქვს. შაკილამ მთელი დღე ქაბულის ბაზრობაზე გაატარა. ქორწილისთვის, ვაკილისა და თავისი ნათესავები. სთვის საჩუქრებს ყიდულობდა. საჩუქრებს მადლიერების ნიშნად თავად სიძე გადასცემს ქალის ოჯახის წევრებს. ისინი ხომ თავიანთ ქალიშვილს სწორედ მას ატანენ. ფულს ვაკი იხდის, საჩუქრების ყიდვა კი ქალის მოვალეობაა. ვარცლი, დანა-ჩანგალი, ზეწრები, პირსახოცები, საშარვლეები ვაკილისა და რასულისათვის უკვე ნაყიდა. ქსოვილის ფერი ვაცებს თვითონ უნდა ამოერჩიათ. შაკილა საქმროს საყიდლების შესახებ უყვება. – რა ფერისაა საშარვლეები? – ეკითხება ვაკილი.

– ლურჯი და ყავისფერი, – პასუხობს შაკილა.

– ჩემთვის რომელია?

– არ ვიცი, ჯერ რასულმა უნდა შეარჩიოს თავისთვის.

– რა? – გაბრაზებით კითხულობს კაცი, – ვითომ რატომ? პირველს მე უნდა ამერჩია, მე ვარ შენი ქმარი და იმიტომ.

– აჰა... კარგი, ეგრე იყოს, მაგრამ ისე ორივე ძალიან ლამაზი ფერია, – ეუბნება დაბნეული შაკილა აღელვებულ საქმროს და კვლავ სივრცეს გასცქერის.

ვაკილი სიგარეტს უკიდებს.

– სიგარეტის სუნს ვერ ვიტან, – იშმუშნება შაკილა, – და ვერც მწველ ვაცებს... ასე რომ, შენც თუ ეწევი, არც შენ მომწონხარ.

შაკილა ხმას უწევს და მისი სიტყვები ყველას ესმის. – რადგან დაინწყე, ბოლომდე უნდა მოვწიო, – მშვიდი ხმით უხსნის ვაკილი.

– ცუდი სუნი გაქვს, – აგრძელებს ქალი.

– ცოტა თავაზიანად უნდა მომექცე, – ეუბნება საქმრო. შაკილა დუმს. ვაკილი კი ამატებს:

– გარდა ამისა, თავდაბურულმა უნდა იარო. ბურკას ტარება ყველა ქალის მოვალეობაა. როგორც გინდა, ისე მოიქეცი, მაგრამ ჩადრის გარეშე თუ ივლი, დავნაღვლიანდები... შენ გსურს, რომ მე ნაღვლიანი ვიყო?

ვაკილის ეს სიტყვები მუქარას უფრო ჰგავს.

– ქაბულში მდგომარეობა თუ შეიცვლება და ქალები თანამედროვე ტანსაცმლის ჩაცმას დაიწყებენ, მეც იმავეს გავაკეთებ, – არ თმობს თავისას შაკილა.

– თანამედროვე ტანსაცმლის ტარების უფლებას არ მოგცემ, შენ ხომ არ გსურს, რომ მე ნაღვლიანმა ვიარო?

შაკილა აღარაფერს ამბობს. ვაკილი ჭიბიდან პასპორტის სურათებს იღებს, ცოტა ხანს დასცქერის მათ და შემდეგ ერთ ცალს შაკილას აძლევს.

– ეს შენ, – მიმართავს საცოლეს, – მინდა, რომ გულთან ახლოს გქონდეს...

შაკილას სახის ნაკვთივ კი არ უტოვდება და კაცს მდუმარედ, უნიათოდ ართმევს სურათს.

ვაკილის წასვლის დროა. თალიბანმა ავღანეთში სტუმრობის რეგლამენტივ კი დააწესა. წასვლის წინ ვაკილი ეკითხება შაკილას, რა თანხა სჭირდება დანარჩენი საყიდლების შესაძენად. ქალი თანხას ასახელებს. ვაკილი ჭიბიდან საფულეს იღებს, კუპიურებს ითვლის, საცოლეს საჭირო თანხას აძლევს, დანარჩენ ფულს ისევ საფულეში ინახავს და კვლავ ჭიბეში იჩურთავს. – საკმარისია?

შაკილა თავს უკრავს თანხმობის ნიშნად. ისინი ერთმანეთს ემშვიდობებიან. ვაკილი მიდის. შაკილა შვებით ამოისუნთქებს, იატაკზე მიყრილ წითელ ბალიშებზე წვება და ბატკნის ბარკლიდან მორჩენილ ხორცის ნაჭრებს მადიანად შეეცევა. კმაყოფილი ჩანს, რადგან დღევანდელი „გამოცდა“ მშვენივრად ჩააბარა – სათანადოდ ცივი და უკარება იყო და ასე მანამ უნდა მოიქცეს, სანამ ვაკილის ცოლი გახდება. გასათხოვარი ქალის ასეთი საქციელი საკუთარი ოჯახის პატივისცემის ნიშანია. – მოგწონს ვაკილი? – ეკითხება მარიამი უფროს დას.

– ისე რა.

– შეყვარებული ხარ?

– ჰმ...

– „ჰმ“ რას ნიშნავს?

– რაც გესმის, იმას... ანუ, არც ჰოს და არც – არას. ხომ შეიძლება ბოდა, ცოტათი უფრო ახალგაზრდა და ლამაზი ყოფილიყო?! – ცხვირაბზუებით პასუხობს შაკილა. ასეთი გამომეტყველებით გაბუსხულ, იმედგაცრუებულ ბავშვს ჰგავს, რომელსაც მოლაპარაკე დედოფალას ნაცვლად კონკების თოჭინა შეატყუეს.

– ახლა მხოლოდ დარდს ვგრძნობ, სინანულს... ვნაღვლობ, რომ ჩემი ოჯახი უნდა დავტოვო. წარმოიდგინეთ, იმ ვაცმა თქვენი მონახულების უფლება რომ არ მომცეს, არ მამუშაოს და სახლში გამომკეტოს...

იატაკზე პარაფინის სანთელი ბჟუტავს. დებს ისევ შავბნელი აზრები მოსდით თავში. ათას წვრილმანზე საუბრობენ, უპრიანი იქნება, თუ ყველაფერს წინასწარ განიხილავენ და განჭვრეტენ.

გეცისკენ გზა მოჭრილია!

1996 წლის სექტემბერში, როცა ქაბულში თალიბანის მმართველობა დამყარდა, რადიო „შარიათმა“ ყველა ავღანელისთვის სავალდებულო თექვსმეტი მითითება გამოაცხადა. ქვეყანაში ახალი ეპოქა იწყებოდა.

1. ქალებს ეკრძალებათ შილიფად ჩაცმა.

მძლოლებს არ აქვთ უფლება, თავდაუბურავ ან გამომწვევად შემოსილ ქალებს, რომლებიც თანმხლები ნათესავი მამაკაცის გარეშე არიან, ტრანსპორტში ასვლის ნებართვა მისცენ. ყველას, ვინც ასე მაინც მოიქცევა, დააპატიმრებენ. ქუჩაში შემჩნეული თავისუფლად ჩაცმული ნებისმიერი ქალის ქმარი დაისჯება და მათი სახლი გაიჩხრიკება.

2. იკრძალება მუსიკა.

მაღაზიებში, სასტუმროებში, ყველანაირ ტრანსპორტში და რიქშებშიც კი იკრძალება მუსიკა და ვასეტების რეალიზაცია. თუ რომელიმე მაღაზიაში დაფიქსირდება ვასეტებით ვაჭრობის ფაქტი, ის მა-

ღაზია დაილუქება და მფლობელი დაპატიმრდება. თე მძღოლს აღ-
მოუჩენენ ტრანსპორტში ვასეტას, ეს ფაქტიც აღინუსხება და მძღოლს
თავისუფლება აღეკვეთება.

3. იკრძალება წვერის გაპარსვა.

ყველა მამაკაცს, რომელიც წვერს გაიპარსავს ან შეიკრეფს, და-
აპატიმრებენ და ციხეში დარჩება მანამ, სანამ წვერი მუშტის სიგრძეზე
არ მოეზრდება.

4. კანონი ლოცვის შესახებ.

ლოცვის დაკანონებული ჟამები მკაცრად იქნას დაცული ქვეყნის
ყველა რაიონში. ლოცვების ზუსტი დრო გამოცხადებულ იქნება „წეს-
რიგის დამყარებისა და ცოდვათა დაძლევის“ სამინისტროს მიერ.
ლოცვის დაწყებამდე თხუთმეტი წუთით ადრე და შერეც, მთელი
ლოცვის განმავლობაში მკაცრად იკრძალება ნებისმიერი სახის
ტრანსპორტის გადაადგილება. ლოცვა ევალება ყველას. მამაკაცებს,
რომლებიც ამ დროს მაღაზიებში ან ხადმე სხვაგან იქნებიან შემჩნე-
ულნი, მაშინვე დააპატიმრებენ.

5. იკრძალება მტრედების მოშენება და ფრინველთა პაექრობების
მონყოლა.

ზემოაღნიშნული გატაცება უნდა აღმოიფხვრას. ფრინველები,
რომლებსაც მოაშენებენ პაექრობების გამართვის მიზნით, გაიჟლი-
ტება.

6. კანონი ნარკოტიკებისა და მათი მომხმარებლების წინააღმდეგ.

ნარკოტიკის მოხმარებაში შემჩნეულ ყველა პირს დააპატიმრებენ.
ასევე მიღებული იქნება ზომები წამლის შენახვის ადგილისა და მისი
გამსაღებლის გამოსავლენად და ამ საქმეში მინაწილე ყველა კრიმი-
ნალი შესაბამისად დაისჯება.

7. კანონი ფრანის აკრძალვის შესახებ.

ფრანით გართობას ისეთ სავალალო შედეგებამდე მიჰყავს ახალ-
გაზრდა თაობა, როგორცაა სანაძღეოს დადება, გაკვეთილების

გაცდენა და ბავშვების სიკვდილიანობა. მაღაზიები, რომლებიც ფრანგებს გაყიდვიან, დაიკვებება.

8. იკრძალება სურათები.

ყველა ტრანსპორტი, მაღაზია, სახლი, სასტუმრო და სხვ. ადგილები გაიწმინდოს სურათებისა და პლაკატებისგან. იქ არსებული ყველა სურათი განადგურდეს ზემოთ დასახელებულ დაწესებულებათა მფლობელების მიერ. მძღოლების წინააღმდეგ, რომელთა ტრანსპორტშიც რაიმე სურათი აღმოჩნდება, გატარდება განსაკუთრებული დამსჯელი ზომები.

9. იკრძალება აზარტული თამაშები.

ყველა სათამაშო დაწესებულება და მათი მფლობელები ერთი თვის ვადით იქნან დაპატიმრებულნი.

10. იკრძალება ევროპული ვარცხნილობა.

ყველა გრძელთმიან მამაკაცს დააკავებენ და „წესრიგის დამყარებისა და ცოდვათა დაძლევის სამინისტროს“ გადასცემენ, სადაც მათ გაკრეჭენ, თმის შეჭრის ხარჯებს კი თავად დაკავებული დაფარავს.

11, იკრძალება პროცენტების აღება ვალად გაცემულ თანხაზე, ფულის გადახურდავებისას და გადაცვლისას.

ზემოაღნიშნული ფულადი პროცედურები მკაცრად იკრძალება ისლამის მიერ. ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში საქმეში მონაწილე ყველა კრიმინალს ხანგრძლივი ვადით დააპატიმრებენ. 12. იკრძალება მდინარის პირას, მდინარის წყალში სარეცხის რეცხვა.

ქალებს, რომლებიც ამ კანონს დაარღვევენ, მაჰმადიანური წესების ყველა დაცვით დააკავებენ და მიჰგვრიან ქმრებს, რომლებიც შესაბამისად, პასუხს აგებენ ცოლის დანაშაულზე და მკაცრად დაისჯებიან.

13. იკრძალება მუსიკის დაკვრა და ცეკვა ქორწილებსა და ნიშნობებზე.

ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში დამნაშავე ოჯახის უფროსი დაპატიმრდება და შესაბამისად დაისჯება.

14. იკრძალება დოღზე დაკვრა.

სასჯელს იმ პირების მიმართ, ვინც ამ კანონს დაარღვევს და შემოაღნიშნულ ინსტრუმენტზე დაუკრავს, უხუცესთა რელიგიური საბჭო განსაზღვრავს.

15. მკერავებს ეკრძალებათ ქალის ტანსაცმლის კერვა და შეკვეთების მიღება.

რომელიმე სამკერვალოში მოდური ჟურნალების აღმოჩენის შემთხვევაში, მკერავი დაუყოვნებლივ დაპატიმრდება.

16. იკრძალება მკითხაობა.

ამ თემაზე შექმნილი ყველა წიგნი დაიწვება, შემოაღნიშნული საქმიანობით დაკავებული ყველა პირი დაპატიმრდება და პატიმრობაში მანამ იქნება, სანამ არ მოინანიებს.

გარდა ამ მკაცრად დაკანონებული თექვსმეტი პუნქტისა, ქაბულელ ქალებს დამატებით სპეციალურად მათთვის განკუთვნილი მონოდებაც წაუკითხეს:

„გეკრძალებათ შინიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ გარეთ გასვლა მაინც მოგიწევთ, გეკრძალებათ მოდური ტანისამოსით, მაკიაჟით, ჩადრის გარეშე სიარული.

ისლამი რელიგიაა, რომელიც ჩვენი სულების ხსნაზე ზრუნავს. სწორედ მისმა კანონებმა განსაზღვრა, რომ ქალებს განსაკუთრებული ღირებულებები უნდა გააჩნდეთ: მათ არ უნდა მიიქციონ სხვა ადამიანების ყურადღება. თავიდან უნდა აიცილონ საშიშროება იმისა, რომ ვიღაცამ „ცუდი თვალით“ შეხედოს. ყველა ქალი პასუხს აგებს საკუთარი ოჯახის ზნეობასა და ერთიანობაზე, ოჯახის საღილითა და სამოსით უზრუნველყოფაზე.

შარიათის კანონების თანახმად, არც ერთი ქალი შინიდან ჩადრის გარეშე არ უნდა გავიდეს. მათ ასევე ეკრძალებათ მოდური, მოჩითული, ვიწრო და გამომწვევი ტანსაცმლის ტარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ურჩ ქალებს შარიათის კანონების მიხედვით დასჯიან და შეაჩვენებენ. მათთვის ყველა გზა ზეციური სასუფევლისკენ მოჭრილი

იქნება! კანონის დამრღვევების საქმიანობას რელიგიური პოლიცია გამოიკვლევს და მათაც და მათი ოჯახის უფროსებსაც სასტიკად დასჯიან. ამ სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად და ბოროტების აღმოსაფხვრელად რელიგიურ პოლიციას ყველანაირი ზომის გამოყენების უფლება აქვს მინიჭებული.

ალაჰუ აკბარ! – დიდ არს ალაჰი“.

მოქნილი, მონარნარე, მღელვარე

ქალები დროგამოშვებით ერთმანეთის თვალთახედვიდან ქრებიან. ერთი მოფრიალე ბურკა მეორეს ენაცვლება. ირგვლივ ცისფერი მეფობს. ქალი უკან იხედება და ტალახში ამოსვრილ სხვა ფეხსაცმელებს შორის თავისი დის ჭუჭყიან ფეხსაცმელს ლანდავს. მის კაშკაშა წითელ ტუნიკზე შემოვლებულ ბრჭყვიალა ლენტს და განიერი შარვლის არშიიან ტოტებსაც ადვილად გამოარჩევს სხვებისაგან. ამის შემდეგ კი მისი მზერა ბაზრობის სავსე დახლებზე გადაინაცვლებს. უკან ჩამორჩენილი ფეხმძიმე ბურკა წინაურდება და დებს ფეხდაფეხ მისდევს, ცდილობს, ფეხი აუწყოს მათ ენერგიულ ნაბიჯებს.

მონინავე ბურკა თეთრეულის დახლთან ყოვნდება. სახედაბურული ქალი ნაჭრის გისოსებიდან ათვალეირებს საზენრე მატერიებს, ფარფარა სამოსის რომელიღაც ნაკვეციდან გამოყოფილი ხელის თითებით ეხება ქსოვილს და ფერებს არჩევს, თან გადამყიდველს ევაჭრება. ნაჭრის გისოსებიდან შავი თვალეხი ელავს, ცხვირი ჩიტის ნისკარტივით მოუჩანს. ბოლოს გადანყვეტილებას იღებს, ჩანთაში იქეჭება და იქიდან რამდენიმე ლურჯ კუპიურას იღებს. გამყიდველი

წვრილი ცისფერი ყვავილებით მოჩითულ საზენრე ქსოვილს გულის-ყურით ზომავს და ჭრის. ამის შემდეგ ნაჭერი ჯერ ჩანთაში, მერე კი ფართარა ბურკის მიღმა უჩინარდება. ახლადშეძენილი ქსოვილის სუნი ბატრანის, ნივრის ხმელი წინაპისა და ახლადშემწვარი პაკორას სუნში ერევა. ამ ყველაფერს ოფლის, დაქანცული ადამიანების კანის ობშივარისა და უხარისხო საპნის სიმყრალე უერთდება. მხურვალე ნეილონის ნაჭერი ისე მჭიდროდ ეკვრის ტანს, რომ ადამიანი საკუთარი სხეულის სიმხურვალეს შეიგრძნობს.

ქალები წინ მიიწევენ, გზას სხვა დახლზე გამოფენილი იაფფასიანი რუსული ალუმინის თერმოსებისკენ იკვალავენ. საქონელს ხელით სინჯავენ, ვეაჭრებიან, აკლებინებენ, ყიდულობენ და კვლავ აგრძელებენ გზას. თერმოსსაც იმავე ჩანთაში მიუჩენენ ადგილს, რომელიც უკვე ჭიქებით, ჯამებით, ცოცხებითა და ფარდაგებით აუვსიათ. წინამძღოლ ბურკას უკან ორი, ცოტა არ იყოს, დაბნეული ბურკა მისდევს. ისინი დროდადრო ჩერდებიან, პლასტმასის თმის სამაგრებსა და ოქროსფერ სამაჯურებს ათვალიერებენ, ისინჯავენ და კვლავ ედევნებიან დანინაურებულ ბურკას, რომელიც ახლა გატაცებით ათვალიერებს ქალის თეთრეულს. დახლი ათასნაირი ფერად-ფერადი და ნაირნაირი ფორმის ლიფებით არის სავსე. თეთრი, ღია ყვითელი და ვარდისფერი ერთმანეთს ენაცვლება... ზოგიერთი მათგანი გამყიდველებს ურცხვად გამოუკიდებიათ და სუსტი ნიავი დროშასავით აფრიალებს. ბურკა მოქნილი თითებით სინჯავს და ზომავს მათ. ამჯერად ფართარა ზედატანიდან ორივე ხელი აქვს გამოყოფილი, ელასტიურობას, თასმებს უმოწმებს და ბოლოს თვალის ზომით არჩევს უხეშ, კორსეტისმაგვარ ლიფს.

ქალები გზას აგრძელებენ, დაბურულ თავებს აქეთიქით ატრიალებენ, თვალებს აცეცებენ. ბურკა-ქალები თვალსაფარით აღჭურვილ ცხენებს ჰგვანან – მხოლოდ გზას ხედავენ, რადგან თხელი ძაფის გისოსებისმაგვარი ბადე საფეთქლებთან უკვე სქელ ნაჭერს უერ-

თდება და ქალებს გვერდით გახედვის საშუალებას არ აძლევს. ამისთვის სასურველ მხარეს თავის მიბრუნებაა საჭირო. სწორედ ესაა ბურკის გამომგონებელთა პატარა ოინი: კაცმა უნდა იცოდეს, ვის ან რას ადევნებს თვალს მისი ცოლი.

უკან ჩამორჩენილი ბურკები კვლავ გაჭირვებით პოულობენ ბაზრის სიღრმეში, ვინრო დახლებს შორის მონარნარე დანინაურებულ ბურკას, რომელიც ახლა სქელ, ძველი რუსული წარმოების ფარდის სინთეტიკურ მოსართავ ლენტებსა და ბისერებს ათვალიერებს. ამ საქმეს საკმაოდ დიდ დროს ანდომებს. ეს შენაძენი მისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ქალს ქმრის წინაშე დაკისრებული ვალდებულება კი ავიწყდება და მცირე დროით სახეს ითავისუფლებს, რადგან ბურკის ძაფის გისოსები ნორმალურად ხედვის საშუალებას არ აძლევს. ქალის სახეს მხოლოდ დახლს მიღმა მდგომი, ოფლის წვრილი წვეთებით სახედანამული გამყიდველი ხედავს. შაკილა თავს აქიცინებს, ეშმაკურად იცინის, ევაჭრება და კვკლუცობს. მოქნილი, მონარნარე, მღელვარე ბურკა გამყიდველების ყურადღებას იქცევს. საარშიყოდ სახის გამოჩენა სულაც არ არის აუცილებელი – ნეკა თითის აწვევა, ფეხის ერთი მოძრაობა, ხელის ერთი აქწევაც საკმარისია. შაკილას ყვითელი საფარდე სირმები სახესთან მიაქვს და ახლა ის უკვე ფატის მოსართავი ხდება. ამგვარი მოსართავები აუცილებელია თეთრი ფატის გასალამაზებლად და გასახალისებლად. საბოლოოდ მხარეები თანხმდებიან, გამყიდველი ლენტებს ზომავს, ჭრის, შაკილა ილიმის და მოსართავებს გატენილ ჩანთაში იწყობს. ბურკები კვლავ ბაზრობის დახლებს მიუყვებიან. გზა სულ უფრო ვინროვდება.

ხალხის ყაყანი გაურკვეველ გუგუნში გადადის. ხმამალალ რეკლამას თავის საქონელს არავინ უკეთებს. ფქვილის ტომრებსა და დაგორგოლავებულ ხალიჩებზე ნახევრად მიწოლილი ვაჭრები ერთმანეთთან ჭორაობითა და მოფუსფუსე მყიდველთა თვალიერებით უფრო არიან გართულები, ვიდრე თავიანთი საქონლის შეფასებით.

ზედმეტი მონდომება რა საჭიროა. მყიდველები იმას, რაც სჭირდებათ, მაინც ნახულობენ.

ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ქაბულის ბაზარში დრო გაჩერებულა. აქ დღესაც იგივე საქონელი შეგიძლიათ ნახოთ, რასაც ძვ. წ. 500 წელს სპარსი დარიოსის ეპოქაში ყიდდნენ. გასაყიდი ნივთები ღია ცის ქვეშ, მიწაზე დაგებულ უზარმაზარ ხალიჩებსა და ვიწრო დახლებზე უნესრიგოდ ყრია. მათ ათასი ხელი, ათასი მოქნილი თითი ეხება, იღებს, აბრუნებს და სინჯავს. მინის თხილი, გარგარის ჩირი და მწვანე ქიშმიში სელის დიდი ტომრებით ულაგიათ. მოფამფალეებულ ურიკებზე ლაიმი და ლიმონი დაუხვავებიან, რომელთაც იმდენად თხელი კანი აქვს, რომ გაუფცქვნიელადაც შეჭამს კაცი. ვილაცას ქათმები გამოუყვანია გასაყიდად. მსუქანი დედლები ტომრებში სხედან, ფრთხილებენ და ხმამაღლა კაკანებენ. სუნელების გამყიდველებს დახლებზე მწარე წინაკის, ბაფრანისა და კოჭას უზარმაზარი ზვინები დაუხვავებიან. არცთუ იშვიათად, სუნელებით მოვაჭრენი აფთიაქარობასაც ითავსებენ და მყიდველს სამედიცინო თვალსაზრისით სხვადასხვა გამხმარ ბალახს, ხილს, ფესვებსა და ჩაის ნაყენს სთავაზობენ თან ექიმივით ზუსტად უხსნიან ამ პროდუქტების დანიშნულებასა და მოქმედებას როგორც ჩვეულებრივი, ასევე ყველანაირი დაავადების წინააღმდეგ.

ნედლი ქინძის, ნივრის, ტყავისა და დარიჩინის სურნელს მდინარიდან მონაქროლი განავლის სუნი ერთვის. ეს მყრალი, ნახევრად დამშრალი მდინარე ბაზარს მთავარი ძარღვივით ჩამოუდის შუაში და ორად ყოფს. მდინარეზე გადებულ ხიდებზე ცხვრის სქელი ტყავისგან შეკერილი ფეხსაცმელი, ბამბა, სხვადასხვა ფერისა და მოხატულობის ქსოვილი, დანები და ხისგან გამოთლილი საყოფაცხოვრებო ნივთები იყიდება.

შიგადაშიგ ისეთ ნივთებსაც ნახავს კაცი, დარიოსის ხანაში რომ არ იცნობდნენ. მაგალითად, კონტრაბანდული წესით შეფუთულ სიგარეტს ეგზოტიკური დასახელებებით: „Pleure“, „Wave“ ანდა „Pine“.

აქვეა პაკისტანიდან შემოტანილი ფალსიფიცირებული კოკა-კოლა. საუკუნეების მანძილზე მოქმედი კონტრაბანდული გზა დღესაც იმავე წესებით მოქმედებს: პაკისტანიდან კიბერის უღელტეხილის, ირანი-დან კი – მთების გადავლით ჰაშიში, ჰეროინი და ოპიუმი მრავალი წლის განმავლობაში ნაქელი ბილიკებით გადააქვთ. საქონელს ზოგი სახედრის ზურგით ეზიდება, ზოგი კი – სატვირთო ავტომანქანით. აქვე, ამ გზაზე, ე. წ. ფულის ვაჭრებსაც შეხვდებით. განიერ შარვლებსა და ჩალმებში გამონცობილი ფულის გადამყიდველები გრძელ რიგად დგანან და ხელში სქელ დასტებად შეკრული ლურჯი ავლანის კუ-პიურები ჩაუბლუჭავთ. ერთ დოლარში ოცდათხუთმეტ ათას ავლანს ითხოვენ.

ერთი ვაცი მტვერსასრუტს ყიდის. სახელად „National“. მის გვერდით მდგომი ვაჭარიც მტვერსასრუტს ყიდის, ფასი იგივე, მხოლოდ სახელია ცოტა განსხვავებული – „Nautional“, თუმცა მყიდველი არც ორიგინალს ჰყავს და არც მის გაყალბებულ ვარიანტს, რადგან ქაბულის ელექტროენერგიით არასტაბილურად მომარაგების გამო ხალხი ძირითადად ცოცხს ეტანება.

ქალები ისევ ბაზრობის ტალახს ქელავენ. ყავისფერი სანდლები, ათასი ჭუჭყიანი, შავი, ტალახიანი, გაცვეთილი ფეხსაცმელი და მუშაბის თასმებიანი ვარდისფერი ქოში ერთმანეთს ერევა და ენაცვლება. შიგადაშიგ თეთრი ფეხსაცმელიც მოჩანს. ერთ დროს ეს ფერი თალიბანის დროშის სიმბოლოს წარმოადგენდა, ამის გამო თეთრი ფეხსაცმლის ტარება სასტიკად იკრძალებოდა. ასევე იკრძალებოდა კაკუნა ქუსლები იმის გამო, რომ ამ ხმებს მამაკაცების აღგზნება არ გამოეწვია. თუმცა, ქაბულში ახალი დროება დამდგარა და კაცს სულ უფრო ხშირად ესმის ქალის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ვნებიანი პაკაპუკი. მაგრამ ბაზრის ტალახი ამის საშუალებას არ იძლევა. შიშველი ფეხის თითებზე ზოგიერთ ქალს ფრჩხილის ლაქიც წაუსვამს, როგორც თავისუფლების კიდევ ერთი უმნიშვნელო გამოძახილი.

თალიბანის კანონებით, ლაქის წასმაც იკრძალებოდა და, შესაბამისად, მისი რეალიზაციაც. ამ კანონის დარღვევის გამო არაერთი ქალისთვის მოუჭრიათ ხელის ან ფეხის თითის წვერო. ქაბულში თალიბანის რეჟიმის დამხობიდან პირველ გაზაფხულს ქალთა გათავისუფლების პროცესი ძირითადად ფრჩხილის ლაქისა და აკრძალული ფეხსაცმლის ტარებით გამოიხატა და ჯერჯერობით ტალახში ამოსვრილი ბურკის ბოლოს ვერ გასცდენოდა.

იმიტომ ვი არა, რომ ხალხი არ ცდილობდა. პირიქით, თალიბების გაძევების შემდეგ აქ ქალთა უამრავი გაერთიანება შეიქმნა. ზოგიერთი მათგანი თალიბანის დროსაც ვი მოქმედებდა. ისინი გოგონებისთვის საიდუმლოდ გახსნილ სკოლებს კურირებდნენ და მათ წერაკითხვასა და პირადი ჰიგიენის წესებს ასწავლიდნენ.

თალიბანის დროის უდიდეს გმირად კარზაის ჯანდაცვის მინისტრი და ავღანეთის ერთადერთი გენერალი ქალი – სოჰაილა სედიქი იყო აღიარებული, მან ქალებისთვის სპეციალურად განკუთვნილი სამედიცინო სწავლების კურსი დააარსა და ისიც ვი მოახერხა, რომ საავადმყოფოში, სადაც თალიბების აკრძალვისა და მუქარის მიუხედავად, მაინც მუშაობდა, ქალთა განყოფილება გაეხსნა. გარდა ამისა, ის ერთადერთი ქალი იყო იმ მცირეთაგან, რომელმაც ბურკის ტარებაზე მტკიცე უარი განაცხადა. თავად სოჰაილა ასე იხსენებს იმ დროს: „როდესაც რელიგიური პოლიციის წარმომადგენლებმა მომაკითხეს და ჯოხები აღმართეს ჩემს საცემრად, არ დავაყოვნე, მუშტები მოვუღერე და მათკენ გავიწიე. მაშინ მათ ფარ-ხმალი დაყარეს და შემემშენენ.“ თუმცა თალიბანის მმართველობის პერიოდში სოჰაილა იშვიათად გადიოდა ქუჩაში. მუქი თავშლით თავდაბურული, ყოველ დილას მანქანით მიჰყავდათ საავადმყოფოში და უკანაც ასევე მიაცილებდნენ. „ავღანელმა ქალებმა დაკარგეს ჩვეული გამბედაობა!“ – ნადვლიანად აღნიშნავდა სოჰაილა.

თალიბანის გაძევებიდან სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ, ქალთა ერთ-ერთმა ორგანიზაციამ მსვლელობის მონყობა სცადა. სქელ-ძირიან და მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე შემდგარი ქალები, რომელთა ნაწილს უკვე ბურკის გახდა და თავის მოშიშვლებაც კი გაეზედა, თავიანთ უბნებში დაირაზმნენ და ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ გზას დაუყვნენ, მაგრამ მათი დემონსტრაცია მთავრობის წარმომადგენლებმა აღკვეთეს. მიზეზად ის დასახელდა, რომ მთავრობას დემონსტრანტთა უსაფრთხოების დაცვის გარანტიები არ გააჩნდა. რამდენჯერაც გამოსვლა დააპირეს, იმდენჯერ შეაჩერეს.

ქალთა სკოლები კვლავ იხსნება, ქალები უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებსაც მიაწყდნენ და ბევრმა სამსახურიც კი დაიბრუნა. დახლებზე ქალების მიერ გამოცემული, სპეციალურად მათთვის განკუთვნილი ჟურნალებიც გამოჩნდა. ჰამიდ კარზაი კი შემთხვევას ხელიდან არ უშვებს და სულ უფრო ხშირად საუბრობს ქალთა უფლებებზე.

2002 წლის ივნისში გამართულ ლოია ჯირგას კანონ-შეკრებაზე ბევრმა ქალმა წარმოაჩინა საკუთარი თავი. დარბაზში მსხდომმა ჩალმიანმა მამაკაცებმა თავისუფლად მოაზროვნე რამდენიმე ქალს სიცილიც კი დააყარეს, მაგრამ ისინი დათმობაც არ აპირებდნენ. ერთ-ერთი მათგანის წინადადება იმის თაობაზე, რომ, საფრანგეთის მსგავსად, თავდაცვის მინისტრად ქალი აერჩიათ, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

მოსახლეობის ძირითადი მასისთვის კი მცირე რამ შეიცვალა, ოჯახური მდგომარეობა და ტრადიციები, ფაქტობრივად, იგივე რჩება და მმართველებად კვლავ მამაკაცები გვევლინებიან, ქალების უდიდესი ნაწილი ისევ ბურკით დადის და ბევრმა მათგანმა არც კი იცის, რომ გასულ საუკუნეში მცხოვრები მათი ბებიები ამ სამოსს არც კი იცნობდნენ. ბურკა პირველად მეფე ჰაბიბულას (1901–1919) მმართველობის პერიოდში შემოიღეს, მან თავის ჰარემში მცხოვრებ ორას ქალს ჩადრის ტარება დაუნესა, რათა სასახლის გარეთ მოსეირნე

ლამაზმანებს თავიანთი ეშხით სხვა მამაკაცები არ მოეხიბლათ და ეცდუნებინათ, მათთვის განკუთვნილი გრძელი ჩადრები ძვირფასი აბრეშუმისაგან მზადდებოდა და სხვადასხვა სახის ნაქარგებით ირთვებოდა. ჰაბიბულას პრინცესები ოქრომკვდით ნაქარგ ბურკებსაც კი ატარებდნენ. ამგვარად, გრძელი ჩადრი მაღალი კლასის წარმომადგენელ ქალთა ერთგვარი ატრიბუტი გახდა, რომლის საშუალებითაც ისინი ხალხის ცნობისმოყვარე მზერისაგან იცავდნენ თავს. ორმოცდაათიან წლებში კი ეს სამოსი მთელ ქვეყანაში გავრცელდა, მაგრამ ის ძირითადად მაინც მდიდარი ქალების პრეროგატივად ითვლებოდა.

ჩადრის ტარებას მონინააღმდეგეებიც გამოუჩნდა. 1989 წელს ერთ-ერთ ეროვნულ დღესასწაულზე სახელმწიფო მინისტრმა პრინცმა დაუდმა თავისი ცოლი თავდაუბურავად წარუდგინა საზოგადოებას, რითაც ყველა შოკში ჩააგდო. მან თავის ძმასა და სხვა მინისტრებსაც ხმამაღლა მოუწოდა, თავიანთი ცოლებისთვის ბურკის ტარება აეკრძალათ. ქაბულის ქუჩებში მეორე დღესვე გამოჩნდნენ ქალები, რომლებიც გრძელი, თხელი პალტოებითა და მუქი მზის სათვალეებით იწონებდნენ თავს. ჩადრები მცირე ზომის ქალური ქუდეებით ჩაენაცვლებინათ. ასე რომ, ბურკის ტარება მაღალი კლასის ქალებმა შემოიღეს და შემდეგ მათვე თქვეს პირველად უარი მის ჩაცმაზე. ქალბატონების ბურკები მათმა მსახურებმა და პირისფარეშებმა გადაიბარეს და ამგვარად, ეს სამოსი თანდათანობით ღარიბთა კლასის სიმბოლოდ იქცა. თავდაპირველად პუშტუნმა ვაცებმა მოსთხოვეს თავიანთ ქალებს ჩადრით სიარული, შემდეგ კი მათ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებმაც მიბაძეს.

პრინც დაუდს სურდა, რომ ეს საშინელი სამოსი სრულიად მოეშორებინა ქვეყნიდან. 1961 წელს მის მიერ გამოცემული ახალი კანონის თანახმად, სახელმწიფო სამსახურში მყოფ ყველა ქალს სამუშაოზე თავდაბურული მისვლა ეკრძალებოდა. ამას გარდა, მათ თანამედ-

როვე ტანსაცმლის ტარების უფლებაც ჰქონდათ. ამ კანონის გატარებას მრავალი წელი დასჭირდა, მაგრამ უკვე 70-იან წლებში იშვიათად ნახავდით კონსერვატულად ჩაცმულ მასწავლებელ ან მდივან ქალებს. შარვალ-კოსტიუმში გამონწყობილ მამაკაცთა რიცხვმაც თანდათანობით იმატა. თუმცა მუსლიმი ფუნდამენტალისტების მხრიდან მაინც იგრძნობოდა საფრთხე. ისინი შილიფად ჩაცმულ ქალებს ფეხებში ტყვიის დახლითა და სახეში მჟავის შესხმით ემუქრებოდნენ. სამოქალაქო ომის შემდგომ, როცა ქვეყანაში ისლამისტური მმართველობა დამყარდა, ქალების ერთმა ნაწილმა კვლავ დაიწყო სახის დაფარვა და ბურკის ტარება. თალიბანის დამკვიდრების შემდეგ ქაბულის ქუჩებში ქალის ერთი რომელიმე ნაკვთის დანახვაც კი შეუძლებელი გახდა.

დანინაურებული ბურკა დამშრალი მდინარის მხარეს, ხიდებისკენ მიიწევს. იგი ასობით ტალახიან ფეხსაცმელს ფეხდაფეხ მიჰყვება, უკან კი ხალხის ბრბოში გზააბნეული დები რის ვაივაგლახით მისდევენ. ქალები ხალხის ტალღას მიჰყვებიან. ერთმანეთის ფეხსაცმლის გარჩევა უკვე შეუძლებელი ხდება. ახლა გაჩერება, ანდა მიბრუნებაც არაა ადვილი. უცნობი ბურკები ერთმანეთს ეხლებიან, თავზე ჩანთებშემონწყობილი და ილღიებში საქონელამოჩრილი მამაკაცები ამაოდ ცდილობენ ბრბოს გარღვევას. დები ერთმანეთის თვალთახედვიდან ისევ იკარგებიან.

სამი გზააბნეული ბურკა ერთმანეთს დაედებს. ერთ მათგანს შავი ფეხსაცმელი აცვია, თეთრი განიერი შარვლის ტოტები უფრიალებს და კაშკაშა წითელი კაბის ბოლო მოუჩანს, მეორეს ყავისფერი სანდლები და კაბის შავი ბოლო აქვს. მესამე ბურკას კი, ამ ორივეზე უფრო თხელი სილუეტით რომ გამოირჩევა ვარდისფერი მუშამბის ფეხსაცმელი, იასამნისფერი შარვალი და იმავე ფერის განიერი ტუნიკა აცვია.

მოულოდნელად ისინი ერთმანეთს ლანდავენ და მდუმარედ, მზერით ეხმაურებიან. დიდი გაჭირვებით დები ისევ ახერხებენ ერთმანეთთან მისვლას. წინამძღოლ ბურკას ისინი ერთ მაღაზიაში შეჰყავს. უზარმაზარვიტრინებიანი მაღაზია ბაზრის გასასვლელში დგას და შედარებით მაღალი დონისაა. შაკილამ ამჯერად საწოლის გადასათარებელი უნდა შეიძინოს. მისი მზერა მეტისმეტად უფერულ, ღია ვარდისფერ ფარდაგზე ჩერდება, რომელსაც ეწოდება. ფარდაგს არშებიანი, გულებითა და წვრილი ყვავილებით მოჩითული ბალიშებიც მოჰყვება. ეს ყველაფერი უხეშ, გამჭვირვალე ცელოფნის სახელურიან ჩემოდანში ლამაზად დაკეცილი აწყვია. Product of Pakistan – აწერია ჩემოდანს, ზემოთ კი დახატულია ეიფელის კოშკი წარწერით Paris.

სწორედ ეს გადასათარებელი სურს პატარძალს მომავალი საქორწინო სარეცელისთვის, რომელიც ჯერ თვალით არ უნახავს და არც შეუმოწმებია. მისი ნახვა ქალს ქორწინების პირველ ღამემდე არ შეუძლია.

ქალი გამყიდველს ევაჭრება. კომპლექტის ფასი რამდენიმე მილიონი ავღანია, – ისეთი ფასია, თმა ყალყზე დაგიდგება! – ნუხს შაკილა.

იგი თავის ფასს ასახელებს, გამყიდველი კი ჯიუტად უარობს მანამ, სანამ შაკილა წასვლას არ დააპირებს. მონარნარე ბურკა გადასათარებელში სანყისი საფასურის მესამედს იხდის ფულს კი აძლევს, მაგრამ ფერზე გული ეთანაღრება. მას ახლა ღია ვარდისფერის ნაცვლად წითელი სურს. გამყიდველი ცელოფნის ჩემოდანს ცვლის და შაკილას ამჯერად წითელ გადასათარებელს აძლევს, თან, როგორც საპატარძლოს, იაფფასიანი წითელი პომადითაც ასაჩუქრებს.

შაკილა ფარდაგებისა და კოსმეტიკის გამყიდველს გულითად მადლობას უხდის და პომადის მოსასინჯად სახეს ითავისუფლებს. მეტისმეტად შინაურულად იქცევა. გამყიდველი ვაცის გარდა მაღაზიაში არავინაა, ამიტომ მარიამი და ლეილაც თამამდებიან, ბურკებს უკან

იგდებენ და უფერულ ტუჩებს წითლად მოკაშკაშე პომადით იღებავენ. ქალები სარკეში იხედებიან, შემდეგ ხარბად ათვალიერებენ შუშის დახლს მიღმა გამოფენილ საოცარ ნაწარმს. შაკილა მათეთრებელ კრემს კითხულობს. სიფერმკრთალე ხომ ავღანური სილამაზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. პატარძალი ფერმკრთალი უნდა იყოს.

გამყიდველი მამაკაცი ქალს ერთ კრემს სთავაზობს, სახელწოდებით – „Perfact“. „Loe white block cream“, აწერია ყუთს დამახინჯებული ინგლისურით, დანარჩენი წარწერა კი ჩინური იეროგლიფებითაა შესრულებული. შაკილა კრემს სინჯავს, კანზე გულმოდგინედ იგლეხს და ისე გამოიყურება, თითქოს სახეზე ცარცის სქელი ფენა წაესვათ. არაბუნებრივი თეთრი ფენის ქვეშ მისი კანის ბუნებრივი ფერი იკვეთება და საბოლოოდ მისი კანი ერთმანეთში არეულ თეთრ-ყავისფერ შეფერილობას იძენს.

ეს „სასწაულმოქმედი“ კრემიც სხვა ნაყიდ ნივთებთან ერთად შაკილას ჩანთაში ხვდება. დები კისკისებენ და გამყიდველ კაცს ჰპირდებიან, რომ ქორწილისთვის ყოველთვის მასთან ივაჭრებენ.

შაკილა ძალიან კმაყოფილი ჩანს. ერთი სული აქვს, სახლში მივიდეს, ნავაჭრი დაათვალიეროს და ოჯახის სხვა წევრებსაც აჩვენოს. ქალები ავტობუსში ადიან და უკანა სკამზე გაჭირვებით პოულობენ ადგილს. ავტობუსი სხვა ქალებით, მათი ბავშვებითა და სავსე ჩანთებით არის გადაჭედილი. მათი ბურკები ერთმანეთში იხლართება, საკიდებს ედება და ფეხებით იქელება. დაჯდომისას ქალებმა ჩადრის ბოლო ოდნავ ზევით უნდა წამოსწიონ, რათა ქსოვილი არ დაიჭიმოს და თავი თავისუფლად ამოძრავონ.

შაკილა და მისი დები განაპირა ადგილებზე სხდებიან და გატენილ პარკებს კალთებზე და ფეხებთან ინყობენ. ავტობუსში ქალებისთვის არცთუ ისე ბევრი ადგილია განკუთვნილი, ამიტომ ახალი ბურკების შემომატებისას ქალები კვლავ იჭყლიტებიან. გრძელ ბურკებში გახვეული სხეულები, ნავაჭრი საქონელი და ტალახიანი ფეხსაცმელი

ერთმანეთში ირევა, ავტობუსი შაკილას დაბომბილ კორპუსთან ჩერდება და ქანცგამოცლილი დები რის ვაივაგლახით ჩამოდიან ტრანსპორტიდან, გრძელი ჩადრების შრიალით შერბიან გრილ სახლში, გახურებულ ბურკებს თავიდან იგლეჯენ, მათთვის განკუთვნილ საკიდებზე ჰკიდებენ და შვებით ამოისუნთქავენ, ისინი კვლავ იბრუნებენ თავიანთ სახეებს, საზიზღარმა ბურკებმა რომ დააკარგვინეს.

მესამეხარისხოვანი ქორწილი

ქორწილის წინა საღამოა. ოთახი ხალხითაა გაჭედილი. იატაკზე ერთ თავისუფალ ადგილსაც ვერ ნახავს ვაცი. ქალების უმეტესი ნაწილი რბილ ბალიშებსა და საგებებზე მოკალათებულია. ისინი ჭორაობენ და თან გემრიელად ილუკმებიან, სხვები კი მღერიან და ცეკვა-თამაშით ირთობენ თავს. ამ საღამოს „ინის რიტუალი“ უნდა ჩატარდეს. ქორწილის წინა ღამეს ნეფესა და დედოფალს ხელისგულებსა და ფეხისგულებზე ინას შეაზღელენ, რის შედეგადაც მათ ვანზე სხეულის ამ ადგილებში ფორთოხლისფერი ორნამენტისებური მოხატულობები ჩნდება. ეს რიტუალი, როგორც აქ ამბობენ, ახლად დაქორწინებული წყვილის მომავალ ბედნიერ ცოლქმრულ თანაცხოვრებას განაპირობებს. სიძე-პატარძალი ამ დროს ერთად არ იმყოფება. ვაცები თავისთვის ზეიმობენ, ქალები კი – თავისთვის. ოთახში თავმოყრილი ქალები საკმაოდ ძლიერი და, ცოტა არ იყოს, შემზარავი აღტყინებით მოქმედებენ და ერთობიან: უკანალებზე უტყაპუნებენ ერთიმეორეს, ძუძუებზე ჩქმეტენ, ერთმანეთისთვის ცეკვავენ, ხელებს გველივით მოქნილად ამოძრავებენ და თეძოებს მუცლით მოცეკვავენ

არაბი ხანუმებივით იქნევენ. პატარა გოგონებიც კი კარგად გამოცდილი მაცდურებივით ირხევიან და გამომწვევი მზერითა და აზიდული მორკალული წარბებით დიდი მონდომებით ბზრიალებენ ოთახის შუაგულში. მოხუცი დედაკაცები ცდილობენ, ახალგაზრდების ფერხულში ჩაებან, მაგრამ მალევე იღლებიან და ცეკვას შუა გზაზე წყვეტენ. თითქოს სურთ, ყველას უჩვენონ, რომ მათ ჯერ კიდევ შესწევთ უნარი, თუმცა ბოლომდე ვერ უწყობენ ფეხს.

შაკილა დივანზე დაუსვამთ. ეს დივანი ერთადერთი ავეჯია, რომელიც ოთახში სპეციალურად ამ რიტუალისთვის შეუტანიათ, შაკილა ზეიმს შორიდან ადევნებს თვალყურს, მას არც ცეკვის უფლება აქვს და არც გაღიმების. ტრადიციის თანახმად, საპატარძლოს მხიარულება გულს დასწყვეტს დედას, რომელსაც სულ მალე უნდა დაემშვიდობოს. მომავალ დედამთილს კი გააღიზიანებს მისი ნალველი. საპატარძლოს გულგრილი გამომეტყველება უნდა ჰქონდეს, მას არც თვალების აქეთ-იქით ცეცება და ხალხის თვალიერება შეუძლია. ის მდუმარედ უნდა იჯდეს და ერთ წერტილში იცქირებოდეს. შაკილა დავალებას ბრწყინვალედ ართმევს თავს. კაცს ეგონება, რომ ამ დამისთვის მთელი თავისი სიცოცხლე ვარჯიშობდა და ემზადებოდა. შაკილა დედოფალივით წელში გამართული ზის და მშვიდად ესაუბრება ქალებს, რომელთაც მის გვერდით ჯდომის პატივი ხვდათ ნილად, ქალები ერთმანეთს ენაცვლებიან. საუბრისას შაკილა მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებს.

პატარძლის საზეიმო სამოსი წითელ, ყვითელ, შავ და მწვანე ფერებშია გადაწყვეტილი, თითქოს იგი ავღანეთის დროშაში გაუხვევიან და შემდეგ ოქროსფერი მტვერი შეუფრქვევიათ, ძუძუები მწვერვალებივით გამობზევია. აშკარაა, თვალის ზომით ნაყიდი ლიფი ზუსტად მოერგო. კორსეტისმაგვარი ქსოვილი მჭიდროდ ეკვრის მის სხეულს. შაკილას სახეზე Perfect-ის სქელი ფენა წაუსვამს, თვალის კონტურები შავი ფანქრით გაუმუქვებია და ტუჩები ახალი, წითელი პომა-

დით შეუღებავს. შაკილა გარეგნობითაც კა იდეალური ავღანელი პატარძლის სახეა, რომელიც არაბუნებრივად, თოჯინასავით უნდა გამოიყურებოდეს. პატარძალსაც და თოჯინასაც ავღანურ ენაზე ერთი სახელი, „არუსი“ ჰქვია.

გვიან საღამოს ჭიშკარში ტამბურინებით, დოლებითა და ფარნებით ხელდამშვენებულთა გუნდი გამოჩნდება. ესენი ვაკილის ოჯახის წარმომადგენელი ქალები – მისი დები, რძლები და ქალიშვილები არიან. ისინი სიბნელეში ტაშის კვრითა და ცეკვით მიაბიჯებენ და თან მღერაან:

„ამ სახლიდან ქალი მიგვყავს ჩვენს ოჯახში.

პატარძალო, თავს ნუ დახრი!

ცხარე ცრემლებს ნუღარ დაღვრი!

ეს ღვთის ნებაა, მაღლი მის სახელს.

ო, ღვთის რჩეულო მუჰამედ,

შენ მოუგვარე სიძნელები და

ყველანაირი გასაჭირი შეუმსუბუქე!

ქალებს სხეულსა და სახეზე თავსაფრები და პირსახოცები შემოუხვევიათ და ნაზად ირხევიან. ოთახში ორთქლისა და ოფლის ობიჟარი დგება. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფანჯარა ღიაა და გაბათხულის სუსტი ნიავი ფარდებს აქეთ-იქით არხევს, ღამის სიგრილე მობეიმე ქალებამდე მაინც ვერ აღწევს.

მალე ოთახში ფლავით სავსე ლანგრები შემოაქვთ და ქალებიც ცოტა ხნით ისვენებენ. ყველანი იქვე, იატაკზე სხდებიან, სადაც სულ რამდენიმე წუთის წინ ცეკვავდნენ. უფროსი ასაკის დედაკაცები კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ ბალიშებზე მოკალათებულან. უკანა ეზოში დანთებულ შუაცეცხლზე შემოდგმულ უზარმაზარ ქვაბებში მომზადებული საჭმელი ოთახში შაკილას უმცროს დას, ლეილასა და მათ უმცროს ბიძაშვილ გოგონებს შემოაქვთ. ფართო ლანგრებით რიგდება ბრინჯი, ცხვრის ხორცის მოზრდილი ნაჭრები, მანვნის საწებელში ჩაწყობილი ბადრიჯანი, ნივრითა და ისპანახით შენელებული

ატრია და წინაკის სოუსიანი კარტოფილი. გოგონები ლანგრებს პატარა ჯგუფებად იატაკზე მოკალათებული ქალების წინ ალაგებენ. ბრინჯს მარჯვენა ხელის თითებით იღებენ, პატარა გუნდას აკეთებენ და პირისკენ მიაქანებენ, ხორცს პურის დიდი ლუკმით წვდებიან, სოუსში აწობენ და ისე ჭამენ. ამ ყველაფერს მარჯვენა ხელით აკეთებენ. მარცხენა ხელი ბინძურად ითვლება და საქმეში არ რევენ. ოთახში პირის წვლაპუნის მეტი არაფერი ისმის, თითქოს სიჩუმე ჭამის პროცესს ვიდევ უფრო სასიამოვნოს ხდიდეს. სიჩუმე მხოლოდ მაშინ ირღვევა, როცა ქალები ერთმანეთს მეტის ჭამას აძალებენ, და წესისამებრ, ერთიმეორეს ხორცის საუკეთესო ნაჭრებს სთავაზობენ.

ვახშმობის დასრულებისთანავე ინის ცერემონია იწყება, ამასობაში შუალამეც დგება. ქალები უკვე აღარ ცეკვავენ ზოგიერთ მათგანს ჩასძინებია, სხვები კი მიწოლილან, ან შაკილას გვერდით დამსხდარან და თვალყურს ადევნებენ ვაკილის დებს, რომლებიც პატარძალს ხელებსა და ფეხისგულებზე ხავსისფერ მასას აზღვნიან და თან „ინის სიმღერას“ ღიღინებენ. ინაშეგელილ მომუშტულ ხელებზე შაკილას მომავალი მაზლის ცოლი ქსოვილის ზონრებს ახვევს, რათა ხელისგულებზე ორნამენტებისმაგვარი სახეები წარმოიქმნას, შემდეგ იგი ქალის ხელებსა და ფეხის ტერფებს რბილი ნაჭრით ფუთავს, რათა ლოგინი და ტანსაცმელი ინით არ დაისვაროს. ამ პროცედურის შემდეგ მაზლის ცოლი შაკილას ტანსაცმელს ხდის, მხოლოდ საცვლებს უტოვებს. გრძელი, ქათქათა ბამბის შარვლისა და ასევე გრძელი პერანგისამარა დარჩენილ შაკილას ოთახის შუაგულში, ლეიბზე აწვენენ და თავს დიდი ზომის ბალიშზე ადებიანებენ. ამ ყველაფრის შემდეგ პატარძალს აპურებენ, მას დიდ ნაჭრებად დაჭრილ ხორცს, შემწვარ ღვიძლსა და მწვანე ხახვს აჭმევენ. ეს საჭმელი მისთვის სპეციალურად მისმა დებმა მოამზადეს.

ბიბი გიული მდუმარედ ზის და ქალიშვილს შეჰყურებს.

თვალს ადევნებს ყოველ ლუკმას, შაკილას რომ უდებენ პირში, შემდეგ ტირილს იწყებს. მას სხვა ქალებიც ჰყვებიან. ყველანი იცრემლებიან და თან ერთმანეთს იმით ამშვიდებენ. რომ შაკილას ნამდვილად კარგი ცხოვრება ელის წინ. ჭამის შემდეგ ბიბი გიულს ქალიშვილის გვერდით აწვენენ. დედის სხეულს მიხუტებული ახალგაზრდა ქალი ემბრიონის პოზაში წევს. მას ხომ აქამდე დედის გარდა არავის გვერდით არ სძინებია. ეს კი დედის ბუდეში გატარებული ბოლო ღამე იქნება მისთვის. მომავალი და დანარჩენი ღამეები უკვე მის ქმარს ეკუთვნის.

ჩაძინებულ საპატარძლოს რამდენიმე საათის შემდეგ აღვიძებენ. დები მას სახვევებს ხსნიან. შემდეგ კი, ხელებიდან და ფეხისგულებიდან, რომლებიც უცნაური, ფორთოხლისფერი სახეებით აჭრელებულა, ინას ფრთხილად აფხევენ. შაკილა წინა საღამოსთვის თოჯინასავით მოხატულ სახეს იბანს და ჩვეულებისამებრ, მსუყე საუზმეს შეეჭქევა. მისი საუზმე შემწვარი ხორცის, პურის, დაშაქრული პუდინგისა და ჩაისაგან შედგება.

ცხრა საათისთვის საპატარძლო უკვე ახალ სამზადისს იწყებს. მან ვარცხნილობა უნდა გაიკეთოს, კვლავ საზეიმოდ მოირთოს და შეიღებოს. შაკილა, მისი უმცროსი და, ლეილა, სულთნის მეორე ცოლი – სონია და მათი ბიძაშვილი გოგონა მიკრორაიონის მეზობელი კორპუსის კიბეზე ვაკუნით ადიან. ისინი იმ სილამაზის სალონს უნდა ესტუმრონ, რომელიც ერთ-ერთ ბინაში საიდუმლოდ თალიბანის დროსაც ფუნქციონირებდა. მორთვა-მოკაზმვა მაშინდელ პატარძლებსაც სურდათ, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ეს ყველაფერი აკრძალული იყო. თალიბების მიერ დაკანონებული ჩადრი ერთ რამეში მაინც ადგებოდათ: ქალები ბურკით მოდიოდნენ და შემდეგ გამოპრანჭულები უკან ბურკითვე ბრუნდებოდნენ.

სილამაზის სალონში ერთი სარკვე კიდია, იქვე დგას ერთადერთი სკამი და ბოთლებითა და სხვადასხვანაირი ქილებით გამოტენილი

თარო. ქილების დიზაინით თუ ვიმსჯელებთ, ისინი რამდენიმე ათეული წლისა მაინც უნდა იყოს. პარიკმახერ ქალს კედლები ბოლივუდის ინდოელი მსახიობების პლაკატებით აუჭრელებია. მკერდმოღეღილი ლამაზმანები დამატყვევებლად უღიმიან სალონის ერთადერთ სკამზე დასკუპებულ თავდაჭერებულ შაკილას.

ვერავინ იტყვის, რომ შაკილა ლამაზი ქალია. ფართო სახე, ფორებიანი სახის კანი და შესიებული ქუთუთოები აქვს, მაგრამ ულამაზესი, ქათქათა კბილების, მბრწყინავი თმისა და ვეკლუცი გამოხედვის გამო ბიბი გიულის ქალიშვილებიდან ყველაზე მომხიბლავად მიიჩნევენ.

– არ მესმის, ასე ძალიან რატომ მომწონხარ, – უთხრა ქალს ვაკილმა მარიამის ოჯახში სადილობის დროს, – შენ ხომ ლამაზი არ ხარ.

ვაცის ხმაში სიყვარული გამოსჭვიოდა და შაკილამ მისი ეს რეკლიკა კომპლიმენტად აღიქვა. ახლა კი მართლა ნერვიულობს, ვაითუ ამ საღამოს სათანადოდ ლამაზი არ იყოს. მისი მშერა ახლა ჩვეულებისამებრ მაცდური აღარაა. ბოლოც და ბოლოს, ეს ხომ მისი ქორწილია და არა სახუმარო ამბავი!

პარიკმახერი ქალი შაკილას ყორნისფერ დალალებს ბიგუდებზე ახვევს. ამის შემდეგ კი საპატარძლოს ხშირი და გაბარდული წარბების ამოქნას იწყებს. შაკილას სქელი წარბები ცხვირის დასაწყისში ერთიმეორეს შეზრდია. წარბების ამოქნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია იმისა, რომ ქალი გათხოვებას აპირებს. მანამდე მას ამისი უფლება არა აქვს. შაკილა სიმწრისაგან კვივის, პარიკმახერი კი თავის საქმეს აგრძელებს, თანდათანობით შაკილას წარბები ცისარტყელევივით ირკალება და როცა ბოლოს სარკვეში იხედება, აღტაცებას ვერ მალავს, აჭიმულმა წარბებმა თითქოს მისი მშერაც სხვაგვარი გახადა. – ცოტა ადრე რომ მოსულიყავი, ტუჩის ზემოთ ბუსუსებსაც გაგიუფერულებდი, – ეუბნება შაკილას პარიკმახერი და თან რაღაც იდუმალ ტუბს უჩვენებს, რომელსაც აწერია: „Cream bleach for unwanted hair“.

– მაგრამ ახლა ვეღარ მოვასწრებთ. ამ ყველაფერის შემდეგ ქალი შაკილას სახეზე სქელ ფენად აგლეს „Perfact“-ს, ქუთუთოებზე წითელყვითლად მოელვარე ჩრდილებს ადებს და შავი ფანქრით თვალის კონტურებს უგრძელებს, ბოლოს კი შინდისფერ პომადას უსვამს.

– რაც არ უნდა გავიკეთო, შენსავით ლამაზი მაინც ვერასოდეს გავხდები, – ეუბნება შაკილა თავის უმცროს რძალს, სულთნის მეორე ცოლს – სონიას, რომელიც ცისფერი მაუდის კაბის მორგებას ცდილობს. სონია პასუხად მხოლოდ იღიმება და რაღაცას გაურკვევლად ბუტბუტებს.

შაკილას შემდეგ სონიას გალამაზების დროა. შაკილას კი კაბა უნდა ჩააცვან. ლეილამ მას ფართო, მუცლის სპეციალური ელასტიური ქამარი ათხოვა, რომლის საშუალებითაც პატარძალს წვრილი წელი და თეძოები უნდა გამოეკვეთოს. კაბა, რომელიც შაკილამ დღის პირველ ნახევარში უნდა ჩაიცვას, პრიალა, მკვეთრი პიტნისფერია და სინთეტიკური მაქმანებითა და ყვითელი ვანტებითაა განწყობილი. კაბა აუცილებლად მწვანე უნდა იყოს, რადგან ეს ფერი ისლამის და ბედნიერების სიმბოლოდ ითვლება.

შაკილას კაბას არგებენ, ფეხზე ყვითელთასმებიან, მაღალქუსლიან თეთრ ფეხსაცმელს აცმევენ და ამის შემდეგ უკვე ბიგუდების მოხსნის დროც დგება. პარიკმახერი საპატარძლოს დაკუთვნილებულ თმას ზემოთ უწევს, სპეციალური სარჭებით უმაგრებს და ბუჩქისებურ ვარცხნილობას უკეთებს. შუბლზე ჩამოშლილ, მოკლედ შეკრეჭილ თმას კი ერთიდან მეორე მხარეს გადაუვარცხნის და თმის ძლიერი ლაქის დახმარებით თალისებურ ფორმას აძლევს. სულ ბოლოს პირბადეს ამაგრებს. ისიც პიტნისფერია. ვარცხნილობის გასალამაზებლად შაკილას თმაში ათიოდე ყვითელკანტშემოვლებულ პანანინა ცისფერ ვარსკვლავს უმაგრებენ. რამდენიმე ვერცხლისფერ ვარსკვლავს ღანვებზეც აწებებენ. შაკილა ახლა თითქმის პლაკატებიდან მომზირალი ბოლივუდელო ლამაზმანებით გამოიყურება. – ოჰ,

არა! ზენარი დაგვავიწყდა! – ყვირის მოულოდნელად შაკილას უმცროსი და, ლეილა, – ოჰ, არა!

– რას ამბობ! – შემშოთებული სონია გაუნძრევლად მჯდომ შაკილას შესცქერის.

ლეილა სასწრაფოდ გარეთ გარბის. საბედნიეროდ, აქვე ცხოვრობენ. გოგონას უკვირს, რომ ზენარი – ის, რაც პატარძლისთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანია, სახლში დარჩა... ლეილასგან განსხვავებით, შედარებით მშვიდად მყოფი დანარჩენი ქალები სალონში რჩებიან და მორთვა-მოკაზმვას აგრძელებენ. პანანინა ვარსკვლავებით თმას და ღაწვებს ისინიც იმშვენებენ. სულ ბოლოს ბურკებში შემალვის დროც დგება. შაკილა ცდილობს, ბურკა ისე ჩამოიცვას, რომ საქორწინო ვარცხნილობა არ გაიფუჭოს. შუბლზე ჩვეულებრივად, მჭიდროდ იმაგრებს ჩადრს, თავის იმ ადგილას კი, სადაც კულულები ბუჩქად უყენია, ქსოვილს ხალვათად იტოვებს. თხელი ძაფის ბადე თვალების ნაცვლად შუბლზე ექცევა და შაკილა ველარაფერს ხედავს. ამის გამო სონიამ და ერთმა ბიძაშვილმა გოგონამ ხელი უნდა ჩაჰკიდონ და კიბეზე ისე ჩაიყვანონ. ბურკის გარეშე გარეთ გასვლას შაკილას კიბეზე დაგორება ურჩევნია.

ბურკას მხოლოდ მარიამის უკანა ეზოში შესვლისას იძრობს. ქორწილი სწორედ აქ, ამ ეზოში იმართება. შაკილას თავზე წამოსკუპებული კულულების ბუჩქი ჩადრის ქვეშ ოდნავ შელახულა. ეზოში შესვლისთანავე შაკილა სტუმარი ქალების გარემოცვაში ექცევა. ვაკილი ჭერ არ მოსულა. უკანა ეზო გაჭედილია სტუმრებით, რომლებიც უკვე გემრიელად ილუკმებიან ფლავით, ქაბაბითა და კატლეთით. ქორწილში ასობით ნათესავია დაპატიჟებული. მზარეული და მისი შვილი დილაუთენია, გამთენიისას მოვიდნენ და მას შემდეგ კეპავენ, ჭრიან, ხარშავენ და ურევენ... საქორწინო სუფრისთვის 150 კგ ბრინჯი, 56 კგ ცხვრის ხორცი, 14 კგ ხბოს ხორცი, 42 კგ კარტოფილი, 30 კგ ხახვი, 50 კგ ისპანახი, 35 კგ სტაფილო, 1 კგ ნიორი, 8 კგ ქიშმიში, 2 კგ თხილეული, 32 ლ ზეთი, 14 კგ შაქარი, 2 კგ ფქვილი, 20 ცალი კვერცი,

ათასნაირი სუნელი, 2 კგ მწვანე ჩაი, 14 კგ შაქარყინული და 3 კგ კარამელი შეიძინეს.

სადილობის შემდეგ სტუმარი მამაკაცების უდიდესი ნაწილი მეზობელ სახლში გადადის. იქ სიძე, ვაკილი იმყოფება, საბოლოო შეთანხმებები სწორედ ახლა უნდა განხორციელდეს, დეტალები თანხის თაობაზე და სამომავლო გარანტიები ახლა უნდა განიხილონ. იმ შემთხვევაში, თუ ვაკილი შაკილას უმიზნობოდ გაშორდება, მან ქალს გარკვეული თანხა უნდა გადაუხადოს. გარდა ამისა, იგი ვალდებულია ცოლი საკვებით, ტანსაცმლითა და სხვა აუცილებელი საოჯახო ნივთებით უზრუნველყოს. შაკილას მხარეს მისი უფროსი ძმა, სულთანი წარმოადგენს. საბოლოო კონტრაქტს ორივე ოჯახის წარმომადგენელი მამაკაცები აწერენ ხელს.

შეთანხმება მიღწეულია და მამაკაცები მეზობელი სახლიდან სიძის ეზოში ინაცვლებენ. შაკილა თავის დებთან ერთად ოთახში, ფანჯარასთან ზის, ფარდა გადაუწვია და თვალს ადევნებს მექორწინეთა ზეიმს. სანამ მამაკაცები გარიგებას აწარმოებენ, შაკილა ამასობაში თეთრ საქორწინო კაბას იცმევს, სახეს კი საბჭოური წარმოების ფარდისებური პირბადით საგულდაგულოდ იფარავს. ახლა ქალი იმასლა უცდის, რომ ვაკილი თანმხლები პირებით ოთახში შემოვა. მერე კი სიძე-პატარძალი ერთად გავლენ გარეთ, ეზოში.

ვაკილი ცოტა არ იყოს, დამორცხვებული შემოდის ოთახში ისინი ერთმანეთს, წესისამებრ, თავის დაკვრით ესალმებიან, ვაკილი ქალის გვერდით დგება და ასე, მხარდამხარ ეზოში ისე გადიან, რომ ერთმანეთს სახეში არც კი უყურებენ. გასასვლელთან ჩერდებიან. ამ დროს ერთ-ერთმა ფეხი უნდა დაადგას მეორეს. ის, რომელიც ფეხის დაბიჯებას დაასწრებს, წამყვანი იქნება მომავალ თანაცხოვრებაში. რა თქმა უნდა, გამარჯვებული ვაკილი რჩება. უფრო სწორად, შაკილა აძლევს მას ამის საშუალებას. შაკილას გამარჯვებას არანაირი აზრი არა აქვს, რადგან მას მაინც არასოდეს მიეცემა ოჯახში ლიდერობის უფლება.

ეზოში ნეფე-დედოფლისთვის განკუთვნილი ორი სკამი დაუდგამთ. ჩვეულების თანახმად, მომავალი ცოლ-ქმარი ამ სკამებზე ერთდროულად უნდა დასხდნენ. თუ პირველად ვაკილი დაჯდება, ეს იმის ნიშანია, რომ მის მეუღლეს მომავალში მასზე დიდი ზეგავლენა ექნება. შაკილა და ვაკილი არ სხდებიან მანამ, სანამ მათთან სულთანნი არ მივა, მხრებზე ხელს არ დაადებს და ორივეს თითქმის ერთდროულად არ დასვამს სკამებზე. სტუმრები ტაშს უკრავენ.

შაკილას უფროსი და, ფეროზა, ნეფე-დედოფალს თავსა და მხრებზე საერთო ფარდას ახვევს და მათ წინ სარკვეს იჭერს. წყვილმა სარკვეში უნდა ჩაიხედოს და, ტრადიციისამებრ, პირველად სწორედ სარკვეში უნდა შეხვდეს ერთმანეთს მათი მზერა. ვაკილი და შაკილა სარკვეში ისეთი დაჟინებით იცქირებიან, თითქოს ერთიმეორე აქამდე არასოდეს უნახავთ. ფეროზა მათ თავზემით ყურანს იჭერს; იქვე დგას მოლა, რომელიც საქორწინო ლოცვას კითხულობს. სიძე-პატარძალი თავგაქინდრული ზის და მდუმარედ იღებს ღვთის სიტყვებს. ამის შემდეგ ნეფე-დედოფალს ლანგრით მიართმევენ ბისკვიტის ნაფხვენების, ზეთისა და შაქრისაგან დამზადებულ, დარიჩინით შეზავებულ პუდინგს, რომელიც ერთმანეთს კოვზით უნდა აჭამონ. სტუმრები ტაშს უკრავენ. წყვილმა სასმელიც უნდა შეასვას ერთიმეორეს. ამ რიტუალით ისინი ხალხს უჩვენებენ, თუ რა ტკბილი და შეწყობილი თანაცხოვრება ელოდებათ წინ. თუმცა, „ფანტის“ წრუპვა ყველას ერთნაირად როდი უჩუყებს გულს.

– იყო დრო, შამშანურით ვადღეგრძელებდით ნეფე-დედოფალს, – ჩურჩულებს ერთ-ერთი დეიდა, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვს ის წლები, როცა ღვინის და შამშანურის მიტანა საქორწინო სუფრაზე ჩვეულებრივი ამბავი იყო, – ეჰ, ის დრო ხომ აღარასოდეს დაბრუნდება, – ვიშივით ამატებს ქალი, – ნეილონის წინდებით, თანამედროვე კაბებით, მოშიშვლებული მკლავებითა და ჩადრის გარეშე სიარულის ხანა ახლა ბუნდოვან მოგონებადღა ქცეულა!

– მესამეხარისხოვანი ქორწილი, – ჩურჩულითვე პასუხობს დედის სულთნის უფროსი ვაჟი, მანსური, – უვარგისი საჭმელი, ბრინჯი და ფარშის ბურთულები... იაფფასიანი ტანისამოსი, ტუნიკა და ყელსახვევები... მე რომ ცოლს მოვიყვან, სასტუმრო „ინტერკონტინენტალის“ საბანკეტო დარბაზს დავიქირავებ, ყველა სტუმარს თანამედროვე ტანისამოსი ეცმევა და საუკეთესო სუფრა გაიშლება. უცხო ვერძებით, – ხაზგასმით ამბობს მანსური და ამატებს, – ჰო, სხვათა შორის, დაქორწინებასაც საზღვარგარეთ ვაპირებ!

შაკილასა და ვაკილის წვეულება მარიამის თიხით ნაგებ პატარა ქოხში და მის პანანინა ხრიოვ ეზოში გაუმართავთ. ქორწილის სურათებსაც ომის კვალი ამჩნევია, უკან კარგად ჩანს ნატყვიარი და ბომბებისგან ჩამონგრეული კედლები. ნეფე-პატარძალი უხალისოდ პოზირებს ფოტოგრაფების წინ. მათი სახეების მოღუშული გამომეტყველება და სახლის გაბზარული კედლები სურათებსაც ტრაგიკულ ელფერს სძენს.

საქორწინო ტორტის გაჭრის დროც დგება. შაკილასა და ვაკილს დაძაბული სახეებით უჭირავთ დანა. პირველი ნაჭრით ერთმანეთს უმასპინძლდებიან, ნაძალადევად აღებენ პირს და ბისკვიტის ნაფხვენებს ერთიმეორეს ტანსაცმელზე აყრიან ამის შემდეგ უკვე გართობაც შეიძლება. ბევრი სტუმარი თალიბების ქაბულიდან გაქცევის შემდეგ პირველად არის ქორწილში, სადაც ცეკვა-სიმღერა უკვე ნებადართულია. თალიბებმა ყველა სახის მუსიკა აკრძალეს და ამით ხალხს სიხარული და საქორწინო ხალისი გაუნახვევს.

ყველა სტუმარი საცეკვაო ფერხულში ებმება, მხოლოდ სიძე და პატარძალი სხედან და მღუმარედ შეჰყურებენ მექორწინეთა გართობას. უკვე საღამოს პირია. საგანგებო რეჟიმის გამო თითქმის ყველა ქორწილი დღისით იმართება, რათა ხალხმა სახლში მისვლა ათ საათამდე მოასწროს.

შებინდებისას ნეფე-დედოფალი სუფრას ტოვებს. სტუმრები მათ სტვენა-ყიჟინით აცილებენ ბაფთებითა და ყვავილებით მორთული

მანქანისკენ, რომლითაც ვაკილის სახლისკენ უნდა გაემგზავრონ. სტუმრების ნაწილიც რის ვაი-ვაგლახით თავსდება მანქანებში. ახლადდაქორწინებულებთან რვა კაცი იჭედება, სხვა მანქანებში – კიდევ უფრო მეტი... საქორწინო კორტეჟი ქაბულის ქუჩებს მიუყვება. ყოველი მანქანა გასწრებასა და დაწინაურებას ცდილობს. გვიანი საღამოა და ქუჩები შედარებით ცარიელია, ამიტომაც სიჩქარეს არავინ აკონტროლებს. მოულოდნელად ორი მანქანა ერთმანეთს ეჯახება და საზეიმო განწყობაც ნელდება, თუმცა, საბედნიეროდ, სერიოზულად არავინ შავდება. ფარებჩამტვრეული და ძარამიჭეჭყილი მანქანები კვლავ ვაკილის სახლისკენ აგრძელებენ გზას. ამ გზას ერთგვარი სიმბოლური დატვირთვა აქვს... შაკილამ საბოლოოდ უნდა დატოვოს მშობლების სახლი და ქმრის ოჯახში შედგას ფეხი.

ვაკილის სახლში შაკილას მისი უახლოესი ნათესავები აცილებენ. იქ კი მათ ვაკილის დები ხვდებიან და სტუმრებს ჩაით უმასპინძლდებიან. ამ ქალებთან ერთად უნდა გაიყოს შაკილამ კარ-მიდამო, მათთან ერთად უნდა ზიდოს წყალი, რეცხოს სარეცხი, დააპუროს ქათმები... პატარები, შარვლები რომ ზონრებით აქვთ დამაგრებული, ცნობისმოყვარედ ათვალისწინებენ ქალს, რომელიც მათი ახალი დედა უნდა გახდეს. ისინი მამიდების ფართხუნა ვაბებს ეფარებიან და პირდაფიქნილი შეჰყურებენ ოქროსფრად აბრჭყვიანებულ პატარძალს. აქ უკვე აღარც მუსიკა ისმის და აღარც მხიარული შეძახილები.

შაკილა თავის ახალ სახლში ღირსეული ნაბიჯით შედის. სახლი საკმაოდ დიდია, მაღალი ჭერით და, როგორც სხვა დანარჩენი სახლები ამ სოფელში, ისიც თიხით არის ნაგები. ფანჯრები მუქი ცელოფანებით დაუბურავთ. ვაკილი სხვა დანარჩენების მსგავსად, ჯერ კიდევ შიშობს, რომ ომი და დაბომბვები შესაძლოა ისევ განმეორდეს და ცელოფანების მოხსნას არ ჩქარობს.

სტუმრები ფეხზე იხდიან და მდუმარედ შედიან სახლში, შაკილას ახალ, მაღალქუსლიან საპატარძლო ფეხსაცმელზე მთელი დღე დგომისაგან ფეხები დასწითლებია და შესიების ოჯახის უახლოესი

ნათესავები ნეფე-დედოფლის საძინებელი ოთახისკენ იღებენ გემს. ოთახში უზარმაზარი სანოლი დგას, შაკილა სიამაყით ათვალეირებს თავის ნაყიდ პრიალა, ღაჟღაჟა წითელ, ბალიშებიან გადასათარებელს და თავისივე ხელით შეკერილ წითელ ფარდებს. ოთახი შაკილას დამ, მარიამმა ქორწილის წინა დღეს მორთო. თავად შაკილა ამ სახლში არასოდეს ყოფილა. არადა, დარჩენილი ცხოვრება აქ უნდა გაატაროს.

მთელი ქორწილის განმავლობაში ნეფე-პატარძალს ერთხელაც არ გაუღიმია ერთმანეთისთვის. თავის ახალ ოჯახში შაკილა შედარებით ხალისდება.

– რა ლამაზად მოგიერთავს ოთახი! – ეუბნება იგი მარიამს. შაკილას არასოდეს ჰქონია საკუთარი საძინებელი და სანოლზეც აქამდე არასოდეს დაუძინია. ქალი რბილ სანოლზე ჩამომტდარ ვაკილს უსკუპდება გვერდით.

ბოლო საქორწინო წესის ჩატარების დროც დგება. ვაკილის ერთ-ერთი და შაკილას ლურსმანსა და ჩაქუჩს აწვდის. ქალმა კარგად იცის, რაც უნდა გააკეთოს. იგი მშვიდი ნაბიჯით მიდის საძინებელი ოთახის კარისკენ და ლურსმანს კარში აჭედებს. როცა ლურსმანი ბოლომდე ჩადის ფიცარში, ყველა ტაშს უკრავს. ბიბი გიული იცრემლებს. ლურსმნის ჩაჭედება სიმბოლურად იმას ნიშნავს, რომ ქალმა თავისი ბედი სამუდამოდ მიაჭედა ქმრის კერას.

მეორე დღეს, დილაუთენია, შაკილას დედის, ბიბი გიულს სახლში ვაკილის დეიდა მიდის. ქალს ჩანთაში ის ზენარი უდევს, ლეილას კინალამ რომ დაავინყდა ქორწილის წინა დღეს და რომელსაც ასეთი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოხუცი ქალი ზენარს ჩანთიდან იღებს და საზეიმოდ აწვდის შაკილას დედას. ქსოვილი სისხლითაა მოსვრილი. ბიბი გიული იღიმება და ცრემლნარევი ხმით ქალს მადლობას უხდის. მერე თავისთვისაც ბუტბუტებს მოკლე სამადლობელ

ლოცვას. სხვა ქალებიც შემორბიან ზენრის სანახავად და ბიბი გი-
ულიც ყველა მსურველს, მარიამის პატარა გოგონების ჩათვლით,
ამაყად უჩვენებს მას.

ეს სისხლის ლაქა რომ არა, ზენრის ნაცვლად თავად შაკილას მო-
აცუნცულებდნენ დედამისის სახლში.

მატრიარქი

ყველა ქორწილი პატარა სიკვდილის ტოლფასია. ქორწილის პირველ დღეებში პატარძლის ოჯახში ისე გლოვობენ, თითქოს ვინმე გაასვენესო. ქალებს ან ყიდიან, ან რაღაცის სანაცვლოდ ათხოვებენ. ამ დროს განსაკუთრებით დედებს უჭირთ, რადგან გათხოვებამდე სწორედ ისინი განაგებენ თავიანთი ქალიშვილების ცხოვრებას, აკონტროლებენ ჩაცმულობას, იციან თუ ვის ხვდებიან, სად მიდიან, რას ჭამენ... თითქმის მთელ დღეებს ერთად ატარებენ, ერთ დროს დგებიან, ერთად ალაგებენ სახლს და ამზადებენ სადილს, ქორწილის შედეგ კი მათი ქალიშვილი სხვის ოჯახში შედის და ახლა იმათი საკუთრება ხდება. ქალს ქმრის ნებართვის გარეშე მშობლების სახლში წასვლა არ შეუძლია და არც მშობლებს აქეთ დაუპატიჟებლად ქალიშვილის მონახულების უფლება.

მიკრორაიონის 37-ე კორპუსის ერთ-ერთ ბინაში დედა დამჯდარა და თავის ქალიშვილს გლოვობს. მათ შორის მხოლოდ ერთი საათის სავალი გზაა. მაგრამ ახლა უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, შაკილა ქაბულის მახლობლად მდებარე პატარა სოფელ დეჰ ხუდაიდადში

იმყოფება თუ ზღვის გადაღმა, ათასობით მილის მოშორებით მდებარე უცხო ქვეყანაში. ახლა ის დედის გვერდით ლეიბზე აღარ წევს, აღარც ჩაისა და დაშაქრულ ნუშს შეეცევა მასთან ერთად.

ბიბი გიული მარტო აკნატუნებს ნუშს, რომელიც ლეიბის ქვეშ დაუშალავს, ლეილამ რომ არ უპოვოს. მისი უმცროსი ქალიშვილი ლეილა ერთადერთია, რომელიც მუდამ აქცევს ყურადღებას იმას, რომ დედამ ზომამზე მეტი არ ჭამოს. გოგონა მას კლინიკაში მომსახურე ექთანივით დასტრიალებს თავს და სასტიკად უშლის შაქრისა და ცხიმის სადილის ჭამას. თუ ქალი ჩუმად მიეპარება აკრძალულ კერძს, გოგონა ხელიდან სტაცებს. თუ დრო აქვს, ბიბი გიულისთვის ცალკე ამზადებს უცხიმო სადილს, მაგრამ ლეილას ოთახიდან გასვლისთანავე ქალი სხვისი თევზებიდან მორჩენილ ცხიმს მაშინვე თავის თევზში ისხამს. ბიბი გიული გიჟდება ზეთზე, ცხვრის ქონსა და ბლომად ცხიმში შებრანულ პაკორაზე. კიდევ ძალიან უყვარს ხორციანი სადილიდან მორჩენილი დიდი ძვლების გამოხრა. ჭამა ქალისთვის უდიდესი სიამოვნებაა. თუ გვიანი ვახშმის შემდეგ ბოლომდე ვერ დანაყრდა, ღამით ჩუმად დგება და პირდაპირ ქვაბებიდან სუსნაობს. მიუხედავად ლეილას დიდი მცდელობისა, ბიბი გიული წონაში მაინც ვერ იკლებს. პირიქით, უფრო და უფრო სუქდება. სასუსნავისთვის ფარული სამალავები ყველგან აქვს: ძველ სკივრებში, ხალიჩებისა და ყუთების უკან... ხელჩანთაში ყოველთვის უყრია პაკისტანიდან ჩამოტანილი ფერდაკარგული, ნახევრად დაფხვნილი და გაქვავებული, იათფასიანი ნაღების კარამელები. როცა ამ კარამელს წუნის, ვერავინ ვერაფერს იგებს. ნუში კი პირიქით – მარტო რომ დარჩება, მაშინ უნდა აკნატუნოს.

ოთახში მარტო მყოფ ბიბი გიულს საკუთარი თავი ებრალება. ლეიბზე ზის, ცალ ხელში ნუში ჩაუბლუჭავს, ერთ წერტილს მიშტერებია და ოდნავ ირწევა. სამზარეულოდან ქვაბების ჩხარუნის ხმა ისმის. სულ მალე მისი ყველა ქალიშვილი გაფრინდება სახლიდან... შაკი-

ლა უკვე გათხოვდა, ბუღბუღაც მალე წავა... ლეილაც რომ დატოვებს მშობლიურ კერას, მაშინ ყველაზე მეტად გაუჭირდება. მისი მომვლელიც აღარავინ იქნება. – სანამ ცოცხალი ვარ, ლეილას არავის გავატან! – ამბობს ქალი თავის ცხრამეტი წლის ქალიშვილზე. გოგონას ყველა მთხოვნელს უარით ისტუმრებს. ლეილასავით მას ვერავინ მოუვლის.

თავად ბიბი გიული ოჯახში თითოსაც არ ანძრევს. ძირითადად, თავის კუთხეში ზის, ჩაის შეექცევა და ფიქრობს. მისი დიასახლისობის ხანა უკვე კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. მოზრდილი ქალიშვილების დედა სახლის ერთგვარი გამგებელი ხდება, რჩევებს იძლევა, საქორწინო გარიგებებში მონაწილეობს და ოჯახის მორალზე, უპირველესად კი ქალიშვილებიც პატიოსნებაზე ზრუნავს. თვალყურს ადევნებს, რომ მართოები და თავდაუბურავები არსად წავიდნენ, უცხო მამაკაცებს არ შეხვდნენ, თავაზიანები და მორჩილები იყვნენ. ბიბი გიულის აზრით, თავაზიანობა უდიდესი მორჩილებაა. სულთნის შემდეგ ყველაზე მეტი ძალაუფლება ოჯახში სწორედ ბიბი გიულს აქვს, მისი ფიქრები ისევ უცხო სახლის თიხის კედლებში გამომწყვდეულ შაკილას უბრუნდება. დედა თითქოს ცხადად ხედავს, როგორ ეზიდება მისი ქალიშვილი ჭიდან წყლით სავსე მძიმე ვედროებს, უვლის ქათმებს, ფეხდაფეხ კი ათი ობოლი ბავშვი დაჰყვება. ბიბი გიული შიშობს, რომ შეცდომა დაუშვა. ვაითუ ვაკილი ცუდად ექცევა ცოლს?..

შაკილას გარეშე სახლში ისეთი სიცარიელეა... ახლა ოთხ ოთახში თორმეტის ნაცვლად თერთმეტნი ცხოვრობენ. ერთ ოთახში სულთანს, სონიას და მათ ერთი წლის ქალიშვილს სძინავთ, მეორე ოთახში – სულთნის ძმას, იუნუსს და სულთნის უფროს ვაჟს, მანსურს. ოჯახის დანარჩენი წევრები კი მესამე ოთახში მოთავსებულან: ბიბი გიული, მისი ორი გასათხოვარი ქალიშვილი – ბუღბუღა და ლეილა, სულთნის ორი უმცროსი ვაჟი – ეგბალი და აიმალი, და მათი მამიდაშვილი – მარიამის ვაჟი ფაზილი.

მეოთხე ოთახი საწყობია. აქ წიგნებს, საფოსტო ბარათებს ბრინჯს, პურს და ზამთრობით – ზაფხულის, ზაფხულობით კი ზამთრის ტანსაცმელს ინახავენ. ოჯახის ყველა წევრის ტანისამოსი დიდ ყუთებშია მოთავსებული, რადგან კარადა არც ერთ ოთახში არ დგას. ქალები ყოველდღე საათობით იქეჩებიან ამ ყუთებში და ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ძველ ხელჩანთას. პატარა ბარდახმას, თმის ლენტს, მაკრატელს ან თოჯინას დაეძებენ. ზოგიერთ ნივთს იღებენ, ათვალიერებენ და ისევ უკან აბრუნებენ გადაგდებით იშვიათად თუ აგდებენ რამეს, ამის გამო ყუთების რიცხვი სულ უფრო იზრდება. ამა თუ იმ ნივთის ძებნისას მათი აქეთ-იქით თრევა და გადაადგილება ხშირად უწევთ.

ტანსაცმლითა და ძონძებით სავსე ყუთების გარდა, ოჯახის ქალებს საკუთარი სკივრებიც აქვთ, რომელთაც საგულდაგულოდ რაზავენ, გასაღებს კი ვაბაზე იმაგრებენ. ეს ნივთი მათ ერთადერთ კერძო საკუთრებას წარმოადგენს. ყოველდღე იატაკზე, თავიანთ სკივრებთან მოკალათდებიან ხოლმე და გულდასმით ათვალიერებენ: სამკაულს იღებენ, დაჰყურებენ, ზოგჯერ მცირე ხნით იკეთებენ კიდევც და უკანვე აბრუნებენ. ზოგი კარგა ხნის დავინწყებულ ნელსაცხებელს პოულობს და სახეზე იგლესს, ანდა ოდესღაც ვიღაცის ნაჩუქარ სუნამოს იჰკურებს, სხვა კი შეფარვით ნათესავი მამაკაცის სურათს დაჰყურებს და ოცნებებში იძირება. ისეთებიც არიან, ბიბი გიულის მსგავსად, ნაღების კარამელებსა და ფხვიერ ორცხობილებს რომ მალავენ სკივრში.

სულთანს საკუთარი წიგნების კარადა აქვს, რომელიც ასევე გასაღებით იკეტება. კარადის მინის კარებებიდან წიგნის ყდები მოჩანს. აქ ინახება ჰაფეზისა და რუმის პოეზიის კრებულები, მოგზაურთა საუკუნოვანი ჩანაწერები და უძველესი მოვარაყებელი ატლასი. სულთანი ფულსაც ამ კარადაში, წიგნებში მალავს, რადგან ავღანეთის საბანკო სისტემას არ ენდობა. თაროებზე თავისი უსაყვარლესი ნაწარმოებე-

ბიც გამოუფენია და იმედი აქვს, რომ ოდესმე მაინც მოიცლის მათ გადასაკითხად. ჯერჯერობით ვერ ახერხებს, რადგან მთელი დღე მაღაზიაში უნევს ყოფნა. სახლიდან დილაუთენია, რვა საათამდე გადის და საღამოს რვა საათზე ბრუნდება შინ. სანამ დასაძინებლად დაწვება, ცოტა ხანს პატარა ლატიფას ვთამაშება, ვახშმობს და იმ ოჯახურ საკითხებს აგვარებს, რომლებიც მისი შინ არყოფნის დროს წამოიჭრა. ოჯახური პრობლემები ნაკლებად აქვს, რადგან ქალები შედარებით მშვიდად ცხოვრობენ. გარდა ამისა, მათ ინტრიგებში ჩარევა სულთნის ღირსებას სცილდება.

კარადის სულ ქვედა თაროზე სონია თავის ნივთებს ინახავს. აქ არის ლამაზი თავსაფრები, სამკაული, მცირედი თანხა და ლატიფას სათამაშოები, რომლებიც ქალს განსაკუთრებით მოსწონს და გასაფუჭებლად ენანება. უხარისხოდ შეფუთული თოჭინა „ბარბის“ ყალბი ვარიანტი, ლატიფას დაბადების დღეზე რომ აჩუქეს, სულ ზედა თაროზეა გამოჭიმული.

წიგნების კარადა ოჯახის ერთადერთი ავეჯია. არც ტელევიზორი აქვთ და არც რადიო. ცარიელ ოთახებში მხოლოდ ლეიბებია კედლების გასწვრივ ჩამწკრივებული, ლეიბებზე კი დიდი, ხმელი ბალიშები აწყვია. ამ ლეიბებს დღისით დასაჯდომად იყენებენ, ღამით კი დასაძინებლად. ბალიშებსაც, შესაბამისად, ღამით თავქვეშ იდებენ, დღისით კი საზურგედ ხმარობენ. სადილობის დროს იატაკზე მუშაბის სუფრას აგებენ, მერე ამ სუფრის გარშემო ყველა ფეხმორთხმით ჯდება და თითებით შეეჭყევა ბრინჯს. სადილის დასრულების შემდეგ სუფრას რეცხავენ და ინახავენ.

სახლის ქვის იატაკზე უზარმაზარი ხალიჩები აგია. თითქმის ყველა კედელი გაბზარულია, კარები კი – დაბრეცილი, რის გამოც რამდენიმე მათგანი საერთოდ არ იხურება. ზოგიერთ ოთახში ტიხრად გენარი გაუბამთ, ჩატეხილი მინები კი ძველი პირსახოცით ამოუვსიათ.

სამზარეულოში ჭურჭლის დასარეცხად განკუთვნილი პატარა თაროებიანი მაგიდა, გაზის „პრიმუსი“ და ერთი ციდა ქურა მოუთავსებიათ. ფანჯრის რაფებზე ბოსტნეულს და წინა დღის კერძის ნარჩენებს ინახავენ. ჭურჭელი რომ პრიმუსის ჭვარტლისა და გამონაბოლქვისგან დაიკვან, თაროებზე ფარდები ჩამოუფარებიათ. მაგრამ რაც უნდა ეცადონ, ყველგან გამჭდარ ცხიმის ფენას, ქაბულის ქვიშიანი ქუჩების მტვერიც რომ ახლავს თან, მაინც ვერაფერს უხერხებენ.

სააბაზანო და საპირფარეშო, რომელიც სოროს უფრო ჰგავს, სამზარეულოსგან თხელი კედლითა და პანანინა კარითაა გამოყოფილი. ამ სოროში ცემენტის იატაკი და ერთადერთი ონკანია. ერთ კუთხეში შუშის ღუმელი დგას, რომელსაც წყლის გასაცხელებლად იყენებენ. აქვე დგას წყლის დიდი ჭურჭელი, მის ზემოთ კი პატარა თაროა, სადაც შამპუნის ქილა, მუქი საპონი, რამდენიმე კბილის ჯაგრისი და უცნაური სისქისა და ქიმიურ გემოს მქონე ჩინური წარმოების კბილის პასტა მოუთავსებიათ – ერთ დროს მშვენიერი ბინა იყო, – იხსენებს სულთანის, წყალიც გვქონდა, სინათლეც, ყველაფერი... კედლებს სურათები ამშვენებდა...

ბინა ომის დროს გაძარცვეს და დაწვეს. როცა ხანის გახიზნული ოჯახი ქაბულში დაბრუნდა, სახლის ნაცვლად ნანგრევები დახვდათ. ყველაფერი შეძლებისდაგვარად აღადგინეს. მიკრორაიონის ის ნაწილი, სადაც ხანის ოჯახი ცხოვრობს, ფრონტის იმ ხაზზე მოხვდა, რომელზეც გმირი მუჯაჰედის – მასუდის და ყველასთვის საძულველი გულბუდინ ჰევმატიარის ძალები იყო დაბანაკებული. მასუდი ქაბულის უდიდეს ნაწილს ფლობდა, ჰევმატიარს კი ქალაქის გარეუბანში ერთ-ერთი სიმაღლე ეკავა. მოწინააღმდეგეები ყუმბარებს უშენდნენ ერთმანეთს. ბევრი მათგანი მიკრორაიონში ფეთქდებოდა. მეორე სიმაღლეზე უზბეკი აბდულ რაშიდ დოსტუმი, მესამეზე კი ფუნდამენტალისტი აბდულ რასულ საიაფი იყვნენ გამაგრებული. მათი ყუმბარები კი ქალაქის სულ სხვა ნაწილს ხვდებოდა. ფრონტის ხაზი ერთი

ქუჩიდან მეორეში ინაცვლებდა. ბრძოლები ოთხ წელიწადს გრძელდებოდა. მერე კი ქაბულში თალიბანის რეჟიმი დამყარდა.

ბრძოლების დასრულებიდან ექვსი წლის შემდეგაც კი მიკრორაიონში არაფერი შეცვლილა. ტყვიებითა და ბომბებით დახვრეტილ-ჩამონგრეული შენობების კედლები იმავე მდგომარეობაში რჩება და ხალხი არც მინის ნაცვლად ფანჯრებზე გაკრული მუქი პოლიეთილენის მოცილებას ჩქარობს. ყველა ბინის ჭერი და კედლები დაბზარულია, ზედა სართულები კი – ჩამონგრეული და გადაძვარი. სამოქალაქო ომის დროს ერთ-ერთი უმძიმესი ბრძოლა სწორედ აქ მიმდინარეობდა, ამიტომ მიკრორაიონის მოსახლეობის უმეტესობა გაიხიზნა. მარანჯანის მალლობზე, სადაც ჰევმატიარის ძალები იდგნენ და რომელიც ხანის ბინიდან სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთის სავალზეა, ჯერ კიდევ უწესრიგოდ ყრია დამწვარი ყუმბარების ნარჩენები, დაბომბილი საბრძოლო აღჭურვილობა და ტანკები. ეს მიდამოები ერთ დროს მიკრორაიონის მცხოვრებთა უსაყვარლეს დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა. აქვეა ზაჰირ შაჰის მამის, 1933 წელს მოკლული ნადირ შაჰის საფლავიც. ახლა ამ საფლავზე ერთ დროს აგებული მემორიალის ნანგრევებიღაა შემორჩენილი გუმბათი სრულიად დახვრეტილია და თაღები – ჩამოქცეული. მისი მეუღლის მცირე სასახლეც იქვეა და კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია. ნაგებობათა ნარჩენები და ნატეხებად ქცეული საფლავის ლოდები ჩონჩხებით გადმოჰყურებს ქალაქს. ვიღაცას ეს ნატეხები შეუგროვებია და ისე დაულაგებია, რომ ხალხმა ყურანიდან ამოკრებილი და ქვაზე ამოკვეთილი ციტატების ამოცნობა შეძლოს.

მალლობი მთლიანად დანადმულია. თუმცა ყუმბარების ნარჩენებისა და სხვა ჯართის გვერდით, თითქოს მშვიდობის ნიშნად, ქვალორღში პანანინა ყვითელ კალენდულებს ამოუყვიათ თავი. მათ სამოქალაქო ომსაც, გვალვასაც და თალიბანის რეჟიმსაც კი გმირულად გაუძლეს. ეს მიკრორაიონი საბჭოთა კავშირის ნარჩენების ნი-

მუშია და ეს მაღლობიდან კიდევ უფრო აშკარად ჩანს. ეს კორპუსებიც რუსების საჩუქარია. 50-60-იან წლებში საბჭოთა ინჟინრები ავღანეთში ეგრეთ წოდებული „ხრუშჩოვის“ ტიპის კორპუსების ასაგებად საგანგებოდ გამოაგზავნეს. ასეთი შენობებით, რომლებიც კალინინ-გრადშიც, კიევშიც და ყველა სხვა ქალაქში აბსოლუტურად იდენტური იყო, მთელი საბჭოთა კავშირი იყო სავსე. ხუთსართულიან სახლებში ორ, სამ ან ოთხოთახიანი პანაწინა ბინებია განთავსებული.

თუმცა, როცა ვაპირებ ამ შენობებს უახლოვდებოდა, ხვდებოდა, რომ ამალღვლებელ შთაბეჭდილებას სწორედ ნატყვიარი და ნაომარი გარემო იწვევს და არა საბჭოთა კავშირის ნარჩენები. ოდესღაც სადარბაზოების წინ ჩამოსხმული ცემენტის გრძელი სკამების ნამტვრევები ერთ დროს მოასფალტებულ, ახლა კი დაჩიჩქნილ გზებზეა დახვავებული. რუსეთში ასეთ სკამებზე „ბაბუშკები“ სხედან ხოლმე. მოხუცი, თავშლიანი, სახედალინლული, ქალები ხელჯოხს გვერდით მოიდებენ და ყველას და ყველაფერს, რაც მათი კორპუსის მახლობლად ხდება, თვალყურს ადევნებენ მიკრორაიონის ეზოებში კი მოხუცი კაცები იკრიბებიან, მასლაათობენ და თან კრიალოსანს მოხერხებულად ასრიალებენ თითებში. ძირითადად, კანტიკუნტად შემორჩენილი ხეების სუსტ ჩრდილქვეშ სხდებიან. ბურკაში მთლიანად შემალული ქალები სწრაფი ნაბიჯით უქცევენ გვერდს შეკრებილთ. ისინი იშვიათად თუ გაჩერდებიან და გამოელაპარაკებიან მეზობელს. საჭორაოდ მიკრორაიონის ქალებიც სტუმრობენ ერთიმეორეს, ოღონდ უცხო მამაკაცების თვალს საგულდაგულოდ ემალებიან.

მიუხედავად იმისა, რომ სახლები საბჭოური თანასწორობის პრინციპითაა აგებული, ბინებშიც და მათ კედლებს გარეთაც ყველაფერი სულ სხვაგვარადაა. თუ კომუნისტების მიზანი კლასობრივი დაყოფისგან თავისუფალი საზოგადოებისთვის საცხოვრებელი გარემოს შექმნა იყო, მიკრორაიონი მაინც საშუალო ფენისთვის განკუთვნილ დასახლებად იქცა. ქაბულის შემოგარენში მიმოფანტული სოფლების მოსახლეობისთვის, რომელიც თიხით ნაგებ ქოხებში ცხოვრობდა,

წყალგაყვანილობით უზრუნველყოფილ ბინებში გადაბარგება დიდ პატივად ითვლებოდა. კორპუსებში ძირითადად ინჟინრები, მასწავლებლები, პატარა მაღაზიების მფლობელები და სატვირთო მანქანების მძღოლები შესახლდნენ. მაგრამ თავად ცნება „საშუალო კლასი“ ბევრს არათერს ნიშნავს იმ ქვეყნისთვის, რომლის მცხოვრებთა უმეტესმა ნაწილმაც ყველაფერი დაკარგა და საქმე უკან-უკან წაუვიდა. წყალგაყვანილობის სისტემა, რომელიც ერთ დროს ბევრს შურდა, წარსულს ჩაბარდა. ქვედა სართულებზე დროგამოშვებით თუ წამოვაცვივი წყალი და ისიც დილით, რამდენიმე საათით. სუსტი წნევის გამო ზედა სართულებს წყალი არასოდეს მიეწოდება. ეზოებში ხალხს ჭები გაუთხრიათ. მთელი დღის განმავლობაში კიბეებზე ბავშვები ადი-ჩამოდიან და ვედროებს, ბოთლებსა და ქვაბებს დააჩხრიალებენ.

ერთ დროს ამ ბინების სიამაყეს ელექტროგაყვანილობაც წარმოადგენდა. ახლა კი ყველგან უკუნეთი ჩამონოლილა. გვალვების გამო დენით მომარაგებაც შეზღუდულია. ხალხს ელექტროენერგია ორ დღეში ერთხელ, მხოლოდ ოთხი საათით, საღამოს ექვსიდან ათ საათამდე მიეწოდება. როცა ქალაქის ერთი ნაწილი განათებულია, მეორე ნაწილის მოსახლეობა სიბნელებში ზის. ზოგჯერ შუქი არც ერთ მათგანს არ აქვს. უშუქობისას ისღა რჩება ვაცს, ნავთის სანათს მოუკიდოს. ნახევრად ჩაბნელებული სივრცე და სანათის ნამწვი თვალს გიშრობს და ცრემლს გადენს.

ქაბულის ნახევრად დამშრალი მდინარის პირას მდებარე ერთ-ერთ ასეთ მოძველებულ კორპუსში ცხოვრობს ხანის ოჯახიც. თავის მშობლიურ სოფელს მოშორებული, პატარა ბინის დაბზარულ კედლებში გამომწყვდეული ბიბი გიული ოთახში ზის და ცხოვრებაზე წუნუნებს. რაც ქმარი მოუკვდა, ერთი დღეც არ ყოფილა ბედნიერი. ახლობლების თქმით, ბიბი გიულის ქმარი შრომისმოყვარე, ღრმად მორწმუნე და მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ადამიანი იყო.

მამის სიკვდილის შემდეგ ოჯახის მართვის სადავეები სულთანს გადაეცა. ახლა სწორედ მისი სიტყვაა კანონი. ურჩს სასჯელი არ ასცდება, ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი – ფიზიკურიც. სულთანი მართო საკუთარ ოჯახს კი არ მართავს, ცდილობს, გათხოვილ დებზეც იბატონოს. ორი წლით უმცროსი ძმა შეხვედრისას ხელზე ვოცნის სულთანს... აბა ერთი გაბედოს და შეენინაალმდეგოს, ან უარესიც – მის თვალწინ სიგარეტს მოუკიდოს! უფროსს ყველა განსაკუთრებულად აფასებს.

იმ შემთხვევაში, როცა არც ჩხუბი ჭრის და არც ცემა, დამნაშავეს სულ სხვა სასჯელი ემუქრება – უარყოფა. ერთ-ერთ უმცროს ძმას, ფარიდს, სულთანი არ ელაპარაკება. მას შემდეგ, რაც ფარიდმა სულთნის მალაზიაში მუშაობაზე უარი განაცხადა და საკუთარი წიგნების მალაზია და სტამბა გახსნა, უფროსი ძმა მის სახელსაც კი არ ასენებს. ოჯახის სხვა წევრებსაც ეკრძალებათ ფარიდთან ურთიერთობა. ის სულთნის ძმად აღარ ითვლება.

ფარიდიც იმავე მიკრორაიონში, ერთ-ერთ დაბომბილ სახლში ცხოვრობს. მშობლიურ ოჯახს მხოლოდ მაშინ მოინახულებს ხოლმე, როცა უფროსი ძმა სამსახურშია. სხვა და-ძმებიც ამ დროს სტუმრობენ ფარიდს. მიუხედავად სულთნის სასტიკი გაფრთხილებისა, შაკილა თავისი ქორწილის წინა დღეებში მაინც ეწვია ძმას. მთელი საღამო მასთან ერთად გაატარა, სულთანი კი მოატყუა, დეიდასთან ვიყავიო. ტრადიციის მიხედვით, ქალიშვილს გათხოვების წინ გამოსამშვიდობებლად ყველა ნათესავი თავის ოჯახში იწვევს. ნათესაურ წვეულებებში ყოველთვის სულთანს ეპატიჟებიან და არა ფარიდს. არც ერთ დეიდაშვილს, მამიდაშვილს, ბიძას თუ ბიცოლას არ სურს სულთნის მომდურება, რაც არასასიამოვნოცაა და არასაიმედოც. თუმცა ყველა მათგანს ფარიდი უფრო მეტად უყვარს.

უკვე ყველას დაავინყდა, რა მოხდა ძმებს შორის. მხოლოდ ის ახსოვთ, რომ ფარიდი გაცოფებული გავარდა სახლიდან, სულთანი კი

ხმამალლა მისძახოდა, ჩვენ შორის ყველანაირი კავშირი სამუდამო-
დაა განწყვეტილიო. ბიბი გიული ორივეს ევედრება, შერიგდითო, მაგ-
რამ კაცები პასუხად მხოლოდ მხრებს იჩეჩენ. სულთანი იმიტომ არ
თმობს, რომ, მისი აზრით, პატიების თხოვნა უმცროსი ძმის ვალია.
ფარიდი კი იმიტომ, რომ დამნაშავედ უფროსი ძმა მიაჩნია.

ბიბი გიულს ცამეტი შვილი შეეძინა. პირველი ქალიშვილი, ფერო-
ზა თოთხმეტი წლისას ეყოლა. შვილმა ქალის ცხოვრება უფრო უკე-
თესი და აზრიანი გახადა. მანამდე კი მთელ დღეებს ტირილში ატა-
რებდა. ფეროზას სწავლა-განათლებლაზე ზრუნვა ფიქრადაც არავის
გაუვლია. ოჯახი ღარიბულად ცხოვრობდა და გოგონა დედას უნდა
დახმარებოდა, წყალი მოეზიდა, სახლი დაესუფთავებინა და უმცრო-
სი და-ძმისთვის მოეწყო. თხუთმეტი წლის რომ შესრულდა, ორმოცი
წლის კაცს მიათხოვეს. ლამაზი ფეროზას სანაცვლოდ საქმრომ ოცი
ათასი ავღანი გადაიხადა. კაცი მდიდარი იყო და ბიბი გიული ფიქ-
რობდა, რომ ბევრი ფული ბედნიერებასაც მოუტანდა მის ქალიშ-
ვილს, მაგრამ ფეროზას ქმარი თამაშსა და ლოთობას გადაჰყვა და
თავიც წააგო და ფულიც. ამ ყველაფერს ის სირცხვილიც ერთვოდა
თან, რომ ფეროზას შვილი არ ეყოლა და ცხოვრებამ ყველანაირი
აზრი დაკარგა. ბოლოს მცირეწლოვანი ქალ-ვაჟი აიყვანა. ახლა ეს
ვაჟი ინახავს ფეროზასაც, თავის დასაც, საკუთარ ცოლ-შვილსაც და
ლოთ მამობილსაც. ფეროზას ოჯახიც იმავე მიკრორაიონში ცხოვ-
რობს, ბიბი გიულის მახლობლად.

ფეროზას მომდევნო ორი შვილი ბიბი გიულს პატარები გარდაეც-
ვალა ავღანელი ბავშვების თითქმის მეოთხედი ადრეულ ასაკში იღუ-
პება. ბავშვთა სიკვდილიანობის რიცხვი აქ ქვეყანაში საკმაოდ მაღა-
ლია. მიზეზი ძირითადად წითელა, ყბაყურა და ფაღარათია. მშობ-
ლები ფიქრობენ, რომ ბავშვს ფაღარათის დროს წამალი არ უნდა
მისცენ, რადგან მაინც არ შერჩება. მათი აზრით, ავადმყოფი ბავშვის
ნაწლავები გამოშრობით უნდა მორჩეს. ამ სულელურმა აზრმა ათა-

სობით ბავშვის სიცოცხლე შეინირა. ბიბი გიულს უკვე აღარც კი ახსოვს, რით მოუკვდა ის ორი შვილი. „რა ვიცი... გარდაიცვალნენ...“ – ამბობს ის.

მერე პატივცემული, საყვარელი სულთანი გაჩნდა. მას შემდეგ, რაც ბიბი გიულს შეეძინა ვაჟი, რომელიც ჯანმრთელი იზრდებოდა, მისი პოზიცია ქმრის ოჯახში საგრძნობლად გამყარდა. ავღანეთში პატარძლის ღირსება მისი საქალწულე აპკით განისაზღვრება, ცოლისა კი იმით, თუ რამდენ ვაჟს გააჩენს.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი ღარიბულად ცხოვრობდა, სულთანს, როგორც უფროს ვაჟს, არაფერს აკლებდნენ.

ფერობას სანაცვლოდ აღებული ფული მის სწავლას მოხმარდა. ოჯახის მართვას ბავშვობიდანვე აჩვევდნენ და მამაც სწორედ მას ანდობდა ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეების შესრულებას. შვიდი წლისა თან სკოლაში დადიოდა, თან მუშაობდა.

სულთნის დაბადებიდან ორი წლის შემდეგ ფარიდიც გაჩნდა. ფარიდი პატარა ყაჩაღი იყო, სულ ჩხუბობდა და შინ ცხვირდასისხლიანებული და ტანსაცმელშემოფლეთილი ბრუნდებოდა. სმაც უყვარდა და მონევაც, მაგრამ უზომოდ კეთილი გულის ადამიანი იყო. მოგვიანებით ბიბი გიულმა საცოლევც შეურჩია. ახლა ფარიდი დაოჯახებულია და ორი ქალიშვილისა და ერთი ვაჟის მამაა, მაგრამ სულთნის ოჯახიდან მოკვეთილია. ბიბი გიული ოხრავს. შვილების შუღლი გულს უკლავს. „ნუთუ არ შეუძლიათ გონება მოიკრიბონ?!“ – ნუხს ქალი.

ფარიდის შემდეგ მამაცი, ძლიერი ბუნების შაკილა დაიბადა. ბიბი გიული ცრემლებს ინმენდს. თვალწინ ისევ წარმოუდგა ქალიშვილი, რომელიც წყლით სავსე მძიმე ვედროებს მიათრევს...

მერე ნესარ აჰმადი მოევლინა ქვეყანას. მის გახსენებაზე ბიბი გიული ტირილს უმატებს. ნესარ აჰმადი მშვიდი, მეგობრული და ბეჭითი მოსწავლე იყო. სწავლა ქაბულის გიმნაზიაში გააგრძელა და სულთა-

ნივით ინჟინრობა უნდოდა. მაგრამ ერთ დღეს შინ აღარ დაბრუნებულა. მისი კლასელები ყვებოდნენ, რომ სამხედრო პოლიციამ ყველა კლასიდან მაღალი ტანის ბიჭები შეარჩია და ჯარში უკრა თავი. იმ დროს ქვეყანა საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა და კომუნისტები ავღანეთის სამთავრობო ძალებს თავიანთი ზურგის გასამაგრებლად იყენებდნენ. ეს ძალები მუჯაჰედების წინააღმდეგ ბრძოლებში წინა ხაზზე იგზავნებოდნენ.

მუჯაჰედებს კარგად განვრთნილი ჯარი ჰყავდათ, კარგად იცნობდნენ გარემოს და კლდე-ღრეებში მოხერხებულად დაძვრებოდნენ. სწორედ მთებში უსაფრდებოდნენ რუსებს და მათთან შეკრულ ავღანელებს. ერთ-ერთ ასეთ ბრძოლას შეენირა ნესარ აჰმადი. ბიბი გიულს იმედი აქვს, რომ ცოცხალია... შესაძლოა, ტყვედ აიყვანეს, ან მესხიერება დაკარგა, ანდა სალსალამათია და სხვა ქვეყანაში ცხოვრობს. შვილის დაბრუნებას ალაჰს ყოველ ცისმარე დღე შესთხოვს.

ნესარ აჰმადის მომდევნოა ბულბულა, რომელიც მამაზე დარდის გამო დაავადდა. იგი მთელი დღე მდუმარედ ზის და ერთ წერტილს მიშტერებია.

მარიამი რამდენიმე წლის შემდეგ გაჩნდა. ისიც ყოჩალი და ნიჭიერი მოსწავლე იყო. ლამაზ მარიამს არც თაყვანისმცემლები აკლდა. თვრამეტი წლისა თავის თანასოფლელებზე გაათხოვეს. საქმროს საკუთარი მაღაზია ჰქონდა. ბიბი გიულმა ამიტომაც მიიჩნია, რომ ის მარიამისთვის კარგი არჩევანი იქნებოდა. ქმრის ოჯახში ქალს მაზლი და დედამთილი დახვდნენ. მთელი საქმე მას დააწვა ვისერზე, რადგან დედამთილს ხელები დაეწვა ღუმელში, რამდენიმე თითიღა შერჩენოდა და მხოლოდ ჭამა, მსუბუქი სამუშაოს შესრულება და ბავშვებზე თვალყურის დევნება შეეძლო.

მარიამი თავის ახალ ოჯახში ბედნიერი იყო მანამ, სანამ სამოქალაქო ომი დაიწყებოდა. ერთ მშვენიერ დღეს ბიძაშვილებმა, რომლებიც ჯალალაბადში ცხოვრობდნენ და დაქორწინებას აპირებდნენ, მარიამი და მისი ოჯახი ქორწილში დაპატიჟეს. გზებზე არსებული

საფრთხის მიუხედავად, ოჯახი მაინც გაემგზავრა. მარიამის ქმარი, კარიმულაჰი უკან მალევე უნდა დაბრუნებულიყო, რათა მაღაზიის-თვის მიეხედა. ერთ დილას, მაღაზიასთან მისულ კარიმულაჰს ბრმა ტყვია მოხვდა გულში და ადგილზევე დაიღუპა.

მარიამი სამი წელი დასტიროდა ქმარს. ბოლოს ბიბი გიულმა და მარიამის დედამთილმა გადაწყვიტეს, რომ დაქვრივებული ქალი მაზლისთვის მიეთხოვებინათ. მარიამმა ახალი ოჯახი შექმნა და ქმრისა და ორი შვილის გამო თავის ხელში აყვანა შეძლო. ახლა მე-ხუთე შვილზეა ფეხმძიმედ. მისი უფროსი ვაჟი, ათი წლის ფაზილი, რომელიც პირველ ქორწინებაში შეეძინა, უკვე მუშაობს კიდევ – სულთნის მაღაზიაში წიგნებს ყიდის და მძიმე ყუთებს დაათრევს. საც-ხოვრებლადაც სულთანთან გადავიდა, რათა მარიამს შრომა ცოტა-თი მაინც შეუმსუბუქოს. მარიამის შემდეგ ბიბი გიულის საყვარელი უმ-ცროსი ვაჟი, იუნუსი დაიბადა. იუნუსი დედას ზედმეტად ათამამებს, სასუსნავს ყიდულობს მისთვის და ყოველთვის ეკითხება, რამე ხომ არ სჭირდება. საღამოობით კი, როცა ივახშმებენ და ლეიბებზე და-სასვენებლად მიწვებიან, დედას კალთაში უდებს თავს და თვლემს. მხოლოდ იუნუსის დაბადების თარიღი ახსოვს ზუსტად ბიბი გიულს, რადგან იმ დღეს დაიბადა, რომელ დღესაც ზაჰირ ზაჰირ ჩამოაგდეს, ანუ 1973 წლის 17 ივლისს.

სხვა შვილების არც დაბადების წელი ახსოვს და არც რიცხვი. სულთნის საბუთებში მისი დაბადების წელი 1947-დან 1955-მდე მერ-ყობს. თავად სულთნის ვარაუდით და გამოთვლით რომელიც ბავ-შვობის პერიოდს, შემდეგ სკოლის, სწავლის და სამივე ომის წლებ-საც ითვალისწინებს, ორმოცდაათზე ცოტა მეტის უნდა იყოს. სხვა და-ნარჩენებიც ამგვარად ადგენენ თავიანთ ასაკს და, რადგან ზუსტად არავინ იცის, რამდენი წლისანი არიან, იმდენს ამბობენ, რამდენიც აწყობთ. მაგალითად, შაკილა ამბობს, ოცდაათი წლის ვარო და ამ-კარაა, რომ სულ მცირე ხუთ-ეექვს წელს მაინც იტყუება.

იუნუსის მომდევნოა ბაზირი. ის დაოჯახებულია და უკვე ორი წელია ვანადაში ცხოვრობს. საცოლედ დედამ ერთი შორეული ნათესავი ქალი შეურჩია. ორი წელია, რაც ბიბი გიულს ბაზირი არ უნახავს და არც მისი ხმა გაუგონია. ისევ ცრემლები ადგება თვალებზე... შვილებთან განშორებაზე უარესი არაფერია ამქვეყნად! მათზე ძვირფასი ბიბი გიულს არავინ ჰყავს, ისინი და სკვირში გადამალული დაბადებული ნუში ყველაფერს ურჩევნია! მერე ტაჭმირი დაიბადა. სწორედ ის არის მიზეზი იმისა, რომ ბიბი გიულმა უაზროდ ჭამა დაიწყო. დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ტაჭმირი ერთ უშვილო ნათესავ წყვილს მიაშვილეს. ქალმა იცის, რომ მისი შვილი ვარგადაა, მაგრამ მასთან განშორებას დღემდე გლოვობს. როცა შვილს ხვდება, არაფერს იმჩნევს, რადგან მის ახლანდელ მშობლებთან პირობა აქვს დადებული.

ყოჩალი ლეილა, რომელიც ოჯახში ყველაზე მეტ საქმეს აკეთებს, ნაბოლარა ქალიშვილია. ყველას ის ემსახურება, ყველაზე უმცროსია – ცხრამეტი წლისა. თანაც, გასათხოვარია. მის ასაკში ბიბი გიულს უკვე ოთხი შვილი ჰყავდა. მათგან ორი გარდაიცვალა, მაგრამ ამ წუთას ამაზე აღარ ფიქრობს... ახლა ის ადარდებს, რომ ჩაი გაუცივდა და თავადაც შეამცივნა. დარჩენილ ნუშს ისევ ლეიბის ქვეშ მალავს და თავის თბილ მატყლის შალს ითხოვს:

– ლეილა! – ყვირის ბიბი გიული.

ლეილა საქმეს თავს ანებებს და დედასთან გარბის.

ცდუნებანი

გოგონა თითქოს მზის სხივს მოჰყვა. ბნელი ოთახი თანდათან უცნაური სითბოთი ივსება. მანსური ძილბურანიდან გამოდის, დამძიმებულ ქუთუთოებს ისრესს და წიგნის თაროებს მიღმა მონარნარე ქმნილებას შეჰყურებს.

– რით შემოიძლია დაგეხმაროთ?

მაშინვე ხვდება, რომ მის წინ ახალგაზრდა, ლამაზი ქალი დგას. ამაზე ქალის მიხვრა-მოხვრა, ფეხის ტერფები, ხელები და ხელჩანთის ჭერის მანერა მიანიშნებს. ქალს გრძელი, ფერმკრთალი თითები აქვს.

– ქიმიის სახელმძღვანელო თუ გაქვთ უფროსკლასელთათვის?

მანსური წიგნების პროფესიონალი გამყიდველის გამომეტყველებას იღებს. მშვენივრად იცის, რომ ეს წიგნი არ აქვთ, მაგრამ ქალს ოთახის სიღრმეში განლაგებული თაროებისკენ მიუძღვის. მანსური თაროებზე იქექება, წელში იხრება, მერე ისევ სწორდება, ქალის სიახლოვეს მოძრაობს და მისი სუნამოს სუნი ცხვირში სასიამოვნოდ უღიტინებს. დროგამომჟვებით მისკენ ბრუნდება და ცდილობს, მისი მზერა დაიჭიროს. ეს წიგნი მას არასოდეს უნახავს.

– სამწუხაროდ, გაყიდულა, მაგრამ სახლში მაქვს რამდენიმე ეგზემპლარი. ხვალ თუ მოხვალთ, წამოგიღებთ.

მეორე დღეს იმ საოცრების გამოჩენას მოუთმენლად ელის. ქიმიის არა, მაგრამ შესაბამისი სამოქმედო გეგმა კი გაამზადა. იცდის და თან ოცნებებში იძირება, მერე კი ბინდდება და მალაზიის დაკეტვის დროც დგება. მანსური შემფოთებული აფარებს მინებგაბზარულ ფანჯრებზე დამცავ ალუმინის გისოსებს.

მეორე დღეს საშინელ გუნებაზეა, დახლთან ზის და ნაღვლიანად იცქირება. ოთახში შუქი არ არის და ნახევრად ბნელა. ფანჯრიდან სუსტად შემოჭრილ მზის სხივებზე ჰაერში მოფარფატე მტვრის ნაწილაკები ირეკლება, რაც ოთახში არსებულ უიმედობის განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს. მანსური მალაზიაში შემოსულ ყველა მყიდველს უარით ისტუმრებს, მაშინაც კი, როცა იცის, რომ მათ მიერ დასახელებული წიგნი უახლოეს თაროზე დევს. თავის იღბალს ლანძღავს იმის გამო, რომ მთელი დღეები მამამისის მალაზიაზე მიჭაჭვული, არც დასვენების დღე აქვს, არც სწავლის უფლება და არც ველოსიპედის ყიდვა და მეგობრების მონახულება შეუძლია, ახლა სასტიკად სძულს ეს დამტვერილი წიგნები. არც არასოდეს ჰყვარებია. მას შემდეგ, რაც სკოლიდან გამოიყვანეს, წიგნი ერთხელაც არ გადაუშლია. შავბნელი ფიქრებიდან მსუბუქი ნაბიჯის ხმა და სქელი მატერიის შრიალი აფხიზლებს. ქალი ისევ აქ, მის წინ დგას, თავზე მზის სხივი დასთამაშებს და მტვრის პანანინა ნაწილაკები მის გარშემო ცეკვავენ. მანსური ცდილობს, აღტაცება დაფაროს და ისევ ის პროფესიული გამომეტყველება მიიღოს.

– გუშინ გელოდებოდი, – ეუბნება ქალს, – ქიმიის წიგნი სახლში კი ვნახე, მაგრამ არ ვიცოდი, რომელი გამოცემა გჭირდებოდა, ან რა ფასის ფარგლებში განყობდა, წიგნი რამდენიმე ტირაჟით გამოვიდა და ყველას თან ხომ ვერ წამოვიღებდი. ასე რომ, სახლში თუ წამომყვები და თავად ამოარჩევ...

ბურკა გაშვებული შეჰყურებს ბიჭს და აღელვებული იქნევს ხელჩანთას.

– შენს სახლში?

მცირე ხანს სდუმან. დუმილი საუკეთესო არგუმენტიან, ფიქრობს მანსური და ნერვიულად თრთის. ხვდება, რომ უადგილო და შეუსაბამო ფრაზა წარმოთქვა.

– წიგნი ხომ გინდა, ასე არ არის? – კითხვას უბრუნებს ქალს. რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, გოგონა თანხმდება. რამდენიმე წუთში მანსურის მანქანის უკანა სავარძელზე ისე თავსდება, რომ ბიჭის სარკვეში დანახვა შეეძლოს. ლაპარაკისაც მანსური ცდილობს, გოგონას მზერა დაიჭიროს.

– მშვენიერი მანქანაა! – ამბობს გოგონა, – შენია?

– კი... დიდი არაფერია... – გულგრილი ტონით ჰასუხობს მანსური, რაც მასაც და მანქანასაც კიდევ უფრო მეტ პატივსა და ღირებულებას ანიჭებს.

მანსური, რომელსაც ახლა მანქანის უკანა სავარძელზე ბურკაში გამოწყობილი ქალი უზის, ქაბულის ქუჩებში დაქრის, სახლში ვერ მივა, რადგან არანაირი წიგნი არ აქვს, გარდა ამისა, ბებია და დეიდები შინ იმყოფებიან. უცნობი ქალის სიახლოვე უცნაურად აღაგზნებს... ცოტა ხნის შემდეგ ჩადრის მოცილებას სთხოვს. გოგონა მცირე ხანს ყოვნდება, შემდეგ ხელ-ნელა იწევს პირბადეს, სახეს ითავისუფლებს და სარკვეში გამჭოლი მზერით შეჰყურებს მანსურს. გოგონა მართლაც ლამაზია, დიდი, მუქი თვალები აქვს, ოდნავ შეღებილი. რამდენიმე წლით მასზე უფროსიც ჩანს. მანსურის უჩვეულო ქცევა, განსაკუთრებული შარმი და ენაწყლიანობა ქიმიის წიგნს მალევე ავიწყებს და ბიჭს რესტორანში მიჰატიჟებაზე თანხმდება. მანქანა რესტორან „მარკო პოლოს“ წინ ჩერდება, გოგონა სწრაფად გადმოდის და შენობაში უჩინარდება.

მანსური სრულ მენიუს უკვეთავს: შამფურზე შემწვარ ქათამს, ქაბაბს, მანტუს – ხორციტ შეზავებულ ავღანურ ლაფშას, ფლავს –

ცხვრის ხორცის უზარმაზარ ნაჭრებს ბრინჯის გარნირით და დესერტად – ფსტის პუდინგს.

მანსური გოგონას ჭამას აძალებს, ცდილობს, გააცინოს და აგრძნობინოს, რომ განსაკუთრებული. ისინი რესტორნის ერთ-ერთ კუთხის მაგიდასთან სხედან. გოგონა ბურკით ზის, დანა-ჩანგალს არც ეხება და, როგორც ყველა ავღანელი, ხელით შეექცევა. თან თავის ცხოვრებაზე, ოჯახზე, სწავლაზე უამბობს, მაგრამ მანსური ცქმუტავს და არ უსმენს. ეს მისი პირველი საიდუმლო პაემანია. გასვლისას ოფიცინანტს გულუხვად უტოვებს ფულს, გოგონას თვალები უფართოდება. რაღაც მომენტში მანსური თავისი რჩეულის ვაბას ავლებს თვალს. მდიდარი არ უნდა იყოს, მაგრამ არც ღარიბი ჩანს.

უკვე მაღაზიაში დაბრუნების დროა.

გოგონას ტაქსით უშვებს. ამის გამო ადრე ქალს გაროზგავდნენ, ტაქსის მძღოლს კი ციხეში უკრავდნენ თავს. უცხო მამაკაცთან შეხვედრა, ქუჩაში მასთან ერთად სეირნობა და რესტორანში წასვლა ხომ წარმოუდგენელი იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ ბურკის გარეშე სიარულზე. ცხოვრება იცვლება. საბედნიეროდ, მანსურისთვისაც ასეა.

დაპირებული წიგნი, ბუნებრივია, არც მომდევნო დღეს მიუტანია. ვერაფრით მოეფიქრებინა, რით უნდა ემართლებინა თავი. ბოლოს გადაწყვიტა, აშკარად ემოქმედა და პროფესიული გამომეტყველება მაცდური მზერით ჩაენაცვლებინა. სიყვარულის ენით საუბრის ერთადერთი თეორიული გამოცდილება მანსურს ინდური და პაკისტანური ფილმებიდან აქვს მიღებული. ამ ფილმებში სასიყვარულო ფრაზები ერთიმეორეს ენაცვლება. თითქმის ყველა ფილმი შეხვედრით იწყება, მერე არის სიძულვილი, ღალატი, იმედგაცრუება და ბოლოს ეს ყოველივე მარადიული სიყვარულის აღთქმის ლამაზი სიტყვებით სრულდება. ახალბედა მაცდურისთვის მშვენიერი გაკვეთილია. დახლს მიღმა, წიგნებსა და ქაღალდებში ჩამალული მანსური კვლავ ოცნებებში იძირება და გეგმებს აწყობს. აი, რას ეტყვის გოგონას:

„გუშინ ყოველ წამს შენზე ვფიქრობდი. გაცნობისთანავე მივხვდი, რომ განსაკუთრებული ხარ და სწორედ ჩემთვის შეგქმნა ღმერთმა. შენ ნამდვილად ჩემი ბედი ხარ!“

ქალს უდავოდ ესიაშოვნება ამ სიტყვების მოსმენა. სიტყვების წარმოთქმისას მანსურმა თვალი არ უნდა მოაშოროს რჩეულს, შეუძლია ნაზად მის ხელის მტევანსაც კი შეეხოს და დაამატოს: „მინდა, მარტო დავრჩე შენთან, მთლიანად შეგიცნო, შენს მზერაში ჩავიძირო!“

ისიც შეიძლება, ცოტა უფრო თავშეკავებული იყოს და უთხრას: „ბევრს არაფერს გთხოვ, მხოლოდ ის მინდა, რომ ხანდახან, როცა საქმე არ გექნება, შემომიარო ხოლმე... კვირაში ერთხელ მაინც. თუ ესეც არ გსურს, ამასაც გაგიგებ.“ იქნებ სჯობდეს, ასეთი პირობა მისცეს:

„როცა თვრამეტი წლის გავხდები, ცოლად მოგიყვან!“

მანსურმა უნდა მოახერხოს მისი მოხიბვლა! ლამაზი მანქანით, შემოსავლიანი მაღაზიით, გულუხვობით, მდიდრული ცხოვრების პერსპექტივით უნდა მოაჯადოვოს:

ჩვენ დიდი სახლი გვექნება, უამრავი მოსამსახურე გვეყოლება და არდადეგებზე საზღვარგარეთ გავემგზავრებით ხოლმე.“ გოგონამ უნდა იგრძნოს, რომ რჩეულია... „მე მხოლოდ შენ მიყვარხარ! როცა ვერ გხედავ, ვიტანჯები!“

თუ ქალს მაინც ვერ დაიყოლიებს, უფრო დრამატულ ფრაზებს მოიშველიებს. აი, მაგალითად: „თუ წახვალ, ჯერ მე მომკალი! თუ არადა, მთელ სამყაროს გადავბუგავ!“

მაგრამ პირველი პაემნის შემდეგ რამდენიმე დღე გადის, გოგონა კი არსად ჩანს. მანსური სულ უფრო უიმედოდ იმეორებს გაზუთხულ ფრაზებს. ნუთუ არ მოეწონა ბიჭი? იქნებ მშობლებმა გაუგეს და სახლში გამოამწყვდიეს? ან იქნებ რომელიმე მეზობელმა ან ნათესავმა დაინახა და დააბეზლა? ნეტა თავად მანსურმა ხომ არ წამოროშა რამე სისულელე? ფიქრებიდან მაღაზიაში შემოსული ხელჯოხიანი მო-

ხუცი აფხიზლებს. როხროხა ხმით ესალმება და რომელიღაც რელიგიურ ნაწარმოებს კითხულობს. მანსური ნერვიულად ათვალეირებს თაროებს, წიგნს პოულობს და დახლზე აგდებს. მისგან მიჯნური არ გამოვა. მხოლოდ და მხოლოდ ერთი წიგნებით მოვაჭრის შვილია, რომელსაც თავი ვარდისფერი ოცნებებით აქვს გამოჭედილი.

– ბიჭი თავის რჩეულს ყოველდღე ელის. ყოველ საღამოს ნალვლიანი სახით უშვებს ფანჯრებზე ალუმინის გისოსებს. მაღაზიაში ყოფნა მისთვის სულ უფრო აუტანელი ხდება. სულთნის წიგნების მაღაზიის გვერდით უამრავი მსგავსი დაწესებულებაა გახსნილი, სადაც საკანცელარიო საქონელს, ათასნაირ ლიტერატურას და ასლების გადაღებას სთავაზობენ მყიდველს. ერთ-ერთ ასეთ მაღაზიაში მუშაობს რაჭიმულაჰი. ის ხშირად შეურბენს ხოლმე მანსურს ჩაის დასალევად და სამასლაათოდ. ერთ დღესაც მანსური ესტუმრა მას და თავისი გასაჭირი გაანდო. რაჭიმულაჰმა სიცილი დააყარა.

– სტუდენტი გოგონების შებმას არც უნდა ეცადო. „დედიკოს გოგობი“ არიან. ისეთი ვინმე ნახე, ფული რომ სჭირდება. ყველაზე ადვილი მათხოვრების გამოჭერაა. ზოგიერთ მათგანს შესახედავადაც არა უშავს რა. ანდა იმ ადგილებში წადი, სადაც გაეროს მანქანებიდან ფქვილსა და ზეთს არიგებენ. იქ ბევრი ახალგაზრდა ქვრივი იკრიბება.

მანსური პირდაფჩენილი უსმენს. მან იცის ერთი ასეთი საკვებ პროდუქტებს რომ ანაწილებენ და, ძირითადად, ომებში ქმარდაკარგული, მეტისმეტად გაჭირვებული ქვრივები იკრიბებიან თავიანთ მცირეწლოვან შვილებთან ერთად. დახმარებას თვეში ერთხელ იღებენ და ბევრი მათგანი პროდუქტების ნაწილს ადგილზევე ყიდის, რათა მცირეოდენი თანხა მაინც აიღოს.

– იქ წადი და ვინმე ახალგაზრდა ქალი შეათვალეირე. იყიდე მისგან ერთი ქილა ზეთი და აქ მოსვლა სთხოვე. უთხარი, თუ ჩემს მაღაზიაში მოხვალ, მომავალშიც დაგეხმარები-თქო. მე სწორედ ასე ვიქ-

ცევი. აქ როცა მოდიან, მცირეოდენ თანხას ვთავაზობ და უკანა ოთახში შემყავს. ბურკით მოდიან და უკან ბურკითვე ბრუნდებიან, ასე რომ, არავინ არაფერს ეჭვობს. მე რაც მჭირდება, იმას ვიღებ, ისინი კი ფულს შოულობენ თავიანთი შვილებისთვის.

მანსური ურწმუნოდ შეჰყურებს რაჭიმულაჰს, რომელიც უკანა ოთახის კარს აღებს და მანსურს საქმის ვითარებას დეტალურად აცნობს. ოთახი ერთი ციდაა, იატაკი ჭუჭყიანი, დალაქული და გაქეღილი მუყაოს ქალაღდებითაა მოფენილი. – ჯერ ჩადრს ვაცილებ, მერე კაბას ვხდი, სანდლებს, შარვალს, საცვლებს... აქ შემოსულებისთვის სინანული უკვე გვიანია: ყვირილი წარმოუდგენელია, რადგან ვინმე რომ შემოვიდეს, დამნაშავე მაინც ქალი გამოვა, სკანდალი კი ცხოვრებას უარესად დაუმახინჯებს. ქვრივებთან ყველაფერი შედარებით იოლია, მაგრამ თუ ქალიშვილი შემხვდა, სხვანაირად ვაკეთებ ამ საქმეს. უბრალოდ ვთხოვ, რომ ფეხები ვარგად მიატყუონ. ანდა, უკნიდანაც არა უშავს... ხომ ხვდები... – უხსნის მანსურს ვაჭარი. მანსური შოკშია. ნუთუ ყველაფერი ასე მარტივადაა?

იმავე საღამოს შეგულებულ ადგილას მიდის და მანქანას ერთად შეჯგუფებული ლურჯი ბურკების მახლობლად აჩერებს. ერთ-ერთი ქალისგან ზეთს ყიდულობს, მაგრამ ხელები, ქილა, რომ უნვდიან, გაუხეშებული და დაკოჟრილია... მანსური აქეთ-იქით იხედება. ირგვლივ მხოლოდ სილატაკეს ხედავს, სხვას არაფერს... ქილას ნაჩქარევად აგდებს მანქანის უკან. სავარძელზე და იქაურობას სცილდება.

მანსური ფილმებიდან დაზუთხულ ფრაზებს აღარ იმეორებს, მაგრამ როცა ერთ დღეს მალაზიაში სულ სხვა ახალგაზრდა გოგონა შედის და ინგლისურის სახელმძღვანელოს კითხულობს, სატრფიალო სიტყვები კვლავ უტივტივდება გონებაში. მანსური ალერსიან გამომეტყველებას იღებს. გოგონა ეუბნება, რომ ინგლისურის კურსებზე იწყებს სიარულს. წიგნებით მოვაჭრის ვაჟი გალანტურად სთავაზობს დახმარებას.

– ამ მაღაზიაში ხალხი ნაკლებადაა, ასე რომ, ხანდახან შემოიარე და აქ იმეცადინე ხოლმე. სიამოვნებით მოგისმენ! – ეუბნება გოგონას.

დახმარება პატარა დივანზე იწყება, ერთ-ერთი თაროს უკან გრძელდება და ქორწინების აღთქმისა და მარადიული ერთგულების ფიცით სრულდება. ერთ დღეს მანსური გოგონას ჩადრსაც კი უწევს და ვოცნის. ის კი გარბის და აღარასოდეს ბრუნდება უკან.

მერე ქუჩიდან სულ სხვა გოგონა მოჰყავს. მაღაზიის წინ გაჩერებაზე ამჩნევს. მანსური მიდის და ეუბნება, რომ რალაც უნდა უჩვენოს. გოგონა ლამაზი და ფუმფულაა. წიგნები თვალითაც კი არა აქვს ნანახი. ის ხანდახან სტუმრობს მანსურს, რომელიც ამჯერადაც ბრწყინვალე მომავლის დაპირებებს აფრქვევს. ზოგჯერ გოგონა იმის უფლებასაც აძლევს, რომ ბურკის ქვეშ ხელი შეუძვრინოს და ეს ბიჭს კიდევ უფრო მეტად აღაგზნებს.

მანსური შინაგანად გრძნობს, რომ გოგონებზე ფიქრს თავი უნდა დაანებოს თავი ბინძურ არსებად მიაჩნია და თავის სადარდებელს უმცროს ძმას, ეგბალს ანდობს:

– ბინძური გული მაქვს, – ეუბნება ერთ დღეს.

– მაინტერესებს, რატომ არიან ეს ქალები ასეთი მოსაწყენები, – ეკითხება ერთ დღეს რაჯიმულაჰი მასთან ჩაის დასალევად მისულ მანსურს.

– როგორ თუ მოსაწყენები? – კითხვას უბრუნებს ბიჭი.

– სულაც არ ჰგვანან მსახიობ ქალებს ფილმებიდან. ესენი რალაც-ნაირი დაძაბულები არიან, გაუნძრევლად წვანან! – უღრმავდება საკითხს რაჯიმულაჰი, რომელსაც რამდენიმე პორნოფილმი უნახავს და მანსურს დეტალურად აღუწერს ფილმის გმირი ქალების გარეგნობასა და ოსტატობას.

– იქნებ ავღანელი ქალები არიან განსხვავებულები?

ვცდილობ ავუხსნა, რა უნდა გააკეთონ, მაგრამ არ გამოსდით, – უკმაყოფილოდ აგრძელებს რაჯიმულაჰი და ოხრავს. მანსურიც ოხრავს.

ამ დროს მაღაზიაში პატარა გოგონა შემოდის. ასე, თოთხმეტ წლამდე თუ იქნება. გოგონა ჭუჭყიან ხელს ინვდის და ვედრებით შეჰყურებს ბიჭებს. თავი და მხრები წითელი ყვავილებით მოჩითული ჭუჭყიანი თეთრი თავსაფრით დაუფარავს. ბურკის ტარებისთვის ჯერ ძალიან პატარა ჩანს. გოგონები ბურკას მოწიფულობის ასაკამდე არ ხმარობენ.

მაღაზიებში სამათხოვროდ ხშირად შედიან. მანსური მათ მაშინვე უკან აბრუნებს ხოლმე. რაჯიმულაჰი კი ასე არ იქცევა. ის დგას, გოგონას ბავშვურ, გულისებური ფორმის სახეზე აკვირდება და ჭიბიდან ქალაქის რამდენიმე კუპიურას აცურებს. პატარა მათხოვარი თვალებდაჭყეტილი ხარბად ინვდის ხელს, მაგრამ მოულოდნელად რაჯიმულაჰს ფულიანი ხელი უკანვე მიაქვს და ჰაერში ატრიალებს. გოგონა თვალს არ აცილებს.

– ამ ცხოვრებაში უფასო არაფერია! – ამბობს რაჯიმულაჰი. გოგონას ხელი უშემდება. რაჯიმულაჰი მხოლოდ ორ კუპიურას ანვდის და ეუბნება:

– აბანოში წადი, დაიბანე და ისევ აქ მოდი. ამ დანარჩენსაც მერე მიიღებ.

ბავშვი ფულს კაბის ჭიბეში ნაჩქარევად იდებს და ჭუჭყიანი წითელყვავილებიანი თავსაფრით სახის ნახევარს იფარავს, დაკვნკილი ვანი აქვს და ცალ ლოყაზე ნაიარევიც მოუჩანს. გოგონა ტრიალდება, გადის და სულ მალე მისი სუსტი სხეული ქაბულის ქუჩებში უჩინარდება.

რამდენიმე საათში უკანვე ბრუნდება. ახლადდაბანილია, თუმცა ისევ ის ჭუჭყიანი ტანსაცმელი აცვია, მანსური ისევ იქ არის, – ახლა კი შეიძლება, – ამბობს ხმადაბლა რაჯიმულაჰი, მერე გოგონას მიმართავს ღიმილით:

– უკანა ოთახში გამომყევი და ფულის ნაწილსაც იქ მიიღებ, გასვლისას კი მანსურს სთხოვს, ცოტა ხანს მაღაზიას მიმიხედო.

ბავშვი და რაჯიმულაჰი კარგა ხნით უჩინარდებიან. საქმის დასრულებისთანავე ვაჭარი ტანთ იცვამს, გოგონას კი ადგილზე დარჩენას სთხოვს.

– ახლა შენია! – უკან დაბრუნებისას ეუბნება მანსურს, რომელიც გაშეშებული და გაოგნებული დგას. უცებ ფხიზლდება, უკანა ოთახის კარს ზიზღნარევ მზერას ავლევს – და მაღაზიიდან გარბის.

აღის მიერ ხმოვა

რამდენიმე დღეა, გულისრევის შეგრძნება აქვს... „პატიებას არ ვიმსახურებ“, ფიქრობს ის. ვერც საგულდაგულოდ ბანაობამ უშველა და ვერც ლოცვამ. შვებას ყურანში დაეძებს, მეჩეთშიც დადის, მაგრამ შინაგანი სიბინძურის განცდა არ ტოვებს. ის ფიქრები, ბოლო დროს ტვინს რომ უბურდავდა, იმას მოწმობს, რომ ცუდი მუსლიმია. „ღვთის რისხვა არ ამცდება! ადამიანს ყველა თავისი ქმედება უკანვე უბრუნდება...“ – ფიქრობს სასონარკვეთილი.

„ბავშვი! მე იმ ბავშვის წინაშე შევცოდე... საშინელი ძალადობის მოწმე გავხდი და არაფერი ვიღონე მის დასახმარებლად“.

გულისრევის შეგრძნება დაღლილობის განცდას უმძაფრებს. ერთფეროვანი ყოველდღიურობა ყელში ამოუვიდა, გაღიზიანებული და გაბრაზებულია. განსაკუთრებით მამას ვერ პატიობს იმას, რომ ამ მაღაზიას მიაჯაჭვა და სიცოცხლის ხალისი წაართვა.

„ჩვიდმეტი წლის ვარ, ცხოვრება ჯერ არ დანწყებულა, ჩემთვის კი უკვე ყველაფერი დასრულდა!“ – ფიქრობს ბიჭი, იდაყვები მტვრიან დახლზე დაუყრდნია და სახე ხელებში აქვს ჩარგული. მცირე ხნის შემდეგ თავს სწევს და ოთახს ათვალიერებს. თაროზე წიგნს ამჩნევს,

რომელშიც ყურანის ცნობილი განმარტებანი და მუჰამედის ცხოვრებაა აღწერილი. ავღანური ზღაპრების კრებულზე, სახელოვან მეფეთა და მმართველთა ბიოგრაფიებზე, ბრიტანელთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების აღწერებსა და სხვა ძვირფას ავღანურ წიგნებზეც აჩერებს მზერას. აქვეა ლიტერატურა ტრადიციული ხელსაქმისა და ავღანური წეს-ჩვეულებების შესახებ. მანსური თითოეულ მათგანს თვალს ავლებს და გამწარებული მუშტს ურტყამს დახლს.

„რატომ დავიბადე ავღანელად? დასწყევლოს ღმერთმა ჩემი დაბადება და ყველა ეს წეს-ჩვეულება! ყველა ტრადიცია, რომლებიც ნელ-ნელა მიღებს ბოლოს! პატივი მიაგე ამას, პატივი მიაგე იმას... არანაირი თავისუფლება არ გამაჩნია, თავად არაფრის გადაწყვეტის უფლება არ მაქვს. სულთანს თავისი ფულების თვლის მეტი არაფერი ახსოვს“.

– თავისი წიგნები ერთ ადგილას გაიჩაროს! – ამ სიტყვებს უკვე საკმაოდ ხმამაღლა წარმოთქვამს. იცის, მაინც ვერავინ გაიგებს. ალაჰი და მოციქულები ამბობენ, რომ მამა ავღანური საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე მდგომი პიროვნებაა. მის წინააღმდეგ წასვლა ისეთ ურჩებსაც კი, როგორიც მანსურია, არასოდეს მიეტევებათ. მანსურს შეუძლია ყველას ეკამათოს, დეიდას, დებს, დედას, ძმებს... მამას კი – არასოდეს! „მონა ვარ“, ფიქრობს ის, „იმისთვის, რომ უფასო ლოგინი, ლუკმაპური და სუფთა ტანისამოსი მქონდეს, თავს ვიკლავ მუშაობით“.

ყველაზე მეტად კი სწავლა სურს. მას ძველი მეგობრები და ის ცხოვრება ენატრება, პაკისტანში რომ ჰქონდა. ახლა მეგობრებთან ურთიერთობისთვის დრო არ რჩება. რაჯიმულაჰის, იმ ერთადერთი მეგობრის, ხანდახან მაინც რომ ხვდებოდა ხოლმე, თვალით დანახვაც კი აღარ უნდა!

ავღანური ახალი წელი, ნავროზობა ახლოვდება. ქვეყნის მოსახლეობა სადღესასწაულო სამზადისშია. ბოლო ხუთი წლის მანძილზე

არსებული თალიბანის რეჟიმი ყველანაირ დღესასწაულს კრძალავდა. მათი აზრით, ეს ზეიმი წარმართული რიტუალიდან – მზისადმი თაყვანისცემიდან მოდიოდა, რომლის ფესვებიც ზოროასტრიზმში ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობაში უნდა ვეძიოთ. ეს რელიგია სპარსეთში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში წარმოიშვა. თალიბებმა პილიგრიმთა ტრადიციული მსვლელობაც აკრძალეს, რომელიც ახალი წლის დამდეგს იმართებოდა მაზარ-ე-შარიფში ალის საფლავის მონახულების მიზნით. ეს ტრადიცია საუკუნეები გრძელდებოდა. უამრავი ხალხი მიდიოდა ალის საფლავზე ცოდვებისგან განსაწმენდად, სალოცავად, განსაკურნებლად და ახალი წლის შესახვედრად, რომელიც ავღანური კალენდრის მიხედვით 21 მარტს დგება.

ალი წინასწარმეტყველ მუჰამედის დეიდაშვილი და სიძე იყო და მეხუთე ხალიფად იწოდებოდა. სწორედ ის არის მიზეზი იმ დავისა, რომელიც შიიტსა და სუნიტ მუსლიმებს შორის წარმოებს. შიიტებისთვის ის მუჰამედის შემდეგ მეორეა წმინდანთა იერარქიაში, სუნიტებისთვის კი – მეოთხე. მაგრამ სუნიტებისთვისაც, როგორც მანსური და ავღანელთა უმეტესობაა, ის ისლამის უდიდესი გმირია. ისტორია ალის მოიხსენიებს, როგორც ხანჯალშემართულ, მამაც მეომარს. ალი 658 წელს მექაში მოკლეს და, ისტორიკოსთა თანახმად, ერაყში, კუფაში დაასაფლავეს. მოგვიანებით მისი გვამი მისმა მიმდევრებმა ამოთხარეს, რადგან შიშობდნენ, რომ ხალიფას სხეულს შურისძიების მიზნით მტრები მოიტაცებდნენ და წაბილწავდნენ. მათ გვამი თეთრ დედალ აქლემს დააკრეს ზურგზე და გაუშვეს. ალის იმ ადგილას დაასაფლავებდნენ, სადაც აქლემი ჩაიჩოქებდა. ლეგენდის თანახმად, ეს ადგილი აღმოჩნდა მაზარ-ე-შარიფი, რაც „ამაღლებულის საფლავს“ ნიშნავს. ხუთასი წლის მანძილზე ამ ადგილას მხოლოდ ერთი ჰატარა საფლავის ქვა იდო, მაგრამ 1100 წელს, მას შემდეგ, რაც ადგილობრივ მოლას ალი გამოეცხადა სიზმარში, აქ მცირე მონუმენტი ააგეს. ჩინგიზ-ხანმა ლაშქრობისას ეს მონუმენტი გაანადგურა, ასე

რომ საფლავი კვლავ ნიშის გარეშე დარჩა და ასე იყო კიდევ რამდენიმე ასეული წელი. მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულს ალის განსასვენებელ ადგილას ისევ ააგეს მავზოლეუმი, ცოტა მოგვიანებით კი – მეჩეთი. სწორედ ამ ადგილის მოლოცვა წარმოადგენს პილიგრიმთა მსვლელობის უმთავრეს მიზანს.

სულის განწმენდის მიზნით, მანსურმა ამ გზის გავლის მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. ამაზე უკვე დიდი ხანია ფიქრობს, მაგრამ ჯერ სულთნისგან უნდა აიღოს ნებართვა, რადგან გზაში ყოფნა რამდენიმე დღეს მოუწევს. სულთანი კი ვერ იტანს, როცა მანსური სადმე მიდის.

ბიჭმა თანამგზავრიც კი შეიგულა – ერთი ირანელი ჟურნალისტი, რომელიც მასთან ხშირად ყიდულობს ხოლმე წიგნებს. ერთ დღეს საახალწლო გეგმებზე ლაპარაკობდნენ და ირანელმა თავად შესთავაზა წასვლა, ერთ-თავისუფალ ადგილსაც გამოგინახავ მანქანაშიო, უთხრა. „ღმერთმა არ გამწირა“, გაიფიქრა მანსურმა მაშინვე, „ალი თავისთან მიხმობს, რათა მომიტევოს!“

სულთანი ცივი უარით ისტუმრებს ბიჭს. მას არ სურს, იმ ერთი კვირის განმავლობაში მაღაზია უპატრონოდ იყოს. მანსურმა წიგნები უნდა აღწეროს, ივაჭროს და ხელოსანს, რომელიც ახალ თაროებს აყენებს, თვალყური ადევნოს, რადგან მის გარდა მამა სხვას არავის ენდობა. თავის მომავალ სიძეს, რასულსაც კი ვერ ჩააბარებს ამ საქმეს. რომ იცოდეს, რასული რამდენჯერ მდგარა დახლთან... მანსური ძალიან ბრაზდება. თავიდანვე იცოდა, რომ ასე იქნებოდა, ამიტომაც მამასთან ლაპარაკს ბოლო საღამომდე ვერ ბედავდა. სულთანს ამის გაგონებაც არ უნდა, მანსური უხსნის, ის კი კვლავ უარბეა.

– შენ ჩემი ვაჟი ხარ და ისე მოიქცევი, როგორც მე მსურს... გარდა ამისა, მაღაზიაში მჭირდები! – უმეორებს სულთანი – სულ წიგნები, წიგნები, ფული, ფული... შენ მხოლოდ ფულზე ფიქრობ! – ყვირილით პასუხობს მანსური, – ავღანეთის შესახებ ლიტერატურას ვყიდი

და წესიერად არც კი ვიცნობ ჩემს ქვეყანას, ქაბულის იქით არსად ვყოფილვარ...

ირანელი მეორე დილას უნდა გაემგზავროს. მანსური აღშფოთებულია მამის უარით. დილაუთენია მანქანით მაღაზიაში მიჰყავს და გზაში ხმას არ სცემს, შეკითხვებზე მოკლედ პასუხობს სიბრაზისგან სახე აქვს ალენილი. სულთანმა ათი კლასიკ კი არ დაამთავრებინა, მაშინვე სამუშაოდ უკრა თავი. მთელი პასუხისმგებლობა შვილს დააკისრა და ამ თაროებში დასაობებლად განირა. ყველა თხოვნაზე უარით ისტუმრებს. ერთადერთი, რაც მისცა, მანქანაა და ისიც იმიტომ, რომ თავად სულთანი ატაროს აქეთ-იქით.

– კი ბატონო, – ამბობს მოულოდნელად მანსური, – რასაც მთხოვ, ყველაფერს შევასრულებ, მაგრამ არ გეგონოს, რომ ამ საქმეს დიდი სიამოვნებით ვაკეთებდე. არასოდეს მაძლევ იმის უფლებას, რომ როგორც მსურს, ისე მოვიქცე, გამუდმებით გულს მტკენ!

– გაისად გაგიშვებ, – ეუბნება სულთანი.

– არა, საერთოდ აღარ წავალ და არც აღარასოდეს გთხოვ რამეს!

ამბობენ, მაზარში ის მიდის, ვისაც ალი უხმობსო. ნუთუ ალის არ სურს, მანსური გაემგზავროს?! ნუთუ მისი საქციელი ასეთი მიუტევებელია? თუ, უბრალოდ, მამამისს არ ესმის ალის მონოღება?

სულთანს ვაჟის მტრული განწყობა აკრთობს. ის ბოლმით სავსე მოზარდს შეჰყურებს და, ცოტა არ იყოს, შიში იპყრობს. მანსური მამას და თავის ორ ძმას თავიანთ მაღაზიებში ტოვებს და შემდეგ საკუთარი მაღაზიისკენ იღებს გემს. ოთახში შესული მტვრიან სანერ მაგიდასთან ჯდება. შავბნელი ფიქრებით შეჰყრობილი, იდაყვებით მაგიდას ეყრდნობა და ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს ცხოვრებამ ერთ სოროში გამოკვეთა და ეს სორო თანდათანობით ახალი წიგნების მტვრით ივსება.

მაღაზიაში წიგნების ახალი პარტია შემოაქვთ. მანსური უხალისოდ ათვალიერებს ყდებს. მზერას მისტიკოსი პოეტის – რუმის პოეზიის

კრებულზე აჩერებს. ისლამის მისტიკოსებს – ავღანელ სუფისტებს შორის ყველაზე ცნობილი და გამორჩეული რუმი სულთნის უსაყვარლესი პოეტია. ის 1200 წელს მაზარ-ე-შარიფის მახლობლად მდებარე დაბა ბალხში დაიბადა. ესეც ერთი ნიშანი, ფიქრობს მანსური, რომელიც ცდილობს რამე ისეთს მიაგნოს, რაც მის საქციელს გაამართლებს და მამამისის საქციელის არამართებულობას დაამტკიცებს. რუმის ლექსები ადამიანს მოუწოდებს, სული განიწმინდოს და სრულყოფილ ღმერთს მიუახლოვდეს, რათა საკუთარი „ეგო“ დაივიწყოს... „ეგო“ ადამიანებსა და ღმერთს შორის არსებული პირბადეა“ წერს პოეტი. მანსური კითხულობს, თუ როგორ უნდა შეძლოს ვაცმა ღვთისადმი მიახლოება და როგორ უნდა წარმართოს ცხოვრება მხოლოდ ღვთისა და არა საკუთარი თავის გარშემო. მანსურს ისევ სულიერი სიბინძურის განცდა ეუფლება, რაც მეტს კითხულობს, მით უფრო რწმუნდება იმაში, რომ სულის განწმენდა გარდაუვალია. ერთი მარტივი ლექსი განსაკუთრებულად მოქმედებს მასზე:

„წყალმა უწმინდურს უთხრა, აქ მოდიო.

უწმინდურმა მიუგო, ძალიან მრცხვენიაო.

წყალმა უპასუხა ცოდვებს უჩემოდ ვერ ჩამოიბანო...“

როგორც ჩანს, მანსური ყველამ განირა: წყალმაც, ღმერთმაც და რუმიმაც. „ის ირანელი ალბათ უკვე თოვლიანი ჰინდუქუშის მთებზე გადადის“, ფიქრობს ბიჭი. მთელი დღე დაბოლმილია, როცა ბინდდება, მაღაზიას ვეტავს. ამის შემდეგ მამა და ძმები უნდა გაიყოლოს სახლში და თავის დიდ ოჯახთან ერთად კვლავ ბრინჯის უზარმაზარ ლანგარს მიუჯდეს.

სანამ მანსური გისოსებს უშვებს და მაღაზიის კარს მძიმე კლიტეს ადებს, მოულოდნელად ავბარი, ის ირანელი ჟურნალისტი უახლოვდება. მანსური თვალებს არ უჯერებს:

– არ გაემგზავრე? – ეკითხება გაოგნებული.

– უკან დავბრუნდით, რადგან დღეს სალანგის გვირაბი დაკეტილი ყოფილა. ასე რომ, ხვალ მივემგზავრებით, – პასუხობს ირანელი, –

სულ ახლახანს ქუჩაში მამამენს შევხვდი და მთხოვა, თან წაგიყვანო. ხვალ, დილის ხუთ საათზე, კომენდანტის საათი დასრულდება თუ არა, ჩემგან გავემგზავრებით.

– მართლა ასე გითხრა? – ეკითხება ფერდაკარგული მანსური. „ეს ალის მოწოდება უნდა იყოს, რომელიც ისეთი ძლიერია, მამამაც კი შეისმინა“, დუდლუნებს თავისთვის.

მანსური იმ ღამეს აკბართან რჩება, რადგან ეშინია, დილას არ ჩაეძინოს, ან მამამისმა ისევ არ გადაიფიქროს მისი გაშვება. გამთენიისას გზას ადგებიან. მანსურს მხოლოდ ერთი პოლიეთილენის პარკი მიაქვს, რომელიც კოკა-კოლას და ფანტას ქილებითა და ბანანისა და კივის ჭემიანი ორცხობილებით გაუტენია. მათთან ერთად აკბარის ერთი მეგობარიცაა. ბიჭები გზაში კარგად ერთობიან. ინდური ფილმების მელოდიებს უსმენენ და თავადაც მთელი ხმით გაჰყვირიან. მანსურს თავისი უსაყვარლესი ვასეტაც გამოუყოლებია თან. ეს არის ევროპული სიმღერების ნაკრები: „Pop from the 80's“. „Is this love? Baby, don't hurt me, don't hurt me, no more!“ მუსიკის ჰანგები განთიადის სუსხიან სივრცეს აკობს. ნახევარ საათში მანსურმა ერთი ყუთი ორცხობილა გადასანსლა და ზედ ორი ქილა კოკა-კოლაც დააყოლა. ის თავისუფლებით ტკბება, უნდა ფანჯრიდან თავი გაეყოს და ხმა-მადლა იყვიროს: ეჰეეეეი! ალიიიიი! აი, მეც მოვდივარ!

ამ მიდამოებში მანსური არასოდეს ყოფილა. ქაბულის დასავლეთით შომალის დაბლობი მდებარეობს. ომისგან ეს ადგილები განსაკუთრებით დაზარალდა. სულ რამდენიმე თვის წინ 52 ტიპის ამერიკული გამანადგურებლებიდან გადმოყრილი ბომბები სწორედ აქ ფეთქდებოდა.

– რა სილამაზეა! – გაჰყვირის მანსური. დაბლობი, რომელსაც ჰორიზონტზე ჰინდუქუშის თოვლით დაფარული მთები აკრავს, შორიდან მართლაც ლამაზია. ჰინდუქუში ინდუსის მკვლელს ნიშნავს. ამ მთების ხეობაში თურმე ქაბულელთა წინააღმდეგ მებრძოლ ინდოელთა ათასობით ჯარისკაცი გაყინულა.

მთების სახელიც აქედან მომდინარეობს. დაბლობთან მიახლოებისთანავე ნაომარი ლანდშაფტი იკვეთება. იმ ინდოელი ჯარისკაცებისგან განსხვავებით, ამერიკულ გამანადგურებლებს ჰინდუქუმის მთებმა ვერაფერი დააკლო. თალიბანის დაბომბილი ბანაკები ისეთ-სავე მდგომარეობაშია. დაბომბვებისგან განადგურებული მათი თავშესაფრების ნარჩენები აქეთ-იქით მიმოფანტულა. ერთგან ჩონჩხით დაკლავნილი რკინის საწოლიც დგას, რომელზეც, სავარაუდოდ, ერთ დროს რომელიღაც თალიბ მეომარს ეძინა. დაცხრილული ლეიბიც იქვე, მოშორებით გდია.

ბევრი ნივთი მოსახლეობამ წაიღო. თალიბანის განდევნიდან რამდენიმე საათში ხალხი უკვე მათ ნივთებში იქექებოდა და ზოგი სამხედროების პირსაბან ტაშტს მიათრევდა, ზოგი კი გაზის სანათურს, ხალიჩებსა და ლეიბებს ექაჩებოდა. უკიდურესმა სიღარიბემ გვამების ძარცვა აქ ჩვეულებრივ ამბად აქცია. გზის პირას, ქვიშებში უპატრონოდ მიყრილი მიცვალებულები არავის დაუტირებია. პირიქით, ბევრი მათგანი დაასახიჩრეს კიდევ. უმეტესობას თვალები დასთხარეს, ტყავი გააძრეს, ან კიდურები მოჰკვეთეს და დაანანევრეს. ეს საშინელი შურისძიება იმ სასტიკი ტერორის პასუხი იყო, რომელსაც თალიბანი წლების განმავლობაში ახორციელებდა შომალის მოსახლეობის მიმართ.

დაბლობი ხუთი წლის განმავლობაში თალიბანსა და მასუდის მომხრე ჩრდილო-აღმოსავლეთის მებრძოლების საომარ ხაზს წარმოადგენდა. მმართველობა აქ ექვს-შვიდჯერ მაინც შეიცვალა. ფრონტის ხაზის ცვლასთან ერთად, მოსახლეობაც იძულებული ხდებოდა, აქედან აყრილიყო და ფანჯშირის ხეობაში, ანდა სამხრეთით, ქაბულისკენ გადასახლებულიყო, მოსახლეობის უმეტესობა ტაჯიკი იყო და ბევრი მათგანი, ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, თალიბების მიერ წარმოებული ეთნიკური წმენდის მსხვერპლი გახდა. გაქცევამდე თალიბებმა ჭებში წყალი დანამლეს და არსებობისთვის მნიშვნელოვანი წყლის სისტემები გაანადგურეს. ააფეთქეს სარწყავი გაყვანილობაც,

რომელიც ამ გამომშრალ დაბლობს, ერთ დროს ქაბულის უმნიშვნელოვანეს სამინათმოქმედო ტერიტორიად რომ ითვლებოდა, წყლით ამარაგებდა.

მანსური შიშისმომგვრელად აოხრებულ სოფლებს მდუმარედ აყოლებს თვალს. ბევრი მათგანი მიწასთანაა გასწორებული, სხვები კი თალიბებს პირწმინდად გადაუწვავთ იმ დროს, როცა ქვეყნის ამ მცირე ნაწილის დაპყრობასაც შეეცადნენ: ფანჯირის ხეობა, ჰინდუქუმის მთები და ტაჯიკეთთან ახლომდებარე გაუდაბურებული მიდამოები, ანუ ქვეყნის ეს მეთაფი ნაწილიც კი ვერ გადაურჩა დარბევას. იქნებ, სექტემბერი რომ არ ყოფილიყო, ავღანეთი არც არავის გახსენებოდა თალიბებიც, შესაბამისად, საბოლოოდ შეძლებდნენ აქ ფესვების გადგმას.

მთელ მინდორზე განადგურებული ტანკები და სხვა – დაბომბილი საბრძოლო იარაღი მიმოფანტულა. მანსური ამ ამოცნობას ამაოდ ცდილობს. იქვე ვაცი დადის რომელსაც ხელში რკინის საჭრელი იარაღი უჭირავს. მისი კარმიდამოდან ოდნავ მოშორებით უზარმაზარი ტანკი გდია და ისიც სწორედ ამ ტანკს დასტრიალებს.

გადათხრილი გზა ახალგაზრდა პილიგრიმებმა სწრაფად გადაიარეს. მანსური ცდილობს გამოიცნოს, რომელია დედამისის სოფელი, სადაც ხუთი-ექვსი წელი იქნება, არ ყოფილა. ხან ერთი, ხანაც მეორე ნანგრევისკენ იშვერს თითს. – აი, იქ არის! არა, აი იქ, – ყვირის ბიჭი, მაგრამ ყველა აოხრებული სოფელი ერთმანეთს ჰგავს და არც ისე ადვილია მშობლიური მიდამოების სხვებისგან გამორჩევა. ჯერ კიდევ ახსოვს, როგორ დარბოდა ამ ველ-მინდვრებში. ახლა ეს ადგილები დანალმულია. მხოლოდ სავალი გზაა შედარებით უსაფრთხო. გზის პირას შეშამიხუტებული ბავშვები და ვედროებაკიდებული ქალები მიდი-მოდინ. ცდილობენ, თავი აარიდონ თხრილებს, რომლებიც, შესაძლოა, ასევე დანალმული იყოს. ერთ ადგილას გამნალმველებიც შეკრებილან. ისინი გამუდმებით აფეთქებენ ან უვნებელყოფენ ნალმებს. ყოველდღე მცირე მონაკვეთს ასუფთავებენ.

გზისპირა თხრილებში ღია ვარდისფერი, ველური ტიტები ამობიბინებულა. მაგრამ უმჯობესია ყვავილების ცქერით ვაყი შორიდან დატკბეს, ვინაიდან არ არის გამორიცხული, მათი მოკრეფისას ცალი ხელი ან ფეხი ადგილზე დატოვო, აკბარი 1967 წელს ავღანეთის ტურისტთა გაერთიანების მიერ გამოცემული წიგნით ირთობს თავს.

„გზის პირას ბავშვები ჩამწკრივებულან და ვარდისფერი ტიტების თაიგულებს ყიდნიან“, კითხულობს ის. „გაზაფხულობით ალუბლის, ატმის, ნუშისა და მსხლის აყვავებული ხეები ერთიმეორეს ეცილებიან გამვლელის ყურადღების მიპყრობაში. ქაბულიდან მომავალ მგზავრს მთელი გზა აბიბინებული ბაღები სდევს ფეხდაფეხ“.

ბიჭები სიცილს ვერ იკავებენ. ამ გაზაფხულზე მათ მხოლოდ რაღაც სასწაულით გადარჩენილი რამდენიმე ალუბლის ხის დანახვა შეუძლიათ, გმირულად რომ გაუძლო ბომბებს, რაკეტებს, სამწლიან გვალვასა და დანამლულ ჭებს. მაგრამ უსაფრთხოდ ვერც ამ ხეებს მიუახლოვდება ვაყი.

„ადგილობრივი კერამიკის წარმოება ავღანეთში ერთ-ერთი საუკეთესოა. გირჩევთ, მცირე ხნით შეისვენოთ და იმ გზისპირა სახელოსნოებშიც შეიხედოთ, სადაც დახელოვნებული ხელოსნები საუკუნოვანი ტრადიციების მიხედვით ამზადებენ ლანგრებსა და ქოთნებს“, აგრძელებს კითხვას აკბარი, – როგორც ჩანს, ის ტრადიციები სეროზულად დაზარალდა, – აღნიშნავს აკბარის მეგობარი საიდი, რომელიც საჭესთან ზის.

სალანგის უღელტეხილისკენ მიმავალ გზაზე ახლა კერამიკის ერთ სახელოსნოსაც კი ვერსად წაანყდებით. აღმართი იწყება, მანსური მეთხე ქილა ვოკა-ვოლას ხსნის, ბოლომდე ცლის და ცარიელ ქილას მსუბუქად ისვრის ფანჯრიდან. მანქანის – დაბინძურებას ბომბების კრატერის დანაგვიანება ურჩევნია. გზა მსოფლიოს უმაღლესი გვირაბისკენ მიიკლავნება და თანდათანობით ვიწროვდება, შიგადაშიგ პატარა წყარო ჩანჩქერიც ხვდებათ.

– „მთავრობის წარმომადგენლებმა მდინარეებში კალმახი გაუშვეს. რამდენიმე წელიწადში მათი რიცხვი საგრძნობლად – გაიზარდება“, – კითხვას აგრძელებს აკბარი. ახლა მდინარეში ერთ თევზსაც ვერ ნახავს კაცი. მას შემდეგ, რაც ეს წიგნი გამოვიდა, მთავრობას ბევრად დიდი საფიქრალი გაუჩნდა, ვიდრე კალმახების მოშენებაა.

დამწვარი ტანკები უჩვეულო ადგილებშია მიმოფანტული – ბოგიერთი მათგანი მდინარეში გდია, ბოგი კი ამოყირავებული და დაშლილია. მანსური ასამდე ასეთ ტანკს ითვლის.

ბევრი მათგანი საბჭოთა დროს წარმოებული ბრძოლებიდანაა შემორჩენილი იმ დროიდან, როცა წითელარმიელები შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებიდან ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილში შევიდნენ, დარწმუნებულნი, რომ ქვეყანა სრული კონტროლის ქვეშ ჰყავდათ. სულ მალე რუსები მუჯაჰედინის მიერ გონივრულად წარმოებული საომარი მოქმედებების მსხვერპლნი გახდნენ. მუჯაჰედინი ამ ადგილებში ისე სხარტად მოძრაობდა, როგორც თხა – მთის ციცაბო ფერდობზე. მის მზვერავებს მთებზე მოწყობილი სათვალთვალო პუნქტებიდან დაბლობზე მცოცავი რუსული ტანკების დანახვა შორი მანძილიდანაც კი თავისუფლად შეეძლოთ. თვითნაკეთი იარაღით აღჭურვილი პარტიზანები მოხერხებულად იბრძოდნენ და დანაკარგიც დიდი არ ჰქონდათ. ისინი ყველგან იყვნენ, ზოგ მათგანს მწყემსის ტანსაცმელი ეცვა და კალაშნიკოვებს თხებს აკრავდა მუცელზე. ბრძოლის დაწყება ნებისმიერ დროს ელვის სისწრაფით შეეძლოთ. – მათ ცხვრის ფუმფულა მატყლქვეშ ნაღმმტყორცნების დამალვაც კი შეეძლოთ, – ყვება აკბარი, რომელსაც ბევრი რამ აქვს წაკითხული საბჭოელებთან სისხლიანი ომების შესახებ. ეს მთის ფერდობი ერთ დროს ალექსანდრე დიდსაც გადაუვლია. ქაბულის ალების შემდეგ ის ჰინდუქუშის მთების გავლით ისევ ირანში, იმდროინდელ სპარსეთში დაბრუნდა. ალექსანდრეს თურმე ოდებაც კი მიუძღვნია ამ მთების-

თვის, „რომლებიც იდუმალებისა და მარადიულობის განცდას აღვიძებენ“ – კვლავ მოგზაურთა წიგნიდან ამოკითხულ ციტატას იშველიებს აკბარი.

– მთავრობას აქ სათხილამურო კურორტის გახსნაც ჰქონია გეგმაში! – ყვირის მოულოდნელად და ციცაბო კლდეს ავლებს მზერას, – ეს ყველაფერი 1967 წლისთვის იგეგმებოდა, ანუ მას შემდეგ, რაც ამ გზებზე ასფალტს დააგებდნენ.

ასფალტი კი დააგეს, მაგრამ ახლა მისი კვალიც აღარსად ჩანს. სათხილამურო კურორტის აშენება კი გეგმადვე დარჩა. – ამ მთაზე ცეცხლოვანი დაშვება არ ასცდებოდა ვაცს! – სიცილით ამბობს აკბარი, – ნაღმებს ალბათ სათხილამურო ტრასის მონაკვეთების მიხედვით გაანაწილებდნენ! სახელიც მოვიფიქრე: „Adventurous Travels!“ ანდა, „Afgan Adven Tours“ – ცხოვრებით დაქანცულთათვის!

ბიჭები ხარხარებენ. ტრაგიკული რეალობა ყოველ მათგანს ნახატი ფილმივით, ანდა სულაც თრილერის სახით წარმოუდგება თვალწინ. ისინი ცხადად ხედავენ ფერად-ფერად სნოუბორდებს, ნაღმებზე რომ ფეთქდება და ნატეხებად ქცეული მთის ფერდობზე იფანტება.

ტურიზმი, რომელიც ერთ დროს ავღანეთის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა, სხვა ყველაფერთან ერთად, წარსულს ჩაბარდა. ამ მთიან გზას ოდესღაც „The Hippie Trail“-ს ეძახდნენ. ამ ადგილებს ადრე უამრავი ადამიანი სტუმრობდა, რათა ლამაზი ბუნებით, ცხოვრების თავისუფალი სტილითა და მსოფლიოში საუკეთესო ჰაშიშით ტკბობაც მისცემოდა. უფრო მეტად გამოცდილები არც ოპიუმზე ამბობდნენ უარს. 60–70-იან წლებში ამ მთებისკენ ათასობით ჰიპი სტუდენტი მოემართებოდა. მთებში ამოსასვლელად ძველ „ლადას“ ტიპის ავტომანქანებს ქირაობდნენ, აქ ამოსვლა არც ქალებისთვის იყო შეზღუდული. მიუხედავად იმისა, რომ გზის ყაჩაღებისა და მოძალადეების თავდასხმის საშიშროება მაშინაც იყო, ეს ყველაფერი მოგზაურობას კიდევ უფრო ზღაპრულს ხდიდა. ტურისტული

დინება 1973 წელს ზაჰირ შაჰის წინააღმდეგ მონყობილმა აჯანყებამაც კი ვერ შეაჩერა. ჰიპების მსვლელობა 1978 წელს, კომუნისტების მიერ ქვეყნის დაკავების შემდეგ შეწყდა.

ორ-სამსაათიანი მგზავრობის შემდეგ ბიჭები პილიგრიმთა ნაკადს უერთდებიან. უამრავი მანქანა ადგილიდან არ იძვრის. თოვა მატულობს და ნისლიც ძლიერდება. საიდს საბურავებზე ჯაყვები არ უკეთია და მანქანა მოყინულ გზაზე სრიალებს. დანამქრულ გზაზე მანქანები ჭიანჭველებივით მიცოცავენ, თუ რომელიმე მათგანი გაჩერდა, ყველა ჩერდება, რადგან გვერდის ასაქცევად გზა მეტისმეტად ვიწროა. თუ ერთ დღეს ნაკადი სამხრეთიდან ჩრდილოეთით, ანუ ქაბულიდან მაზარისკენ მიემართება, მეორე დღეს პირიქითაა. გზის სივიწროვე ორმხრივი მგზავრობის საშუალებას არ იძლევა. ქაბულიდან მაზარამდე 450 კმ-იანი გზის გავლას დაახლოებით 12 საათი სჭირდება, ზოგი კი ამ გზის გავლას ორჯერ ან ოთხჯერ მეტ, დროსაც ანდომებს. – ბევრ მანქანას, ნამქერის ან ზვავის მსხვერპლი რომ ხდება, ზაფხულამდე ვერ პოულობენ, – ამბობს აკბარი.

გზის კიდევ ავტობუსი შეუყენებითა და საცობის მიზეზიც სწორედ ეს გამხდარა. ავტობუსის მგზავრები გზაზე დგანა და ალის საფლავისკენ ლოკოკინასავით ნელა მიმავალი მანქანების გაჩერებას ცდილობენ. მანსური ავტობუსზე მიწერილ სიტყვებს კითხულობს და ხარხარებს: „Hmbork – Frankfork – Landan – Kabal“, დიდი წითელი ასოებით წინა შუშაზე მოთავსებული წარწერა კიდევ უფრო ამხიარულებს: „Wellcam! Kaing of Road“.

– სამეფო მგზავრობას ცოტალა უკლია! – სიცილით ამბობს ბიჭი.

მიუხედავად იმისა, რომ მანქანაში ადგილი აქვთ, ახალი თანამგზავრის გაყოლებას ბიჭები არც ფიქრობენ.

მათი მანქანა პირველ გაღერვაში შედის. ასე ეძახიან სქელი ბეტონის თაღებით ნაგებ ზვავისაგან დამცავ სპეციალურ გასასვლელს. ამ გაღერების გავლაც არ არის მთლად უსაფრთხო, რადგან ღია

გასასვლელეები ნამქერითაა სავსე. ჯაჭვის გარეშე არც სხვა მანქანებისგან დატოვებული ჩაყინული ნაკვალევის გავლაა ადვილი.

ზღვის დონიდან 3 400 მეტრის სიმაღლეზე მდებარე სალანგის გვირაბი და 5000 მეტრის სიმაღლეზე აგებული გალერეები ავღანელებს საბჭოელებმა უსახსოვრეს, მაშინ, როცა ამ ქვეყნის სატელიტურ სახელმწიფოდ ქცევა განიზრახეს. გვირაბის მშენებლობა საბჭოთა ინჟინრებმა 1956 წელს დაიწყეს და 1964 წელს დაასრულეს. გზების მოასფალტებაც რუსებმა დაიწყეს 50-იან წლებში. ზაჰირ-შაჰის მმართველობის პერიოდში ავღანეთი მორჩილ და მეგობრულ სახელმწიფოდ განიხილებოდა. იმის გამო, რომ არც ამერიკა და არც ევროპა ავღანეთში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებული არ იყო, ლიბერალი მეფე ნადირ-შაჰი იძულებული გახდა, მზერა საბჭოთა კავშირისკენ მიეპყრო. მას ფული და თანამშრომლობა სჭირდებოდა, ამიტომაც ხუჭავდა თვალს იმაზე, რომ კომუნისტები ძალაუფლებას ქვეყანაში სულ უფრო იმყარებდნენ.

თალიბების წინააღმდეგ ბრძოლებისას გვირაბმა სტრატეგიული მნიშვნელობა მოიპოვა. 90-იანი წლების დასასრულს ის მუჯაჰედების გმირმა მასუდმა ააფეთქა, როცა საბოლოოდ შეეცადა ჩრდილოეთისკენ მიმავალ თალიბთა შეჩერებას. ამიტომ მათ აქამდე კი მოაღწიეს, მაგრამ გვირაბს ვეღარ გასცდნენ. მთებზე ჩამონოლილმა ნისლმა არემარე ჩაამუქა. ბიჭების მანქანა ხან თოვლში, ხან კი მოყინულ გზაზე სრიალებს და რის ვაივავლახით მიიწევს წინ. ქარი ზუზუნებს, ნამქერში ხილვადობაც ჭირს და საიღი ვარაუდით მიჰყვება სხვა მანქანების კოლონას. ჯაჭვის გარეშე უსაფრთხო მგზავრობის გარანტი ახლა მათთვის მხოლოდ და მხოლოდ ალი თუ იქნება.

„სანამ მის საფლავს არ ვნახავ, არ მოვკვდები“, ფიქრობს მანსური, „ალიმ ხომ თავად მიხმო თავისთან“.

ცოტათი ნათდება. უკვე თითქმის სალანგის გვირაბთან არჩან, გვირაბის შესასვლელთან აბრა დაუმაგრებიათ წარწერით: „ფრთხილად, მონამვლის საშიშროებაა! გვირაბში შეფერხების შემთხვევაში,

მანქანის ძრავა გამორთე და მაშინვე უახლოესი გასასვლელისკენ გაემართე!“

მანსური გაოცებული შეჰყურებს აკბარს.

– სულ რაღაც ერთი თვის წინ გვირაბში ძლიერი ნამქერის გამო ორმოცდაათი კაცი გამოიკეტა, – უხსნის კარგად ინფორმირებული აკბარი ბიჭებს, – ოცი გრადუსი ყინვა იყო და მძღოლებმა სითბოს შესანარჩუნებლად ძრავები არ გამორთეს. რამდენიმე საათის შემდეგ, როცა თოვლი, როგორც იქნა, გადახვეტეს, გამონაბოლქვისგან მონამლული რამდენიმე ათეული ადამიანი იპოვეს... აქ ასეთი რამ ხშირად ხდება – ხოლმე.

მანქანების კოლონა ჩერდება.

– შესაძლოა ეს მხოლოდ ვილაცის მონაჩმახი იყოს, – დასძენს აკბარი, – მაგრამ მე მართლა აშკარად ვგრძნობ თავის ტკივილს – გეთანხმები! – ჰასუხობს მანსური, – უახლოესი გასასვლელისკენ ხომ არ გავქცეულიყავით?

– არა, იმედი მაქვს, კოლონა მალე დაიძრება და გვირაბიდან გავალწვით! – ამბობს ისევ აკბარი, – წარმოიდგინე, კოლონა რომ დაიძრას და ჩვენ აქ არ ვიყოთ... მაშინ ხომ ჩვენი მანქანა შექმნის საცობს.

– ალბათ, სხვებიც ამის გამო თუ იგუდებიან... – არ ცხრება მანსური.

ბიჭებს მანქანის ფანჯრები ბოლომდე აქვთ აწეული. საიდი სიგარეტს უკიდებს.

– გაგიჟდი? – ყვირის შემინებული აკბარი, საიდს პირიდან სიგარეტს სტაცებს და აქრობს. – კიდევ უფრო მეტად გინდა მოგვნამლო?!

კოლონა ისევ არ იძვრის. მანქანაში ნელ-ნელა პანიკური შიში ისადგურებს. როცა კარგა ხნის შემდეგ უჰაერო გვირაბს თავს აღწევენ, სამივე თავის ტკივილს უჩივის, მაგრამ სუფთა ჰაერზე გასვლისას ყველანაირი ტკივილი ავინწყდებათ. გზაზე კვლავ სქელი ნაცრისფერი

ნისლია ჩამონოლილი და ხილვადობა ისევ ჭირს. ბიჭებს ისღა დარჩენიათ, მათ წინ მიმავალი მანქანების ნაკვალევსა და ფარების შუქს მიყვნიენ. ყველანი გასუსულები სხედან, მანსურმაც კი შეწყვიტა ორცხობილას ხრამუნი. თითქოს სიცარიელეში მიემართებიან, ფეხდაფეხ კი უფსკრული, ნაღმები, ნამქერი და კიდევ ათასი სხვა განსაცდელი სდევთ.

თანდათანობით ნისლი იწმინდება, მაგრამ საშიშროება ჯერ კიდევ არსებობს. ახლა ბიჭები მოსალოდნელ საფრთხეს კიდევ უფრო ცხადად ხედავენ. მანსური სიგარეტს უკიდებს და მეგობრებს კოკა-კოლას სთავაზობს. დღეს უკვე, ლამისაა, მეოცე ღერს ეწევა.

– როგორც ვხედავ, სიტუაციით კარგად სარგებლობ, – ეუბნება აკბარი, – ახლა მამაშენი რომ გხედავდეს, კმაყოფილი ნამდვილად არ დარჩებოდა!

სულთანმა არასოდეს არ უნდა გაიგოს, რომ მანსური ეწევა. აქ, ამ ნამქერსა და უბედურებაში, თავისუფლების დამათრობელ წუთებში, მაშინ, როცა ერთ-ერთი ამ პილიგრიმთაგანია, სიგარეტს სიგარეტზე უკიდებს.

თანდათანობით დაღმართზე ეშვებიან. მანქანა აქეთ-იქით ირწევა, მოულოდნელად კი ყინულზე სხლტება, საიდს საჭის დამორჩილება უჭირს და იგინება. აკბარი და მანსური ისე ებლაუჭებიან თავ-თავიანთ ადგილებს, თითქოს მანქანის შეკავებას ლამობენ. კვლავ ნერვიული სიჩუმე ისადგურებს. მანქანა სრიალდება, მერე სწორდება, მერე კვლავ სრიალდება და რის ვაივავლახით კვლავ ჩვეულ მდგომარეობას უბრუნდება. გზად კიდევ ერთი გამაფრთხილებელი აბრა ხვდებათ წარწერით: „ფრთხილად! ტერიტორია დანაღმულია!“ ბიჭები კიდევ უფრო მეტად იძაბებიან. ნაღმებისგან მათ ვერანაირი თოვლის საფარი ვერ დაიცავს.

„ნამდვილი სიგიჟეა!“ ფიქრობს მანსური, მაგრამ ხმის ამოღება ვერ გაუბედავს. ის ყველაზე უმცროსია და არ უნდა, მხდალად ჩათვალონ. გზის გადაღმა აქეთ-იქით მიმოხეულობს ტანკის ნარჩენებსა და

იმ მანქანების ნაწილებს ხედავს, ამ სახითათო მგზავრობას რომ შე-
ენირონენ. მანსური გულში ლოცულობს. ალი ნამდვილად არ იხმობდა
იმისთვის, რომ ამ საშინელ უფსკრულს შეენიროს. მართალია, მისი
ბევრი საქციელი ისლამის წესებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ახლა
ხომ მთელი გულით განუზრახავს განწმენდა, ცოდვილი ფიქრებისგან
გათავისუფლება და ღირსეულ მუსლიმად ქცევა. კლდოვანი გზის ბო-
ლო მონაკვეთი მათი მგზავრობის კულმინაციაა.

სამშვიდობოს გამოსულები მზარ-ე-შარიფისკენ მიმავალ გზას
ფრთხილად გადიან. გზაზე კბილებამდე შეიარაღებული სამხედროე-
ბით სავსე „პიკაპის“ ტიპის მანქანები უქცევენ გვერდს. მანქანები დან-
გრეულ გზაზე მთელი სიჩქარით მიქრიან. ღია მისაბმელებზე წვერ-
გაუპარსავი ჯარისკაცები დამსხდარან და კალაშნიკოვები სხვადას-
ხვა მიმართულებით მიუმართავენ. ქვალორღიანი გზა უდაბურ სტეპებ-
ში მიიკლავნება. ალაგ-ალაგ პანანინა მწვანე ოაზისები და სოფლე-
ბიც ხვდებათ.

ქალაქის შესასვლელში საგზაო კონტროლის პუნქტთან ყოვნდე-
ბიან. გზა ორ დაბიანებულ ჭურვს შორის გაბმული თოკით გადაუკე-
ტავთ. მორიგეები უხეშად უქნევენ ხელს და მანქანის გაჩერებას ით-
ხოვენ.

ქალაქში გზაზე გადატანილი დაძაბულობისგან დაღლილები შე-
დიან. მგზავრობას თორმეტი საათი მოანდომეს.

– სალანგის გვირაბიდან აქამდე მოსვლა აღარფერი ყოფილა! –
ამბობს მანსური, – წარმოიდგინეთ, ზოგი ამ გზის გამოვლას ერთ
დღე-ღამეს ანდომებს... უჰ! როგორც იქნა, მოვალნიეთ! Ali, here I
come!

ყოველი სახლის სახურავზე შეიარაღებული სამხედროები დგა-
ნან. ახალი წლის წინა დღეებში უსაფრთხოების განსაკუთრებული
ზომების დაცვაა საჭირო. იმის გამო, რომ ამ რეგიონში საერთაშორი-
სო სამშვიდობო ძალები არ დგანან, ტერიტორიის მართვას ერთმა-

ნეთს ორი-სამი სამხედრო დაჯგუფება ეცილება. სახურავებზე განლაგებული ჯარისკაცები ადგილობრივი გუბერნატორის, ეგრეთ წოდებული ჰაზარას „ამალას“ მიეკუთვნებიან. „პიკაპის“ მანქანებზე შესკუპებული ჯარისკაცები ტაჯიკი ათა მუჰამედის საკუთრებას წარმოადგენენ. სპეციალური უნიფორმის მიხედვით ძნელი არ არის მეორე ტაჯიკის – აბდულ რაშიდ დოსტუმის მოძნეების ამოცნობაც. შენობებზე პატრულირებად სამხედროებს იარაღი გზისკენ მიუმართავთ, სადაც ათასობით პილიგრიმი დასეირნობს. ბევრი მათგანი მეჩეთთან, პარკში, ან ტროტუარებზე ზის და საუბრობს.

ლურჯი მეჩეთი სიბნელეში უჩვეულო ხილვას ჰგავს. ასეთი ლამაზი ნაგებობა მანსურს არასოდეს უნახავს. სპეციალური განათება მეჩეთს ამერიკის საელჩომ უსახსოვრა ამერიკის ელჩის საახალწლო ვიზიტის აღსანიშნავად. პარკს, რომელიც სალოცავს გარს არტყია და სადაც უამრავი პილიგრიმია შეკრებილი, წითელი ფარნები აშუქებს.

სწორედ აქ, ამ ადგილას უნდა მოინანიოს მანსურმა ცოდვები და სულიერად განიწმინდოს. ამ უჩვეულო მეჩეთის ცქერისას უსუსურობის განცდა იპყრობს... შიმშილის გრძნობაც თავს ახსენებს. კოკა-კოლა და კივისა და ბანანის ჯემიანი ორცხობილა არც ისე ნოყიერი საჭმელია.

რესტორნები ხალხითაა გადაჭედილი. ერთ-ერთ ჩაბნელებულ საქაბაბეში ბიჭები რის ვაივაგლახით პოულობენ პატარა ადგილს ხალიჩაზე. ჰაერში ცხვრის მწვადის ოხშივარი ტრიალებს. მწვადს გარნირად, ჩვეულებისამებრ, პური და მწვანე ხახვი მოჰყვება.

მანსური ხახვს კბეის და თრობისმაგვარი შეგრძნება ეუფლება. სიხარულით ევსება გული და ყვირილის სურვილი უჩნდება, მაგრამ თავს იკავებს, მშვიდად ზის და მეგობრებთან ერთად მაღიანად შეეცევა საჭმელს. პატარა ბიჭი ხომ არ არის! ცდილობს აკბარსა და საიდს მიჰბადოს და ისე მოიქცეს, თითქოს ეს ყველაფერი მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყოს.

დილაუთენია მოლას შეძახილი აღვიძებს. „ალაჰუ აკბარ“ – ბოლო ხმაზე გაჰკვივის მოლა. მანსური ფანჯრიდან იხედება და დილის მზის სხივებზე მოელვარე მეჩეთს გასცქერის, რომლის თავზეც ასობით თეთრი მტრედი დაფარფატებს, მათ, საფლავის მავზოლეუმის მახლობლად აგებულ კოშკში და უდიათ ბინა. ამბობენ, თუ მტრედების გუნდს ნაცრისფერი მტრედი გამოერიო, ორმოცი დღის შემდეგ მისი ბუმბულიც ქათქათა თეთრი გახდებაო. გარდა ამისა, იმასაც ამბობენ, ყოველი მეშვიდე მტრედი სინამდვილეში წმინდა სულიაო.

დილის შვიდის ნახევრისთვის მანსური საიდთან და აკბართან ერთად პილიგრიმებით გატენილ მეჩეთის ეზოში რის ვაივავლახით ძვრება. აკბარის ჟურნალისტის საბუთის წყალობით, ბიჭები სულ ცოტა ხანში მეჩეთის შუაგულში ექცვიან. ბევრი მორწმუნე აქვე ათენებს ღამეს იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტად მიუახლოვდეს ალის დროშას, რომელსაც ავღანეთის ახალი ლიდერი, ჰამიდ კარზაი აღმართავს. ერთ მხარეს ქალები სხედან. ზოგიერთი მათგანი ბურკაშია შემალული, ბევრს კი მხოლოდ თეთრი თავსაბურავით დაუფარავს თმა. ქალების მოპირდაპირე მხარეს ვაცები გამწვრივებულან. ქალებში შედარებით ხალვათობაა, მაშინ როცა მამაკაცების რიგში ნემსიც ვერ ჩავარდება. მეჩეთის ეზოში დარგული ხეებიც კი ხალხითაა დახუნძლული. პოლიციელები ხელში მათრახებს ატრიალებენ, მაგრამ ხალხის ნაკადს მაინც ვერ უმკლავდებიან. ბევრი მორწმუნე ახალგაზრდა ღობიდანაც კი ხტება და მოხერხებულად იგერიებს მოქნეულ მათრახს. დაცვა განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს, რადგან მეჩეთში იმ დღეს მინისტრებს ელოდებიან.

მეჩეთში მთავრობის ხალხი შედის. დელეგაციას წინ ლურჯ და მწვანეზოლებიან მოსასხამში გამოწყობილი ჰამიდ კარზაი მიუძღვის. თავისი ტანისამოსით ყოველთვის ცდილობს მთელი ავღანეთი წარმოადგინოს. მაგალითად ცხვრის ტყავის ქუდი, თავზე რომ ახურავს, სამხრეთით მდებარე ყანდაარიდან არის ჩამოტანილი, ასეთი ზო-

ლიანი მოსასხამი ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილისთვისაა დამახასიათებელი, პერანგი კი ისეთივე აცვია, როგორც ირანის საზღვართან ახლოს, დასავლეთით მდებარე ავღანურ პროვინციებში.

მანსური კისერს იგრძელებს და ცდილობს ახლოდან შეხედოს მას. ცოცხალი კარზაი არასოდეს უნახავს. ვაცი, რომელმაც ძირითადი ბანაკიდან, ყანდაარიდან თალიბების განდევნა შეძლო და სიკვდილს ძლივს გადაურჩა, როცა ამერიკელების ყუმბარა მისი ნაწილის დისლოკაციის მახლობლად აფეთქდა. თავად ყანდაარელი პუშტუნი კარზაიც ერთ ხანს თალიბებს უჭერდა მხარს. მოგვიანებით კი ძალოვანი „პოპოლზაების კლანის“ წარმომადგენელმა და ტომის ბელადმა თავისი პოზიცია თალიბთა წინააღმდეგ ბრძოლის მხარდამჭერთა შესაკრებად გამოიყენა. როდესაც ამერიკელებმა ბანაკების დაბომბვა დაიწყეს, კარზაი თავისი მოტოციკლით თალიბთა მთავარ ბანაკში შეიჭრა, რაც თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. ამით მან ხალხს დაანახა, რომ აგრესორთა რეჟიმი წარსულს ჩაბარდა. ხალხზე უფრო მეტად მისმა გამბედაობამ იმოქმედა, ვიდრე მისმა არგუმენტებმა. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ყანდაარის გარშემო ბრძოლები არ ცხრებოდა და კარზაი ქალაქის დასაცავად მედგრად იბრძოდა, ბონში გამართულ გაეროს კონფერენციაზე დელეგატებმა ავღანეთის ახალ ლიდერად სწორედ ის დაასახელეს.

– ისინი ჩვენი კულტურის განადგურებას ცდილობდნენ, ცდილობდნენ გაეტეხათ ჩვენი ტრადიციები, წაერთმიათ სარწმუნოება! – მიმართავს კარზაი ხალხს, – თალიბანი შეეცადა, ფეხით გაეთელა ისლამი, ტალახში ამოვესვარეთ და მთელი მსოფლიოს მტრებად გამოვეცხადებინეთ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რა არის ისლამი. ის მშვიდობაა! დამდეგი 1381 წელი (ისლამური კალენდრით), ახლა ერთად რომ ვეგებებით, შენების წელი იქნება. ეს იქნება წელი, რომელიც ავღანეთში უსაფრთხო და მშვიდობიან ცხოვრებას დაუდებს სათავეს. ჩვენ მედგრად უნდა ჩავეჭიდოთ მშვიდობას და ერთად განვაავითაროთ ჩვენი საზოგადოება! დღეს ჩვენ მთელი მსოფლიო გვეხმარება,

მაგრამ დადგება დღე, როცა ავღანეთი თავად გაუნვდის მსოფლიოს დახმარების ხელს! – ყვირის კარზაი. ბრბო გრგვინავს.

– ჩვენ? – ჩურჩულებს თავისთვის მანსური, – ჩვენ დავცხმარებით მსოფლიოს?

ეს აზრი მანსურს აბსურდულად ეჩვენება. რაც დაიბადა, ომის მეტი არაფერი ახსოვს. მისთვის ავღანეთი ის ქვეყანაა, რომელიც ყველაფერს სხვისი დახმარებით იღებს, საჭმლით დაწყებული, იარაღით დამთავრებული.

კარზაის შემდეგ სიტყვით ყოფილი პრეზიდენტი, დიდი წონისა და პატარა ძალაუფლების მქონე ბურჰანუდინ რაბანი გამოდის. თეოლოგმა და კაიროს უნივერსიტეტის პროფესორმა რაბანმა პარტია „ისლამის ჯამიათი“ შექმნა, რომელიც მუჯაჰედების ფრაქციას წარმოადგენს. მის პარტიაში იყო ცნობილი მებრძოლი აჰმად შაჰ მასუდიც, რომელიც საბჭოეთის, სამოქალაქო ომისა და თალიბთა წინააღმდეგ ბრძოლების ნამდვილი გმირი უნდა გამხდარიყო. მასუდი ღრმად მორწმუნე დასავლური ორიენტაციის მქონე ქარიზმატული ლიდერი იყო. ბრწყინვალედ ფლობდა ფრანგულ ენას და სურდა ავღანეთი თანამედროვე ქვეყნად ექცია. ის ამერიკული საბრძოლო კამპანიის დაწყებამდე ორი დღით ადრე ორი არაბი კამიკაძის ბომბებს შეეწირა. მასუდმა ხალხში თითქმის მითიური სახელი დაიმკვიდრა. კამიკაძეებმა, რომლებსაც ბელგიის პასპორტები ჰქონდათ, მასუდს შურნალისტებად წარუდგინეს თავი. მათი ბოლო ვითხვა ეს იყო: „კომუნდანტო, რას უპირებთ ოსამა ბინ ლადენს ავღანეთის სრულად დაკავების შემდეგ?“

აფეთქებამდე მასუდმა მხოლოდ ერთი გულიანად გადახარხარება მოასწრო. თვით პუშტუნებიც კი ფანჯშირის ლომის – ტაჯიკი მასუდის სურათს ატარებენ მკერდით.

რაბანი თავის გამოსვლას მასუდს უძღვნის და მოკლედ საბჭოეთის წინააღმდეგ წარმოებულ „წმინდა ომსაც“ ეხება. – კომუნისტები

ჩვენი ქვეყნიდან გავაძევეთ! ასევე გავაძევებთ დანარჩენებსაც, ვინც ავღანეთის სინშინდის წართმევას განიზრახავს! – ყვირის ის.

– ჭიჭადი რომ არ ყოფილიყო, მთელი მსოფლიო კვლავ კომუნისტების მარნუხებში იქნებოდა ბერლინის კედლის დანგრევაში ჩვენი უდიდესი წვლილიცაა – ჩვენმა ბრძოლებმა ბევრი დაჩაგრული ერი შთააგონა. სწორედ ჩვენ დავყავით საბჭოთა კავშირი თხუთმეტ ნაწილად და ხალხი კომუნისტების ძალმომრეობისაგან ვიხსენით! ჭიჭადმა მთელი მსოფლიოს გათავისუფლებას შეუნყო ხელი! კომუნისტების დასასრული აქ, ჩვენს ქვეყანაში დაიწყო და სწორედ ჩვენ ვიხსენით სამყარო მათგან!

მანსური ფოტოაპარატს აჩხაკუნებს. ცდილობს ტრიბუნაზე გამოსულთა ახლო კადრები გადაიღოს. ყველაზე მეტ სურათს სუსტი აღნაგობის კარზაის უღებს. უნდა, ქაბულში რომ დაბრუნდებოდა, მამას უჩვენოს.

ტრიბუნასთან მდგომი დელეგატები ერთიმეორის მიყოლებით გამოდიან სიტყვით, შიგადაშიგ ხალხთან ერთადაც ლოცულობენ. ერთ-ერთი მოლა ალაჰის სამადლობელ ლოცვას აღავლენს, მის შემდეგ კი განათლების მინისტრი ლაპარაკობს და აღნიშნავს, რომ ავღანეთი უნდა გახდეს ქვეყანა, სადაც იარაღის ტრიალს ინტერნეტი ჩაანაცვლებს.

– კომპიუტერები საბრძოლო იარაღის ნაცვლად! – ყვირის ის და დასძენს, რომ გარდა ამისა, უნდა შეწყდეს ხალხის ეთნიკურ ჯგუფებად დაყოფა.

– შეხედეთ ამერიკას, – აგრძელებს მინისტრი, – იქ ყველა უპრობლემოდ ცხოვრობს ერთმანეთის გვერდით, ყველანი უბრალოდ ამერიკელები არიან!

პოლიციელები კვლავ აქტიურად იქნევენ მათრახებს, მაგრამ ეს ნაკლებად აშინებს ბრბოს, რომელიც სულ უფრო და უფრო წინ, მეჩეთის შუაგულისკენ მიიწევს. ირგვლივ ისეთი ყიჟინა და შეძახილია,

გამომსვლელთა სიტყვები წესიერად არც კი ისმის. ეს ყოველივე რელიგიურ ცერემონიას ნაკლებად ჰგავს. ვიბეებსა და ახლომდებარე შენობებზე შეიარაღებული პირები კვლავ დგანან. მეჩეთის სახურავზე კი რამდენიმე ათეული შეიარაღებული ამერიკელი ჯარისკაცი განლაგებულია. ყველა მათგანს მუქი მზის სათვალე უკეთია. ისინი თავიანთ ფერმკრთალ ელჩს იცავენ, რომელიც დელეგაციას ახლავს თან. რამდენიმე ჯარისკაცი ელჩის გარშემოც ჩამწკრივებულია. ბევრ ავღანელს ძალიან არ მოსწონს, რომ მათი მეჩეთის სახურავს ურწმუნოები ქელავენ. მეჩეთშიც იშვიათად უშვებენ სხვა რელიგიის წარმომადგენელს. დაცვა გულდასმით აკონტროლებს შესასვლელს, მაგრამ თალიბანის დაცემის ამ პირველ გაზაფხულს ქალაქში არცთუ ბევრია ევროპელი ტურისტი, მხოლოდ რამდენიმე ჰუმანიტარული ორგანიზაციის წარმომადგენელს თუ წააწყდება კაცი.

ტრიბუნაზე ქალაქში არსებულ სამხედრო დაჯგუფებათა ლიდერებისთვის – ათა მუჰამედისა და გენერალ აბდულ რაშიდ დოსტუმისთვისაც მიუჩენიათ საპატიო ადგილი. ქალაქს ძირითადად ტაჯიკი ათა მუჰამედი მართავს, უზბეკი დოსტუმი კი დარწმუნებულია, რომ მართვის სადავეები სწორედ მას უნდა ეპყრას ხელთ. ახლა ეს ორი მოქიშპე გვერდიგვერდ დგას და გამომსვლელთა სიტყვებს მდუმარედ ისმენს. ათა მუჰამედი თავისი გრძელი წვერით თალიბს ჩამოჰგავს, ჭმუხი აღნაგობის დოსტუმი კი პენსიაზე გასულ ძველ მოკრივეს მოაგონებს ვაცს. თალიბთა წინააღმდეგ წარმოებულ ბოლო ბრძოლაში ორივე ლიდერი იძულებული გახდა, ერთმანეთთან ეთანამშრომლა, მაგრამ მათ შორის არსებულ ცივ ომს ვერც ამან მოუღო ბოლო. დოსტუმი, რომლის შესახებაც ხალხში უამრავი ჭორი დადის, მთავრობის შემადგენლობაში იმ მიზეზით მიიღეს, ჯანყი რომ არ მოეწყო. ამ კაცზე, რომელიც ახლა მეჩეთში გულხელდაკრეფილი დგას და სარკმლიდან შემომავალ მზის სხივებს ეფიცხება, ავღანეთში საშინელ ისტორიებს ყვებიან. ამბობენ, რომ კანონის დარღვევისთვის ბევრი ჯა-

რისკაცი მიუბამს ტანკზე და იმდენ ხანს უთრევია, სანამ მათი სხეულიდან სისხლიანი ნაფლეთები არ დარჩა. ერთხელ თურმე ათასობით თალიბი ჯარისკაცი უდაბნოში გაუყვანია და კონტეინერებში გამოუკეტავს. თავარა მზგზე კონტეინერებში გამომწყვდეულ ჯარისკაცები საშინელი სიკვდილით დახოცილან.

დოსტუმს მოლალატის სახელიც აქვს. მას ბევრი მმართველი გაუცურებია. ერთი ხანობა საბჭოელების მხარესაც იბრძოდა; სარწმუნოებას არაფრად აგდებდა და არც არყის სმაზე ამბობდა უარს. ახლა კი თავმოდრეკილი დგას, ალაჰს აღიდებს და მშვიდობას ქადაგებს: „1381 წელს აღარავის აქვს იარაღით ვაჭრობის უფლება, რათა ახალი ბრძოლები და კონფლიქტები ავირიდოთ თავიდან! ეს ის წელია, როცა დარიგების ნაცვლად, იარაღი უნდა დავყაროთ!“

მანსური იცინის. ყველამ იცის, რომ დოსტუმი უვიცი და გაუნათლებელი ადამიანია. თავისი სიტყვაც ფურცელზე დაუნწერია და იმასაც პირველკლასელივით გაჭირვებით კითხულობს. შიგადაშიგ ყოვნდება კიდევ, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ კიდევ უფრო ომახიანად აგრძელებს კითხვას.

მოლა, რომელიც სულ ბოლოს გამოდის, ხალხს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებს. დღეს ავღანეთში იმ ყველაფერის წინააღმდეგ, რაც არ მოსწონთ, ბრძოლაა გამოცხადებული. შესაბამისად, ყოველ გამომსვლელს საკუთარი არგუმენტები აქვს.

– ისლამი ერთადერთი რელიგიაა, რომლის წმინდა წიგნშიც აღნიშნულია, რომ ტერორიზმი უნდა დავამარცხოთ! – აგრძელებს მოლა, – ტერორისტებს თავიანთი ბინძური სახეები ავღანეთისკენ მოუქცევიათ და ჩვენი მიზანი მათი გაძევებაა. ასეთი რამ არც ერთ სხვა წმინდა წიგნში არ არის ნახსენები. ღმერთმა უთხრა მუჰამედს: „შენ იმ მეჩეთში არ უნდა ილოცო, რომელიც მოძალადეებმა ააგეს“. ნაღდი მუსლიმი არასოდეს გახდება ტერორისტი, რადგან ისლამი ყველაზე

ტოლერანტული რელიგია. ებრაელები, რომლებსაც ჰიტლერი დაუნდობლად ხოცავდა, მუსლიმურ ქვეყნებში უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს. ტერორისტები ცრუ მუსლიმები არიან!

საათობით განვლილი გამოსვლების დასრულების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, დროშის აწევის დროც დგება. ხუთი წელია, რაც ალის დროშა, რომელსაც ჯანდას ეძახიან, არ აღმართულა. დოლის რიტმებისა და ხალხის შეძახილების ფონზე კარზაი რელიგიურ დროშას აღმართავს. მან ორმოცი დღის განმავლობაში უნდა იფრიალოს. ჰაერში სროლის ხმა ისმის, მომლოდინე ბრბოს დაცვა გზას უხსნის და წმინდა ადგილისკენ უშვებს. მანამდე გარეთ მდგომი ათი ათასობით ადამიანი მეჩეთს აწყდება, ყველა ცდილობს ალის საფლავსა და დროშას ეამბოროს.

მანსურს უკვე სურვილი აქვს, თავი დააღწიოს ბრბოს ყაყანს და საყიდლებზე წავიდეს. ალი ცოტა ხანს მოიცდის. თავიდანვე ჩაიფიქრა, ოჯახის ყველა წევრისთვის საჩუქარი ეყიდა. შვილის ასეთი საქციელით მამასაც გული მოუღებება და მომავალში ბიჭის სურვილებს უფრო მეტად გაითვალისწინებს.

თავდაპირველად ლოცვის დროს დასაგებ პატარა ფარდაგებს, თავსაფრებსა და კრიალოსნებს ყიდულობს, მერე – შაქარყინულს, ჩაიზე მისაყოლებლად. იცის, ბებიაშის ბიბი გიული ყველა ცოდვას მიუტევებს, მაზარში დამზადებულ უგემრიელეს შაქარყინულს რომ მიართმევს. არც მამიდები ავინწყდება. მათთვის ვაბებსა და სამკაულს ყიდულობს, ძმებისა და ბიძებისთვის კი – მზის სათვალევებს. მათი შოვნა ქაბულში არც ისე ადვილია. საჩუქრებს უზარმაზარ, ვარდისფერ ცელოფანის პარკში ათავსებს, რომელსაც დიდი ასოებით აწერია: „Pleasure – Special Light Cigarettes“ და კვლავ ხალიფა ალის საფლავისკენ მიიქარის. საახალწლო საჩუქრებს ხომ კურთხევა სჭირდება.

მანსური მღვიმეში შედის და ალის საფლავის გვერდით, ყვითელ კედელთან ჩამწკრივებულ მოლებს უახლოვდება.

საჩუქრებს მათ ფეხებთან სათითაოდ ალაგებს. მოლები ყურანის კითხვას იწყებენ... ლოცვის დასრულებისთანავე მანსური ყვითელ ვედელთან მიდის, რათა სურვილი ჩაიფიქროს. შუბლით ვედელს ეყრდნობა და ჩურჩულებს. ალის სთხოვს, მალე ისეთი დრო დადგეს, ჩემი ავღანელობით ვიამაყო. ჩემი ქვეყანა მთელმა მსოფლიომ დააფასოსო...

ამაზე უკეთეს სიტყვებს თვით ჰამიდ ვარზაიკ ვი ვერ წარმოთქვამდა!

შთაბეჭდილებებით გაბრუებულს განწმენდისა და პატიების სათხოვნელი ლოცვების თქმა ავიწყდება. არადა მისი მაზარში ჩამოსვლის მთავარი მიზეზი ხომ სწორედ ეს იყო. აღარც ის ახსოვს, იმ პატარა, ყავისფერთვალება, თავგანწილი მათხოვარი გოგოს წინაშე რომ შესცოდა და ზორბა ვაჭრის ძალადობისგან ვერ დაიცვა.

მანსური მღვიმიდან გამოდის და ახლა ალის დროშისკენ მიიჩქარის. აქაც ნივთების საკურთხებლად გამწესებული მოლები დგანან, მაგრამ ამჯერად საჩუქრების ცელოფნიდან ამოღების დრო აღარ არის, რადგან კურთხევის აღების მსურველთა რიცხვი ძალიან დიდია. მოლა ცელოფნის პარკს იღებს, დროშისკენ აღმართავს, ნაჩქარევად კითხულობს ლოცვას და პარკს ისევ მანსურს უბრუნებს. მადლიერი ბიჭი ქალაქის ფულით აჭილდოებს მას.

ერთი სული აქვს, როდის დაარიგებს საჩუქრებს. ყველაფერი უკვე წინასწარ წარმოიდგინა და სიამოვნებისგან იღიმის. იმის განცდაც არანაკლებ სიამოვნებას ანიჭებს, რომ მოახერხა და მამის კლანჭებს მცირე ხნით მაინც დაეხსნა.

მეჩეთიდან საიდასა და აკბართან ერთად გამოდის.

– ეს დღე ჩემს ცხოვრებაში საუკეთესოა! საუკეთესო! – ხმამაღლა წარმოთქვამს მანსური. მეგობრები გაკვირვებული შეჰყურებენ, თუმცაღა მისი ბედნიერებით აღსავსე გამომეტყველება მათაც უჩუყებს გულს, – ვგიჟდები მაზარზე! ვგიჟდები ალიზე! ვგიჟდები თავისუფლებებზე! ვგიჟდები თქვენზე! – ყვირის მანსური და ქუჩის მეორე მხარეს

გადარბის. ეს მისი პირველი დამოუკიდებელი მოგზაურობაა, თავისი ოჯახისა და ნათესავებისგან ასე შორსაც პირველად არის.

მეგობრებმა ბუზკაშების პაექრობის სანახავად წასვლა გადამწყვიტეს. მათაც გაგონილი აქვთ, რომ ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონებში ბუზკაშების ყველაზე სასტიკი და თავგანწირული პაექრობები იმართება. შორი მანძილიდანვე ამჩნევენ, რომ ბრძოლა უკვე დაწყებულია. მოედნიდან, სადაც ცხენებზე ამხედრებული ორასამდე მამაკაცი ხბოს მოსაპოვებლად ერთმანეთს ექიშვება, მტვრის ბული ამოდის. გაქაფული ცხენები ყალყზე დგებიან, იკბინებიან და წიხლებს ისვრიან, პირში მათრახგაჩრილი მხედრები კი ხბოს სხეულის მოპოვებას ცდილობენ. ცხოველის გვამი ხელიდან ხელში გადადის... ყველაზე მოხერხებულმა მისი მინდვრის ერთი ბოლოდან მეორეში გადატანა და სპეციალურად აღმართულ ბოძზე წამოგება უნდა შეძლოს. ზოგჯერ ეს პაექრობა ისეთი სასტიკია, რომ საცოდავი ცხოველისგან ნაგლეჯებიღა რჩება.

სანამ კაცი თამაშს თვალს შეაჩვენებს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ცხენები ეჭიბრებიან ერთიმეორეს, მხედრები კი მხოლოდ ბალანსის შენარჩუნებას ცდილობენ. მხედრებს ნაქარგი მოსასხამები და ქუსლიანი, განსაკუთრებულად მორთული მაღალი ჩექმები აცვიათ, რომლებიც მუხლს სცილდება. თავზე კი ცხვრის ტყავისგან შეკერილი, სქელი ბენჯით მორთული მცირე ზომის ბუზკაშის ქუდი ახურავთ.

– ვარზაი... და დოსტუმი! – ყვირის მოულოდნელად მანსური, რომელიც ველზე მოპაექრე ლიდერებს ამჩნევს, ცხენებზე ამხედრებული მეომარი და ტომის ბელადი ხბოს მოსაპოვებლად მართლაც შებმიან ერთიმეორეს. ძლიერი წინამძღოლის სახელის დასამკვიდრებლად ბუზკაშების ბრძოლაში მონაწილეობა და გაცხარებულ პაექრობაში გამარჯვება ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. თუმცაღა,

ამ ყველაფერის მოგვარება ფულის წყალობითაც შეიძლება. თანამდებობის პირები ხშირად იხდიან ქრთამს გამარჯვების მოსაპოვებლად.

კარზაი ბოლომდე ვერ ახერხებს მოჰაექრეთა ტემპის აყოლას და ცხენს მინდვრის განაპირას დააჭენებს. ტემპის სამხრეთელ ბელადს ცოტათი უჭირს თამაშის უხეში წესების დაცვა. ამ ბრძოლას სტეპებში დაედო სათავე. სწორედ ამის გამო, გამარჯვებული სტეპების დიდი ვაჟკაცი, გენერალი დოსტუმი ხდება. ანდა, შესაძლებელია, მასაც მოაგებინეს. ცხენზე ამაყი მხედართმთავარივით ამხედრებული დოსტუმი აპლოდისმენტებს იღებს.

ზოგჯერ ერთმანეთს ორი გუნდი ექიშპება, ხანაც კი ყველა თავის-თავის იბრძვის, ბუზკაში ცნობილია, როგორც მსოფლიოში სპორტის ყველაზე ველური სახეობა. ის ავღანეთში ჩინგიზ ხანის მეთაურობით მოთარეშე მონღოლებმა შეიტანეს და დაამკვიდრეს. ხშირად მაყურებელთა რიგებში მსხდომი თანამდებობის პირები გამარჯვებულის-თავის ფულად ჯილდოსაც აწესებენ. ჯილდო რამდენიმე მილიონი ავღანის კი შეიძლება იყოს. რაც უფრო მეტ თანხას ასახელებენ, მით უფრო დაუნდობელია ბრძოლა. ამ თამაშს უდიდესი პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ადგილობრივი მმართველი ან თავად უნდა იყოს მამაცი ბუზკაში მეომარი, ანდა ჯიშთან ცხენებსა და ძლიერ მეომრებს ფლობდეს. გამარჯვების მოპოვება ხალხში მისადმი პატივისცემას ზრდის.

ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, ავღანეთის მთავრობა დღემდე ცდილობს თამაშში გარკვეული წესების დამკვიდრებას. მონაწილეებიც მორჩილად უკრავენ თავს, თუმცა გაცხარებული თამაშისას წესები მაინც აღარავის ახსოვს. ტურნირები საბჭოთა პერიოდშიც იმართებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ქაოსი იყო და ბევრი მოთამაშე საბრძოლო მოქმედებების გამო ტურნირზე ვერ ჩადიოდა. თავად კომუნისტებმაც კი, რომლებიც ბევრი უძველესი ავ-

ღანური ტრადიციის მოსპობას შეეცადნენ, ბუზკაშების ბრძოლას ვერაფერი მოუხერხეს. პირიქით, ხალხის გულის მოსაგებად თავადაც აწყობდნენ ტურნირებს, რომლებსაც თვალს ტრიბუნაზე გამოჭიმული კომუნისტი დიქტატორები ადევნებდნენ. თუმცა, პაექრობებს თანდათანობით მაინც გამოეცალა საფუძველი: კოლექტივიზაციის შემდეგ თითქმის არც ერთ ავღანელს აღარ ჰქონდა თამაშისთვის სპეციალურად განვრთნილი ცხენების შენახვის საშუალება. პაექრობის ნაცვლად ამ ცხენებს სოფლის მეურნეობაში იყენებდნენ. შესაბამისად, მხედრების რიცხვიც შემცირდა.

თალიბანის რეჟიმმა ბუზკაშების პაექრობა საერთოდ აკრძალა, რადგან, მათი აზრით, თამაშის წესები ისლამის კანონებს ეწინააღმდეგებოდა. ასე რომ, ხუთწლიანი პაუზის შემდეგ იმ დღეს მაზარში პირველად გაიმართა ბუზკაშების ბრძოლა.

მანსური სულ წინა რიგში გამოჭიმულა. ზოგჯერ ცხენი ისე ახლოს ჩაუქროლებს, იძულებულია, უკან დაიხიოს. ნაჩქარევად უღებს სურათებს ყალყზე შემდგარ ულაყებს, ამტვერებულ საბრძოლო ველს და ხბოს გვამს. ცდილობს, კარზაი და დოსტუმიც მოახვედროს კადრში. ბოლოს თავადაც იღებს სურათს ერთ-ერთი ბუზკაში მებრძოლის გვერდით.

თანდათანობით ბინდდება და გაქედილ მინდორს მზის ალისფერი სხივები ეფინება. დაღლილ-დაქანცული და დამტვერილი პილიგრიმები სავახშმოდ მიდიან. სასადილოში შესულები სიფრიფანა ლეიბზე ერთმანეთის პირისპირ სხდებიან და მღუმარედ შეექცევიან საჭმელს: წვნიანს, ბრინჯს, ცხვრის ხორცსა და მწვანე ხახვს. მანსური ნაჩქარევად ილუკმება და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთ ულუფას ითხოვს.

მათ მახლობლად რამდენიმე მამაკაცი წრეში დამსხდარა და ერთმანეთს ხელის გადაწევაში ეჯიბრება. ბიჭები თავის დაკვრით აძლევენ სალამს. ჩაის შემოტანის შემდეგ კი მათთან საუბარსაც იწყებენ.

– ქაბულიდან ხართ? – კითხულობენ უცნობები.

მანსური თანხმობის ნიშნად თავს უკრავს.

– პილიგრიმები ბრძანდებით? – კითხვას უბრუნებს ბიჭი. – ფაქტობრივად, არა... – პასუხობს მოხუცი, უკბილო მამაკაცი, – ჩვენ მწყერები მოგვყავს... ჰერათიდან. მოვდივართ, ყანდაარში ვიყავით, ქაბულში და ახლა აქ ამოვედით. აქ მწყერების საუკეთესო პაექრობები იმართება.

მოხუცი ჯიბიდან მცირე ზომის ნაჭრის ჩანთას იღებს იქიდან გაფხორილი პატარა მწყერი ამოჰყავს.

– აი, ამან თითქმის ყველა ბრძოლა მოიგო და უამრავი ფულიც მოგვიტანა. რამდენიმე ათასი დოლარი ღირს! – ტრაბახით ამბობს იგი და გაუხეშებული, მოხრილი თითებით ფრინველს ნამცეცებს უყრის. მოხუცის მუჭაში მოკალათებული ჩიტი ცოცხლდება და ფრთებს იქნევს.

ხუთი წლის განმავლობაში მოყვარულები თალიბების მიერ აკრძალულ ჩიტების პაექრობას საიდუმლოდ მართავდნენ. ახლა კი უპრობლემოდ შეუძლიათ ამ ვნების დაცხრომა.

– დილით ადრე, ასე შვიდისთვის მოდით. შეჯიბრი სწორედ მაგ დროს იწყება, – ამბობს მოხუცი. ნასვლისას კი მანსურს მუჭაში ჰაშიშს უტენის და ამატებს: – საუკეთესოა, ჰერათიდან.

მოხუცის საჩუქარს მეგობრები სასტუმროში აგემოვნებენ კარგა ხნის ლაზღანდარობისა და სიცილის შემდეგ სამივეს მკვდარივით ეძინება.

დილაუთენია მანსურს ისევ მოლას ხმამაღალი შეძახილი აღვიძებს. მეჩეთში სალოცავად ემზადებიან, მანსურს გულმა სალოცავად გაუწია. თანაც იცის, რომ პარასკევს დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლოცვა. უცებ გაახსენდა, რომ თავისი შალვარ-კამეზი ქაბულში დარჩა, თანამედროვე ტანსაცმლით ლოცვაზე დასწრება კი არ შეიძლება. მანსური შემფოთებულია. ყველა მაღაზია დაკეტილია და სალოცავი ტანისამოსის ყიდვას ვერ შეძლებს.

– ალაჰისთვის რა მნიშვნელობა აქვს, რა გაცვია! – მოქნარებით ეუბნება აკბარი, რომელსაც ერთი სული აქვს, თავიდან მოიშოროს ბიჭი.

– ვერც დაბანას ვახერხებ... სასტუმროში წყალი გადაკეტეს... – აგრძელებს წუწუნს მანსური. სახლში რომ იყოს, გაცოფებული ახლა ლეილაზე იყრიდა ჯავრს, მაგრამ აკბართან წუწუნი არ გაუვა. აკბარს თანდათან მოთმინება ელევა და მანსურს კარისაკენ უთითებს.

– წყალი! მუსლიმმა თუ სახე, ხელები და ფეხები არ დაიბანა, ვერ ილოცვებს... – კვლავ ჩივის მანსური, – უკვე ველარც ვასწრებ.

– მეჩეთთან მოდის წყალი, – ამშვიდებს აკბარი და თვალებს ხუჭავს.

მანსური გარეთ გარბის. უყურადღებობის გამო საკუთარ თავს ლანძღავს და თან ლოცვაზე მიიჩქარის. მეჩეთის შესასვლელთან ინვალიდი მათხოვარი ზის. დასიებული და წყლულებისგან ფერშეცვლილი ფეხი საცოდავად გაუშვერია წინ. მანსური მათხოვარს ელვის სისწრაფით სტაცებს თავზე ჩამოფხატულ ქუდს.

– მალევე დაგიბრუნებ! – ეუბნება ნაჩქარევად და ღია ნაცრისფერ, ოფლისგან გაყვითლებულ ქუდს თავზე ირგებს. შესასვლელთან ფეხსაცმელს იხდის და საგულდაგულოდ გაპრიალებულ ცივ მარმარილოს ფილებზე ფეხშიშველი მიაბიჯებს. ხელ-ფეხის განბანის შემდეგ მექასკენ სახემიქცეულ მლოცველთა რიგებს უერთდება. მაინც ხომ მოასწრო! მეჩეთის იატაკზე ათასობით პილიგრიმს მოუდრევია თავი. მანსური სულ ბოლო რიგში იჩოქებს და გულისყურით ისმენს ლოცვებს, თანდათანობით შუა რიგისკენ ინაცვლებს. მართალია, თანამედროვე ტანსაცმელი მხოლოდ მას აცვია, მაგრამ სხვა ყველაფერს დანარჩენი მორწმუნეების მსგავსად აკეთებს, მეჩეთის იატაკს თხუთმეტჯერ ურტყამს შუბლს და საცნობ ლოცვებს მოლასთან ერთად იმეორებს. გულისყურით ისმენ რაბანის სიტყვას, რომელიც ისეთივეა, როგორიც გუშინ, მეჩეთს გარს მაღალი ღობე აკრავს. ღობის იქით

უიმედო ავადმყოფები სხედან. ყოველ მათგანს ჩაცვითლებული მომჩვარული კანი აქვს. განკურნების იმედით ისინიც გულისყურით ისმენენ ლოცვებს და ალის ჯანმრთელობის დაბრუნებას შესთხოვენ. მათ შორის რამდენიმე სულით ავადმყოფიცაა. ერთი ათიოდე წლის ბიჭუნა უმისამართოდ იქნევს ხელებს და ტაშს უკრავს, უფროსი ძმა კი მის დამშვიდებას ცდილობს. სნეულთა უმეტესობა მდუმარედ ზის და ღობის გისოსებიდან საცოდავად იცქირება. ამდენი ავადმყოფი ერთად მანსურს ადრე არასოდეს უნახავს. ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს ჰაერში სნეულებისა და სიკვდილის სუნი დგას. ყველაზე სასოწარკვეთილებს ალის საფლავთან ახლოს, მოზაიკით მოპირკეთებულ კედელთან ჯდომის პატივი რგებიან, რაც უფრო ახლოს დასხდებიან ალის განსასვენებელთან, მით უფრო ახლოსაა განკურნებაც!

„სულ რაღაც ორ კვირაში არც ერთი მათგანი აღარ იქნება ცოცხალი!“ – ფიქრობს მანსური და სნეულებს ათვალეფრებს. მისი მზერა ერთ-ერთი მათგანის გადმოკარკლულ, ნახშირივით შავ თვალებს აწყდება. ვაცს სახეზე წითელი, ღრმა ჭრილობები აქვს. გაძვალტყავებულ ხელ-ფეხზე ქავილისგან დასისხლიანებული წყლულები მოუჩანს. უცნაური მის გარეგნობაში თხელი, ღია ვარდისფერი, ლამაზი ტუჩებია. ასეთ ტუჩებს გაზაფხულზე გაფურჩქნილი ატმის ყვავილის ფურცელს ადარებენ ხოლმე.

მანსურს ჟრუანტელი უვლის და სხვა მხარეს ბრუნდება. ახლა სნეული ქალები და ბავშვები ხვდება თვალში. ლურჯ ბურკვებში გახვეულ დედაკაცებს ბავშვები კალთაში ჩაუსვამთ. ერთ-ერთი მონღოლოიდური გარეგნობის ბავშვი რაღაცას უყვება დედას, რომელსაც ჩასძინებია და ქანდაკებასავით გაშეშებულია. ვინ იცის, ამ ქალმა, ფეხშიშველამ, ხელში ატატებული პატარა სნეული შვილით, რამდენი დღე იარა იმისთვის, რომ ახალი წლის ღამეს ალის საფლავთან მოსულიყო და ელოცა, რათა ღმერთს ის სასწაული მოეხდინა, რაც ექიმებმა ვერ მოახდინეს.

სხვა ბავშვი, იქვე მოშორებით რომ ზის, თავს ნერვიულად ურტყამს საკუთარ ხელებს. ქალების უმეტესობას უცნაური, გულგრილი გამომეტყველება აქვს. ბევრი მათგანი ხეიბარია ან უსინათლო... ყოველი მათგანი კი – ბავშვიანიც და უბავშვოც – ალის მიერ მოვლენილ სასწაულს ელის.

მანსურს ისევ აჟრჟოლებს. უცნაური განცდა იპყრობს და ახალ ადამიანად ქცევის სურვილი უჩნდება. ის ძალიან კარგი ადამიანი და მორჩილი მუსლიმი იქნება. ყოველთვის მიაგებს პატივს ლოცვის ჟამებს, მოწყალებას გასცემს, იმარხულებს, მეჩეთში ივლის, ქორწინებამდე არასოდეს შეხედავს ქალს, წვერს მოუშვებს და მექასაც მოილოცავს.

აღთქმის დადების დასრულებისთანავე მეჩეთში ლოცვა სრულდება და მოულოდნელად წვიმა იწყება – შხაპუნა მზიანი წვიმა. წვიმის წვრილი წვეთები მზის სხივებზე უცნაურად ბრჭყვიალებს. მანსური სხარტად დგება, ჯერ თავის ფეხსაცმელს პოულობს, მერე კი სწეულ მათხოვარს ქუდს უბრუნებს და რამდენიმე ქაღალდის ფულითაც ასაჩუქრებს. ამის შემდეგ ქუჩაში გარბის და ყვირის: „ღმერთმა დამლოცა! მომიტევა! მე განვიწმინდე!“

„წყალმა უწმინდურს უთხრა, აქ მოდიო.

უწმინდურმა მიუგო, ძალიან მრცხვენიაო.

წყალმა უპასუხა, ცოდვებს უჩემოდ ვერ ჩამოიბანო...

მტვრის სუნი

შიშველ სხეულებს, რომლებზეც სწრაფი, მოქნილი ხელები რიტმულად დასრიალებენ, ოხშივარი ასდის, სახურავის ორი მცირე სარკმლიდან შემოჭრილი მზის სხივები ფერწერულ ტილოც ამსგავსებს შიშველ ძუძუებს, უკანალებსა და ხორციან ბარძაყებს. სანამ ადამიანი ამ მაგიურ განათებას შეაჩვევს თვალს, ოფლში გახვითქული სხეულების გარდა ვერაფერს ხედავს.

ქალები ორ მოზრდილ ჰოლში განაწილებულან. ზოგი ფეხზე დგას, ზოგი კი ზის და გულდასმით იზელს ვანს. დროდადრო სხვებსაც ეხმარებიან. უმეტესობა რუბენის ქალებივით ფერხორციანია, შიგადაშიგ კი ზედმეტად გამხდრებიც გამორეულან.

ყოველ მათგანს შინ დამზადებული ქისა უჭირავს და გულდასმით იზელს ზურგს, მკლავებს, ფეხებს. ქუსლებს სპეციალური ქვით იხეხავენ. დედები თავიანთ გასათხოვრად შეღწერებულ ქალიშვილებს ხეხავენ და ზედმინწვნიტ სწავლობენ მათი სხეულის თითოეულ ნაკვთს სულ ცოტა ხანში ეს ნორჩი, მკვრდაკოკრილი გოგონები მეძუძურ ქალებად უნდა იქცნენ. რამდენიმე მათგანს კი ადრეულ ასაკში მშობია-

რობის გამო მომჩვარული, დაბოლილი მუცელი მოუჩანს. ეს პრობლემა თითქმის ყველა ავღანელ ქალს აქვს, რადგან პატარები თხოვდებიან და ბევრ შვილს აჩენენ.

დედების ხელებში მომწყვდეული პატარები სხმარტალებენ, ხმა-მაღლა ყვირიან და სრუტუნებენ. უკვე დაბანილები წყლის ჭურჭლით თამაშობენ. ისინი კი, ჯერ რომ ვერ გათავისუფლებულან დედის „მარწუხებისგან“, ბადეში მომწყვდეული თევზებივით ფრთხილებენ. არავინ დარდობს იმაზე, რომ პატარებს თვალები საპნით ეწვებათ. ქალები პატარა, მუქკანიან სხეულებს მანამ ზელებ, სანამ კანი ღია ვარდისფრად არ შეეფერებათ. ბანაობის პროცესი ბავშვებისთვის ერთგვარი ჭიდილია დედების წინააღმდეგ, რომელშიც ყოველთვის უფროსები იმარჯვებენ.

ლეილასაც მოუმარჯვებია ქისა და კანში ჩამჭდარ ჭუჭყს ებრძვის რამდენიმე კვირას, წესიერად არ უბანავია, ჰამამში კი, თვეები იქნება, არ ყოფილა. სახლში წყალი იშვიათად მოდის, თანაც ლეილას მიაჩნია, რომ ხშირად ბანაობა უაზრობაა, რადგან მაინც მაშინვე ჭუჭყიანდება.

ჰამამში დღეს დედასთან და ბიძაშვილებთან ერთადაა წამოსული. ლეილასავით გასათხოვრები მორცხვობენ და საცვლების გახდას ვერ ბედავენ. ამ ადგილებს არც ქისა ეხება, თუმცა ბეჭებს, ბარძაყებს, ხელ-ფეხსა და კისერს კი გამეტებით იზელებ. გაქათვლებს სახე და სხეული წყლის წვეთებთან შერეული ოფლით ენამებათ.

ლეილას დედა, სამოცდაათი წლის ბიბი გიული აუზში ჩამჭდარა. გრძელი, ჭალარა თმა, რომელიც სხვა დროს ყოველთვის შეკრული და დაფარული აქვს, მხრებზე ჩამოშლია. ასე მხოლოდ ჰამამში ყოფნისას შეიძლება. ქალი მეტისმეტი სიამოვნებისგან თვალეზინაბული ზის წყალში და ნეტარებას მისცემია. შიგადაშიგ უხეშ ნაჭერს ზანტად ისვამს კანზე, მაგრამ მალე ამითაც იღლება... მსუქანი სხეულის დაბანა უჭირს და მკლავები ტყვიასავით უმძიმდება. ფუმფულა მუცელზე

დაფენილი დიდი ძუძუებით ბურანში მყოფი თმაჭალარა ქალი უზარმაზარ, ნაცრისფერ ქანდაკებას ჩამოჰგავს.

ბიძაშვილებთან ჭორაობაში გართული ლეილა შიგადაშიგ გახედავს ხოლმე დედას, რათა დარწმუნდეს, რომ არაფერი უჭირს. სინორჩიდან ქალობაში გარდამავალ ცხრამეტი წლის ლეილას, თავისი ჩამრგვალეული ოჯახის წევრებისგან განსხვავებით, ჯერ კიდევ შერჩენია ბავშვური აღნაგობა. დიდი რაოდენობის ქონი და ზეთი, ხანის ოჯახში რომ მოიხმარენ, ოჯახის თითქმის ყველა წევრის ფიგურაზე ნათლად ასახულა. ამ ოჯახში ძალიან უყვართ ბლომად ზეთში შემწვარი ბლინები, შებრანული, ცხიმით გაჟღენთილი კარტოფილი და სუნელებიანი ზეთის სოუსით მომზადებული ქონიანი ცხვრის ხორცი.

ლეილას ფერმკრთალი, სუფთა, ახალშობილივით ფაფუკი კანი აქვს. სახლში გამომწყვდეულ, გამუდმებით მოფუსფუსე გოგონას უფერულ, მონაცრისფრო კანს მზის სხივი იშვიათად ხვდება. ხელები მოხუცი ქალივით დასკდომია და გაუხეშებია, ერთი ხანობა ლეილა ძალიან სუსტად გრძნობდა თავს და, როგორც იქნა, ექიმთანაც წაიყვანეს. ექიმმა მისი სისუსტე მზისა და ვიტამინების ნაკლებობას დააბრალა.

ამის საპირისპიროდ, ნამდვილი პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ქაბული მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზიანი ქალაქია. ზღვის დონიდან 1800 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ქალაქში მზე თითქმის მთელი წლის განმავლობაში აცხუნებს. გვალვისგან მიწაა დამსკდარი, ბაღები, ერთ დროს მწვანედ რომ ბიბინებდა, სრულიად განადგურებულია. მთელი დღის განმავლობაში მზის გულზე მოთამაშე პატარებს კანი შავად ულაპლაპებთ. მაგრამ ლეილა ვერასოდეს ხედავს მზეს. მიკრორაიონის პირველი სართულის ბინაში და გოგონას სქელი ბურკის მიღმა მზის სუსტი სხივიც კი ვერ აღწევს. როცა უფროს დას, მარიამს სტუმრობს, მხოლოდ მაშინ თუ გავა ხოლმე პანანინა ეზოში და მზეს ეფიცხება. მაგრამ დასთან არც ისე ხშირად მიდის.

ხანის ოჯახში ლეილა ყველაზე ადრე დგება და ყველაზე გვიან წვება. გამთენიისას ღუმელში ცეცხლს სწორედ ის ანთებს, მაშინ, როცა ოჯახის სხვა წევრებს ჯერ კიდევ სძინავთ და სახლში ფშვინვის ხმა ისმის. ამის შემდეგ, სადილის გასაკეთებლად, თეფშებისა და სარეცხის დასარეცხად უნდა აადულოს წყალი და ცარიელი ჭურჭელი კვლავ წყლით აავსოს რაც ხელში ხვდება, ყველაფერს ავსებს, თან ფაციფუცობს, რადგან წყალი ყოველ წუთას შეიძლება დაწყდეს. ამ დროს გარეთ ჯერ კიდევ ბნელა. შუქი არც სახლშია, მაგრამ ლეილა უკვე მიჩვეულია სიბნელეში ფუსფუსს. ხანდახან პანანინა სანათურსაც დაარბენინებს აქეთ-იქით. ვაცების ადგომამდე წყლის ადუღება და ჩაის დაყენება უნდა მოასწროს.

თოთხმეტი წლის ეგბალი ყოველ დილით დაჭრილი ღორივით ჭყვიტინებს მისი გამყივანი ხმა ძვალსა და რბილში აღწევს. ბიჭი ლეილაზე მოიკუნტება ხოლმე და ადგომაზე სასტიკ უარს აცხადებს. ყოველდღე ახალ-ახალ ავადმყოფობას იგონებს, რათა თავი აარიდოს თორმეტ საათს მაღაზიაში დგომასა და მუშაობას, მაგრამ ჭირვეულობა არასოდეს გასდის. ბოლოს მაინც დგება, მაგრამ მეორე დღეს იგივე მეორდება.

– ჩერჩეთო! უქნარა! წინდა რატომ არ გამიკვრე?! – უყვირის ეგბალი ლეილას და წინდება ესვრის. თითქოს ამ საქციელით სურს, თავისზე სუსტზე იძიოს შურიო.

– ლეილა, წყალი გაცივდა! ცხელი წყალი აღარ არის! ჩემი ტანსაცმელი სად არის? სად არის ჩემი წინდები? ჩაი მომიტანე! საუზმე! ფეხსაცმელი გამიპრიალე! ასე გვიან რატომ ადექი? ოთახებში, დერეფანსა და სააბაზანოში კარებების ჯახუნისა და კედლებზე კაკუნის ხმები ისმის. თითქოს ომი იყოს სახლში... სულთნის ვაჟები გამუდმებით ჩხუბობენ, წუნუნებენ და ტირიან. თავად სულთანი კი სონიასთან ერთად მშვიდად ზის და საუზმობს. სონიას მხოლოდ ქმრის მოვლა ევალება, სხვა ყველაფერს ლეილა აკეთებს. ის ამზადებს ტანისამოსს, ჩაის ასხამს, კვერცხს წვავს, პური მოაქვს და ფეხსაცმელებს

ანესრიგებს. ოჯახის ხუთივე მამაკაცი სამუშაოდ უნდა წავიდეს და ყველა მათგანის მომსახურება ლეილას აკისრია.

თავისი სამი ძმიშვილის მანსურის, ეგბალისა და აიმალის მოვლა გოგონას დიდად არ ეპიტნავება. არც მადლობას ეუბნებიან და არც ხელს აშველებს ვინმე. მასზე რამდენიმე წლით უმცროსი ბიჭები უსინდისოდ გასცემენ განკარგულებებს... „გაუზრდელი ლაწირაკები!“ – თავისთვის ბურტყუნებს ლეილა.

– რძე არ გვაქვს? ხომ გითხარი, იყიდე-მეთქი? – უყვირის მანსური და გესლიანად ამატებს: – ნამდვილი არარაობა ხარ!

თუ გოგონა შეეპასუხა, მანსურს გულისმომკვლელი პასუხი უკვე მზად აქვს:

– მოკვტე, დედაკაცო! ეს სახლი შენი ხომ არ გგონია?! ეს ჩემი სახლია! – ეუბნება ბიჭი უხეშად და მუცელში ან ბეჭებში მუშტსაც უთავაზებს ხოლმე.

ლეილა მშვენივრად ხვდება, რომ ეს მისი სახლი არ არის. ეს სახლი სულთანს, მის მეორე ცოლსა და ვაჟიშვილებს ეკუთვნის, ლეილა, ბულბულა, ბიბი გიული და იუნუსი ოჯახში არც თუ ისე სასურველი წევრები არიან. თუმცა, საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა ნამდვილად არ არის სახარბიელო ალტერნატივა, რადგან ოჯახის დაშლა სკანდალის ტოლფასი იქნება. გარდა ამისა, ისინი მორჩილი მოსამსახურეები არიან, რომელთა შორის ყველაზე დაჩაგრული ლეილაა.

როცა სულთანი და მისი ვაჟები სახლიდან გადიან და დილის ქაოსიც ასე თუ ისე ცხრება, ლეილას მშვიდად ამოსუნთქვისა და საუბმობის საშუალებაც ეძლევა. მცირე შესვენების შემდეგ სახლი უნდა დააღაგოს. გოგონა ოთახიდან ოთახში წელში მოხრილი დადის და ჩალის ცოცხით მტვრიან იატაკს გვის... ყოველდღე ასე მეორდება. ოთახებში ბული დგება, მტვრის ნაწილაკები ჰაერში დაფარფატებს და კვლავ სქელ ფენად ედება იატაკს. ლეილას მცდელობის მიუხედა-

ვად, ბინაში მაინც გამუდმებით მტვრის სუნი დგას. გოგონას თითოეული მოძრაობა, სხეულის თითოეული ნაკვთი, მისი ფიქრები – ყველაფერი მტვრითაა დაბურული. მტვერთან ერთად პურის ნამცეცებს, ქალაღდის ნაგლეჯებსა და სხვა ნაგავსაც მიეხვეტება ოთახიდან. ეს პროცესი დღეში რამდენჯერმე მეორდება. იმის გამო, რომ ყველანაირი საქმიანობა იატაკზე წარმოებს, სახლში უამრავი ჭუჭყი გროვდება.

ახლა ჰამამში მყოფი ლეილაც სწორედ ამ ჭუჭყის ჩამობანას ლაშობს. სწორედ ეს არის ის მტვერი, მთელი მისი ცხოვრება რომ დაუფარავს...

– რა კარგი იქნებოდა, ისეთი სახლი მქონოდა, რომელსაც დღეში მხოლოდ ერთხელ დავალაგებდი და მეორე დილამდე თავისუფალი ვიქნებოდი! – შესჩივის ლეილა ბიძაშვილ გოგონებს. ისინი თავს უქნევენ. გოგონები თითქმის ერთი ასაკისანი არიან და თავიანთ ოჯახებში ისინიც ლეილას ბედს იზიარებენ. ლეილას ჰამამში საცვლებიც წამოუღია გასარეცხად. სახლში სარეცხს ერთი ციდა, ჩაბნელებულ სააბაზანო ოთახში რეცხავს ხოლმე. დაბალ სკამებზე უზარმაზარ ტამტებს აწყობს, ერთში საპნიან წყალს ასხამს, მეორეში – უსაპნოს. მუქ და ღია ფერს ტანსაცმელს ცალ-ცალკე ახარისხებს. რის ვაივაგლახით გარეცხილ ზენრებს, ფარდაგებს, პირსახოცებს და ოჯახის ყველა წევრის ტანსაცმელს ქანცამოლეული წურავს და შემდეგ გასაშრობად ფენს. ზამთარში სარეცხის გაშრობა ძალიან ჭირს. კორპუსებთან ახლოს, ეზოში საგანგებო თოვებია გაჭიმული, მაგრამ იქიდან ნივთებს ხშირად იპარავენ ხოლმე. ამიტომ ან რომელიმე ბავშვი უნდა დააყენოს ახლომახლო ყარაულად, ანდა სარეცხი პანანჩინა აივანზე გაჭიმულ თოვებზე ჩამომწკრივოს. ოჯახისთვის აუცილებელი საკვები პროდუქტის გარდა, აივანი ათასი უსარგებლო ნივთითაა სავსე. ერთი ყუთი კარტოფილის, ერთი კალათა ხახვის, მეორე კალათა ნივრისა და ბრინჯის უზარმაზარი ტომრის გვერდით ცარიელი მუყაოს

ყუთები, ძველი ფეხსაცმელი და ძონძები დაუგროვებიათ. ამ ნივთების გადაყრას ვერავინ ბედავს. ვაითუ ოდესმე მათი გამოყენების აუცილებლობაც შეიქნას.

სახლში ლეილა გამოძენძილი ძველი სვიტერითა და იატაკამდე ჩათრეული დალაქავებული კაბით დადის. კაბის ბოლოთი ცოცხს გადარჩენილ, იატაკზე მოფენილ მტვერს ხვეტს. თმა ყოველთვის პატარა თავსაფრით აქვს დაფარული, ფეხზე რეზინის გაცვეთილი სანდლები აცვია. ერთადერთი, რაც თვალში მოხვდება ვაცს, ლეილას ბრჭყვიალა ყვითელი საყურეები და პრიალა მეტალის სამაჭურია.

– ლეილა!

ამბობს ბიბი გიული სუსტი, მიკნავებული ხმით, რომელსაც იატაკზე მოჩხრიალე წყლისა და პატარების ყვირილი ფარავს. – ლეილაააა!

უფრო ხმამაღლა წარმოთქვამს ძილბურანიდან გამოსული ქალი, ხელში უხეში ნაჭერი დაუჭერია და საცოდავი თვალებით შეჰყურებს ქალიშვილს. ლეილა მაშინვე იღებს ქისას, საპონს, შამპუნს, პატარა თასს და დედასთან მირბის.

– ბურგზე დანეჭი! – ეუბნება მზრუნველად. ბიბი გიული მორჩილად წვება და ლეილა დედის ფუმფულა სხეულის ზელას იწყებს. ქალს უზარმაზარი ძუძუები აქეთ-იქით გადააჰკიდებია, დიდი მსუქანი მუცელი უფორმო თეთრ მასას მიუგავს. ამ ყველაფერზე თავად ბიბი გიულიც კი ხალისობს და გულიანად ეცინება. პატარა, სუსტი გოგონა და მასზე ორმოცდაათი წლით უფროსი, უზარმაზარი, მოხუცი დედიკო... ამ სურათის დანახვაზე სხვებიც ვერ იკავებენ სიცილს.

– რა მსუქანი ხარ, დედა... – ებუზღუნება ლეილა ქალს და გამეტებით უზელს ტანს. გოგონას ბიძაშვილებიც ეხმარებიან და ახლა ყველა ერთად ეჭიდება ბიბი გიულის უზარმაზარ სხეულს. გრძელ თმას სულ ბოლოს ბანენ. ლეილა ჩინური წარმოების ვარდისფერ შამპუნს წრიული მოძრაობებით ფრთხილად აზელს დედას თმაში, თითქოს ეშინია, რომ ქალს ეს თხელი, სლიკინა თმა სულ არ დასცვივდეს. ჯერ

კიდევ თალიბების დროიდან შემორჩენილი შამშუნის ქილა ბოლომდე იცლება. ქილაზე მიხატული ქალის სახის კონტურებს წყლის ჭავლის გამოსახულება ფარავს. რელიგიური პოლიცია სულიერი არსების გამოსახულებიან ეტიკეტებსაც სულთნის წიგნებივით ანადგურებდა. მისი წარმომადგენლები შამშუნის ქილებსა თუ ბავშვის საპონზე გამოსახულ ქალისა და ბავშვების სურათებს ტუშის სქელი ფენით ფარავდნენ.

წყალი თანდათან გრილდება. ბავშვები კიდევ უფრო ხმამაღლა გაჰყვირიან. ქალებმა იციან, რომ მალე წყალი სულ გაცივდება და ნაჩქარევად ასრულებენ საქმეს. დაცარიელებული ჰამამი სიბინძურის ნამდვილი ბუდეა... ერთ კუთხეში კვერცხის ნაჭუჭები და რამდენიმე დამპალი ვაშლი ყრია. ქალებს ბანაობის დროსაც იგივე რეზინის სანდლები აცვიათ, რითაც გარეთ დადიან, ამის გამო იატაკზე დიდი რაოდენობით ქვიშა დაგროვილა, რომელიც სხეულიდან ჩამორეცხილ ჭუჭყის ფენაშია შერეული.

ბიბი გიული ლეილასთან და მის ბიძაშვილ გოგონებთან ერთად გამოდის აბანოდან. ტანის გამშრალეების შემდეგ ყველა იმავე ტანსაცმელს იცვამს, რითიც მოვიდა. სულ ბოლოს, ახლად დაბანილ თავებს თავიანთი სუნით გაჟღენთილი ბურკვებით იფარავენ. ყოველ ბურკას, რომლის სქელი ქსოვილიც ჰაერს არ ატარებს, მისივე პატრონის სპეციფიკური სუნი დაჰკრავს. მაგალითად, მოხუცი ბიბი გიულის ბურკას მოტკბო-მომჟავო გაურკვეველი სუნი აქვს, ლეილასას კი – ოფლისა და საჭმლის...

ისე, ხანის ოჯახის წევრი ყველა ქალის ბურკა, რომლებსაც სამზარეულოს გვერდით მიჭედებულ ლურსმნებზე კიდებენ, ზეთის სუნით ყარს.

ახლად დაბანილ ქალებს ჯერჯერობით საპნის და შამშუნის სუნი ასდით, მაგრამ სულ მალე ამ სასიამოვნო სურნელს კვლავ ძველი სუნი დათრგუნავს, მათივე მონურად მორჩილი სულისთვის დამახასიათებელი სუნი...

ბიბი გიული წინაურდება, გოგონები კი უკან მიჰყვებიან და ქირქილებენ. ქუჩაში მანანაა და ძაღლებისა და პატარა ბიჭბუჭების გარდა არავინაა, ამიტომ გოგონები ბურკას თავიდან იგლეჯენ და სიცხისგან გახურებულ კანს იგრილებენ. ქაბულის ქუჩებში ნაგვისა და კანალიზაციის სუნი ტრიალებს, მაგრამ ჭორაობაში გართული ბიძაშვილები ვერც საკანალიზაციო მილიდან მოვარდნილ სიმყრალეს გრძნობენ და ვერც იმ მტვერს ამჩნევენ, კანის ფორებში ღრმად რომ აჯდებათ. ისინი მზეს ეფიცებიან და კისკისებენ. მოულოდნელად მათ ველოსიპედზე მჭდარი ახალგაზრდა კაცი უახლოვდება.

– გოგონებო, სახე დამალეთ, თორემ დავიწვი თქვენი ეშხით! – ყვირის ის და სწრაფად უქცევს გვერდს. მისი გამომეტყველება გოგონებს ახალისებს, მაგრამ როცა ველოსიპედისტი უკან ბრუნდება, სასწრაფოდ იფარავენ სახეს..

– მეფე რომ დაბრუნდება და ქვეყანაში კვლავ მშვიდობა იქნება, ბურკას აღარასოდეს ჩავიცვამ! – აცხადებს ლეილა.

– არა მგონია, ოდესმე ეგ დრო დადგეს, – უიმედოდ პასუხობს ბიძაშვილი.

– ამბობენ, ამ გაზაფხულზე უნდა დაბრუნდესო... – არ – ცხრება ლეილა.

მანამდე კი, სანამ ეს ნანატრი დრო დადგება, გოგონებისთვის საზის დაფარვა უსაფრთხოცაა და აუცილებელიც. განსაკუთრებით მაშინ, როცა ქუჩაში მარტონი გადიან.

სულ მარტო ლეილას გარეთ არასოდეს უშვებენ. ახალგაზრდა ქალი თანმხლები პირის გარეშე არსად არ უნდა წავიდეს. ვინ იცის, რა მოუვა თავში! იქნებ მოულოდნელად მამაკაცთან შეხვედრისა და ცოდვის ჩადენის სურვილი გაუჩნდეს?!

ლეილა მარტო ბოსტნეულის საყიდლად იქვე, მათი სახლის მახლობლად მონყობილ ბაზარშიც კი ვერ მიდის. ან ვინმეს უნდა დააბაროს, რაც სჭირდება, ან თუ გავა, მეზობლის პატარა ბიჭი უნდა გაიყოლოს თან. სიტყვა „მარტობა“ ლეილასთვის უცხოა, მარტო არსად,

არასოდეს ყოფილა, არც სახლში, არც ეზოში, არც სტუმრად. მარტო ძილიც კი არ იცის, რაა – გვერდითა ღეიბზე ყოველთვის დედა უწევს. მარტო ყოფნა არც ენატრება, ერთადერთი ის სურს, რომ ნაკლები საქმე და ცოტა მეტი სიმშვიდე ჰქონდეს.

შინ დაბრუნებულ ლეილას სახლში უჩვეულო უწესრიგობა ხვდება. ყველგან ყუთები, ჩანთები და ჩემოდნები ყრია.

– შარიფა ჩამოვიდა, შარიფა! – ამბობს გახარებული ბუღბუღა და თითს იშვერს.

სულთნისა და შარიფას უმცროსი ქალიშვილი შაბნამი სიხარულისგან კვიცივით დახტის ოთახებში. ლეილა უფროს რძალსა და ძმიშვილს ესალმება და სიყვარულით იკრავს გულში... იქვე, მოშორებით სულთნის მეორე ცოლი, სონია დგას, ხელში პატარა ლათიფა უჭირავს და იღიმის. შარიფა და შაბნამი სულთანმა პაკისტანიდან ყველასთვის მოულოდნელად ჩამოიყვანა.

– მხოლოდ ბაფხულამდე! – უთქვამს ვაცს.

– არა, სამუდამოდ! – მტკიცედ უპასუხია შარიფას.

სულთანი უკვე მაღაზიაშია. ასე რომ, სახლში მხოლოდ ქალები არიან. იატაკზე მოკალათებული შარიფა მის გარშემო შემომსხდარ ოჯახის წევრებს საჩუქრებს ურიგებს... ლეილას ვაბა ხვდება, სონიას – თავსაფარი, ბუღბუღას – ხელჩანთა, ბიბი გიულს – ნაქსოვი ჟაკეტი... დანარჩენებისთვისაც ტანსაცმელი და იაფფასიანი ბიჟუტერია ჩამოუტანია. თავისი ვაჟებისთვის პაკისტანის ბაზრობებზე უამრავი ისეთი ნივთი და სამოსი შეუძენია, ქაბულში რომ არ იშოვება. შარიფას ყველა თავისი ნივთიც თან წამოუღია და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, უკან არასოდეს დაბრუნდეს.

– მძულს პაკისტანი! – ზიზღით ამბობს ქალი, თუმცა მშვენივრად იცის, რომ ყველაფერს სულთანი წყვეტს და, თუ ის ისევ მოინდომებს პირველი ცოლის პაკისტანში დაბრუნებას, ასეც მოხდება.

სულთნის ცოლები ერთმანეთის გვერდიგვერდ მოკალათებულან და კარგი მეგობრებივით საუბრობენ. ტანსაცმელს ათვალთვინებენ,

ზედატანებს ირგებენ და სამკაულს ისინჯავენ. სონია საჩუქრებით მეტისმეტად კმაყოფილია. სულთანს მისთვის იშვიათად მოაქვს რამე, ასე რომ შარიფას ჩამოსვლამ ქალის მონოტონური ყოველდღიურობა თავისებურად გაახალისა. შარიფას ნაჩუქარ ღია წითელ კაბაში გამონყობილი პატარა ლატიფა ნამდვილ თოჯინას ჰგავს.

ქალები ახალ ჭორ-მართალს განიხილავენ. ვარგა ხანია, რაც ერთიმეორე არ უნახავთ. ბინებში არც ტელეფონი აქვთ, ამიტომ მოსაყოლი მართლაც რომ ბლომად დაგროვილა. ქაბულში ბოლო დროს მომხდარი უმთავრესი მოვლენა შაკილას ქორწილია. ქალები დეტალურად ჰყვებიან ქორწილის ამბებს, ვის რა ეცვა, ვინ რა საჩუქარი მიიტანა, ჰყვებიან ნათესავებზე, მათ შვილებზე, ვინ გათხოვდა, ვინ დაინიშნა, ვინ გარდაიცვალა...

შარიფა პაკისტანში მომხდარ ამბებს იხსენებს. მეზობლად მცხოვრებ სხვა ლტოლვილებზე ჰყვება – ვინ დარჩა, ვინ დაბრუნდა...

– სალიქა დაინიშნა, – ამბობს მოულოდნელად ქალი, – მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახი წინააღმდეგი იყო, მაინც ასე მოხდა. სასიძო ერთი უპოვარი და უსაქმური ყმანვილია. ქალები მდუმარედ უკრავენ თავს. ყველას ვარგად ახსოვს პრანჭია სალიქა, მაგრამ მაინც ებრალებათ, ღარიბ ბიჭს რომ მიჰყვება ცოლად.

– იმის გამო, რომ სალიქა პარკში შეხვდა ბიჭს, ერთი თვე სახლში ჰყავდათ გამოკვეტილი, – აგრძელებს შარიფა, – ერთ მშვენიერ დღესაც ოჯახში ბიჭის დედა და დეიდა მივიდნენ და სალიქას ხელი სთხოვეს. გოგონას მშობლებს მომხდარის გამო სხვა გზა აღარ ჰქონდათ და თანხმობა განუცხადეს. და ნიშნობა... ნამდვილი სკანდალი იყო!

ქალები ამბავს თვალეზადაყვებილები ისმენენ. ყველაზე დაინტერესებული სონია ჩანს. შარიფას მიერ მოყოლილი ისტორიები მისთვის საპნის ოპერასავით საინტერესო და დამატყვევებელია, – ნამდვილი სკანდალი! – ვვლავ იმეორებს შარიფა, რათა ამ საშინელ ფაქტს კიდევ უფრო მეტად გაუსვას ხაზი.

ავღანეთში ნიშნობის, საპატარძლოს კაბისა და სამკაულის ფულს, ჩვეულებისამებრ, სიძე იხდის.

– როდესაც ნიშნობის გეგმებს ანუობდნენ, სასიძოც მამამ სალიქას მამას, რომელიც ოჯახური ტრაგედიის გამო ევროპიდან დაბრუნდა, მუჭაში რამდენიმე ათასი რუპია ჩაუჩურთა. ვაცმა ფული იატაკზე მოისროლა და იყვირა: შენ გგონია, ეს ვაპიკები ნიშნობისთვის საკმარისია?

შარიფა სწორედ ამ დროს კიბებზე მჯდარა და ყველაფერი სიტყვა-სიტყვით გაუგონია. ასე რომ, სრულ სიმართლეს ჰყვება.

„მოაშორე ეს შენი ხურდები, ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ“, უთქვამს ბოლოს სალიქას მამას.

ბევრი ფულის პატრონი არც ის ყოფილა. ჰოლანდიაში უარის მიღების შემდეგ ბელგიაში გადასულა ლტოლვილად... ახლა იქ ელოდა პასუხს, და რადგან მუშაობის უფლება ჯერ არ ჰქონდა, სოციალური დახმარებით ირჩენდა თავს. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ნიშნობის გამართვას აუცილებელი და სიმბოლური დატვირთვა აქვს. ნიშნობის ჩაშლის შემთხვევაში გოგონას გათხოვების ყველანაირი შანსი ეკარგება. ამ დროს მიზეზებს უკვე აღარავინ არკვევს. ნიშნობის ცერემონია და სუფრა სასიძოს ოჯახის შესაძლებლობების ერთგვარი გამოხატულებაა. მოსართავეების, პროდუქტის, კაბისა და თუნდაც მუსიკოსების ღირებულება იმის მაჩვენებელია, თუ რა პატივს მიაგებს სიძის ოჯახი თავის ახლად შეძენილ ნათესავებს. თუ ზემოთ ღარიბულია, ეს იმას ნიშნავს, რომ ბიჭი საცოლესა და მის ოჯახს სათანადოდ არ აფასებს. სალიქასა და მისი გულისსწორის დაქორწინება თავად წყვილის გარდა არავის ახარებდა, მაგრამ სალიქას მამას იაფფასიანი ნიშნობის გადახდას მაინც ვალებში ჩავარდნა ერჩია.

– გოგონა უკვე ნანობს კიდევ თავის საქციელს!“

დარწმუნებით ამბობს შარიფა, – მალევე მიხვდა, რომ ჯიბეგაფხეკილი და უვარგისი ქმარი შეხვდა, მაგრამ ახლა სინანული გვიანია.

ნიშნობა რომ ჩაშალოს, ვედარც გათხოვდება. დადის ახლა და საქმროს ნაჩუქარ სამაჯურებს დააჩხარუნებს. თვითონ ამბობს, ოქროსიაო, მაგრამ ყველა ხვდება, რომ სამაჯურები უბრალო ყვითელი ლითონისგანაა დამზადებული. საახალწლოდ ახალი კაბაც კი არ აჩუქეს. ასეთი რამე გაგიგონიათ?

შარიფა ოხრავს და აგრძელებს:

– ბიჭი ყოველდღე სალიქას ოჯახში გდია. ვაცმა არ იცის, რა ხდება მათ შორის. რა საშინელებაა! რა სირცხვილია! სალიქას დედა კი გავაფრთხილე, მაგრამ ისიც ვერაფერს აკეთებს. შარიფა კვლავ ჩუმიდება და ოხრავს.

ქალები ათას კითხვას აყრიან. მათ ყველას ამბავი აინტერესებთ. პაკისტანში უამრავი ნათესავი ჰყავთ, რომელთაც ჯერ ვერ გაუბედავთ ავღანეთში დაბრუნება. ბევრმა მათგანმა ომის დროს თითქმის ყველაფერი დაკარგა, მაგრამ ისინიც შარიფასავით მაინც მშობლიურ მიწაზე დაბრუნებას ნატრობენ. თითქმის ერთი წელია, შარიფა შინ არ ყოფილა და თავისი ვაჟები არ უნახავს.

ლეილა სადილის გასაკეთებლად სამზარეულოში გადის.

უფროსი რძლის დაბრუნება ძალიან ახარებს, მაგრამ მშვენივრად იცის, რომ წინ ბევრი ოჯახური კამათი და უსიამოვნება ელით. შარიფა გამუდმებით ეჩხუბება თავის ბიჭებს, რძლებს, დედამთილს. გოგონას ჯერ კიდევ ახსოვს, ერთხელ განრისხებულმა რძალმა როგორ უბრძანა ბიბი გიულს გუდა-ნაბადის აკვრა და სხვაგან გადაბარგება.

– წაიყვანე შენი გოგოები და ნადი! ხომ ხედავ, თქვენი ადგილი აღარ არის. გვაცადეთ მარტო ცხოვრება! – უყვიროდა გაცხარებული შარიფა ბიბი გიულს. სულთანი შინ არ იყო. ეს უსიამოვნება მაშინ მოუხდათ, როცა შარიფა სულთნის გულისა და ოჯახის ჯერ კიდევ ერთპიროვნული მფლობელი იყო. მას შემდეგ კი, რაც სულთანი მეორედ დაქორწინდა, ქალი მისი ნათესავების მიმართ უფრო ღმობიერი გახდა.

– ახლა უფრო მეტად შევვიწროვდებით, ახლა თერთმეტის ნაცვლად უკვე ცამეტნი ვართ, – დარდობს ლეილა, თან ხახვს ფცქვინის და თვალებიდან ცრემლები სდის. ნამდვილი ცრემლებით გოგონა იშვიათად ტირის. უკვე ყველაფერს შეეჩვია, საკუთარი სურვილებისა და დარდის დათრგუნვასაც და იმედგაცრუებასაც. საპნისა და შამპუნის სუნი, ჰამამიდან რომ გამოჰყავა, უკვე აღარ ასდის. ტათაზე დასხმული ცხიმი თმაზე ეწუნება. მწარე წინაკის წვენი დამსკდარ ხელებს სწვავს... ლეილა ჩვეულებრივ სადილს ამზადებს. მიუხედავად იმისა, რომ შარითა დაბრუნდა, განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს, ხანის ოჯახში ქალებს დიდ ზეიმს არასოდეს უწყობენ. გარდა ამისა, ოჯახში მხოლოდ ის სადილი მზადდება, რაც სულთანა უყვარს: ხორცი, ბრინჯი, ისპანახი და ლობიო. ცხვრის ქონი შეუცვლელია. ხშირად ხორცი მხოლოდ სულთანსა და მის ვაჟებს ხვდებათ, ერთ პატარა ნაჭერს ბიბი გიულსაც სხვა დანარჩენები კი მხოლოდ ბრინჯსა და ლობიოს შეეჭყვევიან – თქვენ არაფერიც არ დაგიმსახურებიათ! – ამბობს ხოლმე სულთანი, – ყველანი ჩემს ხარჭზე ცხოვრობთ!

სულთანს ყოველ საღამოს ბლომად ფული მოაქვს მღაბიებიდან. ფულს, ჩვეულებისამებრ, თავის წიგნების კარადაში კეტავს. ხანდახან დიდი პარკით წვნიან ბრონეულს, დაშაქრულ ბანანებს, მანდარინსა და ვაშლსაც მოიყოლებს ხოლმე და მათაც კარადაში ინახავს. კარადის გასაღები მხოლოდ სულთანსა და სონიას აქვთ და ხილსაც, შესაბამისად, მხოლოდ ისინი შეეჭყვევიან. ქაბულში ხილი, განსაკუთრებით კი არასეზონური, საკმაოდ ძვირად ფასობს.

სამზარეულოს ფანჯარაზე რამდენიმე ფორთოხალი დევს.

ნახევრადგამომშრლი ფორთოხლებით სონია ოჯახის სხვა წევრებს უმასპინძლდება. ლეილა შეჰყურებს ხილს, მაგრამ ხელის მოკიდებასაც კი ვერ ბედავს. თუ მას სიცოცხლის ბოლომდე ლობიოს ჭამა აქვს მისტილი, დაე ასეც იყოს! ეს ფორთოხლები კი ეწყოს აქ, სანამ სულ არ გამოშრება ან დალჰება ლეილა ბრინჯის მძიმე ქვაბს გაჭირვებით ათავსებს „პრიმუსზე“, დაჭრილ ხახვს ზეთით ნახევრად

სავსე ტაფაზე ყრის, შემდეგ კი ჰამიდორს, კარტოფილსა და სუნელებს ამატებს. ლეილას ეხერხება სადილის მომზადება. ძალიან ყოჩაღია, სადილობისას ძირითადად კართან ახლოს ზის. თუ ლანგარზე კერძის დამატებაა საჭირო, ანდა თუ ვინმე რამეს დაავალებს, მაშინვე ფეხზე წამოხტება ხოლმე. როცა ყველა ნაყრდება, ლეილა მაშინღა იწყებს ჭამას და მოკრძალებულად შეექცევა სადილიდან მორჩენილ ცხიმიან ბრინჯსა და ლობიოს. ლეილა ნამდვილ მოსამსახურედ აღზარდეს და ისიც ერთგულად ასრულებს თავის მოვალეობას. გამუდმებით ემორჩილება ოჯახის წევრთა სურვილებს, მაგრამ ერთგულებას არავინ უფასებს. თუ ვინმე ცუდ ხასიათზეა, ჯავრს ლეილაზე იყრის. მიზეზი უამრავი შეიძლება იყოს: ზოგი სვითერზე დარჩენილი ლაქის გამო ბრაზობს, ზოგი სადილის გემოს უჩივის და ასე გრძელდება დაუსრულებლად.

თუ ნათესავები მოდიან სტუმრად, სწორედ ლეილა უნდა წამოხტეს დილაუთენია. ჯერ ოჯახის წევრებისთვის ამზადებს საუზმეს, შემდეგ კი კარტოფილს ფცქვნის, ხორცის ნახარშს ადუღებს, ბოსტნეულს კეპავს. სტუმრების მოსვლამდე ხახლის დასუფთავებასა და თეთრეულის გამოცვლასაც ასწრებს, შემდეგ კი სუფრას შლის. თითქმის მთელ საღამოს ასევე სამზარეულოში ატარებს, ჭურჭელს რეცხავს და ახარისხებს. ლეილა ნამდვილი კონკიაა, ერთი განსხვავებით: მის სამყაროში პრინცი არ არსებობს.

სულთანნი შინ მანსურთან, ეგბალთან და აიმალთან ერთად ბრუნდება. შესასვლელშივე მიგებებულ სონიას ნაზად კოცნის, შარიფას კი ცივად ესალმება. პირველ ცოლთან ერთად ფეშავრიდან ქაბულამდე რამდენიმე საათი იმგზავრა და სალაჰარაკო აღარათვერი აქვთ. დასასვენებლად ჩამომსხდარ სულთანთან და მის ვაჟებთან მაშინვე ლეილა მირბის და ტაშტი და ჩაიდანი მიაქვს. სამივეს სათითაოდ აბანინებს ხელებს და პირსახოცს უწვდის. სუფრა წინასწარ გაუფენია იატაკზე და უკვე ვახშმის შემოტანაც შეუძლია.

სამსახურიდან შინდაბრუნებული სულთნის უმცროსი ძმა, იუნუსიც თბილად ესალმება შარიფას. პაკისტანში მყოფი ნათესავების ამბავს მოკლედ კითხულობს და, როგორც ყოველთვის ჩუმიდება. ჭამის დროს იშვიათად ამბობს რამეს. მეტისმეტად მშვიდი აიმალი კი თითქმის არასოდეს ერევა ოჯახურ დიალოგებში, თითქოს არაფერი აღარდებდეს ამქვეყნად. თუმცა ეს წლის ახალგაზრდა არც ისე ჯამ-ყოფილია თავისი ბედით, – ძალღური ცხოვრებით ვცხოვრობ! – ამბობს ხოლმე ხშირად, – დილიდან საღამომდე ვმუშაობ და ძმის სუფრიდან მორჩენილ ნამცეცებს შევექცევი.

იუნუსია ერთადერთი ადამიანი, ვისაც ლეილა სიამოვნებით ემსახურება. ეს ძმა მას ყველაზე მეტად უყვარს. ხანდახან იუნუსი პატარა საჩუქრებსაც ჩუქნის: ხან – თმის სამაგრს, ხანაც – სავარცხელს.

იუნუსს სურს, რაღაც ჰკითხოს შარიფას, მაგრამ ვერ გაუბედავს. შარიფა უსიტყვოდ ხვდება მაზლის სურვილს და პირდაპირ საქმეზე გადადის:

– ბელქისას გარშემო დიდი ამბებია, – ეუბნება იუნუსს რძალი, – მამამისს მოსწონხარ სასიძოდ, დედამისი კი უარზეა. თავიდან ცოტას კი ყოყმანობდა, მაგრამ მერე ერთ ნათესავთან ულაპარაკია. ამ ნათესავსაც საქორწილო ბიჭი ჰყოლია და სარძლოდ სწორედ ბელქისა შეუგულეებია. სანაცვლოდ დიდი თანხა შეუთავაზებია და ბელქისას დედაც ამიტომ იკავებს თავს. გარდა ამისა, იმ ნათესავს ჩვენს ოჯახზე ცუდი რაღაცეები უთქვამს. ასე რომ, საიმედოს ვერაფერს გეტყვი! იუნუსი წითლდება და უხერხულად იშმუშნება. იქვე მჭდომი მანსური იკრიბება და ამბობს:

– არ უნდათ, რომ პატარა გოგო ბაბუას გააყოლონ ცოლად! მანსურის მწარე სიტყვებს მხოლოდ იუნუსი იგებს.

მისი უკანასკნელი იმედიც ჩაიფერფლა. ამდენი ლოდინით, ძებნითა და უაზრო ცხოვრებით მეტისმეტად დაიღალა.

– ჩაი! – ამბობს ხმამაღლა იუნუსი და შარიფას სიტყვას ანყვეტი-
ნებს ლეილა მყისვე დგება ადგილიდან. ისიც ძმასავით იმედგაცრუე-
ბულია. როგორც ჩანს, იუნუსის დაქორწინების საქმე ისევ კარგა ხნით
გადაიდო. არადა, როგორი იმედი ჰქონდა, რომ ძმა მალე დაქორ-
წინდებოდა, ცალკე გადავიდოდა, ლეილასა და ბიბი გიულსაც თან
წაიყვანდა და ყველანი ერთად იცხოვრებდნენ. რძლის მიმართ ისე-
თი კეთილი იქნებოდა, ისეთი მზრუნველი! ბელქისას ყველაფრის გა-
კეთებას ასწავლიდა, მძიმე სამუშაოს კი თავად შეასრულებდა. ბელ-
ქისას შეეძლო სწავლაც გაეგრძელებინა. ერთად მშვენივრად იქნე-
ბოდნენ. სულთნის სახლში, სადაც არავინ აფასებს, გაძლება უკვე
უჭირს. სულთანი გამუდმებით იმაზე წუწუნებს, რომ ლეილა გემრიე-
ლად ვერ ამზადებს სადილს, მეტისმეტად ბევრს ჭამს და სონიას ყვე-
ლა დავალებას არ ასრულებს. მანსურიც უხეშად ექცევა და სულ უყ-
ვირის, ხშირად სახლიდან გაგდებითაც ემუქრება.

– ის, ვისაც ჩემი მომავლისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს,
სულაც არ მადარდებს! შენ კი არაფერს წარმოადგენ ჩემთვის! მამა-
ჩემს კისერზე აწევხარ... წადი, მოშორდი აქედან! – გესლიანი ღიმი-
ლით ეუბნება ხოლმე ლეილას მანსური, რომელმაც მშვენივრად
იცის, რომ გოგონას არსად წასასვლელი არ აქვს.

ლეილას მწვანე ჩაი შემოაქვს. მერე იუნუსისკენ ბრუნდება და
მზრუნველად ეკითხება, ხვალისთვის ახლადგარეცხილი შარვალი
ხომ არ გაგიუთოვო. კაცს სულ ორი შარვალი აქვს და მათ საჭი-
როებისამებრ ანაცვლებს ხოლმე. იუნუსი დას მდუმარედ უკრავს
თავს.

– მამიდაჩემი ნამდვილი შტერია! ჰირს რომ გააღებს, უკვე ვიცი,
რა უნდა თქვას! მასზე მოსაწყენი ადამიანი ჯერ არ შემხვედრია! – შა-
ყირით ამბობს მანსური, რომელიც ლეილაზე სამი წლით უმცროსია,
მაგრამ თავი მისი უფროსი ჰგონია.

ლეილა თავის სათქმელს ყოველთვის ორჯერ იმეორებს, რადგან სულ ჰგონია, რომ მისი არ ესმით. მისი საუბარი ძირითადად ყოველდღიურ საგნებსა და მოვლენებს შეეხება, რადგან სწორედ ესაა მისი ჩვეული სამყარო. მაგრამ თუ თავის დებთან, დეიდაშვილებთან ან ბიძაშვილებთან ერთადაა, სახე ვარსკვლავივით უბრწყინავს და გულიანად კისკისებს. ზოგჯერ სასაცილო ამბებსაც ჰყვება და ყველას აოცებს. ოჯახური სადილის დროს ასე თავისუფლად არასოდეს იქცევა. ამ დროს ძირითადად დუმს, ზოგჯერ ძმიშვილების ხუმრობებზე კი გაიცინებს ხოლმე, მაგრამ როგორც თავად ამბობს ეს სიცილი ზედაპირულია და გულიდან არ მოდის.

ბელქისას ამბავი ყველას იმედს უცრუებს და ლაპარაკის ხალისს უკარგავს. აიმალი ლატიფასთან სათამაშოდ გადის, შაბნამი ჰატარას თოჭინებით ერთობა, ეგბალი მანსურს რალაცას უმტკიცებს, სულთან კი თავის ახალგაზრდა ცოლს ეარშიყება. დანარჩენები ისევ მდუმარედ შეექცვიან ვახშამს. მოგვიანებით ყველა, ლეილას გარდა, დასაძინებლად წვება შარიფასა და შაბნამს იმ ოთახში ათავსებენ, სადაც ბიბი გიულ ლეილას, ბულბულას, ეგბალს, აიმალს და ფაზილს სძინავთ მათი ლეიბები ერთიმეორეზეა მიწყობილი. სულთანი და სონია კვლავ მარტონი არიან თავიანთ საძინებელში.

ლეილა თითქმის ბოლომდე ჩაღვნიტილი სანთლის ნარჩენს იღებს, სამზარეულოში გადის და ისევ საჭმლის გაკეთებას იწყებს. სულთანმა მეორე დილას სამსახურში შინ მომზადებული კერძის წაღება მოისურვა. გოგონა ქათამს წვავს, ბრინჯს ხარშავს და ბოსტნეულის სუპს ამზადებს. სანამ სადილი კეთდება, ჭურჭლის დარეცხვასაც ასწრებს. სანთლის მკრთალი შუქი ოდნავ უნათებს დაღლილ სახეს. თვალების გარშემო მუქი ჩრდილები მოუჩანს. გამზადებულ სადილს ქურიდან დგამს და ქვაბებს საგულდაგულოდ ისე ფუთავს, რომ დილას სულთანმა და მისმა ვაჟებმა მათი ადვილად ტარება შეძლონ. ამ ყველაფრის შემდეგ ცხიმთან ხელებს იბანს და დასაძინებლად იმავე ტანსაცმლით წვება, მთელი დღე ზედ რომ ეცვა.

რამდენიმე საათში კვლავ მოლას მყივანა ხმა გააღვიძებს. „ალაჰუ აკბარ!“ სწორედ ამ სიტყვებით დაიწყება მისი ახალ დღე, რომელსაც ყველა დანარჩენი დღეების მსგავსი სუნი და გემო ექნება და ისევ ულუფი მტვრით გაიჟღინთება.

მცდელობა

ერთ ნაშუადღევს ლეილა ბურკასა და თავის მაღალქუსლიან საგარეო ფეხსაცმელს იცვამს და შინიდან გადის. მცველად და თანამგზავრად მეზობლის ბიჭი მიჰყავს. ნახევრად დამშრალ ქაბულის მდინარეზე გადებულ ხიდს სწრაფად კვეთენ და ხეებით დაჩრდილულ ვიწრო ქუჩაში უჩინარდებიან. გზის პირას ჩამწკრივებულ ნესვის გამყიდველებს, ხაბაზებს, ფეხსაცმლის მწმენდავებსა და უსაქმურად მდგომ კაცებს ნაჩქარევად უქცევენ გვერდს. ამ უსაქმურების, უამრავი დრო რომ აქვთ და ქუჩაში მხოლოდ ხალხის შესათვალიერებლად გამოსულან ლეილას ყველაზე მეტად ეშინია.

პირველად დიდი ხნის შემდეგ, ხეებზე ფოთლებს გამწვანება მოუსწრია. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ქაბულში ისე იშვიათად წვიმდა, რომ ყლორტები ყვავილის გამოტანამდე ხმებოდა. ამ გაზაფხულს კი, თალიბანის დამხობიდან პირველ გაზაფხულს, ღმერთმა ხშირი წვიმები კურთხევასავით მოუვლინა ქალაქს. მართალია, ქაბულის მდინარეს ჯერ ძველი კალაპოტი არ შეუვსია, მაგრამ ომებს გადარჩენილი ხეები უკვე მწვანედ ბიბინებს.

მტვერი კი მაინც წყევლასავით სდევს ქაბულს. მშრალ ამინდში ჰაერი მტვრის ნაწილაკებითაა გაჯერებული. ეს ნაწილაკები თვალებსა და ყელს გწვავს, სუნთქვისას კი გრძნობ, როგორ გეწვება ცხვირი ქვიშის მარცვლებით, რომელიც შემდეგ ფილტვებში გადადის და ტალახად იქცევა. წვიმის დროს წყალში შერეული მტვერი თიხასავით წებოვანი ხდება. ამ ნაშუადღევსაც ლეილა წვიმით დანამულ ქუჩაში მიაბიჯებს, მაგრამ სუფთა ჰაერი მისი ბურკის სქელ ქსოვილში ვერ აღწევს. გოგონა მხოლოდ საკუთარ დაძაბულ სუნთქვას და აჩქარებულ გულისცემას გრძნობს.

მეოთხე მიკრორაიონის ერთ-ერთ კორპუსზე აბრა მიუკრავთ, სადაც დიდი ასობით წერია: „კურსები“. სადარბაზოსთან გრძელი რიგი დგას. მსურველები წერა-კითხვის, კომპიუტერისა და ბეჭდვის შემსწავლელ კურსებზე ეწერებიან. ლეილას ინგლისური ენის კურსები აინტერესებს. შესასვლელში სპეციალურად მოთავსებულ მაგიდასთან ორი მამაკაცი ზის და მსურველთა რეგისტრაციას აწარმოებს. კურსის საფასურის გადახდის შემდეგ ლეილა ასობით სხვა მომლოდინეთა რიგს უერთდება. ახლა ისღა დარჩენია, შიგნით შეაღწიოს და თავისი საკლასო ოთახი იპოვოს.

კლასი შენობის სარდაფში მოუნყვიათ და დაბომბვისას თავშესაფარ ადგილს უფრო ჰგავს, ვიდრე საკლასო ოთახს. ერთ-ერთ კედელს ნატყვიარებიც ამჩნევია. მიუხედავად იმისა, რომ კორპუსებში ხალხი ცხოვრობდა, ეს ადგილი სამოქალაქო ომის დროს იარაღის სანწყობი ყოფილა.

„საკლასო ოთახები“ ერთმანეთისაგან თხელი ტიხრებითაა გამოყოფილი. ყველა ოთახში დაფა, საჩვენებელი ჯოხი და გრძელი სკამები მოუთავსებიათ. ზოგან მასწავლებლებისთვის პატარა ტრიბუნაც დაუდგამთ. ჩახუთულ ოთახში ერთი დაჩურჩულელებაც კი მკვეთრად ისმის.

ლეილა თავის ოთახს პოულობს. როგორც ჩანს, ცოტა ადრე მოუვიდა მოსვლა. კლასში ჯერ არავინაა, მხოლოდ რამდენიმე ბიჭი დააბოტებს.

„ნუთუ ეს შესაძლებელია?! ბიჭები საკლასო ოთახში“, ფიქრობს გოგონა და თავისდაუნებურად აქედან წასვლის სურვილი უჩნდება, მაგრამ ადგილიდან დაძვრა ვერ გაუბედავს. ამის ნაცვლად ოთახს კვეთს და სულ ბოლოში ჯდება. იქვე, კუთხეში, ორი გოგონა მიყუყულა. სხვა ოთახებიდან გამომავალი ხმები ზუზუნით ვრცელდება, შიგადაშიგ მასწავლებლების მაღალი ხმაც გაისმის. მათი მასწავლებელი ჯერ არ ჩანს. ბიჭები დაფაზე რალაცას ჯღაბნიან და ქირქილებენ. Pussy, Dick, Fuck – წერენ ისინი. ლეილა დიდი ინტერესით შეჰყურებს სიტყვებს, მერე ჩუმად ფურცლავს ინგლისურ-სპარსულ ლექსიკონს და მათი მნიშვნელობის დადგენას ცდილობს. სიტყვებს ლექსიკონში ვერ პოულობს. უსიამოვნო გრძნობა ეუფლება. მიუხედავად იმისა, რომ მარტო არ არის, ბიჭების გვერდით ყოფნა მაინც ეხამუშება. ნანობს, აქ რომ მოვიდა. რა სირცხვილი იქნება, რომელიმე მათგანმა საუბარი რომ გაუბას! თან კლასში შემოსვლისას ბურკაც მოიხადა და სახე გამოაჩინა...

მასწავლებლის შესვლისთანავე დაფაზე მიჯღაბნილ სიტყვებს ბიჭები სასწრაფოდ შლიან. გაკვეთილი ლეილასთვის ნამდვილი წამებაა: ყველა მოსწავლე ვალდებულია, ფეხზე წამოდგეს და ინგლისურად საკუთარი თავი წარადგინოს. მისი ჯერიც დგება. ინგლისურის მასწავლებელი ახალგაზრდა, სუსტი აღნაგობის მამაკაცია. ის მოულოდნელად ინვდის ჯოხს ლეილასკენ და ფეხზე ადგომას სთხოვს. ლეილას ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს ამ ბიჭების წინაშე სულში ხელებს უფათურებენ. თითქოს საკუთარი სახე და სული გააშიშვლა და წაბილწა. აბა რა ეგონა, ამ კურსებზე რომ მოდიოდა?! თუმცა, რას წარმოიდგენდა, რომ კლასში გოგონებსა და ბიჭებს ერთად დასვამდნენ... ვერასოდეს! მთლად მისი შეცდომაც არაა... კლასიდან გასვლაც ვერ გაუბედავს. ეშინია, მასწავლებელმა მიზეზი არ

ჰკითხოს, მაგრამ გაკვეთილის დასრულებისთანავე, თავზე ბურკას ირგებს და თავქუდმოგლეჯილი გარბის გარეთ. სახლში რომ შედის, მაშინლა მშვიდდება.

– რა საშინელებაა! კლასში ბიჭები იყვნენ!

ოჯახის წევრები სახელაღწილ ლეილას პირდაფჩენილები შეჰყურებენ.

– ეს ცუდია! – ამბობს ბოლოს ბიბი გიული, – მაშინ კარგი იქნება, თუ იქ აღარ წახვალ!

ლეილა ისედაც აღარ აპირებს კურსებზე წასვლას.

მართალია, თალიბანი ქვეყნიდან გააძევეს, მაგრამ ლეილას, ბიბი გიულის, შარიფასა და სონიას ტვინები ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულა მათი რეჟიმის მარწუხებისგან.

თალიბთა დამხობას სულთნის ოჯახის ქალები სიხარულით შეხვდნენ. ახლა მათ მუსიკის მოსმენა, ცეკვა და ფეხიც ფრჩხილებზე ლაქის წასმაც შეუძლიათ, მაგრამ სხეულს მაინც საგულდაგულოდ მალავენ ბურკის ქვეშ. ლეილა სწორედ იმ დროს დაიბადა, როცა ქვეყანაში სამოქალაქო ომი, მოღვებაც მმართველობა და თალიბთა რეჟიმი მძვინვარებდა. ლეილა ნამდვილი „შიშის პირმშოა“. ის ასეთად ჩამოყალიბდა. ჩვეული წესების დარღვევა, დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმა, რაიმე ახლის სწავლის მცდელობა გოგონასთვის ყოველთვის მარცხით მთავრდება. ხუთი წლის განმავლობაში ქალებს ყველაფრის სწავლას უკრძალავდნენ, ახლა კი თავად ლეილა უკრძალავს ყველაფერს საკუთარ თავს. სულთანს რომ მისთვის გიმნაზიაში სწავლის უფლება მიეცა, მაშინ კი პრობლემა არ იქნებოდა. იქ ხომ გოგონები ცალკე კლასში სხედან.

ლეილა სამზარეულოს იატაკზე ჯდება და ხახვისა და კარტოფილის ფცქვნას იწყებს. სონიაც იქვე მოკალათებულა, ერბოკვერცხს შეეცქვევა და თან ჰატარა ლატიფას ძუძუს აწოვებს. სონია ერთი სულელი და უვიცი ქალია, წერა-კითხვაც არ იცის და დიდად არც ადარდებს ეს ამბავი. ერთი ხანობა სულთანმა ვერძო მასწავლებელიც კი

დაუქირავა, მაგრამ ქალმა მაინც ვერაფერი აითვისა. რამდენიმეთვიანი მეცადინეობის შემდეგ მხოლოდ ხუთი ასოს წერა შეძლო და ბოლოს სულთანს სთხოვა, მასწავლებელი დაითხოვეო. მანსურს სონიას კერძო გაკვეთილები სასაცილოდ არ ჰყოფნიდა.

– როცა კაცს ყველაფერი აქვს და აღარ იცის, რა ქნას, ისღა დარჩენია, თავის ვირს ლაპარაკი ასწავლოსო, – იტყოდა ხოლმე ხმამაღლა და სიცილით იგუდებოდა. ამ ხუმრობაზე ლეილაც კი გულიანად იცინოდა, მიუხედავად იმისა, რომ მანსურის სიტყვებს დიდ ყურადღებას არასოდეს აქცევდა.

ლეილა არც სონიას ნათქვამს აგდებს აინუნში და მის ყველა სულელურ ფრაზას აკრიტიკებს, მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ ბედავს, როცა სულთანი შინ არაა. მისთვის სონია ერთი ლატაკი სოფლელი გოგოა, რომელიც მათ შედარებით შეძლებულ ოჯახში მხოლოდ თავისი სილამაზის წყალობით მოხვდა.

ლეილას რძალი უფრო იმიტომ არ მოსწონს, რომ სულთანი მას ზედმეტად ათამამებს და ოჯახში მთელი ჯაფა მხოლოდ ლეილას მხრებზე გადადის. სხვა სანინააღმდეგო მის მიმართ არაფერი აქვს. სონია ხომ ძირითადად ერთ ადგილას ზის და გულუბრყვილოდ შეჰყურებს ყველას და ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება. სინამდვილეში, ბარმაცი სულაც არაა. გათხოვებამდე სწორედ ის უვლიდა ოჯახსაც და მშობლებსაც. ახლა კი შრომას თავად სულთანი უკრძალავს. ლეილას რძლის ყურება აღიზიანებს. სონია ზოგჯერ მსუბუქ საქმეს აკეთებს, მაგრამ ძირითადად უსაქმოდაა და სულთნის მოვლას მოუთმენლად ელის. ქმრის დაბრუნებისთანავე ცოცხლად დგება. თუ სულთანი თავისი საქმეების მოსაგვარებლად სადმე გაემგზავრება, სონია მთელი დღე პირდაუბანელი და მოუნესრიგებელი დიდის. თუ ქმარი შინაა, მაშინ თავის შავგვრემან სახეს იპუდრავს, თვლებს იხატავს და პომადას ისვამს.

თექსმეტი წლის სონიამ ბავშვობიდან პირდაპირ ქალობაში შეაბიჯა. მართალია, ქორწილის წინ ბევრი იტირა, მაგრამ მორჩილად

აღზრდილი გოგონა ბოლოს მაინც შეეჩვია თავის ბედს. ისე გაზარდეს, რომ ცხოვრებისგან ბევრს არაფერს ითხოვდა, გარდა ამისა. ქორწილამდე განელილი ორი თვე სულთანმა მშვენივრად გამოიყენა თავის სასარგებლოდ. გოგონას მშობლები ქრთამით გადაიბირა და ამის გამო ხშირად ახერხებდა საცოლესთან განმარტოებას. თუმცა, დანიშნულებს ერთმანეთის ნახვა ქორწილამდე არ შეუძლიათ და ამ წესს იშვიათად არღვევს ვინმე. გარდა იმისა, რომ სულთანი და სონია საჭირო ნივთების შესაძენად ერთად დადიოდნენ, ერთად ყოფნა ხშირად ღამეც უწევდათ. ასეთი რამ კი სრულიად წარმოუდგენელი იყო. როცა სონიას უფროსმა ძმამ შეიტყო, რომ სულთანს საცოლესთან ღამის გასატარებლად მშობლები მოექრთამა, თავისი დის ნამუსის დაცვა გადაწყვიტა და დანას დაავლო ხელი. მაგრამ ვაჭრის ფულების ჩხრიალმა სონიას გაცოფებული ძმაც დააშოშმინა და სულთანმა მაინც თავისი გაიტანა.

– მე გამოცდილი მამაკაცი ვარ, ის კი ჯერ ძალიან ნორჩია და პირველი ღამისთვის შემზადება სჭირდება... თუ ერთად მეტ დროს გავატარებთ, პირველი ღამე მისთვის ნაკლებად დამთრგუნველი იქნება. თუმცა პირობას გაძლევთ, რომ ძალას არ ვიხმარ! – უთქვამს სულთანს გოგონას მშობლებისთვის და ასე თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ამზადებდა საცოლეს პირველი საქორწინო ღამისთვის.

მას შემდეგ უკვე ორი წელი გავიდა და სონია თავისი ერთფეროვანი ცხოვრებით სავსაოდ კმაყოფილი ჩანს. სახლში ჯდომის გარდა არც არაფერი სურს. ისიც აკმაყოფილებს, რომ ხანდახან ნათესავები სტუმრობენ ან თავად მიდიან ვინმესთან, იშვიათად კი ვაბას ან ოქროს სამაჯურსაც იღებს საჩუქრად, ერთხელ სულთანმა ერთი თვით თეირანშიც კი წაიყვანა. შინ დარჩენილ ქალებს ერთი სული ჰქონდათ, როდის მოისმენდნენ უცხოეთში მყოფი რძლის შთაბეჭდილებებს, მაგრამ უკან დაბრუნებულ სონიას მოსაყოლი არაფერი ჰქონდა. ცოლ-ქმარი ნათესავებთან ცხოვრობდა. სონია სულ შინ იყო და თავის პატარა ქალიშვილთან თამაშით ირთობდა თავს. თეირანში კი

გაემგზავრა, მაგრამ ქალაქის დათვალიერებით თავი არ მოუკლავს. სონიამ მხოლოდ ის აღნიშნა, რომ თეირანის ბაზრობაზე უფრო ლამაზი ნივთები იყიდებოდა, ვიდრე ქაბულში.

სონიასთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ბევრი შვილის, უფრო კონკრეტულად კი, ვაჟების გაჩენაა. ახლა ისევ ორსულადაა და შიშობს, მეორეც გოგო არ გაუჩნდეს. როცა ლატიფა დედის თავსაფარს სწვდება და თამაშს იწყებს, სონია მაშინვე თავიდან იშორებს. ამბობენ, როცა უფროსი ქალიშვილი ორსული დედის თავსაფარით თამაშობს, მეორე ბავშვიც გოგონა იქნებაო.

– ისევ გოგო რომ მეყოლოს, სულთანი მესამე ცოლს შეირთავს, – ეუბნება სონია ლეილას.

– თვითონ გითხრა ეს? – ეკითხება გაოგნებული ლეილა. – ჰო, გუშინ მითხრა.

– ამას მხოლოდ იმიტომ ამბობს, რომ შეგაშინოს! – ამშვიდებს გოგონა რძალს.

სონია მაინც თავისას აგრძელებს.

– გოგონა არ უნდა მეყოლოს, არ უნდა მეყოლოს! – ნაღვლიანად დუღუნებს ის და კალთაში ჩაძინებულ პატარა ლატიფას დასცქერის.

„ჩერჩეტი ძროხა!“ ბრაზობს რძალზე ლეილა. მასთან ლაპარაკი აღარ სურს. მთელი დღის განმავლობაში სონიასთან, ბიბი გიულთან, შარიფასთან და ბულბულასთან ერთად ჯდომა ყელში ამოუვიდა და გარეთ გასვლის სურვილი უჩნდება. „ნამდვილად გავგიჟდები! აქაურობას ველარ ვიტან! ეს ჩემი სახლი არ არის!“ – ფიქრობს ლეილა.

მოულოდნელად ფაზილი ახსენდება. სულთანი ბიჭს სასტიკად მოექცა. სწორედ ამან აიძულა გოგონა, საკუთარი ცხოვრების მოწყობაზე დაენყო ფიქრი. ინგლისური ენის კურსებზე სიარულიც ამიტომ მოინდომა.

თერთმეტი წლის ფაზილი მთელ დღეებს სულთნის მაღაზიაში ატარებდა და მძიმე ყუთებს დაათრევდა. საღამოობით მათთან ერთად შეეცეოდა ვახშამს და მერე დაღლილ-დაქანცული მოკუნტული

წვებოდა ლეიბზე, ლეილასთან ახლოს. ფაზილი ლეილასა და სულთნის დის, მარიამის უფროსი ვაჟია. იმის გამო, რომ მარიამსა და მის ქმარს ყველა შვილის რჩენა არ შეეძლოთ, სულთანს კი მაღაზიაში დამხმარე სჭირდებოდა, მშობლები სულთნის წინადადებას სიამოვნებით დასთანხმდნენ – საწოლისა და ლუკმაპურის სანაცვლოდ ფაზილი თითქმის ყოველდღე თორმეტ საათს ემსახურებოდა ბიძას. დასვენება მხოლოდ პარასკევს ჰქონდა. ამ დღეს მას სოფელში წასვლა და შინაურების მონახულებაც შეეძლო.

ფაზილი ბედს არ ემდუროდა. დღისით მაღაზიას ალაგებდა და ყუთებს დაათრევდა, საღამოობით კი აიმაღლთან ერთად ერთობოდა. მანსური, რომელიც სულ თავში უტყაპუნებდა და ზურგში მუშტებს სთავაზობდა, სასტიკად არ მოსწონდა. თუმცა მანსური ზოგჯერ კარგადაც ექცეოდა – ფაზილი მაღაზიაში მიჰყავდა და მისთვის ტანსაცმელს ყიდულობდა. ხანდახან რესტორანშიც წაიყვანდა ხოლმე. სოფლის ტალახიან ეზოებს ფაზილს მაინც ქალაქში ცხოვრება ერჩია.

ერთ მშვენიერ დღეს სულთანმა თავისთან იხმო და უთხრა: – უკვე თავი მომაბეზრე! შინ დაბრუნდი და მაღაზიაში ნუღარ მოხვალ!

ხმის ამოდებაც ვერავის გაებედა. აკი სულთანი დას დაჰპირდა, შენს ვაჟს მე ვუპატრონებო?! ფაზილს არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, ლეიბზე დაემხო და აქვითინდა. ლეილა მის დამშვიდებას შეეცადა, მაგრამ ბიჭი ვერაფრით ანუგეშა, სულთნის სიტყვა ყველასთვის კანონი იყო.

მეორე დილას ლეილამ დისშვილს თავისი ნივთები ჩაულაგა და შინ გაისტუმრა. სულთანს ახსნა-განმარტების მისაცემად თავი არც შეუწუხებია. ფაზილმა მომხდარის შესახებ თავად უამბო დედას.

ლეილა სიბრაზისგან დუღდა. როგორ შეეძლო სულთანს, საბრალო ბიჭს ასე მოქცეოდა?! გამორიცხული არ იყო, სულ მალე ლეილასაც ფაზილის ბედი გაეზიარებინა. ამიტომაც გადანწყვიტა, რაღაც მოეფიქრებინა.

ლელიამ ახალი გეგმა შეიმუშავა: ერთ დილას, სულთნისა და მისი ვაჟების წასვლისთანავე, თავზე ბურკა მოირგო და სახლიდან გავიდა. თან კვლავ მემობლის ბიჭი გაიყოლა. ამჯერად სულ სხვა გზას დაადგა – დაბომბილ მიკრორაიონს ვარგა მანძილით დაშორდა და გეზი ქალაქის გარეუბნისკენ აიღო. ქალაქის ეს ნაწილი ომისგან სრულიად განადგურებულია. ნანგრევებად ქცეულ ვარ-მიდამოებში რამდენიმე ოჯახილა დარჩენილა საცხოვრებლად. ეს ოჯახები თავიანთ არანაკლებ ღარიბ მემობლებში მათხოვრობით ირჩენდნენ თავს.

ლელიამ პატარა მინდორი გადაკვეთა. მინდორში საძოვარზე გაშვებული ცხვრები ზანტად აცმაცუნებდნენ პირებს, იქვე მოშორებით კი, ერთადერთი ხის ჩრდილქვეშ მეცხვარე ბიჭი მიწოლილიყო და უდარდელად თვლემდა. ეს მინდორი ქალაქსა და სოფელს ერთმანეთისგან ჰყოფდა. მინდორს გაღმა სოფელი დეჰ ხუდაიდადი მდებარეობდა. გოგონამ ჯერ უფროსი დისკენ, შაკილასკენ აიღო გეზი.

გზოს ვარი შაკილას ქმრის, ვაკილის უფროსმა ბიჭმა, საიდმა გაუღო. საიდს ცალ ხელზე სამი თითი აკლია. თითები მაშინ დაკარგა, როცა ხელში მანქანის ელემენტი აუფეთქდა. ხალხში კი ტრაბახობდა, ხელი ნაღმზე დამიზიანდაო. ეს მიზეზი ომგამოვლილი მებრძოლის სტატუსს სძენდა. ლელიას საიდი უტვინო და უხემ ბიჭად მიაჩნია და არ მოსწონს. მან წერა-კითხვა არ იცის და გლეხურად მეტყველებს. ვაკილიც სწორედ ასეთია.

საიდის დანახვაზე გოგონას გააჟრჟოლა. მან კი ირიბად გაუღიმა და ბურკაზე წაუთათუნა ხელი. ლელიას ისევ გააჟრჟოლა. ოჯახის წევრები ახალგაზრდების დაახლოებას ცდილობდნენ. შაკილა და ვაკილი ბიბი გიულთანაც კი მივიდნენ და საიდისთვის ლელიას ხელი სთხოვეს.

– ჯერ ადრეა, – უპასუხა ბიბი გიულმა, თუმცა ლელიას გათხოვება ადრე ნამდვილად არ იყო.

– უკვე დროა! – თქვა სულთანმა. ლეილასთვის კი არავის არაფერი უკითხავს. რომც ეკითხათ, პასუხს მაინც ვერ გასცემდა – თავაზიანი და პატიოსანი გოგონა ასეთ კითხვებზე არასოდეს იძლევა პასუხს. მაინც დიდი იმედი ჰქონდა, რომ საიდის ცოლობა ასცდებოდა.

სახეგაბრწყინებული შაკილა ნარნარით გამოვიდა სახლიდან და ღიმილით შეეგება დას. ის შიში, გათხოვებამდე რომ ჰქონდა, ამოღებოდა: ქმარმა ბიოლოგიის მასწავლებლად მუშაობის უფლება მისცა, გერები კი აღმერთებენ დედინაცვალს, რომელიც ნამდვილ დედასავით უვლის პატარებს. ვაკილიც დაუბარლად ემსახურება ცოლს და არც ფარდებისა და ბალიშების საყიდელ ფულს უჭერს. შაკილამ ბავშვებს სკოლაში სიარულიც დააწყებინა. უფროს ბიჭს კლასში თავისზე უმცროსებთან ერთად ჯდომა ერიდებოდა და სკოლაში სიარულზე უარს აცხადებდა. მაგრამ შაკილა გამუდმებით უმეორებს, სირცხვილი მერე ნახე, არაფერი რომ არ გეცოდინებაო.

შაკილა ბედნიერი ჩანს. როგორც იქნა, გათხოვდა და ქმარი იშოვა. შეყვარებულ ქალს თვალები ვარსკვლავებით უციმციმებს. ოცდაათხუთმეტი წლის შინაბერას ცოლის როლი მშვენივრად მოუხრია.

დებმა ერთმანეთი გადაკოცნეს, შემდეგ კი კვლავ ჩამოიცივეს ბურჯები და ეზოდან გავიდნენ. ლეილა თავისი შავი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით მიკაკუნობს, შაკილა კი ყვითელი თასმებით განწყობილ მაღალძირიან სანდლებზეა შესკუპებული. ეს სანდლები ქორწილში მიიღო საჩუქრად. იმის გამო, რომ ქალებს არც თმის გამოჩენა შეუძლიათ, არც სახის, არც სხეულის და ტანსაცმლის, ფეხსაცმელს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ.

ტალახიან გუბეს გვერდი აუქციეს და ბილიკის განაპირას ჩამხმარ თიხას გაუყვნენ. ბილიკი სოფლის სკოლისკენ მიდის, ლეილას მასწავლებლობა მოუნდომებია და მისი საიდუმლო გეგმაც სწორედ ესაა.

შაკილამ გაიკითხა და გაარკვია, რომ სკოლაში ინგლისურის მასწავლებელი არ ჰყავთ. მიუხედავად იმისა, რომ თავად ლეილას ცხრა

კლასზე მეტი არა აქვს გავლილი, ფიქრობს, რომ დამწყებთათვის უცხო ენის სწავლება არ გაუჭირდება. გარდა ამისა, პაკისტანში ცხოვრებისას ინგლისურში დამატებითაც მეცადინეობდა.

სკოლას გარს თიხის მაღალი კედელი აკრავს. შესასვლელთან მოხუცი დარაჯი ზის და ტერიტორიას არასასურველი პირებისგან იცავს. ეს განსაკუთრებით მამაკაცებს ეხება. სკოლა მხოლოდ გოგონებისთვისაა და მასწავლებლებიც, შესაბამისად, მხოლოდ ქალები არიან. სკოლის ეზო ადრე თურმე სარეველა ბალახით ყოფილა დაფარული, ახლა კი მის ნაცვლად კარტოფილი დაუთესავთ. პატარა ბაღჩის გარშემო „საკლასო ოთახები“ მოუთავსებიათ. ოთახებს მხოლოდ სამი კედელი აქვს, ერთი მხარე კი მთლიანად ღიაა... ამგვარად, დირექტორს გამუდმებით შეუძლია თვალი ადევნოს, თუ რა ხდება კლასებში, სადაც მარტო რამდენიმე მერხის, ერთი მაგიდისა და დაფის ადგილია. მაგიდა და სკამები მხოლოდ უფროსი ასაკის მოსწავლეებს აქვთ, დანარჩენები კი ეზოში სხედან და გაკვეთილის მსვლელობას იქიდან ადევნებენ თვალყურს. ბევრ მოსწავლეს რვეულის ყიდვის საშუალებაც არა აქვს და დავალებებს პატარა ხის დაფაზე ან შემთხვევით ნაპოვნ ქალაქის ნაგლეჯებზე ასრულებს.

შემამფოთებელია ის ფაქტიც, რომ სკოლაში სიარულის მსურველთა რიცხვ ყოველდღიურად იზრდება, საკლასო ოთახები და საერთო პირობები კი ამის საშუალებას არ იძლევა. არადა, ხელისუფლება განათლების საკითხში თითქოს ძალიან აქტიურობს. მთელ ქვეყანაში უზარმაზარი ბანერები გამოუკრავთ, რომლებზეც სახეგაბრწყინებელი ბავშვები არიან გამოსახული. პატარებს ხელში წიგნები ჩაუბლუჯავთ, იქვე კი ტექსტია მოთავსებული: „დავაბრუნოთ ბავშვები სკოლაში“. ტექსტი პატარაა, მაგრამ თავად სურათია მრავლისმთქმელი.

როცა ლეილა და შაკილა სკოლაში შედიან, ინსპექტორი ქალი ერთ გოგოს ელაპარაკება. გოგონას სწავლის გაგრძელება სურს. ის

ამტკიცებს, რომ სამი კლასი აქვს გავლილი და ახლა მეოთხე კლასში დაჯდომას ითხოვს.

– ჩვენს სივრცეებში ვერ გპოულობ! – ეუბნება ინსპექტორი და მოსწავლეთა ძველ კარტოთეკაში იქექება, რომელიც თალიბების ხანას სასწაულად გადარჩენია. გოგონა მდუმარედ იცდის.

– წერა-კითხვა იცი? – ეკითხება მოულოდნელად ინსპექტორი.

ეს კითხვა ქალიშვილს აბნევს. ბოლოს იძულებული ხდება აღიაროს, რომ სკოლაში არასოდეს უვლია.

– მაგრამ კარგი იქნებოდა, მეოთხე კლასში რომ დავმჯდარიყავი, – მობოდიშებით ამბობს ის, – პირველ კლასში მხოლოდ პატარები არიან და მათ გვერდით ჯდომა მეუხერხულება. ინსპექტორი კი უხსნის, რომ თუ მართლა რამის სწავლა სურს, მაშინ სულ თავიდან უნდა დაიწყოს და, შესაბამისად, პირველ კლასში დარეგისტრირდეს. რა უჭირს, თუ ამ კლასში ხუთიდან ათ წლამდე ასაკის ბავშვები არიან და ის ყველაზე უფროსი იქნება...

გოგონა მადლობას უხდის და მიდის.

როგორც იქნა, ლეილას ჯერიც დგება. ინსპექტორს ის, როგორც ბეჭითი მოსწავლე, ჯერ კიდევ თალიბანის დროიდან ახსოვს და მისი მასწავლებლობის საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

– მაგრამ ჯერ რეგისტრაცია უნდა გაიარო... შენი საბუთებით განათლების სამინისტროში უნდა მიხვიდე და განცხადება დაწერო, – უხსნის ინსპექტორი.

– თქვენ ხომ ინგლისურის მასწავლებელი არ გყავთ. თქვენ თვითონ ვერ გაუგზავნით მოთხოვნას? ანდა, ხომ შემოიძლია, მუშაობა დავიწყო და მერე დავრეგისტრირდე? – ეკითხება ლეილა.

– არა, ჯერ ნებართვა უნდა აიღო სახელმწიფოსგან. წესი ასეთია...

ინსპექტორის ფარდალალა ოთახში პატარების ჟივილ-ხივილი ისმის. ერთ-ერთი მასწავლებელი გოგონებს წვეპლას უდერებს და ტუქსავს. ბავშვები თავ-თავიანთ კლასებში სწრაფად შერბიან.

ლეილა ცუდ გუნებაზე დგება. სკოლის ეზოდან გამოდის და სახლისკენ იღებს გეზს. ახლა იმაზე ფიქრობს, როგორ წავიდეს სამინისტროში ისე, რომ ამის შესახებ არავინ არაფერი გაიგოს. გეგმის თანახმად, ლეილამ ჯერ სამსახური უნდა იშოვოს და შემდეგ დაელაპარაკოს სულთანს. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ძმამ წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიოს. მეცადინეობა ხომ მაინც მხოლოდ რამდენიმე საათს გრძელდება. ლეილაც უფრო მეტად დაიტვირთავს თავს და დილით კიდევ უფრო ადრე ადგება.

კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ ატესტატები პაკისტანში აქვს. გოგონა ფარ-ხმლის დაყრას ფიქრობს, მაგრამ მერე ისევ მიკრორაიონის ჩაბნელებული ბინა და მტვრიანი იატაკი ახსენდება და გეზს ფოსტისკენ იღებს. ფეშავარში ნათესავებს ურევავს და დახმარებას სთხოვს. ისინიც ჰპირდებიან, საბუთებს მოვძებნით და ვინმეს გამოვატანთო. ვინაიდან ავღანეთში საფოსტო მომსახურება არ ფუნქციონირებს, საჭირო ნივთებსა თუ საბუთებს დანიშნულების ადგილამდე მგზავრებს ატანენ ხოლმე.

რამდენიმე კვირაში ლეილას საბუთები მართლა ჩამოდის. ახლა ისლა დარჩენია, განათლების სამინისტროში წავიდეს, მაგრამ მართლწასვლა სრულიად წარმოუდგენელია. დახმარებას იუნუსს სთხოვს, მას კი მიაჩნია, რომ ქალმა არ უნდა იმუშაოს და გაყოლაზე ცივ უარს ეუბნება.

– რა იცი, რა სახის სამუშაოს შემოგთავაზებენ... დაეციე სახლში და მოხუც დედას მიხედე! – ეუბნება იუნუსი.

საყვარელმა ძმამაც კი არ გაუწოდა დახმარების ხელი, მანსური მამიდის თხოვნაზე მხოლოდ ირონიულად ქირქილებს, ასე რომ, ყველა გზა მოჭრილია.

– სასწავლო წელი უკვე კარგა ხნის დაწყებულია. მომავალ წლამდე დაიცადე! – ამშვიდებს ქალიშვილს ბიბი გიული. ლეილა ყოყმანს იწყებს.

„მსურს კი მასწავლებლობა? იქნება უკვე აღარც მაქვს ამის სურვილი?..“ – თავს იმშვიდებს გოგონა, რათა საოცნებო გეგმის დასამართლება უფრო გაუადვილდეს.

ლეილა კედელს აწყდება. ტალახში ჩაფლული საზოგადოება და მტვერდადებული ტრადიციები გასაქანს არ აძლევს. გოგონა იმ სისტემის მარწუხებშია მოქცეული, საუკუნეების მანძილზე რომ ყალიბდებოდა და მოსახლეობას აჩლუნგებდა. განათლების სამინისტრომდე მისვლას სულ რაღაც ნახევარი საათი სჭირდება, მაგრამ ეს ნახევარი საათი ლეილასთვის მთელი საუკუნეა. ის ბრძოლას არ არის ნაჩვევი... პირიქით, ცხოვრების წინაშე გამუდმებით მარცხდება... თუმცა გამოსავლის პოვნა ყოველთვის შეიძლება. მთავარი ბრძოლაა!

კვდება თუ არა ღმერთი?

ფაზილი მოსაწყენი დავალებების საშინელ მარწუხებშია მოქცეული. გაკვეთილის უცოდინრობის გამო დასჭილია. ხტუნვა და თამაში ახლა ყველაფერს ურჩევნია, მაგრამ თერთმეტი წლის ბიჭუნა იძულებულია უსიტყვოდ დაემორჩილოს ბედს. ხელის მტევანი კანკალით მოძრაობს ფურცელზე. რვეული ძალიან ძვირია, ამიტომ წვრილი ასოებით უნდა წეროს, რათა ფურცელზე ადგილი და ზოგოს. გაზის სანათურის მონითალო მუქი პატარა მოსწავლის სახეს სუსტად ანათებს.

იქვე, კუთხეში ბებია მიმჭდარა და ცალი თვალით გასცქერის შვილიშვილს. მეორე თვალი შეშის ღუმელში ცეცხლის დანთებისას დაუზიანდა. ფაზილის დედა, მარიამიც ოთახშია და ორი წლის ოსიპს ძუძუს აწოვებს.

ბიჭი წერით იღლება და კიდევ უფრო მეტად იძაბება. დროულად თუ ვერ მორჩა, მთელი ღამე მოუწევს ჯდომა. თუ დავალება არ შეასრულა, ხვალ დილით მასწავლებელი საჩვენებელი ჯოხით კიდევ ერთხელ დაუნითლებს თითებს. ამ სირცხვილს კი უკვე ვეღარ გადაიტანს.

ფაზილმა ერთი და იგივე წინადადება ათჯერ უნდა გადაწეროს.

„რა არის ღმერთი? ღმერთი არის შემქმნელი. ღმერთი მარადიულია. ღმერთი ცოდნაა. ღმერთი ცხოვრებაა. ღმერთი ყველაფერს ხედავს. ღმერთს ყველაფერი ესმის. ღმერთმა ყოველივე იცის. ღმერთი მთელ სამყაროს მართავს. ღმერთი ყველას განსჯის, ღმერთი...“

– სულ არასწორად ვპასუხობ! – ეწუნუნება ფაზილი დედას, – მასწავლებელს რომ ვუყურებ, ისე მეძინია, ყველაფერი მავიწყდება! ყოველთვის გაბრაზებულია და პატარა შეცდომასაც არ გვპატიობს...

დამატებითი დავალებით იმიტომია დასჯილი, რომ ისლამის გაკვეთილზე მორიგი უხეში შეცდომა დაუშვა.

როცა ისლამის მასწავლებელმა ალაჰის შესახებ გაკვეთილის მოსაყოლად დაფასთან გაიძახა, ბიჭს ყველაფერი აერ-დაერია. წაკითხული კი ჰქონდა, მაგრამ რატომღაც ყველაფერი ერთბაშად დაავიწყდა. გრძელწვერა, ჩალმიანმა და ტუნიკიანმა მასწავლებელმა თავისი შავი, გადმოკარკლული თვალებით შეხედა და ჰკითხა:

– კვდება თუ არა ღმერთი?

– არა! – აკანკალებული ხმით უპასუხა შემინებულმა ფაზილმა.

– რატომ?

ამ კითხვაზე ბიჭს პასუხი არ ჰქონდა. „რატომ არ შეიძლება მოკვდეს ღმერთი? არ არსებობს დანა, მას რომ დაჭრის? არც ტყვია, მას რომ მოხვდება?“ – თავში ათასმა ფიქრმა გაუელვა. – რატომ? – არ მოეშვა მასწავლებელი.

სახელგნობი ფაზილი რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ ვერ გაებედა. მის ნაცვლად სხვა მოსწავლემ სხარტად უპასუხა: – იმიტომ, რომ ღმერთი მარადიულია!

– მართალია! ლაჰარაკი თუ შეუძლია ღმერთს? – მორიგი შეკითხვა დასვა მასწავლებელმა.

– არა... – ალუღლუღდა ფაზილი, – ან იქნებ, კი...

– თუ ასე ფიქრობ, მაშინ აბა, მითხარი, როგორ ლაპარაკობს... – არ მოეშვა მასწავლებელი.

ფაზილი ისევ დადუმდა. „როგორ ლაპარაკობს ღმერთი?

ომახიანი თუ დაბალი ხმით? ან იქნებ ჩურჩულით?“ მაინც არაფერს ამბობდა.

– აჰა... შენ ამბობ, რომ ღმერთს ლაპარაკი შეუძლია... ენა თუ აქვს მას?

ფაზილი ცდილობდა სწორი პასუხის მოფიქრებას. ფიქრობდა, რომ ღმერთს ენა არა აქვს, მაგრამ ამის თქმას ვერ ბედავდა, ჩუმად ყოფნა ერჩივნა რაიმე სისულელის წამოროშვას და მთელი კლასის დასაცინად გახდომას. კითხვას მის ნაცვლად ისევ სხვა მოსწავლე მუჟახუბა:

– ღმერთი ყურანის საშუალებით გველაპარაკება. სწორედ ყურანია მისი ენა.

– მართალია! რაიმეს დანახვა თუ შეუძლია ღმერთს? – განაგრძო მასწავლებელმა. თან ხელში საჩვენებელ ჯოხს ატრიალებდა და შიგადაშიგ ხელის გულზე მსუბუქად ირტყამდა, თითქოს ფაზილის გასწავლად წინასწარ ვარჯიშობსო.

– დიახ, – უპასუხა ფაზილმა.

– და როგორ ხედავს? თვალები თუ აქვს ღმერთს?

ფაზილი ხმას არ იღებდა. ცოტა ხნის შემდეგ კი მორიდებით ამოთქვა:

– ღმერთი არასოდეს მინახავს და საიდან უნდა ვიცოდე? ჰაერში წვეპლის ზუზუნი გაისმა. ბიჭს თვალები სიმწრის ცრემლებით ავესო. ფიქრობდა, რომ მთელ კლასში ყველაზე სულელი მოსწავლეა და ეს ამბავი უფრო აწუხებდა, ვიდრე დარტყმისგან მიყენებული ტკივილი. სწორედ ამ უცოდინრობას გამო დაისაჯა და დამატებითი დავალება დაეკისრა.

– ამ ყველაფერს თუ არ ჩამაბარებ, სწავლას ველარ გააგრძელებ! – უთხრა მასწავლებელმა, რომელიც ფაზილს თალიბს აგონებს. ბიჭს მათი სისასტიკის შესახებ ბევრი რამ სმენია.

„იქნებ ეს კაცი მართლა თალიბია?!“ ხშირად ფიქრობს ფაზილი.

წერას რომ მორჩება, ეს წინადადებები ზეპირად უნდა დაისწავლოს. ბიჭი ჯერ თავისთვის დუდღუნებს, შემდეგ კი გაკვეთილს დედას აბარებს. ბებიას ძალიან ებრალება შვილიშვილი. თავად სკოლაში არასოდეს უვლია და მიაჩნია, რომ ფაზილს მეტისმეტად რთულ დავალებებს აძლევენ. დამკვიდრებულ თითებში მოქცეული ჭიქიდან ჩაის ხვრეპს და თანაგრძნობით შესცქერის პატარა მოსწავლეს.

– წინასწარმეტყველი მუჰამედი ჩაის სმისას არასოდეს გამოსცემდა ხვრეპის ხმებს! – მკაცრად ეუბნება ფაზილი მოხუც ბებიას, – ჩაის ჯერ სამჯერ მოსვამდა ხოლმე და სამჯერ აღუვლენდა ღმერთს მაღლობას!

– მართლა? რას ამბობ... – გაოცებულია ქალი.

წინასწარმეტყველ მუჰამედის ცხოვრება ფაზილის გაკვეთილის შემდეგი ნაწილია. ბიჭი საჩვენებელ თითს მარჯვნიდან მარცხნივ გულდასმით აყოლებს ასოებს და იმ თავებს კითხულობს, სადაც წმინდანის ჩვევებია აღწერილი. „წინასწარმეტყველ მუჰამედს (კურთხეულ იყოს მისი სახელი!) სახლის უკანა ეზოში უყვარდა ჯდომა. სახლში არც ავეჯი ჰქონდა და არც სხვა სარჩო-საბადებელი, რადგან მიაჩნდა, რომ ადამიანი ამ წუთისოფლის დროებითი მგზავრია, რომელიც ცხოვრების ჩრდილქვეშ მხოლოდ მცირე ხანს ყოვნდება და მერე კვლავ თავის გზას ადგება. სახლი კაცს მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ დაისვენოს, სიცივესა და სიცხეს შეეფაროს, გარეული ცხოველებისგან თავი დაიცვას და მშვიდად იცხოვროს...“

მუჰამედს (კურთხეულ იყოს მისი სახელი!) მარცხენა გვერდზე წამოწოლა უყვარდა. თავის ფიქრებში ღრმად ჩაძირული, მუხლებზე ხელებს შემოიხვევდა ხოლმე ან პატარა ჯოხით მიწას ჩიჩქნიდა.

ძილის დროს კი მარჯვენა გვერდზე წვებოდა და ხელისგულს ლოყის ქვეშ იდებდა. ხშირად ზურგზეც, ხან კი ფეხიფეხგადადებულიც იწვა, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა, სხეულის ყველა ნაკვთი დაფარული ჰქონოდა. პირქვე წოლა ეჭავრებოდა და ამას სხვებსაც უკრძალავდა. არც ბნელ ოთახში, ან ღია ცისქვეშ ძილი მოსწონდა. ძილის წინ ყოველთვის იბანდა და ლოცვებს აღუვლენდა ღმერთს. ძილის დროს კი დაბალ ხმაზე ხვრინავდა.

ღამით, როცა მოსაშარდად გადიოდა, უკან დაბრუნებული ხელებსა და სახეს იბანდა. ძილის დროს პერანგს კი იხდიდა, მაგრამ სხეულის ქვედა ნაწილი ყოველთვის დაფარული ჰქონდა. თუ კუჭში გასვლა მოუნდებოდა, ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით მიდიოდა, რათა ყველას თვალთახედვიდან შორს ყოფილიყო და დიდი ქვის ან ბორცვის უკან ჯდებოდა. მოსასაქმებლად ყოველთვის ფხვიერ მინას ნახულობდა, რათა სხეული არ წაეხილწა. ასე იმიტომ აკეთებდა, რომ იმ დროს ეზოებში ტუალეტები არ ჰქონდათ.

მუჰამედი წვიმისას ბანაობდა და ამ დროს ყოველთვის ხალიჩას ან ფარდას ამოეთარებოდა ხოლმე. ცხვირის მოსახოცად თავისი ნაჭერი ჰქონდა...”

ფაზილი წინასწარმეტყველის ჩვევების შესახებ ხმამაღლა კითხულობს, მუჰამედს ფინიკის ჩირი ჰყვარებია, რომელსაც თურმე რძესთან და ვარაქთან ერთად მიირთმევდა. ხორცს და ჭამდა, კისრისა და გვერდების ნაწილებს არჩევდა, ხახვსა რა ნიორს კი არასოდეს ეტანებოდა, რადგან არ მოსწონდა, როცა პირიდან ცუდი სუნი ამოსდიოდა. ჭამის წინ ფეხზე იხდიდა და ხელებს იბანდა. ჭამის დროს კი მხოლოდ მარჯვენა ხელს ხმარობდა და პირდაპირ ლანგრიდან არასოდეს იღებდა კერძს. დანა-ჩანგალი არასოდეს ჰქონია. მისი დანა-ჩანგალი მისი სამი თითი იყო. ყოველი ლუკმის პირში ჩადებისას ღმერთს მადლობას სწირავდა...

– და როგორც უკვე გითხარით, ჩაის სმის დროს არასოდეს გამოსცემდა ხვრეპის ხმას, – ასრულებს ფაზილი და წიგნს ხურავს.

– ახლა კი ძილის დროა! – ეუბნება მარიაში, რომელსაც შვილის-თვის უკვე დაუგია ლოგინი იმ ოთახის იატაკზე, სადაც სულ რამდენიმე წუთის წინ ისხდნენ და ვახშამს შეექცეოდნენ. მის და-ძმებს უკვე ღრმად სძინავთ და უდარდელად ფშვინავენ. ფაზილმა ლოცვების უნდა დაიბუთხოს. მანამ, სანამ ტანსაცმლიანად ლეიბზე გაიშოტება, ყურანში მისთვის გაუგებარ არაბულ ენაზე დანერილი ლოცვები უნდა ჩაიკითხოს. დილის შვიდ საათზე უკვე სკოლაში უნდა გამოცხადდეს. ამის გაფიქრებაც კი ჟრუანტელს ჰგვრის. პირველი სწორედ ისლამის გაკვეთილი აქვს. დაქანცულ ბიჭს მაშინვე ეძინება. ძილში შფოთავს და ესიმბრება, რომ მასწავლებელი დაფასთან იძახებს, ის კი ხმასაც ვერ იღებს. გაკვეთილი ისწავლა, მაგრამ მოყოლას ვერაფრით ახერხებს.

სანამ ფაზილს სძინავს, სოფლის თავზე მძიმე, ნაცრისფერი ღრუბელი გროვდება და წვიმას იწყებს. წვიმის წვეთები სახლის თიხის სახურავსა და ფანჯრებზე აკრულ პლასტიკატზე წვაპუნებს ოთახში გრილი ნიავი იჭრება. ბებიას ეღვიძება... „ღმერთო მაღალო!“ – ჩურჩულით ამბობს მოხუცი და სახეზე ისვამს ხელს, თითქოს ლოცულობსო. მერე გვერდს იცვლის და თავისი ოთხი შვილიშვილის გვერდით მიწოლილს, კვლავ ღრმად ეძინება.

ფაზილს დილის ექვსის ნახევარზე აღვიძებენ. ამ დროს უკვე აღარ წვიმს და სახლებს ადრიანი მზის სხივები ეფინება. სანამ ბიჭი პირს იბანს, იცვამს და ჩანთას ალაგებს, მზე ამოდის. ნაწვიმარ მიწას ოხშივარი ასდის.

ფაზილი ფაცაფუციით საუზმობს და შინიდან გარბის. ბიჭი დედაზე ბრაზობს – მარიაში წელა ასრულებს შვილის დავალებებს. არასოდეს ჩქარობს. ფაზილი კი გაღიზიანებულია და მხოლოდ ისლამის გაკვეთილზე ფიქრობს.

მარიამმა უკვე აღარ იცის, რა გააკეთოს, რომ უფროს ვაჟს ასიამოვნოს. მას ხომ ისედაც ყოველთვის საუკეთესო ერგება. შეძლების-

დაგვარად და-ძმებზე ნოყიერად კვებავენ და თუ ზედმეტ თანხას მოიგდებენ ხელში, სწორედ ფაზილისთვის ყიდულობენ ახალ ტანსაცმელს. დედა მასზე დიდ იმედებს ამყარებს. თერთმეტი წლის წინ მარიამსა და მის საყვარელ მეუღლეს – კარიმულაჰს სწორედ ფაზილის დაბადებამ მოჰგვარა უდიდესი ბედნიერება, რასაც ვაჟიშვილის დაბადება ჰქვია. ოჯახში მაშინ დიდი ზეიმი მოაწყეს და მარიამმა და მისმა პატარა ბიჭუნამ უამრავი საჩუქარი მიიღეს. ნათესავები თითქმის ყოველდღე სტუმრობდნენ, ვაჟის დედას ყველა თავს ევლებოდა. ორი წლის შემდეგ გოგონა შეეძინათ. მაშინ კი ზეიმი აღარ გაუმართავთ და საჩუქარიც არავის მიუტანია.

მარიამმა ქმართან მხოლოდ რამდენიმე წელი იცხოვრა. ფაზილი სამი წლის იყო, მამა რომ მოუკლეს. დაქვრივებული ქალის ცხოვრება თითქოს დასრულდა. მაგრამ მისმა ცალთვალა დედამთილმა და ბიბი გიულმა გადანყვიტეს, ქალი კარიმულაჰის უმცროსი ძმისთვის – ჰაზიმისთვის მიეთხოვებინათ. ჰაზიმი ძმასავით ძლიერი და ყოჩაღი ვერ გამოდგა. სამოქალაქო ომის დროს კარიმულაჰის მაღაზიაც დაზიანდა და ოჯახი იქ გროშებიტლა ირჩენდა თავს, ჰაზიმი რომ შოულობდა.

„ფაზილმა კი უნდა ისწავლოს და განათლებული კაცი დადგეს“, – ფიქრობდა მარიამი და იმედი ჰქონდა, სულთნის მაღაზიაში ბიჭს ხელსაყრელ გარემოში უწევდა ყოფნა, რაც მის განათლებას უფრო მეტად შეუწყობდა ხელს.

სულთნის სახლში ბიჭს უკეთესი პირობები ჰქონდა, ვიდრე დედასთან. როცა ფაზილი შინ დაბრუნდა, მარიამი მთელი დღე ტიროდა. ჯერ ეგონა, ბიჭმა რაღაც დააშავა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ არაფერიც არ მომხდარა. უბრალოდ, სულთანს თავის მაღაზიაში ყუთების მთრეველი აღარ სჭირდებოდა. უმცროსი ძმა, იუნუსი სწორედ ამ დროს ესტუმრა დას და დაჰპირდა, რომ ფაზილს ქაბულის ერთ-ერთ საუკეთესო სკოლაში, ესტეგლალში მოაწყობდა. ფაზილს ზედმა გაუღიმა და მეოთხე კლასში დასვეს.

„კაცმა რომ თქვას, ყველაფერი უკეთესად გამოვიდა!“ – ფიქრობდა გახარებული მარიამი და სიბრაღულით იხსენებდა სულთნის უმცროს ვაჟს – ფაზილის თანატოლ აიმალს. აიმალი მზის სხივს თითქმის ვერასოდეს ხედავდა, რადგან დილიდან საღამომდე მამამისის მაღაზიაში შრომობდა.

სკოლაში წასასვლელად გამზადებულ ფაზილს დედა თავზე ეალერსება, მერე კი ბიჭი ქუჩაში გარბის, ტალახიან გუბეებს მოხერხებულად ახტება და სწრაფი ნაბიჯით ავტობუსის გაჩერებისკენ მიიჩქარის. მისი სოფლიდან ქაბულისკენ მიმავალი ავტობუსი მამაკაცი მგზავრებითაა გაჭედილი.

სკოლაში ფაზილი ყველაზე ადრე მიდის, კლასში შედის და მესამე რიგში, თავის ადგილას ჯდება. თანდათანობით სხვა მოსწავლეებიც მოდიან. მათი უმეტესობა ძალიან გამხდარია და ღარიბულად აცვია. მოსწავლეებს სხვადასხვანაირად აცვიათ: ზოგიერთი უფროსი ძმების გამონაცვალ დიდი ზომის ტანსაცმელშია გახვეული, ზოგი კი კვლავ თალიბანის დროინდელი ჩაფართხუნებული უნიფორმით დადის. სიმალლეში წასული ბიჭების შარვლის ტოტებზე დედებს განსხვავებული ნაჭერი მიუკერებიან. ისეთებიც არიან, ძველი ყუთებიდან 70-იანი წლების სტილის შარვლები და სვიტერები რომ ამოუქექავთ. ერთ მათგანს ძალიან განიერი ჯინსი წვრილ წელზე ქამრით შემოუჭერია, მეორეს სასაცილო „შლაქსები“ ჩაუცვამს. ერთ ბიჭუნას შესამჩნევად პატარა ზომის ტანსაცმელი ტანზე შემოტმასნია და მოკლე ზედატანი ქვედა საცვალში აქვს ჩატანებული. მის მეგობარს კი პიჯაკის გრძელი მკლავები იდაყვებამდე აუკაპინებია.

ბიჭების უმეტესობა ელვაგახსნილი შარვლით დარბის. როგორც ჩანს, თალიბანისდროინდელ განიერ შალვარ-კამეზსა და ტუნიკებს მიჩვეულები, შარვლის შეკვრის ახალ მექანიზმს ჯერ ვერ შეჰგუებიან.

ბევრ მოსწავლეს გახუნებული ბამბის მაისური აცვია, რუსულ ბავშვთა სახლებში რომ არიგებენ. გამოხედვაც ამ სახლებში გამოკვეტილი, უპატრონო, მშვიერი ბავშვებისა აქვთ.

ონავრები საკლასო ოთახში ყვირილით დარბიან, ნივთებს აქეთ-იქით ისვრიან და მერხებს ეჭაჭურებიან. ზარის დარეკვისა და მასწავლებლის კლასში შემოსვლისთანავე გასუსულები თავ-თავიანთ ადგილებს იკავებენ. კლასში ყველა ბავშვი რომ დაეტიოს, ორი მოსწავლისთვის განკუთვნილ ხის მერხზე ხშირად სამ მოსწავლესაც სვამენ.

ბავშვები მასწავლებელს ფეხზე წამოდგომით ესალმებიან.

– სალამ ალეიქუმ! ღმერთი გვარავდეთ! – ამბობენ ისინი ერთხმად.

მასწავლებელი რიგებს შორის ზანტად დააბიჯებს და წიგნებსა და საშინაო დავალებებს ამონმებს. იმასაც აკონტროლებს, ვინმეს ფრჩხილები ხომ არ აქვს დასაჭრელი, ან ბინძური ტანისამოსი და ფეხსაცმელი ხომ არ აცვია. შეიძლება მთლად განიკნინებული არა, მაგრამ მთლად ჭუჭყიანებიც არ უნდა იყვნენ, თორემ მაშინვე შინ უკრავენ თავს.

დავალების შემონმების შემდეგ გამოკითხვა იწყება. უმეტესობა გაკვეთილისთვის კარგად მომზადებულია.

– ახლა კი წინ წავინით, – ხმამაღლა ამბობს მასწავლებელი და დაფაზე ახალ სიტყვას წერს: „ჰარამ“, მერე კი ბავშვებისკენ ბრუნდება და ეკითხება:

– ვინმემ თუ იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვა?

ერთ-ერთი მათგანი ხელს იწევს.

– ჰარამი ცუდ საქციელს ნიშნავს, – პასუხობს მოსწავლე.

პასუხი სწორი აღმოჩნდა.

– მართალია, – ამბობს მასწავლებელი, – ჰარამი ცუდ არამუსლიმურ საქციელს ჰქვია. მაგალითად, ვინმეს უმიზნოდ მოკვლა ჰარამია, ნარკოტიკის გამოყენება, მრუშობა ჰარამია, ღორის ხორცის ჭამაც ჰარამია. ურწმუნონი ამას არად აგდებენ. ის, რაც ნამდვილი მუსლიმისთვის ჰარამია, მათთვის ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენს და ეს საშინელებაა.

მასწავლებელი კლასს თვალს ავლებს და დატაბე აბრას ჰკიდებს, რომელზეც დიდი ასოებით წერია; „ჰარამ, ჰალალ: მუბაჰ“.

– ჰარამი არის ის, რაც ცუდი და აკრძალულია, ჰალალი არის ის, რაც კარგია და ნებადართული, მუბაჰი კი ის არის, რაც საჭოჭმანოა, ანუ, მუბაჰი ის არის, რაც არც მთლად კარგია, მაგრამ დიდ ცოდვადაც არ ითვლება. მაგალითად, თუ მეტისმეტად დამშეულმა ვაცმა ღორის ხორცი შეჭამა ან ინადირა, მუბაჰი იქნება.

ბავშვები ყოველ ფრაზას გულმოდგინედ იწერენ. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კითხვებს სვამს და ამოწმებს, რამდენად აითვისეს მოსწავლეებმა მისი ახსნილი.

– რა ჰქვია ვაცს, რომელიც ფიქრობს, რომ ჰარამი კარგია? პასუხს ვერავინ სცემს და მასწავლებელი იძულებულია, შეკითხვას თავადვე უპასუხოს:

– ურწმუნო, – ამბობს ის.

– და ჰარამი კარგია თუ ცუდი?

ახლა კი ყველა ბავშვი იწევს ხელს. ფაზილი აქტიურობას მაინც ვერ ბედავს. ჯერ კიდევ ეშინია, რამე შეცდომით არ თქვას ვაცი ერთ-ერთი მოსწავლისკენ იშვერს თითს. ბიჭი მერხიდან სწრაფად დგება და სხაპასხუპით ამბობს:

– ჰარამი ცუდია!

ფაზილიც სწორედ ასე ფიქრობდა – ჰარამი ურწმუნობაა და ცუდია!

სევდიანი ოთახი

აიმალი სულთნის ნაბოლარა ვაჟიშვილია. ის თორმეტი წლისაა და მამამისის მაღაზიაში დღეში თორმეტ საათს მუშაობს. გამთენიისას აღვიძებენ. ლოგინიდან ადგომას დიდხანს აჭიანურებს მაგრამ ბოლო ლეილა ან დედა ლეიბიდან ძალით წამოაგდებენ ხოლმე. ამის შემდეგ ფერმკრთალ პირისახეს იბანს, იცვამს და საუზმობს: ერბო-კვერცხს პურის დიდი ლუკმებით სრესს და პირში იტენის, თან ჩაისაც აყოლებს.

რვა საათზე უკვე ქაბულის ერთ-ერთი სასტუმროს ჩაბნელებულ ფოიეში შედის და თავის პატარა მაღაზიას ხსნის. აქ შოკოლადს, ორცხობილას, ლიმონათსა და საღებავ რეზინებს ყიდის. აიმალი ფულს ითვლის და ზანტად ამთქნარებს. სამუშაოზე მისვლისას ყოველ დილით გულის ჩხვლეტასა და მუცლის გვრემას გრძნობს. საძულველ მაღაზიას სახელიც კი დაარქვა – „სევდიანი ოთახი“. სწორედ ამ პატარა ოთახშია გამოკვეტილი დილიდან საღამოს რვა საათამდე. აქედან რომ მიდის, გარეთ უკვე ბნელა და ბიჭს ისღა რჩება, ოჯახთან ერთად ივახშმოს და დასაძინებლად დაწვეს.

სასტუმროს დაზიანებული სახურავიდან წყალი წვეთავს და ამის გამო აიმალის მაღაზიის გვერდით ორი დიდი ტაშტია მოთავსებული. მაგრამ აქ მომუშავე ქალების მცდელობის მიუხედავად, კართან მაინც წყლის დიდი გუბე დგება და სტუმრები ტაშტებსაც და აიმალის მაღაზიასაც ცივად უქცევენ გვერდს. ფოიეში ყოველთვის ბნელა, დღისით ფარდებს კი გადასწევენ ხოლმე, მაგრამ მზის სხივი ჩაბნელებული სასტუმროს ყველა კუთხე-კუნჭულამდე ვერ აღწევს, საღამოობით, იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგია აქვთ, ნათურებსაც ანთებენ. თუ არადა, მისაღებში გაზის რამდენიმე სანათურს ჩაამწკრივებენ ხოლმე.

ეს სასტუმრო, რომელიც ერთ დროს მთელ ქაბულში ერთერთი საუკეთესო იყო, 60-იან წლებშია აშენებული. მაშინ ფოიეში ელევანტურად ჩაცმული მამაკაცები და ევროპულ კაბებში გამოპრანჭული, თანამედროვე სტილზე თმადავარცხნილი ქალები იკრიბებოდნენ. საზოგადოება მოდურ მუსიკას უსმენდა და ალკოჰოლზეც არ ამბობდა უარს. თურმე ამ სასტუმროში გამართულ შეხვედრებსა და სადილებს მეფეც არაერთხელ დასწრებია.

60–70-იანი წლები ქაბულში ყველაზე ლიბერალურ ხანად ითვლება. ამ დროს ქვეყანას ჯერ დროსტარების მოყვარული ზაჰირ შაჰი მართავდა, შემდეგ კი – მისი დეიდაშვილი დაუდი, რომელმაც, თუმცა პოლიტიკა შედარებით გაამკაცრა და ციხეები პოლიტიკური პატიმრებით გაავსო, მაინც მომლხენი, თანამედროვე და დასავლური ორიენტაციის მქონე მმართველად წარმოაჩენდა თავს.

სასტუმროს შენობაში ბარიც ფუნქციონირებდა და ღამის კლუბიც, მაგრამ მალე ამ ყველაფერსაც იგივე ბედი ეწია, რაც თავად ქვეყანას. სამოქალაქო ომმა სასტუმრო მნიშვნელოვნად დააზიანა. ოთახების კედლები ტყვიებითაა დახვრეტილი, აივნები და სახურავი კი ყუმბარების აფეთქებისას ჩამოინგრა. ომის შემდეგ თალიბთა მმართველობა დამყარდა და ამ დროს სასტუმროს აღდგენა თავშიც არავის

მოსვლია. ქვეყნისადმი ინტერესი ნაკლები იყო და დაბომბილი სასტუმროს აღდგენის საჭიროებას ვერავინ გრძნობდა. მოლეს, ქვეყანას რომ მართავდნენ, ტურიზმის განვითარება სრულიად არ ადარდებდათ. პირიქით, არც აწყობდათ ავღანეთში უცხოელების შეშვება. ამის გამო ისედაც და ზიანებული სასტუმრო კიდევ უფრო მეტად გაპარტახდა.

ახლა ქაბულს კვლავ ახალი მმართველები ჰყავს და მათი ხელი სასტუმროსაც დაეტყო. დახვრეტილი კედლები შელესეს და ჩამსხვრეული მინები გამოცვალეს. ხელოსნები სახურავის შეკეთებასაც ცდილობენ. ხანდახან ელექტრიკოსებიც მოდიან და გენერატორს რის ვაივავლახით ქოქავენ. ეს ძირითადად მაშინ ხდება, როცა სასტუმროში მნიშვნელოვანი შეხვედრა უნდა გაიმართოს და მიკროფონებისა და ხმის გამაძლიერებლების შეერთებაა საჭირო.

სასტუმროს მისაღები აიმალის ერთადერთი გასართობი ადგილია. როცა საქმე არ აქვს, აქეთ-იქით დასეირნობს და სველ იატაკზე სრიალებს. მაგრამ საშინელი მონყენილობისა და სიმარტოვის შეგრძნება არასოდეს ტოვებს. ხანდახან დამლაგებლებს, მისაღებში მომუშავე გოგონებს, დაცვის ბიჭებს, დარაჯებს, სხვა მალაზიების გამყიდველებსა და უცხო სტუმრებსაც გამოელაპარაკება ხოლმე. ერთი ვაცი მასავით მთელი დღე დგას და ტრადიციულ ავღანურ სამკაულს ყიდის, მაგრამ სტუმრებში ამ ნივთებზე დიდი მოთხოვნილება არაა, მეორე გამყიდველს სუვენირები გამოუფენია, მაგრამ საქონელზე ისეთი ფასები უდევს, რომ სტუმრები ყიდვას ვი არა, დახლისკენ მოხედვასაც ვეღარ ბედავენ.

ზოგიერთი მალაზიის დამტკვრილი ვიტრინები ქალაქით ან სქელი ფარდით დაუფარავთ. ერთ-ერთ მათგანზე მიკრულ აბრას დიდი ასოებით „Ariana Airlines“ აწერია. ის ერთ დროს ეროვნული, საკმაოდ წარმატებული ავიაკომპანია იყო და საკუთარ ავიახომალდებსაც ფლობდა. მომხიბვლელი ბორტგამცილებელი ქალები ვი მგზავრებს

ვისკისა და კონიაკს სთავაზობდნენ. ბევრი თვითმფრინავი სამოქალაქო ომს შეენირა, დანარჩენები კი – იმ დროს, როცა ამერიკელები ოსამა ბინ ლადენსა და მოლა ომარზე ნადირობდნენ. დაბომბვებს ერთადერთი ხომალდი გადაურჩა. 11 სექტემბერს ის ნიუ-დელის აეროპორტში იდგა. მფლობელები ამ ერთადერთი თვითმფრინავით მუშაობენ. რეისი – ქაბული-ნიუდელი-ქაბული კვლავ სრულდება, მაგრამ აქედან შემოსული თანხა კარგა ხნის წინ დალუქული ოფისის გასახსნელად საკმარისი მაინც არ არის.

სასტუმროს მისაღების ბოლოში რესტორანია, სადაც მთელ ქაბულში ყველაზე უგემურ კერძებს ამზადებენ, სამაგიეროდ, იქ ქალაქის საუკეთესო მიმტანები მუშაობენ. ამით თითქოს იმ უგემური ბრინჯის, გამომშრალი ქათმისა და დამჭვანარი სტაფილოსგან მომზადებული სადილების კომპენსაციას ახდენენ, კლიენტს რომ სთავაზობენ.

მისაღების ცენტრში მწვანე ხალიჩით სალოცავი ადგილია გამოყოფილი. ლოცვის ჟამს მინისტრებიც, დარაჯებიცა და მიმტანებიც ამ ხალიჩაზე გვერდიგვერდ, ორ რიგად იჩოქებენ ხოლმე. ღმერთის წინაშე ხომ ყველა თანასწორია! თუმცა, პატარა სალოცავი ოთახი სასტუმროს სარდაფშიც მოუნყვიათ.

აიმალის მალაზიის წინ, ერთ მორყეულ მაგიდაზე ტელევიზორი დგას, რომელიც სულ ჩართულია. ქაბულის ტელევიზია, ერთადერთი არხი მთელს ავღანეთში, მაყურებელს რაიმე საინტერესოს იშვიათად სთავაზობს. ძირითადად რელიგიურ პროგრამებს, უაზროდ განწყობილ დებატებსა და ახალ ამბებს გადმოსცემენ. ხშირად ავღანეთის ხედებსაც უჩვენებენ, ამ კადრებს ტრადიციული ავღანური მუსიკა ერთვის, ტელევიზიაში რამდენიმე დიქტორი ქალი მუშაობს, მაგრამ მომღერლები და მოცეკვავეები ყოველთვის მამაკაცები არიან. ხელმძღვანელობა ამას იმით ხსნის, რომ ძველ კანონებს მიჩვეული ხალხი სიახლისთვის ჯერ მზად არ არის. აიმალი ტელევიზორს მაშინ თუ მიუსკუპდება ხოლმე, როცა პოლონურ ან ჩეხურ მულტფილმებს უჩვენებენ, თუმცა მათი უმრავლესობა ნანახი აქვს.

სასტუმროს ეზოში აუზია, რომელიც ერთ დროს ამ დაწესებულების სიამაყე იყო. აუზი ცხელი ზაფხულის ერთ დღეს დიდი ბარ-ზეიმით გაუხსნიათ. იმ ზაფხულს აქ ბანაობა ქაბულის ნებისმიერ მოსახლეს შეეძლო. მსურველები, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. იმის გამო, რომ წყლის გამწმენდი სისტემის დამონტაჟება აზრადაც კი არავის მოსვლია, აუზი მალე დაბინძურდა და საბოლოოდ დაიხურა კიდევ როგორც მოგვიანებით გაირკვა, უსუფთაო წყალში ბანაობის შემდეგ ბევრი ადამიანი კანის დაავადებებს უჩიოდა, იმასაც კი ამბობდნენ, რამდენიმე მათგანი სიკვდილს ვერ გადაურჩაო, ასეთი სევდიანი დასასრული ჰქონდა ამ აუზის ისტორიას.

ახლა აუზის ღია ცისფერი ფსკერი მტვრის სქელი ფენითაა დაფარული და ამ ხედს ვერც გაბარდული, ნახევრად გამხმარი ვარდის ბუჩქები ფარავს. იქვე, მოშორებით, ასევე გაუქმებული ჩოგბურთის სათამაშო მოედანია. სასტუმროს ტელეფონების წიგნში მსურველთათვის მწვრთნელის ნომერიც კია მითითებული, მაგრამ ჩოგბურთის სათამაშოდ ამ გაზაფხულს ქაბულში ნამდვილად არავის სცალია.

აიმალი მთელი დღე მისაღებში დაბორიალებს, თან მყიდველის მოლოდინში თავის მაღაზიას თვალს არ აცილებს. იყო დრო, როცა თაროებზე დაწყობილი საქონელი თვალის დახამხამებაში საღებობდა, აიმალი კი სტუმრების მომსახურებას ვერ აუდიოდა. თალიბთა ქალაქიდან განდევნის შემდეგ სასტუმროს დერეფნები პრესის წარმომადგენლებით აივსო. ჟურნალისტები, რომლებსაც ჩრდილო-აღმოსავლურ ჯარისკაცებთან ერთად თვეების განმავლობაში მხოლოდ ბრინჯსა და მწვანე ჩაიზე უწევდათ ყოფნა, აიმალის პატარა მაღაზიას მიანყდნენ. „სნიკერსითა“ და „ბაუნტი“ პირის ჩატკბარუნება ყველას სურდა. ერთ ბოთლ წყალში თითქმის ოცდაათ კრონას იხდიდნენ, მცირე ზომის მდნარი ყველის პაკეტში – ოთხმოცდაათს და ერთ ქილა გეთისხილში – კიდევ უფრო მეტს...

თალიბთა გაძევებისა და ქაბულის დაკავების გამო ალტყინებულ ჟურნალისტებს ასეთი ფასები დიდად არ ადარდებდათ, მამაკაცებს ჭუჭყიანი სამხედრო ფორმები ეცვათ და წვერი პარტიზანი მებრძოლებივით მოეშვათ. ქალებს კი, რომელთა უმრავლესობას ქერა თმა და ღია ვარდისფერი სახის კანი ჰქონდა, მამაკაცებივით ეცვათ და ტალახიანი სამხედრო ჩექმებით დააბოტებდნენ.

აიმალი ხშირად ძვრებოდა ხოლმე სასტუმროს სახურავზე, სადაც უკვე დაბანილ-დავარცხნილი, მიკროფონმომარჯვებული ჟურნალისტები კამერების წინ იდგნენ და რეპორტაჟებს გადასცემდნენ. ბევრ მათგანთან ინგლისურად საუბარიც კი გაუბამს. ინგლისური სიტყვები პაკისტანში ლტოლვილად ყოფნისას ისწავლა.

იმ დროს აიმალისთვის არვის უკითხავს, სკოლაში რატომ არ ხარო, ყველამ მშვენივრად იცოდა, რომ ქვეყანაში არც ერთი სკოლა არ მოქმედებდა. ბიჭი დოღარებს ითვლიდა, მონაცემებს კალკულატორით აჯამებდა და ბიზნესმენობაზე ოცნებობდა. მაშინ ფაზილიც მასთან ერთად იყო. ბიჭები სასტუმროს ხმაურიან ცხოვრებას დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ და თან საღაროს ფულით ავსებდნენ. მაგრამ ჟურნალისტები, რომელთა უმეტესობაც მინებჩამსხვრეულ, უწყლო და უშუქო სასტუმრო ოთახებში ცხოვრობდა, რამდენიმე კვირაში გაქრნენ, ომი დასრულდა, ქვეყანაში მმართველი დაინიშნა და ამრიგად, ავღანეთის მიმართ პრესის ინტერესმა საგრძნობლად იკლო.

ჟურნალისტების წასვლის შემდეგ სასტუმროში ავღანეთის ახლად დანიშნული მინისტრები, მათი მდივნები და დამხმარე პერსონალი შესახლდნენ. ამჯერად მისაღები ჩალმიანი, შავვკრემანი ყანდაარელი პუშტუნებით, შარვალ-კოსტიუმიანი ავღანელებითა და წვერგა-პარსული სამხედრო მეთაურებით გაივსო. სასტუმრო იმ პირთა თავშესაფრად იქცა, ქვეყანას რომ მართავდნენ, მაგრამ ქაბულში საცხოვრებელი არ ჰქონდათ. ამ პირებს კი აიმალი სულაც არ ადარდებ-

დათ და არც მის მაღაზიაში ყიდულობდნენ რამეს. „ბაუნტი“ ბევრ მათგანს არც არასოდეს გაესინჯა, წყალს კი ონკანიდანაც მშვენივრად სვამდნენ. აიმალის „იმპორტულ“ საქონელს, „იტალიურ“ ზეთისხილსა და ვადაგასულ „ფრანგულ“ მდნარ ყველს აღარავინ ეტანებოდა.

იშვიათად სასტუმროში რამდენიმე ჟურნალისტი კვლავ გამოჩნდებოდა ხოლმე და აიმალის მაღაზიას მიაშურებდა.

– შენ ისევ აქ ხარ? სკოლაში რატომ არ დადიხარ? – ეკითხებოდნენ ისინი ბიჭუნას.

– სკოლაში ნაშუადღევს მივდივარ, – პასუხობდა აიმალი დილის მყიდველებს, მოგვიანებით მისულებს კი ატყუებდა გაკვეთილებზე დილით ვიყავიო, არ უნდოდა, ვინმეს მანანწალა ჰატარა უვიცი ბიჭი ჰგონებოდა. აიმალი ხომ შეძლებული ოჯახის შვილია. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე მიაჩნია. მამამისი, სიტყვის ნამდვილი ოსტატი და უამრავი საინტერესო ისტორიის მცოდნე სულთანის, მდიდრული წიგნების მაღაზიის მფლობელი და თავის წიგნების იმპერიასთან დაკავშირებული უზარმაზარი ოცნებები და გეგმები აქვს. რა ქნას, რომ შვილების გარდა არავის ენდობა და თავის მაღაზიებში სხვას არავის ამუშავებს. არც იმაზე იწუხებს თავს, რომ შვილები რომელიმე ახლად გახსნილ სკოლაში სასწავლებლად გაუშვას. აიმალის დაჟინებულ თხოვნაზე სულთანს ასეთი პასუხი ჰქონდა:

– შენ ბიზნესმენი უნდა გამოხვიდე და ამ საქმეს ყველაზე კარგად მაღაზიაში ისწავლი!

აიმალი მაღაზიაში მუშაობით სულ უფრო და უფრო უკმაყოფილო იყო. სახის კანიც თანდათანობით გაუფერმკრთალდა და გაეცრიცა. სუსტი, ბავშვური სხეული მოუდუნდა. ზოგიერთებმა „სევდიანი ბიჭუნაც“ კი შეარქვეს. შინ მისული აიმალი ძმებს ელლაბუცებოდა და მოზღვავებულ ენერგიას ამაში თუ დახარჯავდა. თავისი ტოლი მამიდაშვილის, ფაზილის, თეთრი შურით შურდა. ფაზილი საფრანგეთის მი-

ერ დაფინანსებულ სკოლაში სწავლობდა და ჩანთით წიგნებს, სახაზავებს, სათლელებსა და კალმისტრებს დაატარებდა. სკოლიდან დაბრუნებულს მოსაყოლივ ბევრი ჰქონდა.

– ის ობოლი, ღარიბი ფაზილიც კი დადის სკოლაში... – შესჩიოდა აიმალი თავის უფროს ძმას, მანსურს, – მე კი... მე, რომელსაც ასეთი განათლებული მამა მყავს, დღეში თორმეტ საათს ვმუშაობ. ჩემი ასაკის ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ, მეგობრები ჰყავთ და აქეთ-იქით დარბიან...

მანსურიც ასე ფიქრობდა. არც მას მოსწონდა, ჰატარა აიმალი მთელი დღე იმ ბნელ მაღაზიაში რომ იდგა. მამასთან დალაპარაკებაც კი სცადა და სთხოვა, აიმალი სკოლაში მივიყვანოთო.

მოგვიანებით, – უპასუხა სულთანმა, – ცოტა მოგვიანებით! ახლა კი ყველანი ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ! ჩვენს იმპერიას საფუძველი სწორედ ახლა უნდა ჩავუყაროთ.

რალა დარჩენია აიმალს?! სახლიდან გაიპაროს თუ დილაუთენია ადგომამე საბოლოოდ თქვას უარი?!

როცა სულთანი საქმეებზე მიემგზავრება, ბიჭუნა მაღაზიას კეტავს, ბნელი მისაღებიდან იპარება და ქუჩაში დასეირნობს იმ იმედით, რომ რომელიმე თანატოლს გაეთამაშება, ან ვინმეს გამოელაპარაკება. ერთხელ იმ ადგილას, სადაც მანქანებს აჩერებენ, რომელიღაც ბრიტანული ორგანიზაციის წარმომადგენელი მამაკაცი მივიდა. მან მოულოდნელად მანქანებს შორის თავისი მანქანა იცნო, რომელიც თურმე თალიბებს გაეტაცებინათ. ბრიტანელმა საქმის ვითარება გაიკითხა და გაარკვია, რომ ამჯერად მისი მანქანის მფლობელი ვიღაც მინისტრი იყო. მინისტრი კი ირწმუნებოდა, რომ მანქანა ყველანაირი კანონის დაცვით ჰქონდა ნაყიდი.

ეს ბრიტანელი ხანდახან აიმალის მაღაზიაშიც შეივლიდა ხოლმე. ჰატარა გამყიდველი ყოველთვის ეკითხებოდა მანქანის ამბავს.

– რა უნდა ვთქვა, – ხელი ჩაიქნია ბოლოს ბრიტანელმა, – ის მანქანა სამუდამოდ დაკარგულია... ძველი ყაჩაღები ახლებმა ჩაანაცვლეს.

ხანდახან სასტუმროს მისაღები ხალხით ივსება და აიმალის ერთფეროვანი ყოველდღიურობაც ცოტა ხალისდება. ასე მოხდა მაშინაც, როცა ავიაციის მინისტრი მოკლეს. აბდულ რაჰმანს, სხვა მინისტრების მსგავსად, ამ სასტუმროში დაედო ბინა. თალიბანის დაცემის შემდეგ ბონში გამართულ გაეროს შეკრებაზე ავღანეთის ახალი მთავრობის არჩევის საკითხი დადგა. აბდულ რაჰმანს ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა და ამიტომაც ერთ-ერთ მინისტრად მისი კანდიდატურა დასახელდა. მოწინააღმდეგეები კი ამ ახლად დანიშნულ ძალოვანს გაიძვერას და მექალთანეს უწოდებდნენ.

უბედურების მიზეზი ის გახდა, რომ ერთ-ერთმა სააგენტომ მექაში მიმავალი ჰაჭიები ანუ პილიგრიმები გააცურა და არარსებული რეისის ბილეთები მიასაღა. მოტყუებული პილიგრიმები ქაბულის აეროპორტში ამოდ იცდიდნენ, Ariana-მ ჩარტერული რეისი მექაში კი გაუშვა, მაგრამ თვითმფრინავში ყველასთვის საკმარისი ადგილი არ აღმოჩნდა.

განზილებულმა ჰაჭიებმა მოულოდნელად რეისიდან უკან დაბრუნებული თვითმფრინავი შენიშნეს, რომელიც უკვე ნიუ-დელიში გასაფრენად ემზადებოდა. დელიში ავიაციის მინისტრი მიემგზავრებოდა და ამიტომ ჰაჭიებს თვითმფრინავში ასვლაზე უარი განუცხადეს. უარით გაცოფებულმა პილიგრიმებმა მომსახურე პერსონალი ძალით გაარღვიეს და ხომალდზე აიჭრნენ, სადაც მინისტრი და მისი რამდენიმე თანამშრომელი უდარდელად მოკალათებულიყვნენ. მინისტრი ადგილიდან წამოაგდეს და სასიკვდილოდ სცემეს.

აიმალმა ამ ამბის შესახებ ერთ-ერთმა პირველმა შეიტყო. სასტუმროს მისაღებში დიდი ამბავი იყო, ყველას აინტერესებდა მკვლელობის დეტალები. ერთი ვერსია მეორეს ენაცვლებოდა. ზოგი ფიქრობ-

და, რომ ამ საქმის უკან დამკვეთი იდგა. საქმის გარშემო უამრავი უპასუხო კითხვა გაჩნდა: იქნებ ეს მკვლელობა ახალი შეიარაღებული აჯანყების დასაწყისი ან ეთნიკურ ნიადაგზე წამოჭრილი კონფლიქტია?

იქნებ ტაჯიკები აუმხედრდნენ პუშტუნებს? ან იქნებ პირად მტრობას ჰქონდა ადგილი? თუ ეს ყველაფერი მხოლოდ მოტყუებული პილიგრიმების შურისძიება იყო?

იმ დღეს სასტუმროში ყოფნა კიდევ უფრო აუტანელი გახდა. ყველა სერიოზული, დაძაბული სახით დადიოდა და დაბალ ხმაზე საუბრობდა. აიმალს ტირილი მოერია, თავის „სევდიან ოთახში“ გამოიკეტა და „სნიკერსის“ ჭამა დაიწყო. მყუდროება იატაკის მოსახვეტად და ნაგვის გადასაყრელად შესულმა დამლაგებელმა დაურღვია.

– რაღაც მონყენილი ჩანხარ, აიმალ! – უთხრა კაცმა.

– ჯიგარ ხუნ... – მიუგო ბიჭმა, რაც სპარსულად ღრმა მწუხარებაში ყოფნას ნიშნავს.

– იცნობდი?

– ვის?

– მინისტრს – არა, – უპასუხა აიმალმა, – თუმცა როგორ არა...

ცოტათი...

– ბიჭს იმის თქმა უფრო უადვილდებოდა, რომ გული გარდაცვლილი მინისტრის გამო უდუღდა, ვიდრე აღიარება, რომ სინამდვილეში თავის დაკარგულ ბავშვობას დასტიროდა.

დურგალი

მანსური ქოშინით შერბის მამის მაღაზიაში. ხელში ქაღალდების პატარა დასტა უჭირავს.

– ორასი ცალი საფოსტო ბარათი! – სულს ძლივს ითქვამს ბიჭი, სახე ოფლის წვეთებით აქვს დანამული, – მას ორასი ცალი საფოსტო ბარათის მოპარვა უნდოდა...

– ვის? – ეკითხება სულთანი, გამომთვლელ მანქანას დახლზე დებს, საბოლოო მონაცემებს საბუღალტრო აღრიცხვის წიგნში ინიშნავს და ვაჟიშვილს ცნობისმოყვარე მზერას ავლებს. – დურგალს!

– დურგალს? – იმეორებს გაოცებული სულთანი, – დარწმუნებული ხარ?

მანსური ყავისფერ კონვერტს ისეთი სიამაყით აგდებს დახლზე, თითქოს მამის ქონება საშიში მაფიოზური დაჯგუფებისგან იხსნა.

– ორასი ცალი საფოსტო ბარათი, – ამბობს ისევ, – მაღაზიიდან რომ გადიოდა, სახეზე უცნაური გამომეტყველება ჰქონდა. თაროები დაამონტაჟა და, რადგან დღეს მისი მუშაობის ბოლო დღე იყო, მისი უცნაურობაც ამას დავაბრალებ... გასვლისას მითხრა, სამუშაო მჭირდება და კიდევ ხომ დამავალებთ რამესო. ვუპასუხე, მამას ვკითხავ-

მეთქი. სწორედ ამ დროს შევამჩნიე, რომ მარცხენა ჯიბეში რაღაც ჰქონდა ჩაჩურთული ჯიბეში რა გაქვს-მეთქი, ვკითხე. ის კი დაიბნა. თან მოვიყოლოე, მიპასუხა. ვთხოვე, რომ ეჩვენებინა. მან ცივი უარი მომახალა. ბოლოს ძალით ამოვაძრე კონვერტი და მაშინვე შენკვე გამოვიქეცი. როგორც ჩანს, საფოსტო ბარათების მოპარვა უნდოდა, მაგრამ მე რას გამომაპარებდა!

მანსურმა მომხდარი შეძლებისდაგვარად გააბუქა. სინამდვილეში როცა ჯალალუდინი საქმეს მორჩა და წასასვლელად გაემზადა, მანსური მაღაზიაში დახლთან იჯდა და თვლემდა. ქურდობაში კი დურგალი მაღაზიის დამლაგებელმა აბდურმა ამხილა. სწორედ მან დაინახა, როგორ იჩურთავდა ჯიბეში დურგალი საფოსტო ბარათებს. ის რომ არა, ჯალალუდინი ისე წავიდოდა, მანსური ვერაფერსაც ვერ მიხვდებოდა.

დამლაგებელი ერთი ღარიბი ხაზარი ბიჭი იყო. ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ავღანეთის ყველაზე დაბალ სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან.

– ახლავე უჩვენე მანსურს, რა გაქვს ჯიბეში! – ხმამაღლა უყვირა ჯალალუდინს აბდურმა, რომელიც ხმას იშვიათად თუ ამოიღებდა ხოლმე. მანსური მაშინღა გამოფხიზლდა...

– ახლა კი მამის წინაშე გამოჭიმულა და თავისი „გმირობის“ შესახებ უყვება.

სულთანი მშვიდად იქეჭება ქალაქლების შეკვრაში და – ჰმ! ახლა სად არის?

– სახლში გავუშვი, მაგრამ ვუთხარი, რომ ამ საქმიდან ასე ადვილად ვერ გამოძვრებოდა.

სულთანი ხმას არ იღებს. ის დღე გაახსენდა, დურგალი პირველად რომ მივიდა მასთან. ისინი თანასოფლელები იყვნენ და სულთანი სარივით გამხდარ, თვალეზადმოკარკლულ ბიჭს ბავშვობიდან იცნობდა. ორმოცი წლის ჯალალუდინი წელში მოხუცივით მოხრი-

ლიყო. ღარიბი, მაგრამ პატიოსანი ოჯახიდან იყო. მამამისიც დურგალი იყო, მაგრამ მხედველობა დასუსტებოდა და მუშაობას ვეღარ ახერხებდა.

სულთანს უხაროდა, რომ უპოვარი თანასოფლელი დაასაქმა.

გარდა ჩვეულებრივი თაროებისა, რომლებიც მის მაღაზიაში უხვად იყო, ისეთი თაროებიც სჭირდებოდა, სადაც ახალ წიგნებს გამოფენდა. თანამედროვე თაროები მის მაღაზიას ევროპულ იერს შესძენდა. ჯალალუდინს ხელობა ეხერხებოდა და თაროების დამონტაჟებაზე უპრობლემოდ შეთანხმდნენ.

კმაყოფილი დურგალი, რომელსაც დღეში ოცდაათი კრონა (დაახლოებით 50 ცენტის ეკვივალენტი) უნდა მიეღო, თავისი სამუშაო იარაღებითა და საჭირო მასალით სამსახურში მეორე დღესვე გამოცხადდა.

მაღაზიაზე მიშენებულ სანყობში სადურგლო სახელოსნო მოაწყვეს. ამგვარად, ხელოსანს, რომელიც ახალ თაროებს გულმოდგინედ ჩარხავდა, ყოველდღე იმ ოთახში უწევდა ყოფნა, სადაც საფოსტო ბარათებით გატენილი უამრავი თარო, ცელოფნის პარკი და ყუთი ელაგა. ბარათები, რომლებსაც სულთანი პაკისტანში იათად ბეჭდავდა და შემდეგ გაცილებით ძვირად ყიდდა, ვაჭრის შემოსავლის უმთავრესი წყარო იყო. ბარათებისთვის იმ ფოტოებს ირჩევდა, რომლებიც თავად მოეწონებოდა და მხატვრისა თუ ფოტოგრაფის საავტორო უფლებები სრულიად არ ადარდებდა. ზოგიერთმა ფოტოგრაფმა თავად მისცა სურათები უსასყიდლოდ. საფოსტო ბარათებს კარგი გასავალი ჰქონდა. ძირითადი მყიდველები საერთაშორისო სამშვიდობო ძალებში მომსახურე ჯარისკაცები იყვნენ. ავღანური მოტივები მათ განსაკუთრებით ხიბლავდათ. ბარათებზე ბურკით შემოსილი ქალები, ტანკებზე ასკუპებული პატარები, ძველი დროის დედოფლები, ბუდას ქანდაკებები, ბუზკამთა ცხენები, ეროვნულ ტანსაცმელში გამონყობილი ბავშვები, ავღანეთის ბუნების სურათები და ძველი და თანამედროვე ქაბულის ხედები იყო გამოსახული. თემებს

სულთანნი დიდი ოსტატობით ირჩევდა და დღიურად ასობით საფოსტო ბარათსაც ყიდდა.

ჯალალუდინის დღიური შემოსავალი დაახლოებით ცხრა ცალი ასეთი ღია ბარათის საფასურს უდრიდა.

– მაშ, ორასი ცალი, არა? – მცირე ფიქრის შემდეგ იკითხა სულთანმა, – როგორ გგონია, ეს პირველი შემთხვევაა?

– არ ვიცი, ასე მითხრა, ფულის გადახდას ვაპირებდი, მაგრამ დამავინცდაო.

– მაგას დაგვაჯერებს ზუსტად!

– ნაღდად ვილაცის დავალებით მოიპარა! – ამტკიცებდა მანსური, – თავად ამ ბარათების გაყიდვა აზრადაც არ მოუვიდოდა. ისიც არა მგონია, ბარათები თავისი საწოლის თავზე, კედელზე გასაკრავად სდომოდა.

სულთანმა შეიგინა. ახლა ამის დრო ნამდვილად არ ჰქონდა. ორ დღეში ირანში გამგზავრებას აპირებდა, ათასი პრობლემა ჰქონდა მოსაგვარებელი. მაგრამ ჯერ ამ საქმეს უნდა მიხედოს. მისი ქონების ძარცვა არავის არ უნდა შერჩეს!

– ცოტა ხანს მაღაზიას მიმიხედე, მე კი მასთან სახლში წავალ! – უთხრა სულთანმა მანსურს, – ეს ამბავი ბოლომდე უნდა გამოვიძიო.

თან რასული გაიყოლა, რომელიც დურგალს კარგად იცნობდა. რამდენიმე წუთში მათი მანქანა სოფელ დეჰ ხუდაიდის დანგრეულ გზაზე მირახრახებდა და მტვრის სქელ ბუღს ტოვებდა.

– იცოდე, არ არის აუცილებელი, ეს ამბავი მთელმა მისმა ოჯახმა გაიგოს! – უთხრა სულთანმა რასულს, როცა ჯალალუდინის სახლს მიუახლოვდნენ.

სოფლის მაღაზიის მახლობლად, შესახვევში, კაცები შეჯგუფულიყვნენ. მათ შორის ჯალალუდინის მამა – ფაიზიც იყო. მან სტუმრებს გულითადად გაუღიმა, ხელი ჩამოართვა, გადაეხვია და ჩაიზე

შეიპატიჟა. აშკარა იყო, მოხუცმა მოპარული საფოსტო ბარათების შესახებ არაფერი იცოდა. სულთანს ბირჟაზე მდგომი სხვა თანასოფლელებიც გამოელაპარაკნენ.

– შენი შვილის ნახვა მინდოდა, – უთხრა სულთანმა ფაიზს, – შეგიძლია დაუძახო?

კაცი ებოში გაუჩინარდა და ცოტა ხნის შემდეგ თავის ვაჟთან ერთად დაბრუნდა. ჯალალუდინი სულთნისთვის სახეში შეხედვას ვერ ბედავდა.

– ცოტა ხნით მაღაზიაში მჭირდები... შეგიძლია წამოხვიდე? – ჰკითხა სულთანმა. დურგალმა თავი მდუმარედ დაუკრა.

– ჩაიბე აუცილებლად გვეწვიე! – მიაძახა მანქანისკენ მიმავალ სულთანს მოხუცმა მამამ.

– ხომ იცი, რაზეც უნდა ვილაპარაკოთ? – მშრალად ეკითხება სულთანი ჯალალუდინს. ისინი მანქანის უკანა სავარძელზე სხედან, საჭესთან კი რასული ზის. ვაცები ვაკილის ძმასთან, პოლიციელ მირჯანთან მიდიან.

– მე მხოლოდ მათი დათვალიერება მინდოდა. მერე ისევ უკან უნდა დამებრუნებინა... მინდოდა, ბავშვებისთვის მეჩვენებინა... წელში საცოდავად მოხრილი დურგალი სკამის კუთხეშია მიკუნჭული. მომუშტული ხელის მტევნები მუხლებშუა მოუქცევია, შიგადაშიგ თითებს ნერვიულად იტკაცუნებს და სულთანს საცოდავი, მობუზული ქათამივით შეჰყურებს სულთანი ცდილობს, მღელვარება არ დაეტყოს, და მშვიდი ტონით ეუბნება:

– მაინტერესებს, რამდენი ბარათი აიღე.

– მხოლოდ ის, რაც თქვენ ნახეთ...

– არ მჯერა!

– მართალს ვამბობ.

– თუ არ გამოტყდები, პოლიციაში გიჩივლებ!

დურგალი სულთნის ხელს საკოცნელად სწვდება. სულთანი ცივად იცილებს თავიდან და ეუბნება:

– სისულელეებს თავი დაანებე! ეს რა საქციელია!

– ალაჰის მადლმა... ნამუსსა და პატიოსნებას გეფიცები, იმაზე მეტი არ ამიღია. გემუდარები, ციხეში ნუ გამომამწყვდევ ყველაფრის საფასურს გადაგიხდი... მე პატიოსანი ვატი ვარ, მაჰატიე, სისულელე ჩავიდინე... მომიტევე! შვიდი მცირეწლოვანი შვილი მყავს, ორი ქალიშვილი დამბლითაა დაავადებული. ცოლი ისევ ორსულადაა, სახლში ვი საჭმელი არაფერი გვაქვს. ბავშვებს შიმშილისგან გული მისდით. ცოლი ყოველდღე ტირის... ჩემი შემოსავალი ოჯახის სარჩენად საკმარისი არაა. მთელი დღე ვარტოფილსა და ცოტაოდენ ბოსტნეულზე ვართ. იმის საშუალებაც ვი არ გვაქვს, ბრინჯი ვიყიდოთ. დედაჩემი საავადმყოფოებსა და რესტორნებში მათხოვრობს, ხანდახან საჭმლის ნარჩენებს მაღაზიებში ვყიდულობთ რამდენიმე დღეა, პური თვალით არ გვინახავს საკუთარი შვილების გარდა, ჩემი დის ხუთ შვილსაც ვინახავ, რადგან მისი ქმარი საერთოდ არ მუშაობს. ერთ პატარა ქოხში ამდენი სული ვცხოვრობთ ჩემს მოხუც ბებიასთან, დედასთან და მამასთან ერთად.

– არჩევანი შენზეა. აღიარე, რომ ბარათები მანამდეც მოგიპარავს და ციხეს ასცდები, – ეუბნება სულთან.

დურგალი კვლავ იმავეს ამტკიცებს და თავის უპოვრობაზე წუნუნს იწყებს, ვაჭარი ვი არ ცხრება და მონოტონურად უმეორებს, მითხარი, რომ ბარათები ადრეც მოგიპარავს და იმ პიროვნების სახელი და გვარიც დამისახელე, ვისაც ეს ბარათები მიჰყიდევ.

– ამასობაში ქაბულს კვებენ და ისევ სოფლის გზას ადგანან. ტალახიან ქუჩებში მანქანა გაჭირვებით მიიწევს წინ. სოფლელები შინისაკენ მიიქეჩრიან. ფეხშიშველა პატარები ყიჟინით დარბიან ეზოებში. რომელიღაც სახლთან უპატრონო ძაღლები შეჭგუფებულან და ერთმანეთს ძვლის გამო უღრენენ. ველოსიპედით ფრთხილად მიმავალ მამაკაცს უკან ბურკიანი ცოლი შემოუსვამს გვერდულად. ერთი მოხუცი ვი ღრმა ტალახში რის ვაივავლახით მიათრევს ფორთოხლე-

ბით დატვირთულ პანანინა ურიკას. ნიაღვარს ნაკელი, საჭმლის ნარჩენები და სხვა ნაგავი მოუგროვებია და მთელი ეს სიბინძურე გზაზე მოფენილი.

რასული მანქანას ალაყაფის წინ აჩერებს. მერე მანქანიდან გადადის და კარზე აკაკუნებს. რამდენიმე წუთში მირჯანი გამოდის, სტუმრებს მეგობრულად ესალმება და შინ ეპატიჟება. სტუმრების ფეხის ხმაზე ოჯახის ქალები სწრაფად ეფარებიან თვალს. ზოგი მათგანი ოთახის ოდნავ შეღებული კარის ღრიჭოდან იჭყიტება, სხვები კი ოთახში ტიხრად ჩამოკიდულ ფარდას ამოფარებიან. გვიანი სტუმრობის მიზეზი ყველას აინტერესებს, მაგრამ უცხო მამაკაცების წინაშე გამოჩენა არ შეუძლიათ. დედისა და დების მიერ მომზადებული ჩაით სტუმრებს ვაჟები უმასპინძლდებიან.

– აბა, – ამბობს ნოხზე ფეხმორთხმით მოკალათებული მირჯანი. მას თალიბანისდროინდელი ფარფარა სამოსი აცვია. დაბალი და მსუქანი მირჯანი განიერტოტება შარვალსა და ფართო ტუნიკაში თავს გაცილებით უკეთ გრძნობს, ვიდრე ავღანური პოლიციის უნიფორმაში, რომელიც თალიბანელების დამხობის შემდეგ კვლავ შემოიღეს ხმარებაში. სქელი ლაბადის უნიფორმას, რომელიც რუსული მილიციის ფორმის ყაიდაზე შეკერილი, ციმბირში უფრო გამოიყენებს კაცი, ვიდრე ქაბულში. რამდენიმე წლის განმავლობაში კარადაში ნაკიდ ფორმას ახლა მსუქანი მირჯანი გაჭირვებით იცვამს და ბათხულის ცხელ ამინდებში ოფლად იღვრება ხოლმე.

სულთანი საქმის ვითარებას მოკლეთ აცხობს. მირჯანი ყოველ მათგანს სათითაოდა უსმენს, თითქოს დაკითხვაზე არისო. დაზარალებული ვაჭარო მის გვერდით მის, დურგალი კი – მათ პირისპირ. პოლიციელი მშვიდად ისმენს ამბავს და შიგადაშიგ თავს აკანტურებს.

– შენთვის უკეთესი იქნება, თუ ამ საქმეს აქვე მოვაგვარებთ. თუ არადა, იძულებული გავხდები, საქმე პოლიციას გადავცე – ეუბნება ბოლოს ჯალალუდინს, რომელიც იატაკს უხმოდ დასცქერის და ხელებს ისრესს.

ხუთასამდე ბარათი იქნება... მაგრამ ყველა სახლში მაქვს, ხელიც არ მიხლია და უკანვე დავაბრუნებ! – მცირე ხნის შემდეგ ხმადაბლა ამბობს დურგალი.

– უყურე, ერთი... – დუდუნებს მირჯანი, სულთანს დურგლის ნათქვამი დამაჯერებლად არ მიაჩნია, – დარწმუნებული ვარ, გაცილებით მეტი გაქვს აღებული. აღიარე! დანარჩენები ვის მიჰყიდე? – არ ცხრება ის.

– ყველაფერი აღიარე... შენთვის უკეთესი იქნება! პოლიციაში დაკითხვაზე სულ სხვანაირად მოგექცევიან... იქაც ჩაით და ნაღების ვარამელით ვი არ გაგიმასპინძლდებიან, – ორაზროვნად ამბობს მირჯანი და დურგალს თვალს არ აცილებს.

– გეფიცებით, სიმართლეა! არავისთვის მიმიყიდა. ალაჰის სახელს ვფიცავ! – იმეორებს ბრალდებული და ხან სულთანს შეჰყურებს, ხან – პოლიციელს. ვაჭარი კი კვლავ თავისას ამტკიცებს და ყველაფერი ისევ თავიდან იწყება. ათი საათი ხდება და კომენდანტის საათი ახლოვდება. ქუჩაში გვიან მყოფ მოქალაქეებს კომენდანტები აპატიმრებენ. არაერთხელ სროლის შემთხვევებიც ყოფილა, ამიტომ სულთანი წასასვლელად ემზადება.

მანქანაში მდუმარედ სხდებიან.

ახლა რასული სთხოვს დურგალს, სიმართლე აღიარე, თორემ ამ საქმეს დასასრული არ ექნებაო...

მანქანას ჯალალუდინის სახლთან აჩერებენ. ის სწრაფად შერბის სახლში და ორიოდ წუთში ჭრელ ცხვირსახოცში გამოკრული ბარათების დასტა გამოაქვს. სულთანი უზრუნველად დასცქერის თავის საკუთრებას, რომელიც კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა. მაგრამ ეს დასტა ჯერ საშიხლად უნდა გამოიყენოს.

რასული მანქანას ქოქავს. ყურებჩამოყრილი ჯალალუდინი თავისი სახლის შესახვევში დგას და სოფლის ტალახიან გზაზე მიმავალ მანქანას ნაღვლიან მზერას აყოლებს.

480 ბარათი! ეგბალი და აიმალი ლეიბზე სხედან და ფერად საფოსტო ბარათებს გულდასმით ითვლიან. სულთანი კი ფიქრობს. მისი მაღაზიის სანყოფნაში ასეთი ბარათების უამრავი დასტაა, თითო დასტაში ასი ცალი ბარათი დევს. თუ დურგალმა მთლიანი შეკვრა წაიღო, რაოდენობის გაგება რთული იქნება, მაგრამ თუ ყველა დასტიდან ცოტ-ცოტა გამოაძვრინა, მაშინ მოპარული ბარათების რაოდენობას შედარებით ადვილად დაადგენს.

– ხვალ ზუსტად დავითვალოთ! – ამბობს ბოლოს ვაჭარი მეორე დილას, მაღაზიაში ბარათების დათვლით გართულ სულთანსა და მის ვაჟებს მოულოდნელად დურგალი ადგება თავზე. წელში კიდევ უფრო მეტად მოხრილი ვაცი ნამით კართან ყოვნიდება, მერე სულთანთან მირბის, მის წინ იჩოქებს და ფეხებს უკოცნის.

სულთანი ვაცს ცივად აყენებს და გესლიანად ეუბნება:

– გეყოფა, ადამიანო! შენი მუდარა არაფერში მჭირდება!

– მაჰატიე, მაჰატიე! ყველაფერს გადავიხდი, ყველაფერს... მაგრამ ჩემს დამშეულ შვილებს რა ვუყო?! – ბურტყუნებს დურგალი.

– დღესაც იმავეს გაგიმეორებ! – მკაცრად ეუბნება სულთანი, – შენი ფული არაფერში მჭირდება! მხოლოდ ის მაინტერესებს, რამდენი აიღე და ვის მიჰყიდე!

ჯალალუდინს მისი მოხუცი მამა, ფაიზიც ახლავს. ვაჭრის წინაშე ახლა ის ემხობა მუხლებზე. სულთანი მოხუცს სწვდება და მასაც ფეხზე აყენებს.

– მთელი ღამე ვურტყი... თავს ლაფი დამასხა! ჩემი შვილი პატიოსან ვაცად აღვზარდე და ამან კი რა გამიკეთა! ეს ქურდბაცაცა! – კუთხეში საცოდავად მიყუჟულ შვილს მზერას ავლებს მოხუცი. დურგალი გასანკვლად განწირულ დამნაშავე ბიჭუნასავით კანკალებს.

სულთანი ახლა ფაიზს ეუბნება, რაც მოხდა და უხსნის, რას მოითხოვს მისი შვილისგან.

– მხოლოდ ერთი დღე მომეცი... თუ კიდევ რამე აქვს სათქმელი, ყველაფერს ვათქმევინებ... – ემუდარება ჯალალუდინის მამა, ლატაკი მოხუცი საცოდავი სანახავია. შიშველ ფეხზე დაგლეჯილი ფეხსაცმელი ჩაუცვამს. შარვალი თოკით დაუმაგრებია, გახუნებული და გაცვეთილი ზედატანი საცოდავად ჰკიდია სხეულზე. ისიც თავისი შვილივით გამხდარია. სახითაც ჰგვანან ერთმანეთს, ოღონდ მამას უფრო ხმელი, მუქი და დანაოჭებული სახე აქვს.

ფაიზი ერთხანს მდუმარედ დგას სულთნის წინაშე. სულთანიც დაბნეული ჩანს. ეს მამისტოლა მოხუცი, მუდარით რომ შეჰყურებს, ცოტა არ იყოს, ებრალება კიდევ.

მოულოდნელად მოხუცი ადგილს სწყდება, თაროებთან მიკუნტულ ვაჟთან მირბის და გამეტებით აზელს წიხლს.

– შე მუტრუკო! შე ქურდბაცაცავ! ოჯახის შემარცხვენელო! ნეტავ საერთოდ არ დაბადებულიყავი... არარაობავ! – ყვირის მოხუცი და ჯალალუდინს წიხლებსა და მუშტებს ურტყამს. ჯალალუდინი უფრო მეტად იკუნტება. ბოლოს მამას ხელიდან უსხლტება და მალაზიიდან ელვის სისწრაფით გარბის.

ფაიზი იატაკზე იჩოქებს. ძირს დავარდნილ, ცხვრის ტყავისგან შეკერილ პანანინა ქუდს სწვდება, მცირე ხანს ხელში ნერვიულად ატრიალებს და ისევ თავზე ირგებს. მერე გაჭირვებით დგება ფეხზე, სულთანს ემშვიდობება და მიდის. სულთანი თვალს აყოლებს. მოხუცი თავის ძველ ველოსიპედზე ჯდება და სოფლისკენ მიმავალ გზას ადგება.

სულთანი ისევ ანგარიშს განაგრძობს.

– დურგალი ჩემთან ორმოცი დღე მუშაობდა. დავუშვათ, ყოველდღე ორას ბარათს იღებდა... ჯამში 8000 გამოდის დარწმუნებული ვარ, სულ ცოტა, 8000 ბარათი მაინც ექნება მოჰარული, – ეუბნება მანსურს, რომელიც მდუმარედ დგას და მხოლოდ მხრებს იჩეჩავს.

ბიჭს ახლა ბარათები საერთოდ აღარ ადარდებს, საბრალო დურგალზე ფიქრობს და გული უდუღს. ამ ამბის გაგონება უკვე აღარ სურს.

– ბარათები ხომ დავიბრუნეთ! – ეუბნება მამას, – გასაყიდად ჯკუა ნამდვილად არ ეყოფოდა, მოდი რა, დაივიწყე ეს საქმე... – ეს შეკვეთილი ქურდობა უნდა იყოს! – არ ცხრება სულთანი, – ჭიხურის გამყიდველები, ჩვენთან რომ იძენდნენ ხოლმე ბარათებს, კარგა ხანია, მალაზიაში აღარ შემოსულან. ვფიქრობდი, ჯერჯერობით აღარ სჭირდებათ-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, ბარათებს დურგლისგან მუქთად ყიდულობდნენ. ის კი ისეთი სულელია, ნაღდად ჩალის ფასად ასაღებდა... შენ როგორ გგონია?

მანსური კვლავ მხრებს იჩიჩავს. მამამისს კარგად იცნობს და იცის, მანამ არ მოისვენებს, სანამ ყველაფერს საფუძვლიანად არ გამოიძიებს. ისიც იცის, რომ ეს საქმე ბოლოს მისი მოსაგვარებელი გახდება, რადგან სულთანი ერთი თვით ირანში მიემგზავრება.

– სანამ აქ არ ვიქნები, მოდი, ამ საქმეს შენ და მირჯანმა მიხედეთ! – ამბობს კიდევ სულთანი, – ადრე თუ გვიან სიმართლე მაინც გაცხადდება. ქურდობას არავის შევარჩენ. ხომ შეიძლებოდა, იმ სულელს მთელი ჩემი ბიზნესი ჩაეძირა! წარმოიდგინე: ათასობით ბარათს იპარავდა, რომელსაც შემდეგ სხვა მალაზიებსა და ჭიხურებს ასაღებდა. ისინიც, შესაბამისად, დაბალ ფასს სთავაზობდნენ მყიდველებს. ამგვარად, ყველა ჩემი კლიენტი თანდათანობით მათი მყიდველი გახდებოდა. ჯარისკაცებიც აღარ მოვიდოდნენ აქ, წიგნებსაც აღარავინ იყიდდა ჩემგან, რადგან ხმა გავარდებოდა, სულთანი მეძვირეო... ასე რომ, გაკოტრება არ ამცდებოდა!

მანსური სიბრაზისგან გაშეშებულია და მამამისის თეორიებს მღუმარედ ისმენს. ახალი თავსატეხი დაემატა. ისედაც იმდენი საქმე აქვს, წიგნები უნდა აღწეროს, ჰაკისტანის სტამბებიდან ჩამოსული ახალი წიგნები დაახარისხოს და დაალაგოს, საბუთები მოაწესრიგოს, ძმებს

მანქანით მოემსახუროს და მაღაზიას თვალყური ადევნოს... ახლა კი ამ ყველაფერთან ერთად გამომძიებლობაც დაავალეს!

– კარგი, მივხედავ მაგ საქმეს! – ამბობს ბოლოს, სხვაგვარი პასუხი წარმოუდგენელიც იყო.

– ლმობიერად ნუ მოიქცევი! – ეს იყო თეირანში გასამგზავრებლად გამზადებული ვაჭრის ბოლო სიტყვები.

მამის გამგზავრებისთანავე მანსურს ღურგალიც დაავიწყდა და მის მიერ მოპარული ბარათებიც. მაზარიდან ახლად დაბრუნებულს, ღმერთის წინაშე ალის საფლავზე დადებული აღთქმა მხოლოდ ერთი კვირა გაჰყვა. დღეში ხუთჯერ ლოცვა ყელში ამოუვიდა, მოშვებული წვერი კი კანს უღიზიანებდა. გარდა ამისა, ყველა იმას ეუბნებოდა, მოუვლელად გამოიყურებო. ფართო ტუნიკაში თავს უხერხულად გრძნობდა, მორჩილი მორწმუნის როლში ყოფნა მალევე მობეზრდა და ამგვარად, პილიგრიმობა მხოლოდ და მხოლოდ ერთკვირიან დასვენებად ჩაეთვალა.

სულთნის გამგზავრების პირველივე დღეს თავის ორ ძმაკაცთან ერთად ქეიფი დაგვემა. ბიჭებმა უბბეკური არაყი, სომხური კონიაკი და წითელი ღვინო შავ ბაზარზე ორმაგ ფასად შეიძინეს.

– უკეთეს სასმელს ვერსად ნახავთ, – უთქვამს გამყიდველს, – 40%-იანია... ღვინო კი 42% ალკოჰოლს შეიცავს.

თითო ბოთლში 40 დოლარი გადაიხადეს. აზრადაც არ მოსვლიათ, რომ სინამდვილეში „ფრანგული“ ღვინის ბოთლის ეტიკეტზე გამყიდველმა ერთიანი ოთხიანად თავად გადააკეთა და, ამგვარად, 12-ის ნაცვლად 42% გამოვიდა. სასმელის ღირებულებას ალკოჰოლის პროცენტულობა განსაზღვრავს. მყიდველთა უმეტესობა პატარა ბიჭები არიან და მათთვის მხოლოდ უგონოდ გამოთრობაა მნიშვნელოვანი.

ისლამი ალკოჰოლის მოხმარებას კრძალავს. მანსურს სპირტიანი სასმელი ადრე არასოდეს დაელოა. მეგობრები შებინდებისას, წინასწარ დაქირავებული სასტუმროს ოთახში შეიკრიბნენ. კონიაკსა და

არაყს ერთმანეთში ურევდნენ და ხარბად სვამდნენ. რამდენიმე წუთში უკვე ისეთი მთვრალეები იყვნენ! ერთმანეთს ველარ ცნობდნენ.

– მანსური, რომელსაც ჯერ ძმები უნდა მიეყვანა შინ, სასტუმროში დაგვიანებით მივიდა. მისი გამომტყვრალი მეგობრები ღრიალებდნენ და ჯიუტად გაიძახოდნენ, აივნიდან უნდა გადავხტეთო. ერთმანეთთან ღლაბუცის შემდეგ, ორივე აბაზანაში შევარდა და ყველაფერი უკან ამოიღო...

მთვრალი მეგობრების შემხედვარე მანსურმა დალევა გადაიფიქრა. ისინი კი ისევ უაზროდ ლულლულებდნენ და ათას სისულელეს როშავდნენ. თურმე, სასტუმროში შემოსვლისას ერთი ახალგაზრდა, ლამაზი იაპონელი ჟურნალისტი გოგონა დაენახათ და ახლა იმაზე მსჯელობდნენ, ოთახში როგორ შემოეტყუებინათ. მალევე მიხვდნენ, რომ იმ საღამოს ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. მაშინ ერთ-ერთმა მათგანმა კიდევ უფრო მზაკვრული გეგმა მოიფიქრა:

– ერთი წელი მამაჩემის აფთიაქში ვმუშაობდი. ჰოდა, როცა იქიდან წამოვედი, ბლომად წამლებიც გამოვიყოლე. ერთ საღამოს, ფხიზლები როცა ვიქნებით, ის იაპონელი ჟურნალისტი მოვიპატიჟოთ, სასმელში ძილის წამალი ჩავუყაროთ და როცა გაითიშება, ჩვენ ისე ვისიამოვნებთ, თავად ვერაფერს შეიტყობსო.

მეორე მეგობარი ძმაკაცის გეგმით აღტაცებული დარჩა.

ჯალალუდინის ოჯახის წევრებს მოსვენება აქვთ დაკარგული. ბავშვები იატაკზე წვანან და ჩუმად ქვითინებენ. უკვე რამდენიმე დღეა იმას უყურებენ, როგორ ურტყამს მათ კეთილ მამიკოს ბაბუა და თან ქურდბაცაცას ეძახის. სიბრაზისგან სახეაღწილი მოხუცი ფაიზი ბოლთას სცემს და განუწყვეტლივ იმეორებს, რა დავაშავე ისეთი, ჩემმა შვილმა მთელი ჩემი ოჯახი ლაფში ამოსვარაო...

ქურდბაცაცა ვაჟიშვილი კი გვერდითა ოთახში, ლეიბზე მის. განკვლილ ბეჭებზე წითელი ნაიარევები ამჩნევია და ტკივილის გამო დანოლა ვერ მოუხერხებია.

სულთნის მაღაზიაში დაწყებული ცემა-ტყევა სახლშიც გაგრძელდა. შინდაბრუნებულ ჯალალუდინს მამა წვეპლით დახვდა. მოხუცი დურგალი მორჩილად მოკუნტულ შვილს დაუნდობლად ურტყამდა, ოჯახის წევრები კი ამ ყოველივეს მდუმარედ ადევნებდნენ თვალს, ქალებმა სცადეს, ბავშვები ამ სანახაობისთვის მოერიდებინათ, მაგრამ წასასვლელიც არსად იყო.

ჯალალუდინის პატარა სახლი გზის პირას დგას. ფარღალაღა ფანჯრებზე მინის ნაცვლად ძველი ცვილის სუფრებია აკრული, ერთ ოთახში დურგალს, მის ცოლსა და შვიდ შვილს სძინავთ მეორეში – ჯალალუდინის დედ-მამასა და ბების, მესამეში კი – მის დას თავისი ქმრითა და ხუთი შვილით. დარჩენილ ერთი ციდა ოთახში სამზარეულოა მოწყობილი. აქ ღუმელი, გაზის „პრიმუსი“ და რამდენიმე თაროა მოთავსებული.

ღეიბები, რომლებზეც ჯალალუდინის ბავშვები წვანან, ძონძებისგანაა შეკერილი. ზოგიერთ მათგანს კი მხოლოდ სქელ მუყაოზე დაფენილ ჯვალოს ნაჭერზე სძინავს. დამბლით დაავადებულ გოგონებს ცალ ფეხზე სპეციალური მეტალის ფირფიტა აქვთ მიმაგრებული, გვერდით კი ხელჯოხები უწყვიათ. ორ ბავშვს მთელი სხეული მუნუკებით აქვს დაფარული და ძლიერი ქავილით ვანი კიდევ უფრო უღიზიანდებათ, სწორედ იმ დროს, როცა მანსური და მისი მეგობრები სისულელეებით ერთობოდნენ, დურგალი და მისი საბრალო შვილები ღეიბებზე წრიალებდნენ და დაძინება ვერ მოეხერხებინათ.

მეორე დილას მანსურს თავისუფლების სასიამოვნო განცდათ გაბრუნებულს ეღვიძება. სულთანი გამგზავრა, დურგალი კი აღარავის ახსოვს. ბიჭი მაზარში ნაყიდ მზის სათვალეს ირგებს, სახლიდან გადის და მანქანით ქაბულის ხმაურიან ქუჩებს სწრაფად მიუყვება. ნახევრად დანგრეულ გზაზე, რომელზეც ასფალტი ალაგ-ალაგაა შემორჩენილი, მანქანა ხმაურით მიჩაქჩაქებს. მანსური იგინება და გზაზე სწრაფად გადამსვლელებს გვერდს უქცევს. ნახევრად ჩამოქცეულ კორპუსებსაც სულ მალე უკან იტოვებს.

– პასუხისმგებლობის განცდა ბიჭს ხასიათს გაუმტკიცებს, – უთქვამს სულთანს გამგზავრების წინ.

მანსური ახლა ყველანაირი პასუხისმგებლობისგან თავისუფალია. ის მანქანას უდარდელად მიაქროლებს. სულთნის ჩამოსვლამდე მალაზიის საქმეებს ამიერიდან რასული მოაგვარებს. თვითონ კი გაერთობა. მისი მოვალეობა მხოლოდ ის იქნება, ყოველ დილას ძმები თავ-თავიანთ მალაზიებში ჩამოარიგოს. ერთადერთი ადამიანი, ვისიც მანსურს მართლა ეშინია, მამამისია, მის წინააღმდეგ ვერასოდეს წავა. სულთანს უდიდეს პატივს სცემს, ყოველ შემთხვევაში მაშინ მაინც, როცა ერთად არიან. მანსურს გოგონების გაცნობა სურს. ქაბულში ეს არც თუ ისე ადვილია, რადგან დედები თავიანთ ქალიშვილებს თვალის ჩინივით უფრთხილდებიან. გეგმის განსახორციელებლად მანსური ინგლისური ენის კურსებზე სიარულს იწყებს და იმედოვნებს, რომ იქ ახალგაზრდა, ლამაზ გოგონებს შეხვდება. ასეც არის, პირველივე მეცადინეობაზე უკვე ირჩევს ფავორიტს. მანსური გოგონასთან დაახლოებას ცდილობს, ერთ დღეს თავისი მანქანით სახლამდეც კი მიაცილებს. მალაზიაშიც მიიწვია, მაგრამ გოგონამ იუარა. ერთმანეთს მხოლოდ მეცადინეობებზე ხვდებიან. უფრო ხშირად რომ ისაუბრონ, მანსური მისთვის მობილურ ტელეფონსაც ყიდულობს. თან ასწავლის, როგორ გამოურთოს ხმა, რომ ოჯახის წევრები ვერაფერს მიხვდნენ.

მანსური გულისსწორს ძვირფას საჩუქრებსა და ცოლად მოყვანას ჰპირდება. ერთ დღეს კი ეუბნება, დღეს ვერ განახავ, რადგან მამაჩემის უცხოელ მეგობარს მანქანით უნდა მოვემსახურო. სიტყვა „უცხოელი“ საქმის ვითარებას განსაკუთრებულ ეშხს მატებს. იმავე ნაშუადღევს ქალიშვილი მანსურის მანქანაში სხვა გოგონას ამჩნევს. განბილებული გოგონა ბიჭს თაღლითსა და მოღალატეს უწოდებს და ეუბნება, შენი დანახვა აღარ მინდაო. იმ დღის შემდეგ მეცადინეობებზე აღარ ცხადდება და არც მანსურის ზარებს პასუხობს.

მანსურმა არ იცის, რომელ ბინაში ცხოვრობს გოგონა და მის ნახვას ველარ ახერხებს. თან ეცოდება, რომ ინგლისურის კურსებს თავი დაანება. მას ხომ უცხო ენის სწავლა ძალიან სურდა.

– თუმცა ბიჭი ამ ამბავს მალევე ივიწყებს. მისთვის მარადიულ, ფა-სეულობები ჯერჯერობით არ არსებობს.

ერთ დღეს მეგობრები ქალაქგარეთ ეპატიჟებიან ერთ-ერთ მეგობარს სახლი აქვს ნაქირავები. ბიჭებს ბლომად სასმელი მიაქვთ. თან სამი მეძავიც ახლავთ. მანსური ქალებთან ურთიერთობაზე უარს ამბობს.

მეორე დღეს ძმაკაცს ეტრაბახება, მაგარი დრო გავატარეო, – გამხმარი მორიელი მოვნიეთ. ჯერ ავსრისეთ და ფხვნილად ვაქციეთ, მერე კი თუთუნში ავურიეთ. მაგარი კაიფია... ყველაზე ბოლოს მე დამეძინა, – ენთუზიაზმით ყვება მანსური.

დამლაგებელი აბდური ხვდება, რომ მისი უფროსი ქალებზე ნადირობს და ბიჭს თავისი ნათესავი გოგონას გაცნობას სთავაზობს. მეორე დღესვე წიგნების მაღაზიაში, დივანზე, ჭროლათვალემა ხაზარი გოგონაა დასკუპებული. მაგრამ მანსური წესიერად ვერც კი ასწრებს გოგონას გაცნობას, რადგან სულთნისგან ცნობა მოსდის, ხვალ ადრიანად ჩამოვდივარო. ბიჭი ბურუსიდან მაშინლა ფხიზლდება. მას ხომ მამის არც ერთი თხოვნა არ შეუსრულებია. არც წიგნები აღურიცხავს, არც სანყობი მიულაგებია, არც ახალი შეკვეთების სია შეუდგენია და არც ახალი საქონელი შემოუტანია. დურგლის ამბავი ხომ ერთხელაც არ გახსენებია.

შარიფა შვილს შენუხებული დასტრიალებს თავს.

– რა გჭირს, ჩემო ბიჭუნა, ავად ხომ არ ხარ? – ეკითხება მზრუნველად.

– არაფერიც არ მჭირს! – უხეშად პასუხობს მანსური.

დედა არ ეშვება.

– ნადი რა ისევ იმ პაკისტანში! – ყვირილით ამბობს ბიჭი. – რაც ჩამოხვედი, მას მერე ტვინს მიბურღავ!

– შარიფა ტირილს იწყებს:

– რა დავაშავე, რომ ასეთი ვაჟები მყავს. ჩემი სიახლოვე არც ერთს არ სიამოვნებს! – მოთქვამს ქალი. მანსურზე გაბრაზებული დანარჩენ შვილებს ლანძღავს. შეშინებული პატარა ლატიფა ტირის. ბიბი გიული თავის კუთხეში მიმჭდარა და ხმას არ იღებს. ბულბულა ერთ წერტილს მიშტერებია. სონია ქალიშვილის დამშვიდებას ცდილობს, ლეილა კი ამ დროს სამზარეულოშია და ჭურჭელს რეცხავს.

მანსური ოთახში შედის და ვარს იჯახუნებს. ოთახში იუნუსთან ერთად სძინავს. სანყალ იუნუსს, რომელიც უკვე ხვრინავს, ბოტკინი აქვს. მთელი დღე ლოგინში წევს და წამლებს ყლაპავს. ავადმყოფობის გამო თვალები კიდევ უფრო მეტად ჩაყვითლებია.

სულთნის ჩამოსვლისას მანსური ნერვიულად ცქმუტავს და მამას თვალს ვერ უსწორებს, მაგრამ იმ დღეს სულთანს არავისთვის სცალია, მხოლოდ სონიას შეჰყურებს ხარბად. მეორე დილას კი მაღაზიაში მიდის და ვაჟს ეკითხება, ჩემი თხოვნა თუ შეასრულეო. სანამ პასუხს გასცემს, მანსური მამისგან უკვე ახალ დავალებებს იღებს.

სულთანი თავისი ბიზნეს-ტურით კმაყოფილი ჩანს. ირანში ძველ პარტნიორებს დაკავშირებია და სულ მალე მათგან დიდი რაოდენობის ახალ სპარსულ ლიტერატურას ელოდება. თუმცა ძველი საქმე ჯერ კიდევ გულში აქვს ჩარჩენილი – დურგლის ქურდობა ვერაფრით დაუვინწყებია.

– რამე ახალი თუ შეიტყვე? – ინტერესით შეჰყურებს სულთანი მანსურს, – ჩვენი საქმე სულ არ გადარდება. ხვალვე წახვალ და იმ ვაჟბატონს პოლიციაში უჩივლებ. მამამისი შემპირდა, ერთ დღეში ყველაფერს დავაფქვევინებო... ერთი დღე კი არა, უკვე ერთი თვე გავიდა. სანამ პაკისტანიდან ჩამოვალ, იცოდე, ციხეში უნდა გამოამწყვდიო, თორემ ჩემი ვაჟი აღარ იქნები! – იმუქრება სულთანი. ბოლოს კი ხაზგასმით ამატებს, ჩემი ქონების მჭამელს არასდროს გავახარებო.

მეორე დილას სულთანი პაკისტანში მიემგზავრება. მანსურს თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება ეძლევა. მანამდე კი სულ დაძაბული იყო და შიშობდა, რომ მამამისის იქ ყოფნის დროს მაღაზიაში მისი რომელიმე მეგობარი გოგონა შევიდოდა და საუბარს გაუბამდა. მწარედ ნანობდა, რომ მათ სულთნის გარეგნობა წინასწარ არ აღუწერა... გოგონები მეპატრონეს, მაშინვე იცნობდნენ, მანსურს ხმას აღარ გასცემდნენ და, ისე მოიქცეოდნენ, თითქოს მაღაზიაში მხოლოდ წიგნების დასათვალიერებლად შევიდნენ. სულთანი ბურკაში გამოწყობილ კლიენტებს მაინც არასოდეს ეკონტაქტება.

მეორე დღეს მანსური შინაგან საქმეთა სამინისტროში მიდის და დურგალზე საჩივარი შეაქვს. მირჯანის დახმარებით ყველა საჭირო საბუთს რამდენიმე წუთში უკეთებენ. ამ ყველაფრის შემდეგ საბუთებს დეჰ ხუდაიდადის ადგილობრივ პოლიციაში აბარებს. პოლიციის თიხით ნაგებ მორყეულ შენობას რამდენიმე პოლიციელი იცავს. წამოსვლისას მანსურს სამოქალაქო ტანსაცმელში გამონწყობილი პოლიციის ოფიცერიც მოჰყავს და დურგლის სახლს უჩვენებს. ჯალალუდინის დაპატიმრებას იმავე საღამოს აპირებენ.

მეორე დილით, უთენია, ხანების ოჯახის კარზე ვაკუნი ისმის. ნამძინარევი ლეილა კარს აღებს. ზღურბლთან სამი ქალი ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად დგას და ხმამაღლა მოთქვამს. გოგონა გვიანდა ხვდება, რომ ისინი დურგლის ცოლი, ბებია და დეიდა არიან, რომლებიც ბრალდებულის შვილებთან ერთად მოსულან.

– გემუდარებით, აპატიეთ, – ყვირიან ქალები, – გთხოვთ, ღვთის გულისათვის!

პატარა, სუსტი აღნაგობის მოხუცი ბებია, რომელსაც თავის მსგავსი სახე და ბალნით დაფარული წვეტიანი ნიკაპი აქვს, ოთხმოცდაათი წლისა იქნება. სწორედ ეს ქალია ფაიზის დედა.

– საჭმელიც კი არ გვაქვს, გამუდმებით ვშიშშილობთ... შეხედე ჩვენს ბავშვებს... მაგრამ, გეფიცებით, აუცილებლად გადავიხდით ბარათების საფასურს...

დაბნეული ლეილა დილის სტუმრებს შინ იპატიჟებს. მათ ხმამალალ ხვეწნა-მუდარას ოჯახის სხვა ქალებისთვისაც დაუფრთხია ძილი. ოთახში შესვლისთანავე მოხუცი ბებია ფეხებში უვარდება მათი უბედურებით შეწუხებულ ქალებს. დურგლის შვილები, ორი წლის ბიჭუნა და ერთ-ერთი ავადმყოფი გოგონა იატაკზე სხდებიან და ამ ყოველივეს მდუმარედ ადევნებენ თვალყურს.

პოლიციას ჯალალუდინი შინ არ დახვედრია, ამიტომ მის ნაცვლად მამა და ბიძა წაუყვანიათ. თან დაუბარებიათ, ხვალ დილას ისევ მოვალთ და ბრალდებულს დავაპატიმრებთო. იმ ღამეს თვალი არავის მოუხუჭავს. მეორე დღეს კი ბებია და დეიდა სულთან ხანთან პატიების სათხოვნელად პოლიციის მისვლამდე, დილაუთენია გამოქცეულან.

– თუ რამე მოიპარა, ისიც იმიტომ, რომ ოჯახი გადაერჩინა... შეხედეთ ამ გაძვალტყავებულ ბავშვებს. არც ჩასაცმელი გააჩნიათ, არც სხვა სარჩო-საბადებელი...

სტუმრების საცოდაობა ყველას გულს უკლავს და თანაგრძნობით ავსებს, მაგრამ მათ ბევრი არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. სულთნის სიტყვას ვერავინ შეცვლის, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე მის მალაზიას ეხება.

– სიამოვნებით დაგეხმარებოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არანაირი ძალა არ არის! ყველაფერს სულთანი წყვეტს, – ამბობენ ისინი, – ახლა კი სულთანიც წასულია.

სტუმრები კვლავ მოთქვამენ. ოთახში ლეილა შემოდის და შემწვარი კვერცხი და ახალი პური შემოაქვს. საბრალო ბავშვებისთვის რძე აუდუღებია.

მანსურის დანახვისას ქალები ახლა მის წინ იჩოქებენ და ფეხებს უკოცნიან, რადგან იციან რომ მამის შინ არყოფნისას, მის საქმეებს უფროსი ვაჟი განაგებს. მანსური უხეშად იცილებს სტუმრებს. მას მამის დანაბარების შესრულება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი.

– მას შემდეგ, რაც სულთანმა ყველა სამუშაო იარაღი ჩამოართვა, საქმესაც ვეღარ აკეთებს, – არ ცხრებიან ქალები, – რამდენიმე კვირა იქნება, რაც თითქმის მშვიდობა ვართ. შაქრის გემო აღარც გვახსოვს, დაობებულ ბრინჯს ვყიდულობთ. ბავშვები ზეგულა ჩამოხმნენ. შეხედეთ, ცარიელი ძვალი და ტყავილა დარჩნენ. ჯალალუდინს კი მამამისი მთელი დღე ურტყამს...

– რას ვითქვამდები, თუ ჩემი შვილიშვილი ქურდბაცაცა იქნებოდა! – ევითინებს ბებია.

ხანის ოჯახის ქალები პირდებიან, რომ სულთანს დაელაპარაკებინა მაგრამ დიდ იმედს მაინც ვერ იძლევიან.

სოფელში დაბრუნებულ ბებიას და დეიდას ჯალალუდინი უკვე დაპატიმრებული ხვდებათ ნაშუადღევს პოლიციაში მანსური უნდა გამოცხადდეს მონმედ. ბიჭს პოლიციის უფროსის გვერდით სვამენ. დაკითხვას შვიდი სხვა მამაკაციც ესწრება. სკამები ყველასთვის საკმარი არ არის, ამიტომ ერთ სკამზე ორნი თავსდებათ. დურგალი იატაკზე მოკუნტული ზის. ოთახში შეკრებილთაგან, მონმის გარდა, ყველა პოლიციელია, ზოგიერთ მათგანს ნაცრისფერი, ზამთრის თბილი უნიფორმა აცვია, სხვებს – ტრადიციული ტანისამოსი ან მილიციის მწვანე ფორმა. მილიციის ამ შტაბში იშვიათად თუ ხდება რამე, ამიტომ ბარათების ქურდობის საქმემ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ერთ-ერთი პოლიციელი კარში დაცვად დაუყენებიათ.

– უნდა გვითხრა, ვის მიჰყიდე ნაქურდალი, თორემ ცენტრალურ ციხეში ჩაგაყუდებთ! – მიმართავს ჯალალუდინს პოლიციის უფროსი.

ამ სიტყვების გაგონებაზე ბრალდებულს ჟრუანტელი უვლის – ყველაზე დიდ დამნაშავეებს სწორედ იმ ციხეში უშვებენ.

დურგალი კიდევ უფრო იბუზება. საცოდავი სანახავია.

დაკოჟრილი, სამუშაო იარაღებისგან დასერილი ხელის მტევნები უმწეოდ მოუმუშტავს. ფანჯრიდან შემოჭრილი მზის სხივი სწორედ მის ხელებს ეცემა, თითქოს ისინი იყვნენ ამ საქმის მთავარი ბრალდებულნი.

მცირეხნიანი დაკითხვის შემდეგ დურგალს კვლავ ერთი ციდა საკანში აბრუნებენ. საკანი იმდენად პატარაა, რომ აქ მყოფს მხოლოდ დგომა ან დაჯდომა შეუძლია ჯალალუდინის ბედი ახლა მანსურის ოჯახის ხელთაა მათ შეუძლიათ ბრალდება მოხსნან, ან ამ საქმეს მსვლელობა მისცენ. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდება შენარჩუნდება, საქმე უკვე სისტემას გადაეცემა და ჯალალუდინის გათავისუფლება ძალიან რთული იქნება, რადგან შემდეგ ყველაფერს პოლიცია წყვეტს.

– ჩვენ შეგვიძლია ბრალდებული საკანში 72 საათს გავაჩეროთ მერე კი თავად გადანიშნოთ როგორ მოვიქცეთ, ეუბნება მანსურს პოლიციის უფროსი, რომელსაც მიაჩნია, რომ დამნაშავე აუცილებლად უნდა დაისაჯოს, რადგან სიღარიბე არანაირ ქურდობას არ ამართლებს.

– ღარიბების მეტი რა არის. ამიტომ თუ ქურდი შესაბამისად არ დაისაჯა, საზოგადოებზე ეს ცუდ გავლენას მოახდენს. წესრიგის დამრღვევების დასჯა სხვებისთვისაც კარგი მაგალითი იქნება, – ხმამაღალი ტონით უხსნის კაცი მანსურს, რომელიც ამ ყველაფერს უკვე ეჭვის თვალით უყურებს. როცა უთხრეს, რომ დურგალს საფოსტო ბარათების მოპარვის სანაცვლოდ ექვსწლიანი სასჯელი ემუქრებოდა, მაშინვე მისი მშვიდი და ძონძებში შემოსილი შვილები გაახსენდა. საკუთარ ცხოვრებაზეც დაფიქრდა... მისთვის ყველაფერი ხომ შედარებით მარტივადაა. იმ თანხას, რასაც ის რამდენიმე დღეში დაუფიქრებლად ხარჯავს, დურგლის ოჯახი მთელი თვის განმავლობაში იზოგავს.

პოლიციის უფროსის მაგიდაზე ლარნაკით უზარმაზარი ხელოვნური ყვავილები მოუთავსებიათ. ფერად-ფერადი ყვავილები მტვრის სქელი ფენითაა დაფარული. როგორც ჩანს, დეჰ ხუდაიდადის პოლიციელებს სიჭრელე იზიდავთ... კედლები ხასხასა მწვანედაა შეღებილი, ოთახს კი კაშკაშა წითელი ნათურა ანათებს. ერთ-ერთ კედელზე მამაცი მეომრის, მასუდის უზარმაზარი სურათი კიდია. მისი

სურათი ქაბულის თითქმის ყველა ოფიციალურ დაწესებულებაში აქვთ.

– ისიც გაიხსენე, რომ თალიბანის მმართველობის დროს ასეთ შემთხვევაში და შესაძლოა, ამაზე გაცილებით უფრო მსუბუქი დანაშაულისთვისაც კი ხელს კვეთდნენ, – აგრძელებს ისევ უფროსი და მანსურს ერთ ისტორიას უამბობს.

მათ სოფელში თურმე ერთი უპოვარი ქალი ყოფილა. დაქვრივებულს მარტოს უწევდა შვილების რჩენა. მის უმცროს ვაჟს ფეხსაცმელიც კი არ ჰქონდა და ამის გამო ზამთარში გარეთ ვერ გადიოდა. უფროს ვაჟს, რომელიც ათიოდე წლის თუ იქნებოდა, პატარა ძმისთვის ორი წყვილი ფეხსაცმლის მოპარვა უცდია, მაგრამ დანაშაულზე წაუსწრიათ და მარჯვენა ხელი მოუკვეთიათ.

– ეს სასჯელი, შესაძლოა, მეტისმეტად სასტიკი იყო, მაგრამ რაც შეეხება დურგალს, ეს მისი პირველი ქურდობა არ უნდა იყოს. დავუშვათ, შვილების საცოდაობამ ერთხელ გაიძულა რამის მოპარვა, მაგრამ ბევრჯერ... – არ ცხრება პოლიციელი და მანსურს ახლა სხვა დანაშავეთათვის ჩამორთმეულ ნივთმტკიცებებს უჩვენებს. გასახსნელი დანა, სამზარეულოს და საბრძოლო დანები, მცირე ზომის ჯაყვები, პისტოლეტები, ჯიბის ფარნები და ბანქოც კი საგულდაგულოდ შეუნახავთ კარადაში. ფულზე თამაშის გამო ვაცს ექვსთვიანი პატიმრობა ემუქრება.

– ეს ბანქო იმიტომ ჩამოვართვით, რომ წაგებულმა მოთამაშემ გამარჯვებული სცემა და აი, ამ დანით დაჭრა. გარდა ამისა, ორივე მთვრალი იყო... ჰოდა, დანის გამოყენებასა და ბანქოს თამაშს კიდევ ერთი დანაშაულიც მიემატა, – სიცილით უხსნის მანსურს პოლიციის უფროსი, – თუმცა, ის ნაცემი მოთამაშე სასჯელს გადაურჩა, რადგან სამუდამოდ დაინვალიდდა და ამაზე დიდი სასჯელი რაღა უნდა იყოს?!

– ალკოჰოლური სასმელის მოხმარებისთვის როგორია სასჯელი? – ცოტა არ იყოს ადელვებული კითხულობს მანსური. მან მშვენივრად იცის, რომ შარიათის კანონების თანახმად, დალევა მძიმე ცოდვად ითვლება და სასჯელიც, შესაბამისად, დიდია. ყურანში წერია, რომ მსმელი მუსლიმი რომგის ოთხმოც ჯერ დაკვრით უნდა დაისაჯოს.

– მართალი გითხრა, მართო სასმელის მოხმარებაზე თვალს ვხუჭავ ხოლმე, – პასუხობს პოლიციელი, – განსაკუთრებით ქორწილის შემთხვევაში, რომელიც დასვენებისა და განტვირთვის დღეა, მაგრამ ყველაფერი ოჯახურ გარემოში და ზომიერების ფარგლებში უნდა მოხდეს.

– და ლალატის დროს რა ხდება? – არ ეშვება კაცს მანსური.

– თუ ორივე მრუში ქორწინებაში იმყოფება, ქვით ქოლავენ. თუ ქალიც და კაციც დასაოჯახებლები არიან, სასჯელი რომგის ასი დარტყმაა, გარდა ამისა, ისინი აუცილებლად უნდა დაქორწინდნენ. თუ მამაკაცი ცოლიანია, ქალი კი – გასათხოვარი, ამ კაცმა ის მეორე ცოლად უნდა შეირთოს. თუ ქალი გათხოვილია, კაცი კი – უცოლო, ქალს სიკვდილით დასჯიან, კაცს კი გარომგავენ და ციხეში ჩასვამენ. მაგრამ მე ამბავც თვალს ვხუჭავ, – ამბობს პოლიციელი, – ხშირად არიან ქალები, ძირითადად კი ქვრივები, რომლებსაც ფული სჭირდებათ და ამის გამო სცოდავენ. მე ვცდილობ, დავხმარო და სწორ გზაზე დავაყენო.

– შენ მეძავებს გულისხმობ... და ჩვეულებრივ ხალხზე რას იტყვი?

– ერთხელ მანქანაში ერთი წყვილი გამოვიჭირეთ. ჩვენ, უფრო სწორად კი მშობლებმა, ახალგაზრდები აიძულეს, დაქორწინებულიყვნენ. მშვენივრად მოგვარდა საქმე. არ მეთანხმები?

– ჰმ... – ხმადაბლა დუდლუნებს მანსური, რომელსაც ვერც კი წარმოუდგენია თავის რომელიმე მეგობარ გოგონაზე დაქორწინება.

– მთლად თალიბები ხომ არა ვართ?! – ამბობს ბოლოს პოლიციელი, – ხალხის ჩაქოლვას ვერიდებით. ავღანელებმა ისედაც ბევრი ტანჯვა გამოვიარეთ...

მანსურს დასაფიქრებლად სამდღიან ვადას აძლევენ. ცოდვილის შეწყალება ჯერ კიდევ შესაძლებელია, მაგრამ შემდეგ, როცა მას მთავარ სამართლებრივ სისტემას გადასცემენ, უკვე გვიანი იქნება.

მანსური დიდ საგონებელშია ჩავარდნილი. მალაზიაში დაბრუნების სურვილი არ აქვს და გემს შინისაკენ იღებს. ლეიბზე მოწყვეტით ეშვება და კვლავ ფიქრს ეძლევს.

– მანსურ, ფეხსაცმელი გაიხადე! – ეუბნება შარიფა.

– მეტი დარდი არა მაქვს! – პასუხობს ვაჟი.

– მანსურ, დედას უნდა დაუჯერო! – აგრძელებს შარიფა.

ბიჭი ხმას არ იღებს და ფეხსაცმლიან ფეხებს ჰაერში სწევს. ქალი ჩუმდება.

– ხვალამდე უნდა გადავწყვიტოთ, რა მოუხერხოთ დურგალს, – მცირე ხნის შემდეგ ეუბნება მანსური დედას და სიგარეტს უკიდებს. პირში სიგარეტგაჩრილი შვილის დანახვაზე ქალი ტირილს იწყებს. სულთნის წინაშე ხომ იგი ვერასოდეს გაბედავს მოწევას. მაგრამ ახლა, როცა მამა შინ არ არის, ბიჭი არც სიგარეტის ხშირ-ხშირად გაბოლებას ერიდება და არც დედის წყობილებიდან გამოყვანას. ოთახი კვამლით ივსება. ბიბი გიული გამუდმებით საყვედურობს შვილიშვილს, დედაშენს უხეშად ნუ ექცევი, დაუჯერე და ცხვირწინ ნუ უბოლებო. ამჯერად კი ბებიას უცნაური სურვილი იპყრობს, ხელს შვილიშვილისკენ იწვდის და ჩუმად ეკითხება: – მომცემ ერთ ღერს?

ოთახში სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. ნუთუ ბიბი გიული სიგარეტს მოწევს?

– დედა! – ყვირის გაოგნებული ლეილა და ქალს სიგარეტს სტაცებს. მანსური მოხუცს კიდევ ერთ ღერს აწვდის. ლეილა პროტესტის ნიშნად ოთახს ტოვებს. სახეგაბადრული ბიბი გიული კი ნეტარებით

აბოლებს და თან ხმადაბლა ხითხითებს. სიგარეტიან ხელს ზემოთ სწევს და ოჯახის წევრებს უხსნის, ამის შემდეგ ნაკლებს შევჭამო.

– გაათავისუფლებინე, – მიმართავს მოულოდნელად შვილიშვილს, – დურგალი უკვე დაისაჯა, მამამისის მუშტები და სირცხვილი, მის ოჯახს რომ დაატყდა თავს, საკმარისია მისთვის. გარდა ამისა, ბარათები ხომ დააბრუნა?!

– ხომ ნახე მისი შვილები? მამის გარეშე როგორ გაიტანენ თავს... – მხარს უბამს დედამთილს შარიფა.

– მისი შვილები თუ დაიხოცებიან, პასუხისმგებლები ჩვენ ვიქნებით! – ამატებს ოთახში დაბრუნებული ლეილა, – წარმოიდგინე, ავად რომ გახდნენ, ექიმსაც ვერ მიიყვანენ და დაიხოცებიან, ან სულაც შიმშილით ამოხდებათ სული... და ეს ყველაფერი ჩვენი ბრალი იქნება. შეიძლება თავად დურგალიც მოკვდეს ციხეში, ექვსი წელი ცოტა ხომ არ არის! თანაც ამდენი ინფექცია, ტუბერკულოზი თუ სხვა დაავადებაა გავრცელებული...

– გამოიჩინე თანაგრძნობა! – ეუბნება ბოლოს ბიბი გიული. მანსური თავისი ახალი მობილურით პაკისტანში, მამამისთან რეკავს და სთხოვს, ნება დამრთე დურგალი გავათავისუფლებინო. პასუხის მოლოდინში ყველა ჩუმდება. ყურმილში სულთნის ხმა მკვეთრად ისმის:

– მას ჩემი ბიზნესის ჩაშლა და ფასების დაგდება უნდოდა. მშვენიერ ხელფასს ვაძლევდი, ქურდობა რაღაში სჭირდებოდა! ნამდვილი გაიძვერაა. ის დამნაშავეა და სიმართლის თქმა უნდა ვაიძულოთ. ჩემი საქმის გაფუჭების უფლებას არავის მიგცემ! – ექვსი წლით სვამენ ციხეში! მამის გამოსვლამდე მისი შვილები ნაღდად დაიხოცებიან! – ასევე ხმამაღლა პასუხობს მანსური.

– სამოცი წელიც რომ მისცენ, სულაც არ მედარდება!

მანამდე უნდა ურტყან, სანამ არ იტყვის, ბარათები ვის მიჰყიდა!

– ეგრე იმიტომ ლაპარაკობ, რომ მუცელი სავსე გაქვს! – ყვირილზე გადადის ბიჭი, – ტირილს ვერ ვიკავებ, როცა მის გაძვალტყავებულ შვილებზე ვფიქრობ. მისი ოჯახი განადგურებულია...

– როგორ ბედავ ჩემთან კამათს! – ღრიალებს სულთანიც. მისი ხმა ოთახში მყოფთ ვარგად ესმით და თითქოს ცხადად ხედავენ კიდეც მის სიბრაზისგან განითლებულ სახეს და აკანკალებულ სხეულს, – შენ ჩემი ვაჟი ხარ და რასაც გეტყვი, ყველაფერი უნდა შეასრულო! რა გჭირს, რატომ ეპყრობი მამაშენს ასე უპატივცემულოდ?!

მანსურს შინაგანი ჭიდილი ეხატება სახეზე. ის ხომ მამის სურვილის წინააღმდეგ არასოდეს წასულა. ყოველ შემთხვევაში, ასე აშკარად. ვერც ახლა გარისკავს, თორემ სულთნის რისხვა არც მას ასცდება.

– კარგი მაშინ, მამა! – ამბობს ბოლოს და ტელეფონს თიშავს. ყველა დუმს. მანსური იგინება.

– ქვის გული აქვს! – შეწუხებული ხმით ამბობს შარიფა და ოხრავს. სონია ხმას არ იღებს.

დურგლის ნათესავები ხანების ოჯახში თითქმის ყოველ დილა-საღამოს მიდიან. ხან ბებია აკითხავთ, ხან დედა, ხან კი მისი ცოლი ან დეიდა. თან ყოველთვის რამდენიმე მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავთ აკიდებული. ხანის ოჯახის წევრები გამუდმებით უმეორებენ რომ ყველაფერს სულთანი წყვეტს და მისი – ჩამოსვლის შემდეგ ყველაფერი მოგვარდება. თუმცა, ყველამ მშვენივრად იცის, რომ სულთანმა განაჩენი უკვე გამოიტანა. ბოლოს შეწუხებული ოჯახი კარზე მომდგარ დურგლის ნათესავებს სახლშიც აღარ უშვებს. კარზე კაკუნისას, ისუსებიან, თითქოს შინ არ არიან. მანსური პოლიციის უფროსს – სულთნის ჩამოსვლამდე საქმის გადადებას სთხოვს, მაგრამ უარს იღებს. წინასწარი დაკავების საკანში ბრალდებულს მეტხანს ველარ გააჩერებენ.

დურგალს კვლავ აიძულებენ, აღიაროს, რომ გაცილებით მეტი ბარათი მოიპარა და სთხოვენ დაასახელოს იმ ადამიანის ვინაობა, ვისაც ბარათები მიჰყიდა, ის კი კვლავ უარზეა. დამნაშავეს ხელბორკილებს ადებენ და პოლიციის შენობიდან გაჰყავთ.

სოფლის პოლიციას საკუთარი ტრანსპორტი არ ჰყავს, ამიტომ ბრალდებული და მისი თანმხლები პირები ქაბულის ცენტრალური პოლიციის სადგურში მანსურმა უნდა გადაიყვანოს. შენობასთან მისულს დურგლის მამა, ვაჟი და ბებია ხვდებიან. ისინი კვლავ ვედრებით შეჰყურებენ ბიჭს, რომელიც ცდილობს გულგრილი გამომეტყველება მიიღოს, თუმცა, შექმნილი სიტუაცია მართლაც რომ სულს უხუთავს.

– მე მხოლოდ ისე ვიქცევი, როგორც მამამ დამავალა! – უხერხულად ამბობს მანსური, მზის სათვალეს ირგებს და სწრაფად ჯდება მანქანაში. დურგლის ბებია და პატარა ვაჟი შინ ბრუნდებიან, მამა კი თავის დაბრეცილ ველოსიპედზე ჯდება და მანსურის მანქანას მიჰყვება უკან. უნდა, თავისი შვილი ბოლომდე გააცილოს. სულ მალე მისი ანონილი სილუეტი ქაბულის ქუჩებში იკარგება.

მანსური მანქანას ჩვეულებრივზე ნელა ატარებს, შესაძლოა, დურგალმა ეს ქუჩები კარგა ხანს ვეღარც ნახოს.

პოლიციის შენობა, რომელსაც ისინი უახლოვდებიან, თალიბანის დროის ერთ-ერთი ყველაზე საძულველი მოგონებაა. სწორედ ამ შენობაში იყო განთავსებული ე. წ. „მაღალმწიფობრივი“ სამინისტრო და რელიგიური პოლიცია. ამ შენობაში მოჰყავდათ ყველა მამაკაცი, რომელსაც დაკანონებულზე მოკლე წვერი ჰქონდა ან მოკლე შარვალი ეცვა; ქალები, რომლებიც ქუჩაში მართო ან იმ მამაკაცის თანხლებით გამოსულიყვნენ, ნათესავად რომ არ ეკუთვნოდათ. ქალებს მაკიაჟის გამოც მკაცრად სჭიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სქელი ბურკა საგულდაგულოდ მალავდა მათ სახეს. დაკავებულებს კვირების განმავლობაში ბნელ სარდაფში ამწყვდევენ, შემდეგ კი ან ციხეში გადაჰ-

ყავდათ, ან ათავისუფლებდნენ. თალიბანის განდევნის შემდეგ პირველადი დაკავების საკნებიდან უამრავი პატიმარი გაათავისუფლეს. აქვე აღმოჩნდა დიდი რაოდენობის სანამებელი იარაღი. წამებისას მამაკაცებს სრულიად აშიშვლებდნენ, ქალებს კი ტანზე ზენარს ახვევდნენ. თალიბანამდე შენობა დაუნდობელ საბჭოთა მართლმსაჯულებას ეკუთვნოდა, თალიბანელების შემდეგ კი იგი მუჯაჰედინის ქაოტურმა საპოლიციო შენაერთებმა დაიკავეს.

დურგალი შენობის მასიურ კიბეებს მძიმედ მიუყვება, თან მავედრებელ მზერას აპარებს მანსურისკენ. კაცი კიდევ უფრო მეტად გამხდარა, ისედაც გადმოკარკლული თვალები ლამისაა ბუდეებიდან გადმოსცვივდეს.

– მაჰატიე! მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება უსასყიდლოდ მოგმსახურები... მაჰატიე! – დუდღუნებს დურგალი.

მანსურს არ სურს, გული მოუღბეს და ცდილობს, ჯალალუდინის სიტყვები აინუნშიაც არ ჩააგდოს. მამამისმა არჩევანი უკვე გააკეთა და მანსური ამ არჩევანს უნდა დაემორჩილოს. თუ არადა, შესაძლოა მემკვიდრეობაც დაკარგოს და სახლიდანაც გააგდონ. ისედაც გრძნობს, რომ უკანასკნელ ხანს სულთანის ეგბალს უფრო მეტ ყურადღებას უთმობს... მამამ მას კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელ კურსებზე სიარულის ნებართვაც მისცა და ახალი ველოსიპედის ყიდვასაც შეჰპირდა. ახლა რომ მანსურმა სულთანს უმტყუნოს, უკანასკნელ შანსსაც დაკარგავს. დურგლის გამო თავის ცხოვრებას ხომ ვერ განირავს?! ამიტომაც ყველანაირი სიბრაღულის გრძნობა უნდა ამოიგდოს გულიდან.

ყველა საჩივრის რეგისტრაციაში გატარებას და დაკითხვის დანყებას უცდის. შიდა სისტემის თანახმად, ბრალდებულს სასჯელის წაყენებამდე ანდა გამართლებამდე ციხეში აჩერებენ. ამგვარად, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ვინმეზე საჩივრის მეტანა და საქმის გახსნამდე იმ ადამიანის ციხეში გამომწყვდევა.

მანსური საქმის დეტალებს თავიდან ყვება. დურგალი კვლავ მოკუნტული ზის იატაკზე. ზედატანი და შარვალი გამხმარ ტანზე ჯვალოსავით ჰკიდია.

პოლიციელი, რომელიც დაკითხვას ანარმოებს, ყოველ ფრაზას დავთარში ზედმიწევნით იწერს. თავისი ფურცლის ქვეშ ლურჯი კოპირების ქაღალდი მოუთავსებია.

– ასე ძალიან რამ შეგაყვარა ეს ბარათები? – სიცილით ეკითხება დურგალს პოლიციელი, რომელსაც, ჩანს, მთელი ეს საქმე კომიკურად ეჩვენება, – აბა გვიამბე, ვის მიჰყიდე ნაქურდალი? აშკარაა, ეს მისალოცი ბარათები შენს ნათესავებთან გასაგზავნად არ გენდომებოდა...

– მე მხოლოდ ორასი ცალი ავიღე... რამდენიმე რასულმაც მომცა! – თავს იმართლებს დაკავებული.

– სრული სიცრუეა! რასულს მისთვის არაფერიც არ მიუცია! – აპროტესტებს მანსური.

– ამ ოთახში სიმართლის თქმის უკანასკნელი შანსი გეძლევა, – აგრძელებს პოლიციელი, რომელიც რამდენიმე წუთში ისევ ბრალმდებელს უბრუნდება და დანვრილებით ეკითხება ამ საქმის ვითარებას.

მოკუნტული ჯალალუდინი თითებს ნერვიულად იტკაცუნებს. დაბნეული მზერა რაღაც მომენტში ფანჯრისკენ გაურბის. აქედან ქაბულის ერთ-ერთი მალლობი მოჩანს. მთის ფერდობზე დაკლაკნილი ბილიკი იკვეთება. ბილიკზე ადამიანები მოძრაობენ და შორიდან მოფუსფუსე ჭიანჭველებს ჰგვანან. ალაგ-ალაგ სახლებიც მოჩანს, რომლებიც გაჭირვებულ მოსახლეობას ნანგრევებისა და ომს გადარჩენილი მასალის ნარჩენებისგან რის ვაივაგლახით კვლავ შეუკონინებია.

მოულოდნელად პოლიციელი ჯალალუდინის გვერდით, იატაკზე ჯდება და ეუბნება:

– ვიცი, შინ მშიერი ბავშვები გელიან... ისიც ვიცი, კრიმინალი არ ხარ. ჰოდა ამიტომაც ბოლო შანსს გაძლევ და გირჩევ, გამოიყენო ეს

შესაძლებლობა! თუ აღიარებ, ვის მიჰყიდე ბარათები, გაგათავისუფლებ. თუ არადა, რამდენიმენლიანი პატიმრობა გელის...

მანსური ამ ყველაფერს გულგრილად ისმენს. ეს სიტყვები მას უკვე ათასჯერ აქვს გაგონილი. იქნებ, დურგალი მართალსაც ამბობს და ნაქურდალი არც არავისთვის მიუყიდა... ბიჭი ზანტად ამთქნარებს და საათზე იხედება.

უცებ ჯალალუდინი რაღაც სახელს ამბობს. მანსური ფხიზლდება.

კაცი, რომელსაც დურგალი ასახელებს, მათი მაღაზიის მახლობლად მდებარე ჭიხურის მფლობელია. ის კალენდრებს, კალმისტრებსა და სხვადასხვა სახის ბარათებს ყიდის. ამ ბარათებს კი ყოველთვის სულთნის მაღაზიაში ყიდულობს. მანსურს ეს კლიენტი, რომელიც ფასზე გამუდმებით ეწუნუნება ხოლმე, კარგად ახსოვს. ისიც ახსოვს, რომ იგი უქვე კარგა ხანია, მათ მაღაზიაში აღარ გამოჩენილა.

საქმე იძვრება, ჯალალუდინი აკანკალებული ხმით აგრძელებს: — ერთ ნაშუადღევს ის თავად მოვიდა ჩემთან, მე საქმეს, ის იყო, მოვრჩი და შინ წასასვლელად ვემზადებოდი. ცოტა ვილაპარაკეთ, შემდეგ კი მოულოდნელად მკითხა, ფული ხომ არ გჭირდებაო. როგორ არ მჭირდებოდა! ამის სანაცვლოდ კი ბარათების მოპარვა დამავალა. ჯერ ვიუარე, მაგრამ როცა თანხა დამისახელა, დავინებდი. მაშინვე ჩემი შვილები დამიდგნენ თვალწინ... დურგლობით აღებული ფული არათერში მყოფნის. ცოლიც გამახსენდა, რომელიც ჯერ მხოლოდ ოცდაათი წლისაა და თითქმის ყველა კბილი დასცვივდა. ის მზერა ვიგრძენი, შინ მისვლისას რომ მეგებება ჩემი უპოვარი ოჯახის წევრებისგან... შვილებისგან, რომლებსაც არც ტანსაცმელი აქვთ, არც ფეხსაცმელი და არც საჭმელ-სასმელი. ავადმყოფი გოგონებისთვის კი უსახსრობის გამო ექიმიც ვერ მიმიყვანია, ჰოდა, ვიფიქრე, სანამ მაღაზიაში ვმუშაობ, რამდენიმე ბარათს ავიღებ და ჩემს გაჭირვებას ცოტა მაინც ვუშველი-მეთქი, სულთანს იმდენი ბარათი აქვს,

რამდენიმე მათგანის გაქრობას ვერც კი შენიშნავდა. ის არც უფულობას უჩივის... ამიტომაც ავიღე ბარათები და ჭიხურის მეპატრონეს მივყიდე.

– ადგილზე უნდა მივიდეთ და დავრწმუნდეთ! – ამბობს პოლიციელი და ფეხზე დგება.

თან დურგალი, მანსური და კიდევ ერთი თანამშრომელი მიჰყავს. ჭიხურში ახალგაზრდა გამყიდველი ბიჭი ხვდებათ.

– მაჰმუდი სად არის? – ეკითხება ყმანვილს სამოქალაქო ტანსაცმელში გამონცობილი პოლიციელი.

მაჰმუდი ლანჩზე გასულა. პოლიციელი გამყიდველს საბუთს უჩვენებს და ბარათების დათვალიერებას ითხოვს. ბიჭს ისინი ჭიხურის ერთი ციდა სანცობში შეჰყავს. მანსური სულთნის მიერ დაბეჭდილ ბარათებს აგროვებს და ცელოფნის პარკში ათავსებს. სანცობში რამდენიმე ათასი ასეთი ბარათია, მაგრამ იმის გარკვევა, რომელი მათგანი შეიძინა მაჰმუდმა კანონიერი გზით და რომელი – დურგლის დახმარებით, არც ისე ადვილი გასარკვევია. ბარათებთან ერთად პოლიციაში გამყიდველი ბიჭიც მიჰყავთ.

ჭიხურს კეტავენ, ერთ პოლიციელს კი მაჰმუდის დასაკავებლად ადგილზე ტოვებენ.

მცირე ხნის შემდეგ პოლიციაში მაჰმუდიც მიჰყავთ და დაკითხვა იწყება. დაბნეულ კაცს ხელებზე ჭერ კიდევ ქაბაბის სუნი ასდის. ბრალდების წაყენებისთანავე ამბობს, ამ დურგალს არასოდეს შევხვედრივარ და ყველა ბარათი მანსურისგან, ეგბალისგან, იუნუსისა და სულთნისგან კანონიერი გზით შევიძინეო. შემდეგ კი ჩვენებას ცვლის და ამბობს, რომ დურგალი კი ნახა, მაგრამ ის თავად მივიდა ბარათებით ჭიხურში. თუმცა, უკან უარით გავისტუმრეო.

დაკითხვის შემდეგ, ჭიხურის მეპატრონესაც წინასწარი დაკავების საკანში სვამენ. მანსური შენობიდან გადის და კართან კვლავ ჭალა-ლუდინის მამა, ბიძა, დისშვილი და ვაჟი ხვდებიან. ისინი ფეხდაფეხ

დასდევენ ბიჭს და შიშით სავსე თვალებით შეჰყურებენ. მანსურს მათი ატანა უკვე აღარ შეუძლია.

ჯალალუდინმა ყველაფერი აღიარა, საქმე გახსნილია და სულთანს უდავოდ კმაყოფილი დარჩება. ახლა კი, როცა ქურდობა უკვე დამტკიცებულია, დამნაშავეთათვის სასჯელის დაკისრების დროც დგება... მანსურს პოლიციელის სიტყვები ახსენდება. მან ხომ უთხრა ჯალალუდინს, ეს შენი ბოლო შანსია, სიმართლეს თუ იტყვი, გაგათავისუფლებთ და შინ დაგაბრუნებთო.

მანსური ცუდად გრძნობს თავს. ერთი სული აქვს, იქაურობას მოსცილდეს. რატომღაც გონებაში ის სიტყვები უტივტივდება, სულთანმა რომ უთხრა გამგზავრების წინ: „ჩემი მალაზიებისა და საქმის გამო საკუთარი სიცოცხლე ბევრჯერ დამიყენებია საფრთხის წინაშე! არაერთხელ დამაპატიმრეს, მცემეს კიდევ... არაქათის გაცლამდე ვმუშაობ იმის გამო, რომ ჩემს ქვეყანას რამეში წავადგე... უცებ კი ეს ნაძირალა დურგალი მოდის და ჩემს ნაოფლარს ჭამს... ამის გამო უნდა დაისაჯოს. შენც ნუ დაინდობ, მანსურ, ნუ იქნები ლმობიერი მის მიმართ!“

დეჰ ხუდაიდადის ნახევრად ჩამოქცეულ თიხის ქოხში დურგლის ცოლი დამჯდარა და ერთ წერტილს მიშტერებია. გარს დამშეული პატარები ახვევია. ბავშვები ტირიან და პაპის მოლოდინში წინ და უკან დარბიან. იქნებ მან მაინც მოიყოლოს ქალაქიდან მცირეოდენი საკვები. კართან შეგებებულ შვილიშვილებს ვაცი ხელცარიელი ხვდება. მისი დარდისგან ჩამუქებული სახის ხილვა პატარებს კიდევ უფრო მეტად ზაფრავს. მცირე ხანს ყუჩდებიან, შემდეგ კი ისევ ტირილს იწყებენ, ვაცს დაძონძილ ტანსაცმელზე ეკიდებიან და გაჰყვირიან: „სად არის მამიკო?... როდის დაბრუნდება ჩვენი მამიკო?..“

დედაჩემი ოსამა

ტაჯმირი ყურანს შუბლზე მონინებით იდებს, ნაზად ეამბორება და ერთ-ერთ ციტატას კითხულობს. შემდეგ ისევ კოცნის, წიგნს პიჯაკის ჯიბეში იდებს და ფანჯარაში იხედება, მანქანა ქაბულიდან გადის. ისინი სამხრეთით, ავღანეთ-პაკისტანის საზღვრისკენ მიემართებიან. ქვეყნის ამ ნაწილში თალიბებსა და „ალ-ქაიდას“ ჯერ კიდევ მყარად აქვთ ფეხი მოკიდებული და ამის გამო ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ ამ მიუვალ მთიან ლანდშაფტებს ტერორისტები აფარებენ თავს. ამიტომაც გამუდმებით ზვერავენ მიდამოებს, ადგილობრივი მოსახლეობისგან ინფორმაციის მოპოვებას ცდილობენ, გამოქვაბულებს აფეთქებენ, იარაღის საწყობებს და სამალავ ადგილებს დაეძებენ და ტერიტორიებს ბომბავენ. ამ დროს ძალიან ხშირად უდანაშაულო მოსახლეებიც იღუპებიან. ამერიკელების მთავარი სამიზნე ტერორისტები, განსაკუთრებით კი მათი მოუხელთებელი ლიდერი – ოსამა ბინ ლადენი არიან.

ყველაზე მასშტაბური საბრძოლო ოპერაცია, რომელიც „ალ-ქაიდას“ წინააღმდეგ თალიბანის განდევნის შემდეგ გაზაფხულს გან-

ხორციელდა და რომელიც „ოპერაცია ანაკონდას“ სახელითაა ცნობილი, სწორედ ამ ადგილებში მიმდინარეობდა. გაერთიანებულმა საერთაშორისო ძალებმა ამერიკელი კომანდოსების ხელმძღვანელობით სასტიკი ომი გააჩაღეს ავღანეთში დაბანაკებული „ოსამას მოციქულების“ წინააღმდეგ. როგორც ჩანს, „ალ-ქაიდას“ მეომართა დიდი ნაწილი მართლა აფარებს თავს ამ უკაცრიელ მიდამოებს, სადაც ჯერ კიდევ ჯოგური კანონები მოქმედებს. პუშტუნებით გარშემორტყმულ საზღვარზე განლაგებული სოფლების გავრცელება ამერიკელებსაც უჭირთ და ადგილობრივ მთავრობასაც. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ თუ ოსამა ბინ ლადენი და თალიბთა მეთაური – მოლა ომარი ცოცხლები არიან, ისინი სწორედ ამ ადგილებში იმალებიან. ტაჯმირსაც მათი პოვნა ევალება. უფრო სწორად, ის უნდა შეეცადოს, ხალხს გაესაუბროს და გამოკითხოს, რომელიმე მათგანს ტერორისტების ლიდერები ან ვინმე მათი მსგავსი ხომ არ უნახავთ სადმე. თანამგზავრისგან განსხვავებით, ტაჯმირს იმედი აქვს, რომ საეჭვოს არაფერს წააწყდებიან. რისკი არანაირად არ იტაცებს, არც ამ ველურ ადგილებში მოგზაურობა მოსწონს, სადაც ნებისმიერ დროსაა ბრძოლის დაწყების საშიშროება. მანქანის საბარგულში ბიჭებს ტყვიაგაუმტარი ჟილეტები და ჩაფხუტები უწყვიათ.

– რას კითხულობდი, ტაჯმირ?

– წმინდა ყურანს.

– მაგას კი მივხვდი, მაგრამ რამე განსაკუთრებულ თავს კითხულობდი? მაგალითად, „სურას მოგზაურთათვის ან რაღაც ამდაგვარს?

– არა, რამე განსაკუთრებულს არასოდეს ვეძებ, ყოველთვის შემთხვევით გადაშლილ გვერდზე ამოვიკითხავ ხოლმე რომელიმე ნაწყვეტს. ახლა იმ ფრაზას წავაწყდი, რომ ის, ვინც ღვთის ნებასა და მცნებებს ემორჩილება, სამოთხის ყვავილებით აბიბინებულ ბაღში მოხვდება, ღვთის ურჩებს კი წინ მძიმე სასჯელი ელით. როცა შიშის

ან მართლობის გრძნობა მეუფლება, ყოველთვის ყურანს ვკითხულობ.

– გასაგებია, – ამბობს ბობი და ფანჯრის მინას თავს აყრდნობს. შიგადაშიგ თვალმოჭუტული ათვალეირებს ქაბულის დაბინძურებულ გარეუბნებს, თანდათანობით უკან რომ რჩება. დილის კაშკაშა მზე ბიჭს წესიერად თვალის გახელის საშუალებას არ აძლევს.

ტაჭმირი ჩუმად ზის და თავის დავალებამე ფიქრობს. ის ერთ-ერთ დიდ ამერიკულ გაზეთში თარჯიმნად მუშაობს.

თალიბთა მმართველობის დროს ჰუმანიტარულ ორგანიზაციაში მსახურობდა. მაშინ მისი მოვალეობა ლარიბთათვის ბრინჯისა და ფქვილის დარიგება იყო. 11 სექტემბრის შემდეგ კი, როცა ორგანიზაციაში მომუშავე უცხოელები გაემგზავრნენ, მთელი პასუხისმგებლობა მას დაანვა კისერზე. თალიბებმა ყველა მისი საქმიანობა დაბლოკეს, პროდუქტების დანაწილებაც შეაჩერეს, ერთ მშვენიერ დღეს კი იმ ადგილას, სადაც ჩვეულებისამებრ ჰუმანიტარულ დახმარებას არიგებდნენ ხოლმე, ყუმბარა ჩამოაგდეს. ტაჭმირი ღმერთს მადლობას სწირავდა იმისთვის, რომ იმ დღეს იქ არც თვითონ იყო და არც საჭმლის რიგში მდგარი ბავშვიანი ქალები.

ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს საუკუნეა, იმ ორგანიზაციაში მსახურობს. ამერიკულ გაზეთში სამუშაოდ მაშინ მიიწვიეს, როდესაც ქაბულს აშურნალისტები მიანყდნენ. ამის სანაცვლოდ ყოველდღიურად იმ თანხას უხდიდნენ, რასაც რიგითი ავღანელი ნახევარი თვის ხელფასად იღებს. ბიჭი ოჯახზე ფიქრობდა. მათ ფული სჭირდებოდათ, ამიტომაც ორგანიზაციიდან დაუყოვნებლივ წამოვიდა და თარჯიმნობა დაიწყო.

ავღანური საზომით, ტაჭმირის ოჯახი საკმაოდ მცირერიცხოვნად ითვლება. ოჯახში მხოლოდ ის მუშაობს. ბიჭი დედასთან, მამასთან, დასთან, მეუღლესთან და ერთი წლის ბაჰართან ერთად ერთ-ერთი მიკრორაიონის ერთ პატარა ბინაში ცხოვრობს, სულთნისა და მისი

ოჯახის მახლობლად. სულთანის დედამისის ძმაა. თუმცა ფერობა ტაჭ-
მირის ნამდვილი დედა არ არის. ისინი სინამდვილეში და-ძმანი
არიან, ბიჭის დედა კი ბიბი გიულია – მისი ამჟამინდელი ბებია.

ყველაფერი კი ამგვარად მოხდა: ფერობა ბიბი გიულის პირველი
ქალიშვილია. ის სულთანზე ხუთი წლითაა უფროსი. სკოლაში არა-
სოდეს უვლია. ოჯახი ღარიბულად ცხოვრობდა და გოგონა ადრეულ
ასაკში მასზე ოცი წლით უფროს, საკმაოდ შეძლებულ მამაკაცს მიათ-
ხოვეს. ქორწილის შემდეგ ფერობა ქმრის ოჯახში გადაბარგდა.

წლები გადიოდა, ქალს კი შვილი არ უჩნდებოდა. რა არ სცადა,
ახლობელთა ათასგვარ რჩევას იზიარებდა, წამლებს სვამდა, ლოცუ-
ლობდა... ბოლოს ყველანაირი იმედი დაკარგა. სანამ ფერობა და-
ორსულებისთვის ნემსის ყუნწში ძვრებოდა, დედამისი – ბიბი გიული
ახალ-ახალ შვილებს აჩენდა. ფერობას გათხოვების შემდეგ კიდევ
სამი ვაჟი და ქალიშვილები შეეძინა. ქალის უმთავრესი ღირსება დე-
დობაა, განსაკუთრებით კი – ვაჟების დედობა. უშვილო ქალს ჰატივს
არავინ სცემს. ფერობა თხუთმეტი წლის განმავლობაში იტანჯებოდა,
ბიბი გიული კი უკვე მეთექვსმეტი წლის ფეხმძიმედ. სასონარკვეთილ-
მა ქალიშვილმა დედას სთხოვა, ეგ ბავშვი მომეცი და მე გავზრდიო.
ბიბი გიულმა იუარა, ბავშვის გაშვილება არ შემიძლიაო. ფერობა კი
არ ეშვებოდა და დაჟინებით ემუდარებოდა დედას, ხან ეწუნებოდა,
თავს აცოდებდა. არც მუქარას ერიდებოდა. – გამოიჩინე თანაგრძნო-
ბა! შენ ხომ ამდენი შვილი გყავს, მე კი – არც ერთი. ეს ერთი მაინც
მომეცი... ბავშვის გარეშე ველარ ვიცხოვრებ! – ქვითინებდა ქალი.

ფერობამ ბოლოს მაინც შეძლო დედის დაყოლიება. დაბადების
შემდეგ ტაჭმირი მხოლოდ ოცი დღე იყო თავის ნამდვილ დედასთან,
რომელიც ჰატარას ძუძუს აწოვებდა, ეფერებოდა და დასტიროდა.
ბიბი გიულს შვილები ყოველთვის განსაკუთრებულ ძალას მატებ-
დნენ, ამიტომაც გადაწყვიტა, იმდენი შვილი გაეჩინა, რამდენსაც
ღმერთი მისცემდა. მათზე ძვირფასი ქალს არაფერი გააჩნდა.

ოცი დღის შემდეგ ბავშვი, დაპირებისამებრ, ფერობას გადასცა და, მიუხედავად იმისა, რომ აუარება რძე ჰქონდა, წოვების უფლება ქალიშვილმა აღარ მისცა. მას სურდა, რომ პატარას ყველანაირი შინაგანი კონტაქტი გაენწყვიტა დედასთან, რომელიც ამიერიდან მისი ბებია უნდა ყოფილიყო.

ფერობა მკაცრი დედა გამოდგა. ტაჭმირს არასოდეს აძლევდა ქუჩაში ყოფნისა და სხვა ბავშვებთან ერთად სირბილისა და გართობის უფლებას. მას სასტუმრო ოთახში, დედის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ეთამაშა. ცოტა რომ წამოიზარდა, უამრავი სამეცადინო ჰქონდა. სკოლის შემდეგ პირდაპირ სახლში უნდა მისულიყო. ბიჭს ფერობა არც მეგობრებთან სტუმრობის უფლებას აძლევდა და არც თავად შეეძლო შინ ვინმეს მიყვანა. ტაჭმირი პროტესტს არასოდეს გამოთქვამდა, რადგან დედის სურვილის წინააღმდეგ წასვლას ვერ ბედავდა, თუ ურჩობას გამოიჩენდა, ფერობასგან ცემა არ ასცდებოდა.

– დედაჩემი ოსამა ბინ ლადენზე უარესია! – უხსნის ტაჭმირი ბობს. ასე იმართლებს თავს, თუ სამსახურში დააგვიანებს, ან ადრე წასვლა მოუწევს. თავის ახალ ამერიკელ მეგობრებს. „ოსამას“ შესახებ უამრავ საშინელო ისტორიას უყვება, ბიჭებს ფერობა ბურკაში გამოწყობილ ფურიად ჰყავთ წარმოდგენილი, მაგრამ ტაჭმირთან სტუმრად მისულებს შინ პატარა ტანის, ღიმილით სახეგაბადრული ქალი ხვდებათ, რომელიც თავისი შვილის თანამშრომლებს თვალეზმოჭუტული აკვირდება. ქალს გულზე უზარმაზარი ოქროს მედალიონი ჰკიდია. ეს მედალიონი, რომელმაც ისლამის სიმბოლიკაა გამოსახული, ტაჭმირის პირველი „ამერიკული“ ხელფასით შეიძინა.

ფერობამ ზედმინწვნივით იცის, რამდენ ხელფასს იღებს მისი ვაჟი. ტაჭმირი ხელფასს დედას აბარებს, ქალი კი შვილ მხოლოდ მცირედენ ჯიბის ფულს უტოვებს.

გაბრაზებულ ფერობას ბიჭისთვის არაერთხელ უსვრია ფეხსაცმელი ან სხვა რაიმე ნივთი. ტაჭმირი ამ ნივთებისგან დაზიანებულ კედლებს მეგობრებს სიცილით უჩვენებს. ახლა მისთვის ტირანი დედის

ამბავი წარსულის სასაცილო მოგონებაა, ფერობას უდიდესი სურვილი იყო, მისი ვაჟი დიდი პიროვნება გამოსულიყო. ამიტომაც ყოველთვის, როცა მსხვილ თანხას მოიგდებდა, ტაჭირი მაშინვე რომელიმე კურსზე შეჰყავდა, ასე გაიარა ბიჭმა ინგლისური ენის, მათემატიკისა და ინფორმატიკის კურსები. წერა-კითხვის უცოდინარმა ქალმა, რომელიც ადრეულ ასაკში ფულის გამო გაათხოვეს, სასახელო შვილის გაზრდა და წარმატებული და დაფასებული დედის სახელის მოპოვება თავიდანვე დაისახა მიზნად.

მამას ტაჭირი იშვიათად ხედავდა. ის წყნარი და უთქმელი კაცი იყო, მაგრამ ბევრს სვამდა და სახლიდან კარგა ხნით იკარგებოდა. ერთ დროს სავაჭრო საქმიანობას ეწეოდა და ინდოეთსა და ჰავაის-ტანში მიემგზავრებოდა ხოლმე, საიდანაც ხან ფულით ბრუნდებოდა, ხანაც – უფულოდ. მაგრამ შემდეგ სმას გადაჰყვა...

ალკოჰოლის მოხმარების პრობლემა ავღანეთში ნაკლებად დგას. კონტრაბანდული გზით სასმელის ქვეყანაში შეტანას ცოტა თუ რისკავს, თუმცაღა ძვირადღირებული სასმელი დახლს ქვემოდან საკმაოდ სარფიანად იყიდება. ყოველთვის ასე როდი იყო. ლიბერალი ბაჰირ შაჰის მმართველობის პერიოდში რესტორანსა თუ ბარებში ერთი ჭიქა სასმელის მიღება არ იკრძალებოდა, საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ კი რუს ჯარისკაცებს ქვეყანაში დიდი რაოდენობით არაყი შეჰქონდათ, რომელსაც ვაპიკებად ყიდდნენ. სამოქალაქო ომისა და მუჯაჰედინის ძალაუფლების დამკვიდრებისთანავე, ისლამისტებმა სასმელის ყიდვა-გაყიდვასა და მოხმარებაზე მკაცრი სასჯელი დააწესეს თალიბებმა კი ეს კანონები კიდევ უფრო გაამკაცრეს.

მკაცრი რეჟიმის მიუხედავად, ტაჭირის მამა სასმელის შოვნას ყოველთვის ახერხებდა. შინ ხან სპირტის ბოთლით ბრუნდებოდა, ხან კი – სხვა იაფფასიანი და უვარგისი დასალევით. ლოთობას არც თალიბანის მმართველობისას ერიდებოდა. იმედგაცრუებული ფერობა ლოთი ქმრის გამო სირცხვილით იწვოდა, მაგრამ ქმარს სასტიკად არასოდეს ექცეოდა, თუმცა ოჯახის მთელი ძალაუფლება ამ პატარა

დიასახლისის ხელთ იყო. წლებმა ის ყოჩად, შრომისმოყვარე ქალად ჩამოაყალიბა. ცხვირის წვერზე სქელმინიან სათვალედასკუპებული ფერობა ფუნთუშასავით ჩამრგვალებულიყო, მაშინ როცა მისი ქმარი დროის დინებას სრულიად გაეჭაღარავებინა და ჩამოეხმო. ქმრის ლოთობის გამო ოჯახის მმართველად ფერობა იქცა.

ტაჭმირის დაბადებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ბიბი გიული ისევ ორსულად იყო. ფერობამ იმ ბავშვის გამორთმევაც მოინდომა. კვლავ დაინყო გამუდმებული წუნუნი და ხვეწნა-მუდარა. ამჯერად ბიბი გიულმა შვილი ცივი უარით გაისტუმრა.

– ტაჭმირი დედისერთაა და ეს მისთვის კარგი არ არის... გეხვეწე-ბი... შენ ხომ ისედაც ამდენი შვილი გყავს, – ტირილით ევედრებოდა დედას ფერობა.

ბიბი გიულმა ამჯერად არ დათმო და ლეილა თავისთვის დაიტოვა. სხვათა შორის, ლეილას არაერთხელ უნანია, რომ ფერობას არ მიაშვილეს.

„ტაჭმირის და რომ ვყოფილიყავი, ინფორმატიკისა და ინგლისურის კურსებზე მეც ვივლიდი და უნივერსიტეტშიც ჩავაბარებდი. ლამაზი ტანისამოსი მექნებოდა და არც მონური შრომა მომიწევდა“, – ხშირად ფიქრობს გოგონა, რომელსაც დედა ძალიან უყვარს, თუმცა ხვდება, რომ მისი პრობლემებით ნაკლებად იწუხებენ თავს. ის ოჯახური ჯაჭვის უკანასკნელი რგოლია და ეს თავადაც არაერთხელ უგრძვნია. ახლა ის ტაჭმირის და კი არა, მისი ხუთი წლით უმცროსი დეიდაა. ლეილას შემდეგ ბიბი გიული აღარ დაფეხმძიმებულა.

კიდევ ერთ შვილზე ფიქრი ფერობამ ვერაფრით ამოიგდო თავიდან. საკუთარი დედისგან იმედგაცრუებული, ქაბულის ერთ-ერთ უპატრონი ბავშვთა სახლს მიადგა. სწორედ იქ ნახა პატარა ქეშმეში, რომელიც აღმზრდელებს ინტერნატის შესასვლელთან, ჭუჭყიან ბალიშის პირში გახვეული ეპოვათ. ფერობამ გოგონა იშვილა და ტაჭმირსაც პატარა დაიკო გაუჩნდა. ტაჭმირი საოცრად ჰგავს დედას, მასავით მრგვალი სახე და ტანი აქვს, სიარულის მანერითაც ჩამოჰგავს

და მათ დედაშვილობაში ეჭვი არავის ეპარება, ქეშმეშის შემთხვევაში კი ყველაფერი სხვაგვარადაა – ქეშმეში მოძრავი და ცელქი გოგონაა. მეტისმეტად გამხდარია და ოჯახის სხვა წევრებთან შედარებით, გაცილებით მუქი სახის კანი აქვს. მისი მოუსვენარი გამოხედვა იმაზე მიანიშნებს, რომ გოგონას სხვებისაგან სრულიად განსხვავებული შინაგანი სამყარო აქვს. ოჯახურ წვეულებებზე კვიცივით დახტის. ტაჭმირი ყოველთვის დედის მორჩილი შვილი იყო, ონავარი ქეშმეში კი არავის უჭერებს და მუდამ გაბურძგნილი, მოთხვრილი და დაკანრულია. მაგრამ ამავდროულად ის ერთგული და მოსიყვარულე ბავშვია, დედას ტკიპასავით ეკვრის კოცნის, ეხვევა და აჩრდილივით ყველგან თან დაჰყვება.

სხვა ბავშვების მსგავსად, თალიბთა სისასტიკე ქეშმეშმაც ადრეულ ასაკში იწვინა. ერთ დღეს თურმე სადარბაზოში თავის მეგობართან ერთად მეზობლის პატარა ბიჭს ეთამაშებოდა. ბიჭი, რომლის მამაც თალიბი იყო, წაქცეულა და დაშავებულა, რის გამოც მამამისს ქეშმეში და მისი მეგობარი ჯოხით სასტიკად უცემია. ამ ყველაფრის საბოლოო შედეგი ის იყო, რომ თალიბი მამიკოს შვილს იმ დღის შემდეგ აღარავინ ეთამაშებოდა.

გარდა ამისა, სწორედ თალიბები იყვნენ, ბავშვობიდან თანშემრდილ გოგონებსა და ბიჭებს სკოლაში ერთად სიარულის ნებართვას რომ არ აძლევდნენ და ცეკვა-სიმღერას, ტაშის შემოკვრას, ებოში თოჯინებით თამაშს კრძალავდნენ რეჟიმმა თოჯინებითა და სათამაშო ცხოველებით გართობაც დაგმო, რადგან თურმე ეს სათამაშოები ცოცხალი არსებების ასლს წარმოადგენდა. რადიოგადამცემებით აღჭურვილი რელიგიური პოლიციის წარმომადგენლები ოჯახების ჩხრევისას ტელევიზორებსა და სხვა აპარატურას ამსხვრევდნენ და სათამაშოების კონფისკაციასაც ახდენდნენ. ან თან მიჰქონდათ, ან კიდევ გაოგნებულ პატარებს ხელებიდან უგულოდ გლეჯდნენ და იქვე ანადგურებდნენ.

როდესაც ქეშმეშმა დედისგან თაღობების ქვეყნიდან განდევნის ამბავი შეიტყო, მაშინვე თავის საყვარელ თოჯინას დაავლო ხელი და ეზოში გააქანა, ტაჯმირმა წვერი მოიპარსა, ფეროზამ კი საგულდაგულოდ გადამალული დამტვერილი მაგნიტოფონი და კასეტები გამოიტანა და ოთახში დარხეულ მუსიკის ჰანგებზე ნარნარს მოჰყვა. დროა, ამოდ დაკარგული წლები ავინაზღაუროთო, ფიქრობდა ქალი.

ფეროზა ორ შვილზე შეჩერდა, რადგან ქეშმეშის აყვანისთანავე სამოქალაქო ომი დაიწყო და ისიც იძულებული გახდა, სულთნის ოჯახთან ერთად პაკისტანში გახიზნულიყო უკან რომ დაბრუნდა, ტაჯმირისთვის ცოლის ძებნა დაიწყო და იმის დრო უკვე აღარ ჰქონდა, საავადმყოფოებში უპატრონო ახალშობილები ეთვალიერებინა.

ფეროზამ, რომელიც თავისი ვაჟის ცხოვრებას სრულად განკარგავდა, სარძლოს შერჩევაც თავის თავზე აიღო. თავად ტაჯმირს კი თანაკურსელი პაკისტანელი გოგონა ჩავარდნოდა გულში. ახალგაზრდები ინგლისური ენის კურსებზე ერთად სწავლობდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ შეყვარებულები ერქვათ, არც ხელიხელჩაკიდებული სეირნობის უფლება ჰქონდათ და არც კოცნის. მარტონი თითქმის არასოდეს რჩებოდნენ, მაგრამ ერთმანეთს ხან მოკლე შეტყობინებებს, ხანაც გრძელ სასიყვარულო ბარათებს უგზავნიდნენ. ტაჯმირი ოცნებობდა ამ გოგონას ცოლად მოყვანაზე, მაგრამ ფეროზას თავის გულისნადებს ვერასოდეს გაუმჟღავნებდა, რადგან მისი გულისსწორი მეომარი მასუდის შორეული ნათესავი იყო და ამ ქორწინებას შეიძლება დიდი ხმაური მოჰყოლოდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, ტაჯმირი დედისთვის გულის გადაშლას მაინც ვერ გაბედავდა. ფეროზამ ვაჟი ისე გაზარდა, რომ მისთვის არც სურვილების დედისთვის გამჟღავნება უსწავლებია და არც გრძნობების გამოხატვა. ტაჯმირისთვის მდუმარე მორჩილება და პატივისცემა ერთსა და იმავე ფასეულობას წარმოადგენდა.

– ერთი გოგონა ვნახე და მინდა, რომ მასზე იქორწინო! – უთხრა ერთ დღეს ფეროზამ ვაჟს.

– რას ამბობ! – ათრთოლებული ხმით წარმოთქვა ტაჭმირმა, რომელსაც პროტესტის გამოხატვა ამრადაც არ მოუვიდოდა თავში. ერთადერთი, რაც გაიფიქრა, ის იყო, რომ თავისი პაკისტანელი შეყვარებულისთვის ახსნა-განმარტებითი წერილი უნდა გაეგზავნა და ეცნობებინა, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდაო.

– ვინ არის? – იკითხა ბიჭმა.

– შენი დეიდაშვილიშვილია, ხადიჯა. ერთმანეთი ბავშვობის შემდეგ არ გინახავთ. კარგი ოჯახიშვილია, ყოჩალი და შრომისმოყვარე...

ტაჭმირმა მხოლოდ თავი დაუკრა დედას. საცოლეს კი ორი თვის შემდეგ, წინასწარ დაგეგმილ ნიშნობის ცერემონიაზე შეხვდა. მთელი ზემის განმავლობაში ახალგაზრდები ერთმანეთის გვერდიგვერდ ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ.

„ამის შეყვარებას კი შევძლებ!“ – გაიფიქრა მაშინ ტაჭმირმა, ხადიჯა 20-იანი წლების ფრანგ ჯამ-მომღერალ გოგონას ჰგავს გვერდზე გადავარცხნილი შავი, მოკლე, ტალღოვანი თმა აქვს. თეთრ კანს ყოველთვის საგულდაგულოდ იპუდრავს და მაკიაჟისა და ტუჩის წითელი საცხის გარეშე არასოდეს დადის. თხელი ღანვები და ხორციანი ტუჩები მოდელს ამსგავსებს, თითქოს მთელი ცხოვრება გრძელი სიგარეტით ხელში პოზირების გარდა არაფერი უკეთებიაო. თუმცა, ავღანური სტანდარტების მიხედვით, გამხდარი, სუსტი აღნაგობის ხადიჯა ლამაზი სულაც არ არის. ავღანელები იდეალურ ქალად სრულ, მრგვალპირისაზიან და განიერთეძობიან ქალს მიიჩნევენ.

– ახლა ჩემი ცოლი მართლა მიყვარს, – ეუბნება ტაჭმირი ამერიკელ ჟურნალისტს – ბობს.

– Wow – ეპასუხება ბობი, – What a story. So you really love your wife now? What about the other girl?

ტაჭმირმა ყოფილი შეყვარებულის შესახებ აღარაფერი იცის. არც აინტერესებს. ერთი წლის წინ მას და ხადიჯას გოგონა შეეძინათ და ტაჭმირიც მხოლოდ თავის პატარა ოჯახზე ზრუნვითაა დაკავებული.

– ხადიჭას ძალიან ეშინოდა, რომ გოგო გვეყოლებოდა, – აგრძელებს ტაჭმირი, – ისედაც სულ რაღაცის ეშინია, შფოთავს. ვარწმუნებდი, რომ გოგონას დაბადება ძალიან გამახარებდა, სხვებთანაც იმავეს ვიმეორებდი და ასე იმიტომ ვიქცეოდი, რომ თუ მართლა ქალიშვილი შეგვეძინებოდა, სიბრაღულით აღარავინ შემომხედავდა, და ბიჭი თუ გვეყოლებოდა, ყველა ბედნიერი იქნებოდა და ზედმეტ სიტყვასაც არავინ იტყოდა.

– ჰმ! – ამბობს ბობი და ცდილობს მის ლოგიკას ჩასწვდეს.

– ახლა ხადიჭას იმისი ეშინია, რომ აღარ დაფეხმძიმდება, რადგან ვცდილობთ და ჯერ ჯერობით არაფერი გამოგვდის. მე ვამშვიდებ, რომ ერთი შვილის ყოლაც საკმარისია, ევროპაში წყვილების უმეტესობას ხომ მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს. ასე რომ, ბავშვი თუ აღარ გვეყოლა, ხალხი იტყვის, თავად არ უნდოდათ მეტის გაჩენაო, და თუ გვეყოლა, ისედაც ყველას გაუხარდება.

– ჰმ...

მანქანას ქალაქ გარდესთან აჩერებენ და სასმელსა და სიგარეტს ყიდულობენ. სამსახურში ტაჭმირი საკმაოდ ბევრს ეწევა, მაგრამ დედასთან ერთი ღერის გამოჩენასაც ვერ ბედავს. იმასაც საგულდაგულოდ მაღავეს, რომ ეწევა. ბიჭები ერთ ყუთ „Hi-lite“ მარკის სიგარეტს იძენენ, ერთი კოლოფის ფასი დაახლოებით ერთი კრონაა (დაახლოებით ცენტის მესამედი). სიგარეტის გარდა, ერთ კილოგრამ კიტრს, ოც ცალ მოხარშულ კვერცხსა და პურსაც ყიდულობენ და კვლავ მანქანაში სხდებიან.

მოულოდნელად ბობი ყვირის, მანქანა გააჩერეთო. მას გზის პირას ჩამომსხდარი, კალაშნიკოვებით შეიარაღებული მამაკაცები შეუნიშნავს. ოცდაათამდე იქნებიან.

– ფაჭა ხანის კაცები უნდა იყვნენ! – ყვირის ბობი, – გააჩერეთ მანქანა!

ჟურნალისტი მეომრებთან ტაჯმირის თანხლებით მიდის. მათ შორის აღმოსავლური პროვინციების უდიდესი მეომარი და ჰამიდ კარზაის ერთ-ერთი უსასტიკესი მოწინააღმდეგე, ფაჯა ხანიც იმყოფება.

– თალიბანის დამხობის შემდეგ ფაჯა ხანი ავღანეთის ყველაზე სახიფათო პროვინციის – პაკტიის გუბერნატორად დაინიშნა. პროვინციაში, სადაც „ალ-ქაიდას“ ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, ფაჯა ხანი ამერიკელების საიმედო დასაყრდენად იქცა. მათთვის ადგილობრივ მეთაურთან თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანი იყო. ახლად დანიშნულ გუბერნატორს „ალ-ქაიდას“ მეომართა ადგილსამყოფელთა დადგენა დაევალა. ამერიკელებისთვის ინფორმაციის გადაცემა რომ გაადვილებოდა, სატელიტური ტელეფონითაც კი აღჭურვეს. ფაჯა ხანი საინტერესო ცნობების მოპოვებისთანავე მოკავშირეებთან რეკავდა და სიახლეებს ატყობინებდა, რის შემდეგაც ამერიკელები მორიგ თავდასხმას აწყობდნენ. ისინი ხან სოფლებს ბომბავდნენ და ხან უდანაშაულო მექორწინეებს ერთხელ ერთ-ერთ-სახლში მყოფი თავიანთი მოკავშირეებიც კი დაბომბეს და არც კარზაის მეთაურად კურთხევის ცერემონიალზე დასასწრებად ქაბულისკენ მიმავალი ლიდერები დაინდეს. მართალია ამ ადამიანთაგან „ალ-ქაიდასთან“ კავშირი. არც ერთს არ ჰქონდა მაგრამ თავად ფაჯა ხანს. აკავშირებდა მათთან პირადი მტრობა მხოლოდ საკუთარი ინტერესების დამცველი თვითმმართველი გუბერნატორის წინააღმდეგ პროტესტი ისე გაიზარდა, რომ კარზაის მისი გადაყენების გარდა, სხვა არჩევანი აღარ დარჩა.

მაშინ ფაჯა ხანმა ახალი ომი წამოიწყო. სოფლებს, რომლებშიც თავისი მტრები ეგულებოდა, ყუმბარებს უშენდა და სხვადასხვა ფრაქციის წინააღმდეგ დაუფარავად იბრძოდა. ძალაუფლების დაბრუნების მისეულ მცდელობას უამრავი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა. ბოლოს იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო...

ბობი ფაჯა ხანს კარგა ხანია დაეძებს და ახლა, როგორც იქნა, მონხელთა. ბიჭების დანახვისთანავე ფაჯა ფეხზე დგება, ბობს მოკლე

სალამს აძლევს, ტაჭმირს კი თბილად იკრავს გულში, თავის გვერდით ადგილს სთავაზობს და ეკითხება:

– აბა, მეგობარო, როგორ ხარ?

„ოპერაცია ანაკონდას“ განმავლობაში ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ. ტაჭმირმა თარჯიმნობისას გაიცნო ფაჯა ხანი. სულ ეს იყო. დიდი და გულითადი მეგობრობა არასოდეს აკავშირებდათ.

ფაჯა და მისი სამი ძმა რეგიონს საკუთარ ქონებასავით განაგებენ. ერთი კვირის წინ ქალაქი გარდესი დაბომბეს, ახლა კი ქალაქ ხოსტას ემუქრებიან, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ახალი გუბერნატორი დაუნიშნავთ., გუბერნატორი, რომელიც ათი წელი ავსტრალიაში ცხოვრობდა, პროფესიით სოციოლოგია და თავისი სასტიკი მოწინააღმდეგისა ტყვიასავით ეშინია.

– ჩემი მეომრები უკვე მზად არიან, – ეუბნება ფაჯა ხანი ტაჭმირს, რომელიც ამ ყველაფერს შემდეგ ბობს უთარგმნის, ბობი კი თითოეულ სიტყვას გაფაცვიცებით იწერს, – ახლა ვსხედვართ და იმაზე ვბჭობთ, როგორ მოვიქცეთ – დაუყოვნებლივ შევიპყროთ თუ ცოტა დავიცადოთ... – ფაჯა მცირე ხნით ყოვნდება, თავის მომხრეებს სიამაყით ათვალიერებს და აგრძელებს:

– ხოსტაში მიემგზავრებით? ჰოდა, ჩემს ძმას უთხარით, რომ ის ახალი გუბერნატორი, რაც შეიძლება, სწრაფად მოიშოროს თავიდან, გუდა-ნაბადი აუკრას და კარზაის უკანვე მიჰგვაროს!

სიტყვებს ხანი ხელეხსაც აშველებს. მეომრები გასუსული შეჰყურებენ თავიანთ ლიდერს, შემდეგ კი მზერა ტაჭმირსა და ბობზე გადააქვთ.

– მისმინე, არავის ეპარება ეჭვი იმაში, თუ ვინ უნდა იყოს იქ სამი პროვინციის მმართველი, ამერიკელები ასე ქორებივით რომ დასტრიალებენ, – ამბობს ფაჯა ხანი და თავისი ამრის დასაკონკრეტებლად ტაჭმირის ბარძაყზე თითით რუკას ხაზავს. შიგადაშიგ ბიჭს კმაყოფილი სახით ხელსაც უტყაპუნებს, ტაჭმირი მექანიკურად თარგმნის.

– კარზაი მომავალ კვირას ჯარის გამოგზავნით იმუქრება, ამის სა-
პასუხოდ რის გაკეთებას აპირებთ? – ვითხულობს ბობი, – რომელი
ჯარის? კარზაის არანაირი ჯარი არ ჰყავს!

მას მხოლოდ ბრიტანელების მიერ განვრთნილი ორასამდე დაც-
ვის ბიჭი თუ ეყოლება... ჩემს საკუთარ რეგიონში ვერავინ დამამარ-
ცხებს! – პასუხობს ფაჯა ხანი და კვლავ ამაყ მზერას ავლებს მეომ-
რებს, რომლებსაც გაცვეთილი სანდლები და ძველი ტანისამოსი აც-
ვიათ, წინ კი გაპრიალეული კალაშნიკოვები უწყვიათ. ზოგიერთ
მათგანს ავტომატის ტარები თეთრი თვლებითა და ლენტებით მოურ-
თავს. ერთ ახალგაზრდას ტარზე პატარა სურათებიც კი მიუწებებია.
ერთ-ერთ სურათს ვარდისფერ ფონზე წითელი ასოებით „KISS“ აწე-
რია.

ერთი წლის წინ ამ მეომართა უმეტესობა თალიბთა მხარეს იბ-
რძოდა.

– ჩვენ არავის საკუთრება არ ვართ, ჩვენი მხოლოდ დაქირავება
შეიძლება! – ამბობენ ავღანელები, რომლებიც ხან ერთ, ხანაც მეორე
მხარეს ომობენ. ამჯერად ისინი ფაჯა ხანს ეხმარებიან. შიგადაშიგ ფუ-
ლის სანაცვლოდ ამერიკელებსაც ემსახურებიან, მაგრამ ყველაზე
მნიშვნელოვანი ახლა ფაჯას მტრების წინააღმდეგ ბრძოლაა. „ალ-
ქაიდაზე“ ნადირობა კი მეორეხარისხოვანია.

– ნამდვილი გიჟია! – ეუბნება ტაჯმირი ბობს, როცა კვლავ მანქა-
ნაში სხდებიან, – სწორედ მისნაირების გამოა, რომ ავღანეთში მშვი-
დობა ვერ დამყარებულა. მისთვის და მისნაირებისთვის საკუთარი ძა-
ლაუფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მშვიდობა. ისევ სათავე-
ში რომ მოექცეს, ათასობით ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეში აგ-
დებს. წარმოიდგინე, ამერიკელები ასეთ ვაცთან თანამშრომლობენ.
– ფაჯა ხანისნაირი სისხლში ხელებგასვრილი ადამიანების დახმარე-
ბის გარეშე ბევრ პროვინციაში ვერც შეაღწევდნენ, – პასუხობს ბობი,
– სხვა არჩევანი უბრალოდ არ აქვთ.

– მაგრამ ამათ ხომ ამერიკელების დახმარება და თალიბებზე ნადირობა უკვე ნაკლებად ადარდებთ?! ახლა იარაღები ერთმანეთის წინააღმდეგ მიუმართავთ! – არ ცხრება ტაჯმირი.

– Hm... I wonder if there will be any serious fighting... – დუდღუნებს ბობი თავისთვის.

ბიჭებს ერთმანეთისგან განსხვავებული აზრები უტრიალებთ გონებაში. ბობს სახიფათო სიტუაციები იტაცებს, ტაჯმირი კი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ შინ მალე დაბრუნდეს. რამდენიმე დღეში მან და ხადიჯამ ქორწინების ორი წლისთავი უნდა აღნიშნონ. ტაჯმირი იმედოვნებს, ამ დღეს მაინც იქნება ოჯახთან ერთად. ჩაფიქრებული აქვს, ცოლი ძვირფასი საჩუქრით გააოცოს.

ბობი ყველანაირი ინფორმაციის მოპოვებას ცდილობს. ამ მცდელობის გამო სულ ცოტა ხნის წინ სიკვდილს ძლივს გადაურჩნენ. მათგან არცთუ მოშორებით ჩამოვარდნილი ყუმბარა უკან მომავალ მანქანას მოხვდა. ერთხელ კი გარდესისკენ მიმავალთ ტყვიები დაუშინეს და სიბნელეში ძლივს იპოვეს საიმედო თავშესაფარი. ასეთ ხიფათებსა და სანგრებში ძრომიალზე ბობი ჭკუას ვარგავს, ტაჯმირი კი თავბედს იწყევლის იმის გამო, რომ სამსახური გამოიცვალა. ამგვარი რეპორტაჟების მომზადებისას ერთადერთი დადებითი მხარე ის არის, რომ დამატებით თანხას უხდიან. ამ ფულს ტაჯმირი თავისთვის იტოვებს და ფეროზას არათფერს ეუბნება.

ტაჯმირი, ბევრი სხვა ქაბულელის მსგავსად, ავღანეთის ამ ველურ და ძალადობით სავსე რეგიონებს ნაკლებად ითავისებს. აქ მაცხოვრებელი ხალხი ქვეყნის ეროვნული მმართველობის სისტემას ნაკლებად ერგება. მაგალითად, ამჯერად ფაჯა ხანი და მისი ძმები განაგებენ საკმაოდ დიდ რეგიონს. და ასე იყო ყოველთვის, ლიდერობას ძლიერები ითავსებდნენ.

მანქანიდან უდაბური ლანდშაფტი მოჩანს. ალაგ-ალაგ აქლემებზე ამხედრებულ ადამიანებსაც ხედავენ. რამდენიმე ადგილას ხაკისფერი კარვები ჩაუდგამთ. კარვებთან კი ფერად, ფრიალა კაბებში გამონყობილი ქალები დაფუსფუსებენ.

ავღანეთში მცხოვრები ქუჩის ტომის ქალები თავიანთი თავისუფლებით არიან ცნობილნი. იმის გამო, რომ ეს ტომი ქალაქებიდან მოშორებით სახლობდა, მათთვის ბურკის ტარება თავად თალიბებსაც კი არ დაუძალებიათ. თუმცა ამ მოხეტიალე ხალხმა უკანასკნელ წლებში საკმაოდ დიდი გაჭირვება გადაიტანა. ომისა და ნაღმების გამო იძულებულნი გახდნენ, თავიანთი საუკუნოვანი ტრადიციული ტურები დაევიწყებინათ და შედარებით ახლო და საიმედო ტერიტორიებზე გადაადგილებულიყვნენ. გარდა ამისა, გვალვითა და შიმშილობით უამრავი თხა და აქლემი დაეხოცათ. ხედი სულ უფრო ნაღვლიანი ხდება. ირგვლივ მხოლოდ ყავისფერი უდაბნო და ხაკისფერი მთებია, სადაც საშოვარზე გაშვებული ცხვრები ჭიანჭველებივით დაცოცავენ და საკვებს ეძებენ.

ბიჭები ქალაქ ხოსტას უახლოვდებიან. ამ ადგილებში თალიბთა ლიდერს, მოლა ომარს ყველაზე ერთგული მოკავშირეები ჰყავს. აქ მცხოვრებმა ხალხმა თალიბების რეჟიმის სიმძიმე ნაკლებად იგრძნეს, რადგან მათთვის ისედაც ბევრი არაფერი შეცვლილა. ქალები გარეთ არც ადრე გამოდიოდნენ და გოგონებსაც სკოლაში არავინ უშვებდა. ბურკას ოდითგანვე ატარებდნენ და მათ საქციელს სახელმწიფო მმართველობა კი არა, თავად ოჯახი აკონტროლებდა.

ხოსტა ის ქალაქია, სადაც ქალები არ ცხოვრობენ. ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ასე ჩანს. თალიბთა დამხობის პირველივე გაზაფხულს ქაბულელი ქალების უმეტესობამ ბურკის ტარებაზე უარი თქვა. თანდათანობით მათი რიცხვი რესტორნებსა და კაფეებშიც მომრავლდა, მაშინ, როცა ხოსტას ქუჩებში ბურკიანი ქალის დანახვაც კი წარმოუდგენელია. ამ ქალაქის ქალები დღენიადაგ სახლებში

არიან გამოკვეტილნი, არც საყიდლებზე დადიან და სტუმრადაც იშვიათად მიჰყავთ. პურდაჰის კანონი, რომელიც ქალისა და მამაკაცის ერთიმეორისგან მკვეთრ გამიჯვნას ითვალისწინებს, ამ რეგიონში მკაცრადაა დაცული.

ტაჭმირი და ბობი ფაჯა ხანის უმცროს ძმასთან, კამალ ხანთან მიდიან. მას გუბერნატორის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი დაუკავებია, ახლადარჩეული გუბერნატორი კი, საკუთარი უსაფრთხოების მიზნით, ადგილობრივი პოლიციის უფროსის კაბინეტში გამოკვეტილა. ყვავილნარიან ბაღში კამალ ხანის კლანის უამრავი წარმომადგენელი შეკრებილა. სხვადასხვა ასაკის მამაკაცთა უმეტესობა მოლზე მიწოლილა, დანარჩენები კი სწრაფი ნაბიჯებით მიდი-მოდიან. ვითომ საქმიანი, მაგრამ ცოტა არ იყოს, ყალბი განწყობა იგრძნობა. ტაჭმირი კამალ ხანს კითხულობს. ბიჭებს კომენდანტთან ორი ჯარისკაცი აცილებს. ხანი რამდენიმე მამაკაცს ესაუბრება. ის ინტერვიუს მიცემაზე თანხმდება და სტუმრებს ჩაის სთავაზობს.

– ჩვენ მზად ვართ ბრძოლისთვის. სანამ ეს ყალბი გუბერნატორი ხოსტადან არ წავა და ჩემი ძმა თანამდებობას არ დაიბრუნებს, მშვიდობა არ დამყარდება! – ამბობს ახალგაზრდა კომენდანტი. თანმხლებნი თავის ქიცინით უკრავენ კვერს. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც კამალ ხანის მოადგილეა, განსაკუთრებით აქტიურობს. ის იატაკზე ფეხებგადაჯვარედინებული ზის, ჩაის წრუპავს და ცდილობს სიტყვა არ გამოეჰაროს, თან მთელი ამ დროის განმავლობაში გვერდით მჯდომ ჯარისკაცს ეალერსება. მერე ხელს ხელზე ჰკიდებს და ირიბდება. ოთახში მყოფი ჯარისკაცები ტაჭმირისა და ბობისკენ აპარებენ მზერას.

ავღანეთის ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით კი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ჰომოსექსუალიზმი საკმაოდ გავრცელებული და მიღებულია, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს. კომენდანტებს რამდენიმე ახალგაზრდა საყვარელი ჰყავთ. ასაკოვანი მამაკაცები ხშირად დასეირნობენ მათზე გაცილებით უმცროს, თმაში ან

სადილეში ყვავილგარტობილ ყმანვილებთან ერთად, რომლებიც ნარნარით მიჰყვებიან პარტნიორს. ბევრ მათგანს თვალეზი შავი ფანქრით აქვს შეღებილი და ევროპულ ტრანსვესტიტს ჰგავს. უცხო მამაკაცებს მზერით ეკვლეუციებიან და მხრებსა და თეძოებს უთამაშებენ, სიყვარულის ამგვარი ფორმის გავრცელებას ქვეყნის ამ რეგიონში მკაცრად დამკვიდრებული პურდაჰის კანონით ხსნიან, ბევრ კომენდანტს მამრობითი სქესის საყვარლების პარალელურად ცოლი და შვილების მთელი გუნდი ჰყავს. მაგრამ შინ იშვიათად არიან და დროის ძირითად ნაწილს მამაკაცთა გარემოცვაში ატარებენ. ახალგაზრდა საყვარლებს შორის ეჭვიანობის სცენები საკმაოდ ხშირად იმართება, რაც ბევრჯერ განსაკუთრებით დრამატულ სახეს იღებს და სისხლისმღვრელ ბრძოლადაც კი გადაიქცევა ხოლმე. ერთხელ კომენდანტებმა საყვარლის გამო შუა ბაზარში დაუნდობელი ომი გააჩაღეს, უაზრო ომს, რომელშიც ტანკებიც კი გამოიყენეს, უამრავი ხალხი შეენირა.

კამალ ხანი – ოციოდე წლის სიმჰათიური მამაკაცი, დაჟინებით ამტკიცებს, რომ ამ პროვინციის მართვა მხოლოდ ხანთა კლანის პრეროგატივაა.

– ხალხი ჩვენს მხარეზეა! – ღიმილით ამბობს კომენდანტი, – სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ. მთავარი ძალაუფლების ხელში ჩაგდება კი არ არის, მთავარი ხალხის ნებაა. სწორედ ხალხს სურს, რომ მმართველობა ჩვენ გადმოგვეცეს და ისინი იმსახურებენ კიდევ ამას. ჩვენ ხომ მხოლოდ მათი სურვილიდან გამომდინარე ვმოქმედებთ.

კედელზე ორი უზარმაზარი ობობა მიცოცავს... კამალ ხანი ჯიბიდან პატარა ჭუჭყიან კოლოფს იღებს, კოლოფიდან – აბს და პირში იღებს. სახის გამომეტყველებით ცდილობს სტუმრებს მიანიშნოს, რომ შეუძლოდაა.

სწორედ ესენი არიან ის ადამიანები, სახელმწიფო მინისტრს, ჰამიდ კარზაის ასე შეუპოვრად რომ ექიშვებიან, ქვეყანაში ომის სასტიკი წესებით მოქმედებენ და ქაბულის დირექტივებს არ ემორჩილებიან. მათ ახირებებს ათასობით უდანაშაულო მოქალაქე ეწირება, რაც სულაც არ ადარდებთ. მათთვის უმთავრესი ძალაუფლების მოპოვებაა და ეს ძალაუფლება ორ მთავარ პრინციპს ეფუძნება: პატივმოყვარეობას – პროვინციაში სწორედ ხანთა კლანმა რომ უნდა შეინარჩუნოს პოზიციები, და დიდი ფულის მოხვეჭის სურვილს – გაუკონტროლებელი კონტრაბანდული ქსელისა და კანონიერი გზით შემოსულ საქონელზე დაწესებული გადასახადების გზით უამრავი ფული იშოვება.

ამერიკულ გაზეთს ხოსტას ადგილობრივი კონფლიქტი ასე ძალიან იმიტომ კი არ აინტერესებს, რომ ჰამიდ კარზაი ჯარის გამოგზავნით იმუქრება; მან, შესაძლოა, თავისი მუქარა არც განახორციელოს, რადგან ფაჯა ხანი გამუდმებით იმეორებს, ის თუ ჯარს გამოუშვებს, უდანაშაულო ხალხი დაიხოცება და მათი სისხლი კარზაის ვისერზე იქნებაო.

გაზეთის მთავარ ინტერესს ქვეყნის ამ რეგიონში განლაგებული ამერიკის საიდუმლო საჯარისო შენაერთები წარმოადგენს, რომელთან მიახლოებაც კი თითქმის წარმოუდგენელია. ბობის მიზანია, იმ საიდუმლო აგენტებზე მოაგროვოს ინფორმაცია, მიუვალ კლდეღრეში რომ დაძვრებიან და „ალ-ქაიდას“ ტერორისტებს დაეძებენ. ექსკლუზიური სტატიისთვის უკვე სათაურიც კი აქვს მოფიქრებული: „ნადირობა „ალ-ქაიდაზე“. ყველაზე მაგარი მაინც ის იქნება, თავად ოსამა ბინ ლადენს ან მოლა ომარს რომ წააწყდეს სადმე.

ამერიკელები საკმაოდ ეშმაკურად მოქმედებენ – ძმებ ხანებთანაც თანამშრომლობენ და მათ მოწინააღმდეგეებთანაც. ორივე მხარეს შესაბამისად აფინანსებენ და იარაღს, საკომუნიკაციო თუ სხვა ტექნიკურ საშუალებებს ურიგებენ. თალიბთა ყოფილი მომხრეები ორივე

ფლანგში არიან და უცხოელი აგენტები ყველა მათგანთან ცდილობენ კონტაქტს. ძმები ხანების უპირველესი მტერი ხოსტას ადგილობრივი პოლიციის უფროსი მუსტაფაა, რომელიც ამერიკელებისა და კარზაის მოკავშირეა. ერთ-ერთი შეტაკების დროს მუსტაფას მომხრეებს ხანის კლანის ოთხი წარმომადგენელი მოუკლავთ, რის შემდეგაც პოლიციელი იძულებული გამხდარა რამდენიმე დღის განმავლობაში პოლიციის შენობაში გამოვეტილიყო და თავი ბარიკადებით დაეცვა. ხანები იმუქრებოდნენ, იმ ოთხ ადამიანს, რომლებიც პირველები დატოვებენ შენობას, მაშინვე სიცოცხლეს გამოვასალმებთო. მოგვიანებით ძმები მოლაპარაკებაზე წავიდნენ და მოწინააღმდეგეები შურისძიების სამომავლოდ გადადებაზე შეთანხმდნენ. ამგვარად, მუსტაფას ოთხ მომხრეს სიკვდილი მაინც არ ასცდება, რადგან დაღვრილი სისხლი სისხლითვე უნდა გამოისყიდონ, მაგრამ ხანების გამუდმებული მუქარა გაცილებით უფრო დიდი წამებაა, ვიდრე თავად მკვლელობის ფაქტი.

კამალ ხანი და მისი უმცროსი ძმა ვაზირ ხანი პოლიციის უფროსს, მუსტაფას, ქალებისა და ბავშვების მკვლელად და კრიმინალად მოიხსენიებენ. ეს კაცი აქაურობას უნდა მოშორდესო, ამბობენ ბოლოს ხაზგასმით.

ტაჭმირი და ბობი ინტერვიუსთვის მადლობას იხდიან და წასავლელად ემზადებიან. ალყაყამდე მათ ეგზოტიკური გარეგნობის ორი სიმჰათიური ახალგაზრდა აცილებს. ყმანვილებს ტალღოვან ქოჩორზე დიდი, ყვითელი ყვავილი აბნევიათ და წელზე სქელი ქამრები აქვთ შემორტყმული. სტუმრებს ისე დაჟინებით ათვალიერებენ, თითქოს სხარტ, ქერათმიან ბობსა და ტანსრულ, ფისუნიას სახიან ტაჭმირს ერთმანეთს ადარებენო.

– მუსტაფას ხალხს უფრთხილდით! – ეუბნებიან ბოლოს მზრუნველად, – მათი ნდობა არ შეიძლება. მიტრიალდებით თუ არა, მაშინვე გიდალატებენ! ჰო, კიდევ: რომ დაბნელდება გარეთ ნულარ გახვალთ, თორემ მუსტაფას ხალხისგან გაძარცვა არ აცდებათ.

ბობი და ტაჭმირი ახლა გეზს „მტრის ბანაკისკენ“ იღებენ პოლიციის სადგური, რომელიც ხანების მიერ ოკუპირებულ გუბერნატორისეული სახლიდან რამდენიმე კვარტლის მოშორებით მდებარეობს, ციხის როლსაც ითავსებს. შენობას ერთ მეტრი სისქის კედელი აკრავს და ნამდვილ ციხესიმაგრეს ჰგავს. მუსტათას ხალხი რკინის უბარმაზარ ალაცავს ჟურნალისტიკისა და მისი თარჯიმნის ეზოში შესვლისთანავე კეტავენ. ბიჭებს აქაც ყვავილების ტკბილი სურნელი ეგებებათ, მაგრამ აქ თმაში ყვავილებდაბნეული არავინ დასეირნობს. მუსტათას ჯარისკაცები ხანის მომხრეებისგან აშკარად განსხვავდებიან, მათ მუქი ყავისფერი უნიფორმები და მძიმე ჩექმები აცვიათ, თავზე კი ოთხკუთხა ქუდები ახურავთ. ბევრ მათგანს ცხვირ-პირი შარფით დაუფარავს და მუქი მზის სათვალე უკეთია. ალბათ ფიქრობენ, რომ სახის დამალვით კიდევ უფრო საშიშნი ხდებიან.

ტაჭმირი და ბობი შენობის ვიწრო გასასვლელში ამავალ კიბეს მიუყვებიან. მუსტათა სულ ბოლო ოთახში ზის და, კამალ ხანის მსგავსად, მასაც კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცები იცავენ. აქაც იგივე იარაღი აქვთ და იმავე გარეგნობის ქორისთვალეა ნვეროსანი კაცები ჰყავთ. კედელზე დაკიდებული მექას გამოსახულებაც კი იგივეა. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ პოლიციის უფროსი სკამზე ზის და არა – იატაკზე. მის წინ, მაგიდაზე, წითელყვითელი პლასტმასის შროშანებით სავსე ლარნაკი დგას. ლარნაკის გვერდით მწვანე ქსოვილში გახვეული ყურანი დევს, ცოტა მოშორებით კი – ავღანეთის მინიატურული ზომის დროშა თავისი სადგამით.

– კარზაი ჩვენ მხარესაა და დათმობას არც ვაპირებთ! ხანებმა ამ რეგიონში კარგა ხანს ითარეშეს, ახლა კი დროა, მათ ბარბაროსობას ბოლო მოეღოს! – ეუბნება სტუმრებს მუსტათა მის გარშემო მსხდომი კაცები კი თანხმობის ნიშნად თავს უკრავენ.

ტაჭმირი ვკლავ თარგმნის. ახალს არავინ არაფერს ამბობს, სიტყვებიც და მუქარაც თითქმის იგივეა. ახლა მუსტათა ამტკიცებს, რომ

ის ფაქტა ხანზე უკეთესია და რეგიონში მშვიდობის დამყარებას მხოლოდ ის შეძლებს. სინამდვილეში კი მისი სიტყვებიც იმას ადასტურებს, რომ ავღანეთში სიმშვიდე არასოდეს იქნება.

მუსტაფა ამერიკელთა სადაზვერვო დავალებებზე ბევრჯერ ყოფილა. ერთხელ თურმე კარგა ხანს უთვალთვალეებდნენ ერთ საცხოვრებელ სახლს, სადაც ბინ ლადენი და მოლა ომარი ეგულებოდათ, მაგრამ მათი ეჭვი არ გამართლდა. ამერიკელები დაზვერვას აგრძელებენ და მათი საქმიანობა იმდენად გასაიდუმლოებულია, ბობი და ტაჯმირი ბევრს ვერაფერს არკვევენ. ბობს სურს, ერთ-ერთ ასეთ ოპერაციას თავადაც დაესწროს. მუსტაფას მის სიტყვებზე ეცინება და პასუხობს:

– არ შეიძლება, ეს ყველაფერი მკაცრადაა გასაიდუმლოებული და ამერიკელები წესებს არასოდეს არღვევენ. ასე რომ, ახალგაზრდავ, რაც არ უნდა ეცადო, მაინც არაფერი გამოგივა.

– რომ შებინდდება, გარეთ ნულარ გამოხვალთ, თორემ, შესაძლოა, ხანის ვაცებმა დაგაყაჩაღონ! – აფრთხილებს მუსტაფა სტუმრებს, რომლებიც ოთახში მყოფთ ემშვიდობებიან და წასასვლელად ემზადებიან.

მშვირები ქალაქის ერთ-ერთ საქაბაბეში შედიან. უზარმაზარ ოთახში გრძელი სკამები დგას, რომლებზეც ბალიშები გაუმწკრივებულია.

ტაჯმირი ფლავსა და ქაბაბს უკვეთავს, ბობი კი მოხარშულ კვერცხსა და პურს ითხოვს. ბობს ეშინია, პარაზიტებითა და ბაქტერიებით არ დაავადდეს. ბიჭები ნაჩქარევად სადილობენ და სასწრაფოდ სასტუმროში ბრუნდებიან, დაბინდებისას გარეთ ყოფნას ერიდებიან. ამ ქალაქში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და სიფრთხილე ნამდვილად არ აწყენთ.

ბიჭების შესვლისთანავე ქალაქ ხოსტას ერთადერთი სასტუმროს მძიმეგისოსებიან კარს სასწრაფოდ კეტავენ. მათი ფანჯრიდან დალუ-

ქული მაღაზიებით, ნიღბიანი პოლიციელებითა და „ალ-ქაიდას“ მომხრეებით სავსე ქალაქის ხედი მოჩანს. სულ ცოტა ხნის წინ ერთმა ვაჟმა ბობს ისეთი თვალებით შეხედა, ტაჯმირს გული გადაუქანდა. რეგიონში ამერიკელები „ძვირად ფასობენ“, ყოველი ამერიკელის მოკვლისთვის 50 ათასი დოლარია დანესებული.

ჟურნალისტი თავისი სატელიტური ტელეფონის სიგნალს დასარეგულირებლად სასტუმროს სახურავზე ადის. შენობის თავზე ვერტმფრენი დაფრინავს. სასტუმროში მომსახურე ათობით ჯარისკაცი ბიჭების გარშემო შეკრებილა და თვალვებდაჭყეტილი შეჰყურებს ბობს და მის უზონრო ტელეფონს.

– ახლა ამერიკას ელაპარაკება? – ეკითხება ტაჯმირს გამხდარი, ტუნიკასა და სანდლებში გამოწყობილი ჩალმიანი მამაკაცი, რომელიც, როგორც ჩანს, დაცვის უფროსია. ტაჯმირი თანხმობის ნიშნად თავს უკრავს, შემდეგ ბიჭებთან გასაუბრებას ცდილობს, მაგრამ ისინი კვლავ ბობს მიშტერებიან და ცდილობენ ამ საოცარი ტელეფონის მოქმედების მექანიზმში გაერკვნენ. ბევრ მათგანს ტელეფონი საერთოდ არ უნახავს.

– იცი, რა არის ჩვენი პრობლემა? – ნაღვლიანად ეუბნება ბობს ერთ-ერთი ჯარისკაცი, – ის, რომ იარაღის ხმარება ზედმიწევნით ვიცით, მაგრამ ტელეფონისა არაფერი გაგვეგება!

ამერიკასთან საუბრის შემდეგ კვლავ დაბლა ჩადიან. კალაშნიკოვებით შეიარაღებული ჯარისკაცები ფეხდაფეხ მიჰყვებიან.

– ამათზე გვეუბნებოდნენ, ბურგს როგორც კი შეაქცევთ, მაშინვე თავს დაგესხმებიანო? – ჩურჩულით ეკითხება ტაჯმირი მეგობარს.

ბიჭები ფოიეში ჩადიან და სავარძელზე სხდებიან. მათ უკან, კედელზე, გასაოცარი სურათი კიდია: ჩარჩოში ჩასმული უზარმაზარი პლაკატი, რომელზეც ნიუ-იორკია გამოსახული და მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორივე შენობა ჯერ კიდევ ადგილზეა. თუმცა ფონი, რომელზეც ქალაქის შენობებია გამოსახული, მთლად ნიუ-იორკისა არ

არის., შენობების უკან უზარმაზარი მთები იკვებება, სულ წინა პლანზე კი წითელი ყვავილებით აჭრელებული დიდი მწვანე პარკის გამოსახულება ჩაუსვამთ. ამ უზარმაზარი მთიანი მასივის ფონზე ნიუ-იორკი პანანინა ქალაქივით მოჩანს.

როგორც ჩანს, ეს პლაკატი ვარგა ხანია აქ კიდია, რადგან ქალაქი საკმაოდ გახუნებულა და დაბრეცილა. ალბათ სურათი როცა დაკიდეს, მაშინ თავშიც კი არავის მოსვლია გროტესკული აზრი, რომ სწორედ ამ სურათის მოტივი გაიგივდებოდა მომავალში ავლანეთთან და მტვრიან ქალაქ ხოსტასთან, რასაც შემდეგ სრულიად უსარგებლო ყუმბარების წვიმა მოჰყვებოდა.

– იცით ეს რომელი ქალაქია? – კითხულობს ბობი, ჯარისკაცები უარის ნიშნად თავს აქნევენ. ადამიანებს, რომლებიც ორსართულიან თიხის სახლსაც კი იშვიათად ხედავენ, ვერ წარმოუდგენიათ, რომ სურათზე გამოსახული ქალაქი და მრავალსართულიანი შენობები რეალურად არსებობს.

– ეს ნიუ-იორკია, – უხსნის ბობი, – ამერიკა. სწორედ ეს ორი მაღალი შენობაა, ოსამა ბინ ლადენმა თვითმფრინავები რომ დააჭახა.

ჯარისკაცები ყურებს ცქვეტენ. ეს ამბავი გაგონილი აქვთ, მაგრამ არ იციან, რონ პლაკატზე სწორედ ის შენობებია გამოსახული. არადა, ამ სურათს ყოველდღე უყურებენ. აი, თურმე როგორი ყოფილა ის სახლები...

ბობი ჭიბიდან გაზეთს იღებს და ჯარისკაცებს იმ ადამიანის სურათს უჩვენებს, რომლის ვინაობაც ყოველმა ამერიკელმა ზედმინწევით იცის.

– ეს კაცი თუ იცით, ვინ არის?

ჯარისკაცები კვლავ თავს აქნევენ უარის ნიშნად.

– ეს ოსამა ბინ ლადენია.

ჯარისკაცები მოულოდნელად ცოცხლდებიან, ჟურნალისტს გაზეთს ხელიდან სტაცებენ და სურათს აკვირდებიან.

– აი, თურმე როგორ გამოიყურება...

ბიჭებს გაზეთიც აოცებთ და თავად ბინ ლადენის სურათიც.

– ტერორისტი! – გაიძახიან ისინი, საჩვენებელი თითით სურათზე მიანიშნებენ და ხმამაღლა იცინიან. ხოსტაში ჟურნალ-გაზეთები არ გამოდის, შესაბამისად, ჯარისკაცებს არც ბინ ლადენის სურათი აქვთ ნანახი. არადა, სწორედ ეს კაცია მიზეზი იმისა, რომ ამერიკელები, ჟურნალისტი ბობი და თარჯიმანი ტაჭმირი, ახლა მათ ქალაქში იმყოფებიან.

ჯარისკაცები პატივისცემის ნიშნად სტუმრებს ჰაშიშის მონევას სთავაზობენ. ტაჭმირი მოსაწვევს ყნოსავს და ღიმილით უარს ამბობს, ძალიან ძლიერიაო.

მოგვიანებით კი, როცა დასაძინებლად წვებიან, ბობსაც და ტაჭმირსაც ავტომატური იარაღი და ომი ესიზმრებათ. მეორე დღეს დილიდანვე გეგმავენ, სად წავიდნენ და რა თემზე მოამზადონ რეპორტაჟი.

ისინი ხოსტას ქუჩებში დაბორილობენ და ყველაფერს აკვირდებიან მნიშვნელოვან ოპერაციებზე და გამოქვაბულებში „ალ-ქაიდაზე“ სანადიროდ ისინი არავის მიჰყავს, ამიტომ თითქმის ყოველდღე მუსტაფასა და კამალ ხანს სტუმრობენ იმ იმედით, რომ რამე ახალ ინფორმაციას მოიპოვებენ.

– კამალ ხანის გამოჯანმრთელებამდე უნდა მოიცადოთ! – ეუბნებიან გუბერნატორის სახლში დაბანაკებული ხანის კაცები.

– ახალი და საინტერესო დღესაც არაფერია, – პასუხობენ მუსტაფას პოლიციელები.

ფაჯა ხანი არსად ჩანს, მუსტაფა თავის პლასტმასის ყვავილებით მორთულ ოთახში გამოკეტილა, ამერიკელების სპეცრაზმისთვის თვალის კი არ მოუკრავთ. არაფერი ხდება, გარდა იმისა, რომ ყოველ ღამე ავტომატების კაკანი ისმის, დღისით კი ცაში ვერტმფრენები წრეებს ხაზავენ. მსოფლიოს ყველაზე განუკითხავ რეგიონში საშინელი მონყენილობაა. ბობი და ტაჭმირი კვლავ ქაბულში დაბრუნებას

გვეგვიან. ტაჯმირს გული სიხარულით უფანცქალებს – მალე ამ საშინელ ქალაქს მოშორდება და ისევ თავის მიკრორაიონს დაუბრუნდება. ჩაფიქრებული აქვს, ქორწინების ორი წლისთავის აღსანიშნავად ცოლს სადღესასწაულო ტორტი უყიდოს. უსაზღვროდ ბედნიერია, რომ მალე საკუთარ ოსამას – ჰატარა, ჩასუქებულ, ცხვირზე სათვალედსკუპებულ დედიკოს ნახავს, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარს.

გატეხილი გული

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ლეილა საიდუმლო ბარათებს იღებს. გოგონა ამ ბარათების გარდა ველარაფერზე ფიქრობს, გული გამალებით უცემს და შიშისგან აჟრჟოლებს. ყოველ ბარათს ნაკითხვის-თანავე ანაკუნებს და ღუმელში ყრის, ბარათები ოცნების სამყაროში, სულ სხვა ცხოვრებაში გადასვლის საშუალებას აძლევს, ფანტაზიას უმდიდრებს და მის მოსაწყენ ყოველდღიურობას უჩვეულოდ მუხტავს. ლეილასთვის ეს ახალი განცდაა. სრულიად მოულოდნელად იმ გრძნობის ტყვეობაში აღმოჩნდა, რომლის არსებობა ვერც კი წარმოედგინა.

– მინდა გავფრინდე! აქაურობას მოვშორდე! – თავისდაუნებურად აღმოხდება ერთ დღეს და დასახვეტად მომზადებულ ცოცხს ჰაერში ატრიალებს.

– რა თქვი? – ეკითხება დაბნეული სონია, რომელიც იატაკზე მის და ხალიჩის ორნამენტებზე თითის გაყოლებით ირთობს თავს.

– არაფერი... – პასუხობს ლეილა და გრძნობს, რომ მეტის ატანა აღარ შეუძლია. ეს სახლი მისთვის ციხედ ქცეულა. „რატომ არის ყველაფერი ასე რთულად?!“ – ფიქრობს გოგონა.

გარეთ გასვლა განსაკუთრებულ სიამოვნებას არასოდეს ანიჭებდა, ახლა კი სადმე წასვლის უცნაური სურვილი უჩნდება ლეილა ბაზარში მიდის და თხუთმეტიოდე წუთში უკანვე ბრუნდება. თან ერთი შეკვრა ხახვი მოაქვს. კარებში შარიფა ხვდება და უმცროს მულს ეჭვის თვალით უმზერს:

284 – გარეთ მხოლოდ ხახვის საყიდლად გახვედი? ისე გინდა თავის გამოჩენა, რომ ბაზარში მაშინაც კი დადიხარ, როცა საყიდელი არაფერია? შემდეგში რომელიმე მეზობლის ბიჭი გაიყოლე! – მკაცრად აფრთხილებს შარიფა, რომელიც ჩანს, ცუდ ხასიათზეა.

საყიდლებზე სიარული ძირითადად მამაკაცების ან ასაკოვანი ქალების საქმეა. გამყიდველებთან ლაზღანდარობა და შევაჭრება ახალგაზრდა ქალს არ ეკადრება. იმის გამო, რომ დახლების ან მაღაზიების მეპატრონეები ძირითადად მამაკაცები არიან, თალიბები ქალებს სავაჭროდ მარტო წასვლას უკრძალავდნენ, ახლა კი საკუთარი ყოფით ნირწამხდარი შარიფა იძლევა განკარგულებებს.

ლეილა ხმას არ იღებს. ხახვის გამყიდველთან ლაპარაკის გაბმა არც უფიქრია. სადილს მთელ შეკვრა ხახვს ახმარს იმის გამო, რომ შარიფას დაუმტკიცოს, ბაზარში ტყუილად არ წავსულვარო.

როდესაც ბიჭები შინ ბრუნდებიან, ლეილა ისევ სამზარეულოში ტრიალებს. აიმალის ფეხის ხმის გაგონებაზე უცნაურად იბუზბება და გულისცემა უხშირდება. ბიჭი მამიდასთან მიდის და ხელში ქალაღდის ნაგლეჯსა და რაღაც პანაწინა ფუთს უჩურთავს. არადა აიმალს რამდენჯერმე სთხოვა, წერილებს ნუღარ გადმომცემო... წერილსაც და შეკვრასაც კაბის ქვეშ მაღავს, შემდეგ თავის სკივრში საგულდაგულოდ კეტავს. მოგვიანებით კი, იმ დროს როცა ყველა სავახშმოდ ჯდება, ოთახიდან უჩუმრად იპარება, სკივრს ხელის კანკალით ხსნის, „ძვირფას“ წერილს იღებს და კითხულობს; „ძვირფასო ლ. ახლა შენს პასუხსაც ველი. ჩემი გული შენთვის იწვის. შენ ისეთი ლამაზი ხარ! ჩემი სიცოცხლე შენს ხელთაა. თუ ამ ნაღველს არ გამიქარვებ, ცხოვრების ბოლომდე ასე დარდიანი ვიქნები. გემუდარები, რაიმე ნიშანი

მაინც მომეცი, მიპასუხე. შენთან შეხვედრა მსურს. მინდა, მთელი ცხოვრება შენ გვერდით ვიყო. მოკითხვით, კ.“

წერილთან ერთად ვერცხლისფერსამაჯურიანი საათი დევეს. ლეილა საათს ირგებს, მერე კვლავ იხსნის და უკანვე, სკივრში აბრუნებს. ამ ნივთს მაინც ვერასოდეს გამოიყენებს, რადგან ცნობისმოყვარე ოჯახის წევრები მაშინვე შენიშნავენ და უამრავ კითხვას დააყრიან. იმის გაფიქრებაზეც კი, რომ დედა და მისი ძმები ყველაფერს შეიტყობენ, უკვე ლოყები ეფაკლება. რა საშინელებაა, რა სირცხვილია! სულთანს და იუნუსს ხომ ვერ გადაურჩება, ამ უზნეო საქციელს არავინ აპატიებს!

ერთ-ერთ წერილში ბიჭი ეკითხება, შენც იმავეს თუ გრძნობ, რასაც მეო... თუმცა ლეილა შიშის გარდა არც არაფერს გრძნობს. ეს მისთვის სრულიად უცხო და ახალი განცდაა. ადრე მისი აზრით არავინ დაინტერესებულა, ახლა კი მისგან პასუხს ელიან და გრძნობების გამოჟღავნებას სთხოვენ. საკუთარი აზრის გამოხატვას მიჩვეული არ არის, თუმცა სათქმელიც ბევრი არაფერი აქვს. თავის გრძნობებზეც ვერაფერს იტყვის, რადგან იცის, არც ამისი უფლება გააჩნია. მას ხომ გამუდმებით იმას ჩასჩიჩინებდნენ, რომ გრძნობებს აყოლა სამარცხვინო საქციელია.

იმ საიდუმლო წერილების ავტორი, კარიმი კი ნამდვილად შეყვარებულია. ლეილა პირველად მაშინ ნახა, როცა გოგონამ სონიასთან ერთად სულთანს და მის ვაჟებს სასტუმროში სადილი მიუტანა. თვალის ერთი შევლებაც კი საკმარისი აღმოჩნდა... გოგონას მრგვალი, ფერმკრთალი სახე, კრიალა კანი და თვალები ღრმად ჩაებეჭდა გონებაში.

კარიმი მართო ცხოვრობს და იაპონურ ტელეკომპანიაში მუშაობს. საკმაოდ გულჩათხრობილი ბიჭია. დედა სამოქალაქო ომის დროს დაედუპა, იმ დროს, როცა მოშორებით აფეთქებული ყუმბარის ნამსხვრევი მათ ეზოში ჩავარდა. მამამისმა მაშინვე ახალი ცოლი შეირ-

თო, მაგრამ დედინაცვალს ბიჭი ვერაფრით შეეგუა. არც ქალი ამჟღავნებდა გერებისადმი განსაკუთრებულ სიბოძს და ქმრისგან მალულად სცემდა კიდევ მათ. კარიმი მამასთან არასოდეს ჩიოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი ჯალალაბადში, მამისის აფთიაქში მუშაობდა, თუმცა ოჯახში ყოფნა მისთვის სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. მალე მისი უმცროსი და ქაბულელ კაცს მიათხოვეს და კარიმი საცხოვრებლად მათთან გადავიდა, უნივერსიტეტში რამდენიმე კურსიც გაიარა და როცა თალიბანის დამხობის შემდეგ ქაბულის სასტუმროებსა და პანსიონატებს ჟურნალისტთა „ურდოები“ მიაწყდნენ. ახალი სამსახურიც იშოვნა, გარდა იმისა, რომ ინგლისურ ენას ფლობდა, ბედმაც გაუღიმა. ტელეკომპანიაში, რომელიც ქაბულში თავისი წარმომადგენლობის გახსნას გეგმავდა, კარიმს გრძელვადიანი კონტრაქტი გაუფორმა, კარგი ხელფასიც დაუნიშნა და სასტუმროში ოთახიც დაუქირავა. მანსური და სულთნის ოჯახიც სწორედ იქ გაიცნო. ბიჭს ეს ხალხი ძალიან მოსწონდა. ხანების წიგნების მალაზიებით, ამ ოჯახის წევრთა შეხედულებებით და მათთვის დამახასიათებელი სიდიხით აღფრთოვანებული იყო.

კარიმი გამუდმებით ლეილაზე ფიქრობდა, მაგრამ გოგონა სასტუმროში იმ დღის შემდეგ აღარ უნახავს. ლეილას სასტუმრო საშინლად არ მოეწონა. ეს ადგილი ახალგაზრდა ქალისთვის შესაფერისად არც კარიმს მიაჩნდა. ბიჭი დაფარულ გრძნობას ვერავისთან ამჟღავნებდა. მშვენივრად იცოდა, რომ მანსური ან დასცინებდა, ან ყველაფერს გაათუქებდა, რადგან მისთვის წმინდა და ფასეული ამქვეყნად არაფერი იყო. გარდა ამისა, ხვდებოდა, რომ მანსურს მამიდამისის ბედი ღიდად არ ადარდებდა. კარიმის მიჯნურობის ამბავი მხოლოდ აიმაღლა იცოდა. ის ამ საიდუმლოს ერთგულად ინახავდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა კიდევ მეგობარს.

კარიმი ყველანაირად ცდილობდა, ხანებს უფრო მეტად დაახლოვებოდა. ერთ დღესაც გაუმართლა და მანსურმა, რომელსაც სურდა რომ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი ოჯახის წევრებისთვის

გაეცნო, ვახშამზე დაჰატიჟა. კარიმმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ხანების მოწონება დაემსახურებინა – ზედმინწვნით თავაზიანად იქცეოდა, თითოეულ სიტყვას ყურადღებით ისმენდა და გემრიელ კერძებს ხოტბას ასხამდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბიბი გიულის გულის მოგება იყო, რადგან ლეილას ბედთან დაკავშირებით გადამწყვეტი სიტყვა სწორედ მას უნდა ეთქვა. თავად ლეილა ოთახში არც შესულა, ვინაიდან გასათხოვარი ქალიშვილი უცხო მამაკაცის თვალს ყველანაირად უნდა მოერიდოს, ის მთელი იმ დროის განმავლობაში სამზარეულოში ფუსფუსებდა და კერძებს ამზადებდა, რომელიც სტუმართან შარიფას და ბულბულას შეჰქონდათ. ვახშამს ჩაი მოჰყვა და როცა უკვე დაძინების დრო მოახლოვდა, ლეილა მაშინღა გამოჩნდა. კომენდანტის საათის გამო ვახშამზე მიწვეული სტუმრები ხშირად ღამეს მასპინძლების ოჯახში ათევენ. კარიმიც იმ ღამეს ხანების ოჯახში რჩებოდა. ოთახში, სადაც სულ რამდენიმე წუთს წინ ისადილეს, ლეილას ლოგინები უნდა დაეგო. გოგონა თავის საქმეს მექანიკურად აკეთებდა და ის აზრი, რომ ბარათების ავტორი ახლა მის ბინაში იმყოფებოდა, მოსვენებას არ აძლევდა.

კარიმი ოთახში სხვებზე ადრე შევიდა, რათა დაწოლამდე საღამოს ლოცვები წაეკითხა. რას იფიქრებდა, რომ ლეილა ჯერ კიდევ იქ იყო. მუხლებზე მდგარი გოგონა ლეიბზე ზეწარს აფარებდა. გრძელი ნაწნავი ბურგზე ჩამოსცურებოდა, სუსტ მხრებზე კი თხელი შარფი მოეგდო. ბიჭის შესვლა არც შეუნიშნავს. დაბნეული და აღელვებული კარიმი ოთახიდან ნაჩქარევად გავარდა... მერე კი მთელი ღამე იატაკზე ჩაჩოქილი სატრფო ელანდებოდა.

მეორე დილას ისე წავიდა, ლეილა აღარ უნახავს. თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ ხელპირის დასაბანი წყალი სწორედ მან მოუმზადა, ერბო-კვერცხი შეუნვა, ჩაი აუდულა და ფეხსაცმელიც მანვე გაუპრი-ალა.

რამდენიმე დღის შემდეგ ხანებთან თავისი და გაგზავნა. მეგობრის ოჯახისთვის ახლო ნათესავების წარდგენა ავლანეთში ბუნებრივი ამბავია. კარიმისთვის ყველაზე ახლობელი სწორედ მისი და იყო. გოგონამ ძმის გატაცების შესახებ ყველაფერი იცოდა, ახლა უმთავრეს ამოცანას ლეილასა და მის ოჯახთან დაახლოება წარმოადგენდა. შინ დაბრუნებულმა ქარიმს ის უთხრა, რასაც ბიჭი კარგა ხნის წინ მიმხვდარიყო.

– ნამდვილად ყოჩაღი და მშრომელი გოგო ჩანს. გარდა ამისა, ლამაზია და ჯანმრთელი., ოჯახიც მშვიდი და წესიერი აქვს. ასე რომ, კარგი ვარიანტია...

– მაგრამ თავად რა თქვა? როგორ იქცეოდა? როგორ გამოიყურებოდა? – ეკითხებოდა დას კარიმი და ერთსა და იმავეს ათასჯერ ამეორებინებდა.

– ხომ გითხარი, კარგი გოგონაა მეთქი! – მოკლედ მოუჭრა ბოლოს დამ.

ვინაიდან კარიმს დედა არ ჰყავდა, მაჭანკლის როლი მის უმცროს დას უნდა ეკისრა. ჯერ ხანების ოჯახი უკეთესად უნდა გაეცნო, ყველაფერი გამოერკვია და მერე უშუალოდ მოქმედებაზე გადასულიყო.

კარიმის დის სტუმრობის შემდეგ ოჯახის ქალებმა თითქოს რაღაც იეჭვეს. ლეილა კი არაფერს იმჩნევდა და მათ გადაკრულ სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდა. თუმცა ალივით მოდებულ გრძნობებს ვერაფერს უხერხებდა. ყველაზე მეტად მაინც იმისი ეშინოდა, რომ ბარათების ამბავი გამჟღავნდებოდა. კარიმზე, რომელმაც ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო, ძალიან ბრამბობდა. მისი ნაჩუქარი საათი ქვით დაამსხვრია და სანაგვეზე მოისროლა.

განსაკუთრებით იუნუსის ეშინოდა. იუნუსი მკაცრი მუსლიმური კანონების თავგამოდებული დამცველი იყო, მაგრამ მხოლოდ სიტყვით – თავად ამ კანონებს იშვიათად ემორჩილებოდა. ლეილას იგი მაინც სხვებზე მეტად უყვარდა. იუნუსმა დას ნახევარ განაკვეთზე მუშაობის

უფლებაც კი არ მისცა და ბარათების ამბავი რომ შეეცყო, მაშინ რა-
ლას იზამდა?!

ლეილას რატომღაც ჯამილას ამბავი უტივტივდება გონებაში, იმ
დროს როცა შარიფა მის ისტორიას ჰყვებოდა, იუნუსიც ოთახში იყო.

– ჯამილა? ესე იგი ვენტილატორის ზონარში მომხდარი მოკვლე
ჩართვით მოკვდა? – იკითხა მაშინ იუნუსმა, რომელმაც არ იცოდა,
რომ ვენტილატორის ამბავი სიცრუე იყო და რომ ჯამილა, რომელსაც
ღამით საყვარელი სწვევია, მისმა საკუთარმა ძმებმა გაგუდეს. ლე-
ილამ ძმას ყველაფერი თავიდან უამბო.

– რა საშინელებაა! ნამდვილი საშინელება! – აღმოხდა ვაცს. ლე-
ილა დაემოწმა.

– ამის გაკეთება როგორ გაბედა?! – წარმოთქვა მცირე ხნის შემ-
დეგ იუნუსმა.

– როგორ გაბედა?! – წამოიძახა ლეილამ, რომელსაც თავიდან
ეგონა, იუნუსი ჯამილას ძმების საქციელმა აღაშფოთა. მაშინღა მიხ-
ვდა, რომ ვაცის შოკური რეაქცია ჯამილასა და მისი საყვარლის ამ-
ბავს გამოეწვია.

– მისი ქმარი ხომ მდიდარიც იყო და კარგი შესახედავიც! – გეს-
ლიანად უპასუხა ძმამ, – რა სირცხვილია! თანაც ვილაც პაკისტანელ-
თან უღალატა. ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ უფრო მეტად ვრწმუნ-
დები, რომ ცოლად სრულიად ნორჩი ქალიშვილი უნდა შევირთო...
ნორჩი და უმნიკვლო... და თვალი ერთი წამითაც არ უნდა მოვაცი-
ლო!

– და თავად მკვლელობაზე რაღას იტყვი? – არ ეშვებოდა ლე-
ილა.

– კი მაგრამ, ჯერ ხომ ქალმა ჩაიდინა დანაშაული...

ლეილასაც სურს, რომ ნორჩი და უმნიკვლო იყოს. ეშინია, მისი
საიდუმლო არ გამჟღავნდეს. რა მნიშვნელობა აქვს, საყვარელს გაი-
ჩენს თუ უცხო მამაკაცისგან ბარათებს მიიღებს. ორივე ხომ ერთნაი-

რად უნესო და სამარცხვინო საქციელია. მიუხედავად იმისა, რომ კარიმი თავის მხსნელად მიაჩნია, მაინც დარწმუნებულია, რომ ძმა ამ საქმეში მხარს არ დაუჭერს და არჩევანს დაუნუნებს.

ლეილას მხრიდან სიყვარულზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ძალიან ადრეა. კარიმი ხომ წესიერად არც უნახავს. მხოლოდ ერთი-ორჯერ მოკრა თვალი, ერთხელ მანსურთან ერთად მომავალი ფანჯრიდან დაინახა, მეორედ კი კარზე ჩამოფარებული ფარდიდან გახედა ჩუმად. ერთი შეხედვით რა უშავსო, გაიფიქრა მაშინ ლეილამ.

– პატარა ბიჭს ჰგავს! – უთხრა მოგვიანებით სონიას, – დაბალია, გამხდარი და ბავშვური სახე აქვს.

მაგრამ კარიმი განათლებული იყო, კეთილიც ჩანდა და რაც მთავარია, მარტო ცხოვრობდა. სწორედ ამიტომ ეჩვენებოდა ლეილას მხსნელად. თუ ლეილა მას გაყვებოდა ცოლად, სრულიად ახალ ცხოვრებას დაიწყებდა და სხვების მოსამსახურე აღარ იქნებოდა. კარიმი სწავლისა და მუშაობის უფლებასაც მისცემდა. სრულიად მარტო, თავისთვის იცხოვრებდნენ და ალბათ ერთ მშვენიერ დღეს საზღვარგარეთაც გაემგზავრებოდნენ.

ლეილა მთხოვნელების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩიოდა, მაგრამ ყველა მათგანი ნათესავად ერგებოდა, ნათესავზე გათხოვება კი არაფრით არ სურდა.

ერთ-ერთი მათგანი მისი დეიდაშვილი იყო – ხეპრე, უმუშევარი, ზარმაცი და ყოვლად უვარგისი ბიჭი. მეორე კი დონდლო და ასევე უმუშევარი ვაკილის ვაჟი. მამამისს თუ წაეხმარებოდა ხოლმე ხანდახან...

– როგორ გაგიღიმა ბედმა! ქმრად ორთითა ვაცი გერგო! – ემასხრებოდა ხოლმე მანსური.

ვაკილის ვაჟი, ხელში მანქანის ელემენტის აფეთქების შედეგად რამდენიმე თითი რომ ჰქონდა დაკარგული, ლეილას სასტიკად არ მოსწონდა. შაკილა კი დას მოსვენებას არ აძლევდა და აქტიურად

მაჭანკლობდა. ლეილამ მშვენივრად იცოდა, რომ თუ ცოლად ვაკილის ვაჟს გაყვებოდა, ახლა მათი დიდი ოჯახის მოსამსახურე გახდებოდა, შაკილა კი ღირსეული დიასახლისის პოზიციებს გაიმყარებდა. გარდა ამისა, ოჯახში კვლავ ტყვესავით გამოკეტულ ლეილას ცამეტის ნაცვლად ოცი ადამიანის ტანსაცმლის რეცხვა, ქათმებისა და ვაკილის მცირეწლოვანი შვილების დევნა და გამუდმებით შაკილას ბრძანებების შესრულება მოუწევდა. მისი ქმარი კი მამის უსიტყვო მორჩილი იქნებოდა.

ლეილას მესამე თაყვანისმცემელს, რომელიც ასევე მისი დეიდაშვილი იყო, ხალედი ერქვა. ახალგაზრდა, მშვიდი და სიმპათიური ხალედი მოსწონდა კიდევ, რადგან კეთილი და თბილი ახალგაზრდა იყო, ლამაზი თვალები ჰქონდა, მაგრამ ოჯახი არ უვარგოდა. მისი ოჯახი ოცდაათი წევრისგან შედგებოდა. მამამისი, რომელიც ციხიდან სულ ცოტა ხნის წინ გამოეშვათ, მეტისმეტად მკაცრი ვაკი იყო. მას თალიბანთან თანამშრომლობაში ედებოდა ბრალი.

ხალედის სახლიც, ისევე როგორც სხვა მრავალი სახლი ქაბულში, სამოქალაქო ომის დროს დაარბიეს და გაძარცვეს თალიბანის შესვლისა და ახალი კანონ-წესების დამკვიდრებისთანავე, ხალედის მამამ რამდენიმე თანასოფელელი ძალოვანი მუჯაჰედი დააბეზლა, რის გამოც ისინი ვარგა ხნით ციხეში ჩასვეს. თალიბთა განდევნის შემდეგ ეს ადამიანები კვლავ გაათავისუფლეს, მათ კი სოფელში აღრინდელი ძალაუფლება დაიბრუნეს და შურისძიების მიზნით ახლა ხალედის მამას უკრეს ციხეში თავი.

„ასეც მოუხდება... დაბეზლება როგორ გაბედაო“, ამბობდნენ თანასოფლელები.

გაბრაზებისას ვაკი სრულიად უმართავი ხდებოდა.

გარდა ამისა, მას ორი ცოლი ჰყავდა, რომლებიც ვერაფრით რიგდებოდნენ და გამუდმებით ჩხუბობდნენ. ამის მიუხედავად, ვაკი მესამე ცოლის მოყვანასაც გეგმავდა.

„ჩემი ცოლები ძალიან დაბერდნენ“, – უთქვამს სამოცდაათ სელს მიღწეულ ხალედის მამას, – „ისეთი ქალი მჭირდება, ახალგაზრდობას რომ დამიბრუნებსო...“

ლეილას ასეთ არეულ ოჯახში შესვლა ნამდვილად არ სურდა. თანაც ხალედს საკუთარი კაპიციკ არ გააჩნდა და, ამგვარად, საცხოვრებლად ცალკე გადასვლას ვერასოდეს შეძლებდნენ. სწორედ ამიტომ ფიქრობდა, რომ ბედმა გაუღიმა და კარიმი გამოუგზავნა, რომელიც მართლა საუკეთესო ვარიანტი იყო. მართალია, კარიმთან საიდუმლო ურთიერთობა საკმაოდ სახიფათოა, მაგრამ ლეილას მასზე ფიქრი აღმაფრენას მატებს ახალ იმედს უსახავს. მასწავლებლად მუშაობის სურვილი ჯერ კიდევ უღრღნის გონებას და ყველანაირად ცდილობს, განათლების სამინისტროში მოხვდეს. ვინაიდან მისი დახმარება ოჯახის არცერთ მამაკაცს არ სურს, შარიფა ჰპირდება, მე გამოგყვებით. თუმცა დრო გადის, სამინისტროში წასვლას კი ვერაფრით ახერხებენ. ლეილას ყველანაირი იმედი ეწურება, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბედი ახალ შანსს უგზავნის.

კარიმი ლეილას პრობლემების შესახებ თავისი დისგან იგებს. რამდენიმეკვირიანი მცდელობის შემდეგ, მინისტრის თანაშემწის დახმარების წყალობით, ბიჭი ახერხებს და ლეილას განათლების ახალ მინისტრს, რასულ ამინს ახვედრებს.

როგორც იქნა, ლეილას თავისი საოცნებო სამსახურის მოპოვების შანსი ეძლევა და დედისგან წასვლის ნებართვას ადვილად იღებს. საბედნიეროდ, სულთანი საზღვარგარეთაა დასული, იუნუსი კი ამჯერად დის სურვილს აღარ ეწინააღმდეგება. მოვლენები ლეილას სასიკეთოდ ვითარდება. სამინისტროში წასვლის წინა ღამეს გოგონა დაძინებას ვერ ახერხებს, დილაამდე ლოცულობს და ღმერთს ევედრება, რომ კარიმთან შეხვედრამაც და მინისტრთან საუბარმაც წარმატებით ჩაიაროს. დილის ცხრა საათზე კარიმმა უნდა მოაკითხოს.

მამაკაცების შინიდან გასვლისთანავე ქალები ხალიჩაზე სხდებიან და ლეილას მზადებას გულმოდგინედ ადევნებენ თვალს. გოგონა

ჯერ თავის ტანისამოსს ისინჯავს, შემდეგ სონიას და შარიფას კაბებში იქექება... ტანსაცმელს იცვლის და ქალებს აზრს ეკითხება.

– მეტისმეტად ვინროა! – პასუხობენ ისინი.

– ძალიან აჭრელეებულა!

– ძალიან ბრჭყვიალებს!

– ლანდი გასდის!

– გასარეცხია!

ლეილას შესაფერისი ტანისამოსის არჩევა უჭირს. ხელში ან ძველი, გაცვეთილი სვიტერი ხვდება, ანდა ოქროსფრად აბრჭყვიალებული ზედატანები. ჩვეულებრივს და სადას ვერაფერს პოულობს. ტანსაცმელს იშვიათად ყიდულობს და ისიც მაშინ, როცა ვინმეს ნიშნობაზე ან ქორწილში მიდიან. სწორედ ამის გამო მისი ყველა სამოსი მეტისმეტად საზიზიზია. ბოლოს სონიას თეთრ ბლუზას და შავ ფარფარა ქვედაბოლოს არჩევს. თავს და სხეულის ზედა ნაწილს გრძელი შარფით იფარავს, მხოლოდ სახედა მოუჩანს. ბურკას უკვე აღარ ხმარობს, რადგან პირობა ჰქონდა დადებული, მეფე რომ დაბრუნდება და ავღანეთი თანამედროვე ქვეყანა გახდება, ამ საშინელ სამოსს სამუდამოდ მოვისვრიო. ჰოდა, აპრილის ერთ მშვენიერ დილას, როცა ყოფილმა მეფემ – ზაჰირ შაჰმა სამწლიანი ლტოლვილობის შემდეგ ავღანეთის მიწაზე კვლავ დადგა ფეხი, ლეილას ბურკასკენ აღარც გაუხედავს. შარიფა და სონიაც ასევე მოიქცნენ.

შარიფას, რომელმაც მთელი თავისი ახალგაზრდობა ამ საშინელი სამოსის გარეშე გაატარა, ბურკასთან დამშვიდობება არ გასჭირვებია. სონია კი, რომელმაც ბავშვობიდან ქალობაში ისე გადააბიჯა, რომ სახე არ გამოუჩენია, ბურკის გარეშე სიარულს ვერაფრით შეგუებოდა. ბოლოს თავად სულთანმა აუკრძალა ბურკის ტარება.

„ჩამორჩენილი ცოლი არაფერში მჭირდება“, – უთხრა სულთანმა, – „შენ ფუნდამენტალისტის კი არა, ლიბერალი ადამიანის ცოლი ხარ!“

სულთანნი ბევრ საკითხს მართლაც საკმაოდ ლიბერალურად უყურებდა. ირანში ყოფნისას თავისთვის და სონიასთვის თანამედროვე ტანსაცმელიც კი შეიძინა. ბურკას სამარცხვინო და დამამცირებელ სამოსად მიიჩნევდა და გულწრფელად უხაროდა, რომ ახალ მთავრობაში რამდენიმე ქალი მინისტრიც დანიშნეს. მთელი გულით სურდა, რომ ავღანეთი თანამედროვე ქვეყანა გამხდარიყო და ქალთა ემანსიპაციის საკითხსაც დადებითად უყურებდა, თუმცა თავის საკუთარ ოჯახში კვლავ ერთპიროვნული პატრიარქის სტატუსს ინარჩუნებდა.

როცა კარიმი მოდის, ლეილა ჯერ კიდევ სარკის წინ ტრიალებს. თვალეში უჩვეულო სხივი ჩასდგომია. ოთახიდან ჯერ შარიფა გადის, ლეილა თავდახრილი უკან მიჰყვება, ბიჭს მოკლე სალამს აძლევს და მისი დაძაბულობაც სადღაც ქრება. კარიმი საშიში სულაც არ უნდა იყოს. პირიქით, კეთილი, თავაზიანი და ცოტათი უცნაურიც კი ჩანს...

ბიჭი შარიფას ესაუბრება... ისინი ამინდის, სულთანის ვაჟებისა და მათი სამსახურების შესახებ ლაპარაკობენ. შარიფა კარიმის ოჯახის ამბავსაც კითხულობს... მერე ეუბნება, რომ თავადაც სიამოვნებით დაუბრუნდებოდა ძველ სამუშაოს. ლეილასგან განსხვავებით, მას ყველა საბუთი წესრიგში აქვს, მხოლოდ თავიდან დარეგისტრირებულა სჭირდება. ლეილას ხელში ჭრელი ქაღალდების დასტა უჭირავს, პაკისტანის სკოლის საბუთები და ინგლისური ენის კურსების სერთიფიკატები ერთად შეუკრავს. მართალია, არანაირი პედაგოგიური განათლება არ აქვს, გიმნაზიაც კი არ დაუმთავრებია, მაგრამ იმ სკოლაში მუშაობას რომ აპირებს, სხვა ინგლისურის მასწავლებელს მაინც ვერ იშოვიან.

სამინისტროში მისულებს რამდენიმესაათიანი ლოდინი უწევთ. დერეფანში უამრავი ქალი იცდის. ზოგი მათგანი დერეფნის კუთხეებში მიკუნჭულა, სხვები კი კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულან. რეგისტრატურის სარკმელთან გრძელი რიგი დგას. თანამშრომლები განაცხადის სპეციალურ ფორმებს პირდაპირ სარკმლიდან ესვრიან

მომლოდინეთ, ქალები ფორმებს ნაჩქარევად ავსებენ და უკანვე აბრუნებენ. შედარებით ზანტ კლიენტებს თანამშრომლები ასაჩქარებლად მუჭლუკუნსაც კი სთავაზობენ და მათი მისამართით არც სალანძღავ სიტყვებს ერიდებიან. ვალში არც ქალები რჩებიან. ამ რიგში ერთგვარი თანასწორობის ტენდენცია შეინიშნება – მამაკაცები ქალებს ლანძღავენ, ქალები კი მამაკაცებს.

რამდენიმე მამაკაცს, რომლებიც ასევე სამინისტროს თანამშრომლები უნდა იყვნენ, ქალაქლების დასტა ჩაუბღუჯავთ და საქმიანად მიდი-მოდინ. გეგონება, უაზროდ სცემენ ბოლთას. ქალები ხმამაღლა გაჰყვირიან. ერთი ასაკოვანი, ჩამომხმარი დედაკაცი ადგილს ველარ პოულობს, როგორც ჩანს, ნებისყოფამ უღალატა, მაგრამ მის დახმარებას არავინ ცდილობს... არაქათგამოცლილი ქალი ბოლოს მოშორებით, კუთხეში ჯდება და თვლემს. იქვე მეორე ქალიც მიმჯდარა და ჩუმად ქვითინებს.

შარიფა რაღაცის გასარკვევად რეგისტრატურის სარკმელთან მიდის, კარიმი და ლეილა მარტონი რჩებიან. ბიჭი შემთხვევით სარგებლობს და ლეილას ეკითხება:

– შენი პასუხი რა არის?

– ხომ იცი, რომ მე ვერაფერს გიპასუხებ, – ეუბნება ლეილა. – მაგრამ შენ თავად რა გსურს?

– მშვენივრად იცი, რომ არანაირი სურვილი არ შეიძლება მქონდეს!

– კი მაგრამ, მე თუ მოგწონვარ? – არ ეშვება კარიმი.

– ხომ იცი, რომ ამაზეც ვერაფერს გეტყვი.

– თანახმა იქნები, შენი ხელის სათხოვნელად რომ მოვიდე?

– ხომ იცი, რომ მე თანხმობას არავინ მეკითხება...

– კიდევ თუ შემხვდები?

– არა, არ შემიძლია.

– ცოტა უფრო თბილად ვერ მომექცევი? არ მოგწონვარ?

– მომწონხარ თუ არა, ეგ ჩემმა ოჯახმა უნდა გადაწყვიტოს, კარი-
მის გამბედაობა და თამამი შეკითხვები ლეილას აღიზიანებს. მან ხომ
მშვენივრად იცის, რომ ყველაფერს ბიბი გიული და სულთანი წყვე-
ტენ. ცხადია, მას მოსწონს კარიმი... მოსწონს იმიტომ, რომ ამ ადამი-
ანში თავის მხსნელს ხედავს. მაგრამ განსაკუთრებული გრძნობა მის
მიმართ არ აქვს. ამიტომაც არ იცის, რა პასუხი გასცეს კარიმის შეკით-
ხვებს.

მოსაცდელში რამდენიმე საათი დგანან. ბოლოს და ბოლოს, მათი
რიგიც მოდის და მინისტრთან შედიან. მინისტრი ესალმება მათ. ლე-
ილა საბუთებს უწვდის. ვაცი რამდენიმე ადგილას ხელს ისე აწერს,
არც კი უყურებს, რა საბუთებია. მერე ქალაქებს კვლავ ლეილას
უბრუნებს.

ავღანური საზოგადოება სწორედ ამგვარად მოქმედებს, აქ მარ-
თვის დამახინჯებული სისტემაა დამკვიდრებული. გზას ნაცნობების
დახმარების გარეშე ვერ გაიკვალავ და გარკვეული ხელმოწერებისა
და თანხმობების გარეშე ვერაფერს მიაღწევ. ლეილამ მინისტრთან
შესვლა მოახერხა, სხვებმა შესაძლოა შედარებით დაბალ თანამდე-
ბობის პირთა დახმარებით მოაგვარონ საქმე. ვინაიდან მინისტრები
სამუშაო დროის ძირითად ნაწილს იმას ანდომებენ, რომ ქრთამის სა-
ნაცვლოდ გარკვეულ საბუთებს აწერენ ხელს, მათი ხელმოწერები
სულ უფრო ნაკლებ ფასეული ხდება.

ლეილას ჰგონია, რომ მინისტრის თანხმობა მასწავლებლობისკენ
გზას უპრობლემოდ გაუკვალავს, მაგრამ მას კიდევ რამდენიმე ინ-
სტანციის დასტური სჭირდება. კაბინეტებში შესვლისას ძირითადად
შარიფა ლაპარაკობს, ლეილა კი თავდახრილი ზის და ხმას არ იღე-
ბს. ნუთუ ასეთი ძნელია მასწავლებლად დარეგისტრირება, როცა
ქვეყანას პედაგოგები ასე სჭირდება?! მინისტრმა ისიც კი აღიარა,
ბევრ ადგილას სკოლაც აქვთ და წიგნებიც, მაგრამ გაკვეთილების ჩა-
სატარებლად პედაგოგები არ ჰყავთო.

სულ ბოლოს ლეილას ახალბედა მასწავლებლებისთვის განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება უნევს საბუთები, რომლებმაც ათას ხელში გაიარა, სულ დაეჭმუჭნა.

გამოცდა ზეპირია და მისი მიზანია, გამოავლინოს, რამდენად აქვს ლეილას პედაგოგობის ნიჭი. საგამოცდო ოთახში მაგიდას ორი მამაკაცი და ერთი ქალი უზის. ისინი ჯერ ლეილას სახელს, გვარს, ასაკსა და განათლებას ინიშნავენ და შემდეგ შეკითხვებზე გადადიან:

– ისლამურ სარწმუნოებას და მის მრწამსს თუ იცნობ?

– არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამადია მოციქული მისი! – სხაჰასხუპით ამბობს ლეილა.

– დღეში რამდენჯერ უნდა ილოცოს ნამდვილმა მუსლიმმა? – ხუთჯერ.

– სწორი პასუხია ექვსჯერ... – უსწორებს ქალი. ლეილა არ იბნევა და სიტყვას უბრუნებს:

– თქვენთვის შეიძლება ექვსჯერაა, მაგრამ მე ხუთჯერ ვიცოდი...

– და შენ თავად დღეში რამდენჯერ ლოცულობ?

– ხუთჯერ, – იტყუება ლეილა.

შემდეგი შეკითხვა მათემატიკურია. ამ კითხვას ადვილად ართმევს თავს. ფიზიკური ფორმულა კი, გამომცდელები მოგვიანებით რომ უჩვენებენ, ლეილას თვალითაც არ უნახავს.

– ინგლისურში არ უნდა გამომცადოთ? – კითხულობს – ბოლოს გოგონა.

გამომცდელები უარის ნიშნად თავს აქნევენ და გესლიანი სიცილით ეუბნებიან:

– რა საჭიროა, მაინც ვერაფერს გავიგებთ.

როგორც ჩანს, ინგლისური არც ერთმა მათგანმა არ იცის ლეილას ისეთი შეგრძნება ეუფლება, რომ გამომცდელებს არც ის და სხვა დანარჩენი კანდიდატები ადარდებთ და არც მათი მასწავლებლობა.

გამოცდის შემდეგ ერთმანეთში თათბირობენ და იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ლეილას ერთი საბუთი აკლია. – ეს საბუთი მოგვიტანე და ისე მოდი! – ეუბნებიან ბოლოს.

სამინისტროში რვასაათიანი ლოდინისა და დამღლელი პროცედურების შემდეგ ქალები სახლში ქანცგაცლილები ბრუნდებიან. როგორც ჩანს, ბიუროკრატები თავად მინისტრის ხელმოწერასაც კი არაფრად აგდებენ.

– ფარ-ხმალს ვყრი! – ამბობს იმედგაცრუებული ლეილა, – მგონი აღარც მინდა მასწავლებლად მუშაობა...

– მე დაგეხმარები! რახან დავინწყე, ამ საქმეს ბოლომდეც მივიყვან! – ჰპირდება კარიმი.

ლეილას ბიჭის ეს სიტყვები გულს უთბობს.

მეორე დღესვე კარიმი ჯალალაბადში, თავის ნათესავებთან მოსათათბირებლად მიემგზავრება. მათ ლეილასა და მისი ოჯახის შესახებ უყვება და ეუბნება, რომ გოგონას ხელის თხოვნა სურს, ოჯახის წევრებისგან თანხმობას იღებს და ახლა ისღა დარჩენია, რომ ხანებთან სამაჭანკლოდ თავისი და გააგზავნოს.

საქმე ცოტა ჭიანურდება. კარიმს ეშინია, რომ უარით გამოისტუმრებენ. გარდა ამისა, ქორწილისთვის და ოჯახის მოსაწყობად უამრავი ფულია საჭირო. ამ ყველაფერს ისიც ერთვის, რომ ურთიერთობა მასა და მანსურს შორის რატომღაც ცივდება. ბოლო რამდენიმე დღეა, მანსური მისგან თავს შორს იჭერს და უგულოდ ესაღმება. კარიმი შესაფერის მომენტს არჩევს და მანსურს ეკითხება, რამე ხომ არ დაგიშავებო...

– ლეილას შესახებ რაღაც უნდა გითხრა, – ეუბნება მოულოდნელად მეგობარი.

– რა? – ინტერესდება კარიმი.

– არა... თუმცა ამის თქმა არ შემიძლია! მაჰატიე...

– ამისთანა რა არის? ავადაა? სხვა ვინმე მოსწონს? თუ რამე დაემართა?

– ვერ გეტყვი... მაგრამ შენ რომ ეს იცოდე, მასზე არასოდეს დაქორწინდებოდი! – ამბობს ბოლოს მანსური და მიდის.

კარიმი მანსურს ლეილას ამბავს თითქმის ყოველდღე ეკითხება. ის კი მის შეკითხვებს თავს არიდებს. კარიმი ემუდარება, უბრალოდ სთხოვს, ხან კი წყენას გამოხატავს და უბრაზდება, მაგრამ მანსური მაინც არაფერს ამბობს.

როგორც ჩანს, აიმალს მანსურისთვის წერილების ამბავი მოუყოლია. კარიმის სიძეობის სანინალმდეგო ბიჭს პრინციპში – არაფერი ჰქონდა, მაგრამ ეს ყველაფერი ვაკილის ყურამდეც მისულა და მანსურისთვის სწორედ მას უთხოვია, ლეილას კარიმი ჩამოაცილეთ. ის კი თავს ვალდებულად თვლიდა, სიძის თხოვნა შეესრულებინა. მისი ოჯახის წევრი ხომ სწორედ ვაკილი იყო და არა კარიმი.

ვაკილმა კარიმს მუქარა თავადაც შეუთვალა.

„მე ლეილა ჩემი ვაჟისთვის შევარჩიე, ნათესავად მეკუთვნის და ჩემს ცოლს სურს, რომ ჩვენი რძალი გახდეს. ეს ჩემი სურვილიცაა და ვფიქრობ, ამ აზრს დედამისი და სულთანიც იზიარებენ. ამიტომ შენთვისაც უკეთესი იქნება, თავს შორს თუ დაიჭერ“.

ვაკილი კარიმზე გაცილებით უფროსი იყო და ამიტომ ბიჭს მის სანინალმდეგოდ არაფრის თქმა არ შეეძლო. ერთადერთ იმედად ისლა დარჩენოდა, რომ მის მოსაპოვებლად თავად ლეილა იბრძოლებდა.

მაგრამ ის აზრი, რომ ლეილას რალაც სჭირდა და მანსური საეჭვოდ სდუმდა, კარიმს მოსვენებას უკარგავდა.

ამ ყველაფრის გამო თავის სურვილსა და გრძნობებში უკვე ეჭვიც კი ეპარებოდა.

ვაკილი და შაკილა ხანებთან ახლა გაცილებით ხშირად დადიან სტუმრად. მათი მისვლისთანავე ლეილა სამზარეულოში გადის ხოლმე და სადილის მომზადებას იწყებს.

– საიდმა შენი ხელი გვთხოვა, – ეუბნება ერთ დღეს ბიბი გიული. ლეილა ერთ ადგილას ქვავდება.

– მე ვუთხარი, რომ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ შენი აზრიც მაინტერესებს.

ლეილა ყოველთვის დედის სურვილს ემორჩილება. ახლაც დგას და ხმას არ იღებს.

ვაკილის ვაჟი... მის გვერდით ზუსტად იგივენაირი ცხოვრება ექნება, ახლა რომ აქვს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეტი უფროსი ეყოლება და გაცილებით უფრო მძიმე შრომა მოუწევს. გარდა ამისა, ორთითა და უნიგნური ქმარი ეყოლება.

ბიბი გიული თეფშზე მორჩენილ ცხიმში პურის ლუკმას აწობს და პირისკენ მიაქვს. მერე შაკილას თეფშიდან აღებულ ძვალს წუნწის და თან ლეილას შეჰყურებს.

ლეილა გრძნობს რომ ცხოვრება, სიყმაწვილე და იმედი ხელიდან ეცლება, მაგრამ საკუთარი თავის შველა არ შეუძლია, ამქვეყნად სრულიად მართა და ისეთი შეგრძნება აქვს, რომ გულის ნაცვლად დასამსხვრევად განწირული უზარმაზარი ქვა უდევს.

ლეილა დედას ზურგს აქცევს, კარისკენ რამდენიმე ნაბიჯს დგამს და ოთახიდან უჩინარდება. გატეხილ გულს ველარაფერი გაამთვლებს. სულ მალე მისი ნაწილაკები ფანჯრებიდან შემოჭრილ და ხალიჩებში ჩამკვდარ მტვერს შეერევა. მოგვიანებით კი ამ მტვერს თავადვე მოხვეტს და სანაგვეზე მოისვრის.

ბოლოსიტყვაობა

„ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ყველა უბედური ოჯახი კი თავისებურად უბედურია“.

ლევ ტოლსტოი, „ანა კარენინა“

ჩემი ქაბულიდან გამგზავრების შემდეგ რამდენიმე კვირაში ხანების ოჯახიც დაიშალა. ოჯახურ დავას ჩხუბი მოჰყოლია... ცალკე სულთანსა და მის ორ ცოლს და ცალკე კი ბიბი გიულსა და ლეილას ისეთი პირით ულანძღავთ ერთმანეთი, რომ ერთ ჭერქვეშ ცხოვრების გაგრძელება უკვე შეუძლებელი გახდა.

იმავე საღამოს, სამსახურიდან შინდაბრუნებული იუნუსი სულთანმა გვერდით გაიხმო და გესლიანად უთხრა, შენ, დედაშენი და შენი დები ვალდებულნი ხართ ღირსეული პატივი მომმაგოთ, რადგან უფროსი ვაჟი ვარ და ჩემს ლუკმას ჭამთო.

მეორე დღეს კი, გამთენიისას, ბიბი გიული, იუნუსი, ლეილა და ბულბულა სახლიდან წავიდნენ. გარდა იმისა, რაც ტანთ ეცვათ და თავზე ეხურათ, თან არაფერი წაუღიათ. იმ დღის შემდეგ სულთნის

ოჯახში არც ერთი მათგანი აღარ გამოჩენილა. ისინი დროებით სულთნისგან მოძულებული ძმის, ფარიდის ოჯახში გადასახლდნენ. პარალელურად იუნუსი ცდილობს, სხვა ბინა მოძებნოს, რადგან ფარიდის ოჯახში თვითონ ფარიდი, მისი ფეხმძიმე ცოლი და სამი შვილი ცხოვრობენ.

– ავღანეთში ძმებს ერთმანეთთან მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა არ აქვთ... დროა, ყველამ ჩვენ-ჩვენი ცხოვრებით ვიცხოვროთ! – ხაზგასმით მითხრა სულთანმა ტელეფონში საუბრისას.

ლეილას კარიმისგან აღარც არაფერი სმენია. მანსურთან ურთიერთობის გაფუჭების შემდეგ, კარიმს ხანების ოჯახთან სიახლოვე უკვე შეუძლებლად მიაჩნდა. გარდა ამისა, მომხდარის გამო თავადაც გაუჭირდა თავის სურვილებში გარკვევა. კარიმმა ეგვიპტეში სტიპენდია მიიღო და კაიროს ალ-აზარის უნივერსიტეტში ისლამის შესასწავლად გაემგზავრა.

– მოლა უნდა გახდეს, – გესლიანი სიცილით მითხრა ტელეფონში მანსურმა.

დურგალს სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

„არ შეიძლება, რომ ყალთაბანდი საზოგადოებაში თავისუფლად დააბიჯებდეს. დარწმუნებული ვარ, სულ მცირე, ოცი ათასი ბარათი მაინც მომპარა. თავისი ოჯახის სიღატაკებზე სულ ტყუილად წუნუნებდა. ჩემი გამოთვლით, საკმაო ფული გააკეთა, მაგრამ ამის აღიარება არ სურს!“ – ყოველგვარი თანაგრძნობის გარეშე ამტკიცებდა სულთანი.

მარიამს, რომელსაც შიშით გული უსკდებოდა, გოგონა არ მეყოლოსო, ალაჰი შეენია და ბიჭი შეეძინა.

სულთნის სასკოლო წიგნების გრანდიოზული კონტრაქტი ჩაიშალა და ეს საქმე ოქსფორდის უნივერსიტეტმა ითავა. მას ეს ამბავი უხარია კიდევ და ამბობს, მეტისმეტად რთული შეკვეთა იყო და ეს პროექტი მთელ ჩემს ძალებს შეინირავდაო.

სულთნის წიგნების მაღაზიებში საქმე მშვენივრად მიდის. ირანი-დან რამდენიმე ოქროსფრად მოვარაყებული კონტრაქტი მიიღო, რომელთა თანახმადაც დასავლური საელჩოების ბიბლიოთეკები წიგნებით უნდა მოამარაგოს. გარდა ამისა, სულთანი ქაბულის გაუქმებული კინოთეატრის შესყიდვასაც გეგმავს და აპირებს, ამ შენობაში წიგნების დიდი სავაჭრო ცენტრი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზები და მეცნიერთათვის ცალკე გამოყოფილი სამუშაო ოთახები მოაწყოს. მომავალი წლისთვის მანსურის ინდოეთში გაგზავნას გეგმავს. მას სურს, ბიჭმა სავაჭრო საქმე უკეთესად აითვისოს.

პასუხისმგებლობას უნდა მიეჩვიოს – ამბობს სულთანი, – ეს მას ხასიათის სიმტკიცეს შემატებს... ვნახოთ, შეიძლება სხვა ვაჟების სკოლაში გაშვებაზეც ვიფიქრო!“

სულთანმა პარასკევ დღეს შვილებს დასვენების უფლება მისცა. ამ დღეს ბიჭებს სრული თავისუფლება ეძლევათ. მანსური წვეულებებზე სიარულსა და გართობას აგრძელებს და მოსაყოლი არ ელევა. ის კვლავ შეყვარებულია და ამჯერად მისი ტრფობის ობიექტი მეზობელი გოგონაა.

სულთანს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია აშფოთებს.

„მდგომარეობა საკმაოდ დაძაბულია, – ამბობს ის, – ჩრდილო-აღიანსმა ლოია ჯირგასგან საკმაოდ დიდი ძალაუფლება მოიპოვა, არანაირი ბალანსი აღარ არსებობს. ვარზი სუსტი ხელისუფალია, ქვეყნის მართვას ვერ ახერხებს. საუკეთესო ვარიანტი ის იქნებოდა, რომ მთავრობა ევროპელთა მიერ დასახელებული ტექნოკრატებისგან დაკომპლექტებულიყო. ჩვენ, ავღანელებს ლიდერების ამორჩევა არ გვხერხება, რადგან თანამშრომლობა არ შეგვიძლია და ხალხი შუაში იჭყლიტება. გარდა ამისა, გონიერი ადამიანები ჯერ კიდევ არ ჩანან. ინტელექტუალთა ადგილას მხოლოდ სიცარიელეა... მანსურმა დედამისს მასწავლებლად მუშაობის უფლება არ მისცა. თავად სულთანს ცოლის სამუშაოდ გაშვების პრობლემა არ ჰქონდა, მაგრამ

რადგან უფროსი ვაჟი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო, ლაპარაკს აზრი აღარ ჰქონდა.

ლეილას სამსახურში გასვლის მცდელობაც მარცხით დასრულდა.

ბულბულა თავის რასულს გაჰყვა ცოლად. სულთანი დის ქორწილში არც თავად წასულა და არც ცოლ-შვილი გაუშვია.

ხანების ოჯახის ქალებიდან ახლა ბინაში მხოლოდ სონია და შარიფა ცხოვრობენ. როცა სულთანი და მისი ვაჟები სამსახურში მიდიან, ქალები მარტონი რჩებიან და ხან დედა-შვილივით შეხმატკბილებულები არიან, ხან კი მოსისხლე მტრებივით ექცევიან ერთმანეთს.

რამდენიმე თვეში სონიას მშობიარობა უწევს. ის ყოველ დღე ალაჰს ევედრება, რომ ბიჭი შეეძინოს. ერთხელ მეც კი მთხოვა, ჩემთვის ილოცეო.

გოგონას დაბადება ხანების ოჯახის კიდევ ერთი კატასტროფა იქნება.